

მუზეუმების შესახებ

კრებული

2006

წიგნის გამომცემი დაფინანსდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ

This book is Published by the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia

სამუშაო ჯგუფი:

ინგა ქარაია

მაკა ბურჭულაძე

ამირან ანანიშვილი

ლაშა ქარაია

სალომე ცისკარიშვილი

Work Group:

Inga Karaia

Maka Burchuladze

Amiran Ananiashvili

Lasha Karaia

Salome Tsiskarishvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ლაშა ქარაია

Computer Design:

Lasha Karaia

წიგნი გამოსაცემად მომზადდა საქართველოს მუზეუმების ასოციაციისა და ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ

Book prepared for the press by the Georgian Museum Association & National Committee of ICOM in Georgia

წიგნის გამოსაცემად მომზადებაში ხელშეწყობისათვის სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის: საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორ ქ-ნ ნინო კიტოვანს.

Special thanks: Georgian National Museum, restorer *Mrs. Nino Kitovani* (Georgian National Museum).

სარჩევი

საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ"	4
საქართველოს კანონი "კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ"	59
საქართველოს კანონი "მუზეუმების შესახებ"	86
კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა	105
საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაცია (ნიმუში).....	110
მუზეუმის ექსპონატის პასპორტისა და ექსპონატის ბარათი (ნიმუში)	112
ექსპონატების დროებით სარგებლობაში გადაცემის წესი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)	116
ხელშეკრულება მუზეუმის ექსპონატის დროებითი სარგებლობის შესახებ (საქართველოს ეროვნული მუზეუმი).....	135
ICOM-ის მუზეუმების ეთიკური კოდექსი	141
ICOM-ის წესდება (ფრანგულიდან თარგმნა ნინო კიტოვანმა)	173
ICOM-ის რეკომენდაციები მუზეუმების საერთაშორისო დღისათვის.....	209
ICOM-ის საერთაშორისო კომიტეტები.....	213
საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციებისა და მუზეუმების ვებ-გვერდები	217
კულტურული საკუთრების კერძო მენეჯმენტი (EC რეკომენდაცია)	220
საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი	222
დიდი ბრიტანეთის მუზეუმების სტრუქტურა და დაფინანსება (დიდი ბრიტანეთის კულტურის სამინისტროს მრჩეველი, UNESCO-ს ექსპერტი, ICOM-ის ევროპის საბჭოს წევრი ბარბარა ვორონცოვი)	230
სამუზეუმო საქმის ზოგიერთი ასპექტი აშშ-ში (AAM-ის მასალების მიხედვით მოამზადა და ინგლისურიდან თარგმნა ინგა ქარაიამ).....	243
კონსტიტუციური შეთხზება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის	249
საპროექტო განაცხადის ფორმა	257
საქართველოს მუზეუმების კოორდინატები	261

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ*

(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 1999, 43(50), მუხ.220, ძალაშია 1999 წლის 16 ივლისიდან)
(2003 წლის 7 მაისის მდგომარეობით)

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების მათიანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, კულტურის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, მოქმედ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

ეს კანონი ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) საქართველოში ჩამოყალიბებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტრადიციების ასახვა და საერთაშორისო გამოცდილების შემოქმედებითი გააზრება;

ბ) სახელმწიფოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფა;

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოქმედ სამართალსუბიექტთა თანასწორუფლებიანობა, კანონით დადგენილ განსაკუთრებულ შემთხვევებში საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტის შენარჩუნებით;

დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციური სრულყოფა;

ე) სამართალსუბიექტთა შორის კომპეტენციათა გამიჯვნა;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის დემოკრატიზა-

* საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მუშაობს "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონისა და მომიჯნავე საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტებზე. ამჟამად საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი უწყებათაშორისი შეთანხმების სტადიაშია.

ცია და ეკონომიკური ლიბერალიზაცია.

ამ კანონის დანიშნულებაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ზემოაღნიშნული პრინციპების დამკვიდრება და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგება.

კარი I

ზოგადი დებულებანი

თავი I

კანონის მიზანი, მოქმედების სფერო და კანონში გამოყენებული ტერმინები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგება.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურის უძრავ ძეგლებზე, უძრავი ძეგლის გადაადგილებად ფრაგმენტებზე, კულტურის მოძრავ ძეგლებზე, აგრეთვე ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტსა და კულტურის უძრავი ძეგლების დამცავ ზონებზე, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა.

2. (ამოღებულია)

3. სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრეს, შორის ურთიერთობა რეგულირდება ცალკე საკანონმდებლო აქტით.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ანტიკვარული ნივთი - ასი და მეტი წლის წინათ შექმნილი, კულტუროლოგიური თვალსაზრისით ღირებული საგანი;

ბ) არქეოლოგიური ძეგლი - არქეოლოგიური ნაშთი, რომელსაც

კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი:

ბ.ა) არქეოლოგიური ზონა - არქეოლოგიური დაზვერვის ან გათხრების შედეგად დასაბუთებულად განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც შეიცავს მოძრავი ან უძრავი ძეგლის ნაშთებს ან რომლის ფარგლებშიც მოსალოდნელია ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების აღმოჩენა;

ბ.ბ) არქეოლოგიური სამუშაოები - ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია ადამიანის საქმიანობით შექმნილი სტრუქტურების მინასა თუ წყალში გამოსაველენად და შესასწავლად; არქეოლოგიური ძეგლის მოკვლევის, გათხრის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და მეცნიერული შესწავლის სრული ციკლი, შესწავლილი მასალის პუბლიკაციის ჩათვლით;

ბ.გ) არქეოლოგიური დაზვერვა - ძეგლის არსებობის, მისი სტრუქტურისა და ქრონოლოგიის ვიზუალურად ან სასინჯი თხრილებით განსაზღვრა;

ბ.დ) არქეოლოგიური გათხრები - არქეოლოგიური ძეგლის გამოვლენის მიზნით ჩატარებული მინის ან წყალქვეშა სამუშაოები, რომელთა მიზანია მატერიალური ნაშთების მოკვლევა, ადგილზე ფიქსაცია, აღწერა, ლაბორატორიებსა და საცავეებში გადატანა, დამუშავება-გაანალიზება და შესაბამისი სამეცნიერო-დოკუმენტური ანგარიშის მომზადება;

გ) განაშენიანების რეგულირების ზონა - ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-კომპოზიციური სტრუქტურის, განაშენიანებაში არსებულ ძეგლთა მნიშვნელობის განმტკიცებისა და ახალმშენებლობათა ისტორიულ გარემოსთან შერწყმის მოთხოვნები;

დ) დამცავი ზონების სისტემა - დადგენილი წესით დამტკიცებული ტერიტორიების სისტემა, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაც დაიცვას უძრავი ძეგლი, უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი და კულტურული ფენა არასასურველი ზეგავლენისაგან;

ე) ისტორიული დასახლება - ისტორიული ქალაქი, დაბა, სოფელი ან მათი ნაწილები, რომელთა ტერიტორიაზეც განთავსებულია ურბანისტული ძეგლები (ანსამბლები, კომპლექსები, კვარტალები, მოედნები, უბნები, ქუჩები, ძველი დაგეგმარებისა და განაშენიანების ნაშთები) და რომელთა ფარგლებშიც მოქმედებს ამ კანონით განსაზღვრული დამცავი ზონების სისტემის მოთხოვნები;

ვ) ისტორიული დასახლების დაცვა - ღონისძიებათა სისტემა, რომელიც აუცილებელია ისტორიული დასახლებისა და მის ტერიტორიაზე განთავსებული ურბანისტული ძეგლის დაცვის, კონსერვაციისა და რესტავრაციისათვის, აგრეთვე მისი უწყვეტი განვითარებისა და თანამედროვე ცხოვრებაში ჰარმონიული ადაპტაციისათვის;

ზ) ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა - მრავალდისციპლინური მიდგომის საფუძველზე შემუშავებული სპეციალური დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ისტორიული დასახლებებისა და მათი ურბანისტული ძეგლების, ისტორიული გარემოს კულტურული ფასეულობის ძირითადი ასპექტების ამსახველ ინფორმაციულ მასალასა და მათი დაცვისათვის აუცილებელი ქალაქმშენებლობითი რეგლამენტაციის საკითხებს;

თ) კულტურული მემკვიდრეობა - კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეულობის მნიშვნელობა და რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას;

ი) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - სამართლებრივ, ინსტიტუციურ, სააღრიცხვო, სამეცნიერო, საპროექტო-საძიებო, ტექნოლოგიურ, პრაქტიკულ, მაკონტროლებელ, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, მოვლა-პატრონობასა და მომავალი თაობებისათვის გადაცემას;

კ) კულტურის მოძრავი ძეგლი - მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელსაც გადაადგილება არ უცვლის იმ თვისებას, რომლის გამოც მას მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი, და რომელიც არ წარმოადგენს კულტურის უძრავი ძეგლის განუყოფელ ნაწილს;

ლ) კულტურის უძრავი ძეგლი - მატერიალური კულტურის ძეგლი ან მისი ნაწილი, რომელიც ისტორიულად, ფუნქციურად და კომპოზიციურად შერწყმულია გარემოსთან და რომლის გადაადგილება შეუძლებელია ან დაკავშირებულია რთულ საინჟინრო ღონისძიებებთან და გაუმართლებელია მეცნიერული, ეთიკური და სხვა თვალსაზრისით;

მ) კულტურის უძრავი ძეგლის გადაადგილებული ფრაგმენტი - კულტურის უძრავი ძეგლის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომელიც გამოცალკევებულია კულტურის უძრავი ძეგლისაგან და კანონით აღიარებულია ცალკე უფლების ობიექტად;

ნ) კულტურული ფასეულობა - ისტორიული, არქეოლოგიური,

ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური, მემორიალური, რელიგიური, ტექნიკური, ურბანისტული, ესთეტიკური, მხატვრული და სხვა ფასეულობა;

ო) კულტურული ფენა – მიწის შრეები და ნყლით დაფარული ტერიტორია (ფსკერი), რომელიც შეიცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის კვალს;

პ) უძრავი ძეგლის ლანდშაფტის დაცვის ზონა - ტერიტორია, რომელიც მოიცავს ძეგლის გარშემო ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბუნებრივ და ხელოვნურ გარემოს და რომელიც უზრუნველყოფს ძეგლის ოპტიმალურ ექსპოზიციას;

ჟ) უძრავი ძეგლის დაცვის ზონა - უძრავი ძეგლის უშუალოდ გარემომცველი ტერიტორია, რომლის სტატუსი უზრუნველყოფს უძრავი ძეგლის დაცვას ფიზიკური ზეგავლენისაგან;

რ) უძრავი ძეგლის ტერიტორია - უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული და მასთან ისტორიულად და ფუნქციურად დაკავშირებული ტერიტორია;

ს) უძრავი ძეგლის განმედა - ძეგლის მცენარეული საფარისაგან, თანამედროვე სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება მიწის არსებული ზედაპირის მოხსნის გარეშე;

ტ) ურბანისტული ძეგლები - მხატვრულად და ისტორიულად ფასეული ანსამბლები, კომპლექსები, კვარტალები, მოედნები, უბნები, ქუჩები და ძველი დაგეგმარების ნაშთები, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ურბანისტული ძეგლები;

უ) ძეგლის ადაპტაცია - ძეგლის ისეთი გადაკეთება, რომელიც შეესაბამება მის ახალ გამოყენებას გარე სახის მაქსიმალურად შენარჩუნებით;

ფ) ძეგლის დასაშვები გამოყენება - ძეგლის ისეთი გამოყენება, რომელიც არ იწვევს მის თვისებათა შეუქცევად ცვლილებებს;

ქ) ძეგლის კონსერვაცია - ძეგლის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

ღ) ძეგლის მოვლა-პატრონობა - ძეგლის მიმართ განხორციელებული ყველა ის ღონისძიება (შენახვა, კონსერვაცია, რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია და ადაპტაცია), რომლის მიზანია მისი, როგორც ძეგლის, ყველა იმ ნიშან-თვისების შენარჩუნება და აღდგენა რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი;

ყ) ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი - ახალაღმორჩენილი ან ადრე ცნობილი ობიექტი, რომელზედაც ვრცელდება ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ღონისძიებები;

შ) ძეგლის სახელმწიფო აღრიცხვა - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოების მიერ ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;

ჩ) ძეგლის სააღრიცხვო ბარათი - ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის პირველადი დოკუმენტი, რომელშიც მოკლედაა ასახული ძეგლის რაობა, მდებარეობა, მდგომარეობა და სხვა ძირითადი მონაცემები;

ც) ძეგლის პასპორტი - ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც ვრცელდება ასახული ძეგლის შესახებ არსებული ინფორმაცია;

ძ) ძეგლთა სახელმწიფო სააღრიცხვო რეესტრი - სახელმწიფოს მიერ წარმოებული ძეგლთა სარეგისტრაციო ნუსხა;

წ) ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაცია - ძეგლთა აღრიცხვის შემდეგ შედგენილი დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც შეიცავს:

წ.ა) ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიას;

წ.ბ) ძეგლის სააღრიცხვო ბარათს;

წ.გ) ძეგლის პასპორტს;

წ.დ) ძეგლთა სახელმწიფო რეესტრს;

ჭ) ძეგლის რესტავრაცია - ძეგლის დაზიანებული ან დაკარგული ფრაგმენტების მეცნიერული მეთოდებით აღდგენა;

ხ) ძეგლის რეკონსტრუქცია - ძეგლისთვის მეცნიერულად დასაბუთებული, მეტ-ნაკლებად დასრულებული პირვანდელი სახის მიცემა არსებული და ახალი ელემენტების გამოყენებით;

ჯ) ძეგლის სტატუსი - ობიექტის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც იწვევს მასზე ამ კანონის მოქმედების გავრცელებას;

ჰ) ძეგლის შენახვა - ძეგლზე მუდმივი მზრუნველობა მისი მხატვრული ელემენტების, კონსტრუქციების, საინჟინრო ქსელებისა და მოწყობილობების და საექსპლუატაციო რეჟიმის დასაცავად.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა და მართვა

თავი II

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა

მუხლი 4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მუხლი 5. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოები

1. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას ახორციელებენ საქართველოს კულტურის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, აგრეთვე სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ან/და სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქმნება სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (შემდგომში - საბჭო).

3. სამინისტრო კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განხორციელებულ საქმიანობას.

მუხლი 6. საქართველოს კულტურის სამინისტროს უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამინისტრო:

ა) შეიმუშავებს და ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ აქტებს;

გ) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემონახვას;

დ) ადგენს და ასრულებს ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანისა და სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვის წესებს;

ე) აკონტროლებს მოძრავი ძეგლისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის პროცესს;

ვ) საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოების ყოველწლიურ გეგმას.

2. სამინისტროს სხვა ფუნქციებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განსაზღვრავს სამინისტროს დებულება.

მუხლი 7. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, "კულტურის შესახებ" საქართველოს კანონითა და ამ სფეროს მარეგულირებელი საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები შესაბამისი რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების მეშვეობით ამ

კანონითა და სამინისტროს დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში მონაწილეობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში.

მუხლი 8. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის უფლებამოსილებანი

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი:

ა) ავლენს და აღრიცხავს ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებს, გარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალი მოძრავი ძეგლებისა, უზრუნველყოფს მათ ექსპერტიზასა და კლასიფიკაციას;

ბ) უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასა და რეგისტრაციას;

გ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფს არქეოლოგიური ზონებისა და უძრავი ძეგლების დამცავი ზონების დადგენა-დამტკიცებას;

დ) იხილავს:

დ.ა) ისტორიული დასახლებების დაგეგმარების, განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის პროექტებს;

დ.ბ) ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონაში და რეგულირების ზონის საზღვრებში ცალკეული შენობების რესტავრაციისა და ახალი შენობა-ნაგებობების პროექტებს;

დ.გ) ქალაქის ისტორიულ გარემოში დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობების ლიკვიდაციისა და მათი ახალი, ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოსთან არქიტექტურულ-მხატვრული ხასიათითა და მასშტაბით შერწყმული შენობა-ნაგებობებით ჩანაცვლების საკითხს კანონით გათვალისწინებულ უწყებებთან ერთად;

დ.დ) ქალაქის ისტორიულ ნაწილში და რეგულირების ზონაში კეთილმოწყობისა და მხატვრული გაფორმების პროექტებს (მცირე ფორმები, საინჟინრო მოწყობილობები, რეკლამები);

დ.ე) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ისტორიული დასახლებების არეალისათვის შემუშავებულ წინადადებებს;

ე) პასუხისმგებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ-

სებული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და ამ კანონის დაცვაზე;

ვ) რეკომენდაციას უწევს განსაკუთრებული მნიშვნელობის ურბანისტულ ძეგლებსა და ცალკეულ ობიექტებს მათი ნაკრძალებად გამოცხადებისათვის, აგრეთვე აყენებს განსაკუთრებული ძეგლების ბაზაზე მუზეუმ-ნაკრძალების შექმნის საკითხს;

ზ) ზედამხედველობას უწევს უძრავი ძეგლებისა და მათი დამცავი ზონების გათვალისწინებას მიწის კადასტრისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტაციის შედგენის დროს;

თ) მოითხოვს ძეგლებზე წარმოებული საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების უფლების დამადასტურებელ საბუთს (ლიცენზიას, დეპარტამენტის წერილობით ნებართვას, არქეოლოგიურ დასკვნას და სხვ.);

ი) ქმნის კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბანკს;

კ) ძეგლის შეფასებისა და ძეგლთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გამოყოფს ექსპერტს ან ქმნის საექსპერტო კომისიას;

ლ) დადგენილი წესით შეიმუშავებს და აფინანსებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებს;

მ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად აჩერებს ყველა სამუშაოს, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას;

ნ) მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის გამოვლენისა და მოძრავი ძეგლის დაცვის მიზნით აკონტროლებს ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობას;

ო) აწყობს სახელმწიფო შესყიდვებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონით დადგენილი სხვა შემოსავლებიდან ძეგლზე სამუშაოების ჩასატარებლად;

პ) მონაწილეობს ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების მიმღებ კომისიაში, მიუხედავად ამ ძეგლის საკუთრების ფორმისა და სამუშაოს შემსრულებლისა;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აყენებს ფიზიკური და იურიდიული პირების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს და სამართალდამცავ ორგანოებს წერილობით აცნობებს კანონის დარღვევის შესახებ; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტისათვის საფრთხის შექმნის,

დაზიანების ან განადგურებისას მიმართავს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

რ) საომარი მოქმედებისა და საგანგებო მდგომარეობის დროს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე;

ს) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი ამ მუხლის პირველი პუნქტის "დ.ა", "დ.ბ", "დ.გ", "დ.დ" და "დ.ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პროექტებზე, საკითხებსა და წინადადებებზე გადანყვეტილებას იღებს მხოლოდ დეპარტამენტის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

3. დეპარტამენტთან მოქმედებს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს კულტურის მინისტრი

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 9. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უზრუნველყოფს მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და გამოყენებას, აწარმოებს ძეგლთა გამოვლენას, შეგროვებას, მეცნიერულად შესწავლასა და პოპულარიზაციას.

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისია გეგმავს, კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას და სამინისტროსთან შეთანხმებით გასცემს ამგვარი სამუშაოების ჩატარების ნებართვას (ღია ფურცელს).

3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხვა ფუნქციებს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დებულება.

მუხლი 10. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი:

ა) ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ეროვნულ საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის აღრიცხვასა და აღწერას და პასუხისმგებელია მათ სათანადო დაცვაზე;

ბ) აღრიცხული და აღწერილი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას გადასცემს ამ კანონის ძალით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მათი სახელმწიფო რეესტრში შესატანად;

გ) სამინისტროსა და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას დაზიანებული დოკუმენტების კონსერვაციისა და რესტავრაციის შესახებ.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა ფუნქციებს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა და საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის დებულება.

მუხლი 11. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტთან იქმნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო.

2. თავისი სტატუსით საბჭო არის სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 12 მაღალკვალიფიციური სპეციალისტით.

3. საბჭო იქმნება 5 წლის ვადით და მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 12. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში:

- ა) ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;
- ბ) ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ ძეგლთა დაცვის ორგანოებთან;
- გ) უზრუნველყოფენ გამოვლენილი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის დროებით დაცვას და მისთვის ექსპერტიზის ჩატარების წინადადებით მიმართავენ სამინისტროს;
- დ) ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 13. ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა განისაზღვრება ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

2. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან შეასრულონ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან თავისი მიზნების შესახებ საქმიანობის დაწყებამდე წერილობით აცნობონ სამინისტროს.

მუხლი 14. კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანა და საქართველოში შემოტანა

კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

ისტორიული დასახლებებისა და ურბანისტული
ძეგლების დაცვა¹

თავი III

უძრავი ძეგლის კლასიფიკაცია, აღრიცხვა,
რეგისტრაცია და მისთვის სტატუსის მინიჭება

მუხლი 15. უძრავი ძეგლის კლასიფიკაცია

1. უძრავი ძეგლის კლასიფიკაცია ხდება მისი სახეობების, ტიპოლოგიური, ფუნქციური, ქრონოლოგიური და სხვა მახასიათებლებისა და მისი მხატვრული, ისტორიული, მეცნიერული, ესთეტიკური და სულიერი მნიშვნელობის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.

2. უძრავი ძეგლის სახეობებია:

ა) არქეოლოგიური ძეგლი (ნაქალაქარი, ნასოფლარი და სხვა);

ბ) ისტორიული ძეგლი (ისტორიულ პროცესთან, მოვლენასთან ან პირთან დაკავშირებული ადგილი);

გ) ქალაქთმშენებლობის, საბაღე-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლი (ისტორიული დასახლება და მისი სისტემები; საინჟინრო თუ სხვა სისტემები, არქიტექტურული კომპლექსი, ანსამბლი ან მისი ნაწილი, ბაღები, პარკები);

დ) არქიტექტურის ძეგლი (სამოქალაქო, საკულტო, თავდაცვითი, სამრეწველო, სამეურნეო და სხვა შენობა-ნაგებობანი ან მათი ნაწილები და ფრაგმენტები, მათ შორის, თანამედროვე ტიპობრივი მშენებლობის ნიმუშები);

ე) მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ფრესკა, რელიეფი, ქანდაკება, მენჰირი, ქვაჯვარი, სტელა, საფლავის ქვა და სხვა);

ვ) მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი.

3. უძრავ ძეგლთა ქრონოლოგიური დაყოფა და მათი ტიპოლოგიური ჯგუფების განსაზღვრა ხდება შესაბამის დარგში შემუშავებული

¹ საქართველოს 2002 წლის 18 მაისის N1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68

მეცნიერული კრიტერიუმებით.

4. უძრავი ძეგლები მათი მხატვრული, ისტორიული, მეცნიერული, ესთეტიკური და სულიერი ფასეულობის მნიშვნელობის შესაბამისად იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული უძრავი ძეგლი;

ბ) ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლი;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის უძრავი ძეგლი.

მუხლი 16. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება

1. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიენიჭება უძრავი ძეგლის სტატუსი, თუ მას აქვს ამგვარი ძეგლის მახასიათებელი ნიშნები.

2. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უძრავი ძეგლის სტატუსს საბჭოს დასკვნის საფუძველზე ანიჭებს სამინისტრო.

3. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის მომენტიდან ენიჭება უძრავი ძეგლის სტატუსი.

მუხლი 17. უძრავი ძეგლის სტატუსის დაკარგვა და სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვა

1. უძრავი ძეგლი კარგავს სტატუსს, თუ იგი განადგურდა ან დაზიანდა ისე, რომ დაკარგა უძრავი ძეგლის ნიშნები და ძეგლის აღდგენა შეუძლებელია.

2. ამგვარი ობიექტის სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვა ხორციელდება იმავე წესით, რომლითაც მას მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი.

მუხლი 18. უძრავი ძეგლისთვის კატეგორიის მინიჭება

1. უძრავი ძეგლისთვის კატეგორიის მინიჭება ხდება საბჭოს სამთავრობო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

2. განსაკუთრებული მნიშვნელობის ეროვნული კატეგორიის უძრავ ძეგლებს, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად არსებული წესით წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

3. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი უძრავი ძეგლები სარგებლობენ იუნესკოს რეკომენდაციებითა და რეზოლუციებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრივილეგიებითა და შეღავათებით.

4. უძრავ ძეგლს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიას სამინისტროს წარდგინებით ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

5. უძრავ ძეგლს ადგილობრივი მნიშვნელობის კატეგორიას, ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოს წარდგინებით, ანიჭებს სამინისტრო.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი -სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 19. უძრავი ძეგლისთვის კატეგორიის შეცვლა

უძრავი ძეგლისთვის კატეგორიის შეცვლა ხდება საბჭოს მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, ამ კანონის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ორგანოების მიერ და მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით.

მუხლი 20. უძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაცია

1. უძრავი ძეგლი და უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი ექვემდებარებიან სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვა-რეგისტრაციას, მიუხედავად მათი მესაკუთრის ვინაობისა.

2. უძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციას შეადგენს:
- ა) უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სია;
 - ბ) უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი;
 - გ) უძრავი ძეგლის პასპორტი;
 - დ) უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრი.

3. უძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებსა და მათი შევსების, დამტკიცების, შენახვისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს სამინისტრო.

4. უძრავ ძეგლზე ახალი ცნობების მოკვლევის შემთხვევაში სააღრიცხვო დოკუმენტაცია ექვემდებარება შევსებას.

მუხლი 21.

უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის სამართლებრივი რეჟიმი

1. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტზე მისი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში შეტანის მომენტიდან ვრცელდება უძრავი ძეგლების მიმართ ამ კანონით დადგენილი წესები.

2. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში აღმოჩენი ვალდებულია ამის შესახებ ერთი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომლებიც განსაზღვრავენ ობიექტის დროებითი დაცვის რეჟიმს.

3. სამინისტრო ვალდებულია ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმოჩენის შესახებ სათანადო შეტყობინების მიღებიდან 6 თვის ვადაში ობიექტის კულტურული ფასეულობის დადგენის მიზნით ჩაატაროს ექსპერტიზა. საჭიროების შემთხვევაში, სამინისტრო უზრუნველყოფს არსებული წესით მის კლასიფიკაციასა და მისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებას.

4. ექსპერტიზის ჩატარების წესი განისაზღვრება სამინისტროს დებულებით "ობიექტის კულტურული ფასეულობის დასადგენი ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ".

მუხლი 22.

უძრავი ძეგლის აღნიშვნა

უძრავი ძეგლი აღინიშნება დაცვითი, საანოტაციო, მემორიალური დაფით ან სხვა მცირე არქიტექტურული ფორმით, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი უძრავი ძეგლის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 23.

უძრავი ძეგლის შესახებ ინფორმაციის გავრცელება

1. ინფორმაცია უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების, კატეგორიის შეცვლის ან სტატუსის დაკარგვის შესახებ ვრცელდება სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ძეგლთა შემდეგი კატეგორიების შესაბამისად:

ა) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის შესახებ - სახელმწიფო ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლის შესახებ - შესაბამის ადგილობრივ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

2. ობიექტისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისთანავე დეპარტამენტი ვალდებულია მის მესაკუთრეს (მფლობელს) გაუგზავნოს მოთხოვნა დაცვითი ხელშეკრულების დადების შესახებ.

3. დეპარტამენტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უძრავი ძეგლის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია.

ისტორიული დასახლების ქალაქმშენებლობითი რეპულირება

მუხლი 23¹. ისტორიული დასახლების დაცვა

ისტორიული დასახლების დაცვა წარმოადგენს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს რაიონული და ქალაქმშენებლობითი დაგეგმარების ყველა დონეზე. ისტორიული დასახლების სტატუსს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარდგინებით.

ისტორიული დასახლების, მისი ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დაცვის მოთხოვნა განაპირობებს ქალაქმშენებლობით-სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის შეზღუდვას, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ დასახლების ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დაცვისა და შენარჩუნების პირობებში.

ისტორიული დასახლების, მისი ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოები ადგენენ ქალაქმშენებლობითი რეგულირების განსაკუთრებულ წესს, რომელიც წარმოადგენს ისტორიული დასახლების, მისი ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დაცვის თანამიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა სისტემას.

ისტორიული დასახლების, მისი ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დაცვასა და ქალაქმშენებლობით განვითარებას შორის ნონასწორობის სტრატეგიისა და ურბანისტული ძეგლების დაცვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა ხდება ისტორიული დასახლების გენერალური გეგმით. ამ პრინციპების დეტალიზების, ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დაცვის კონკრეტული ქალაქმშენებლობითი საკითხები ნყდება დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტით. გენერალური გეგმისა და დეტალური დაგეგმარების პროექტის დონეზე შემუშავებული ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადწვევითა ეფუძნება დასახლების ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას.

ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს, როგორც უმნიშვნელოვანესი ქალაქმადორმირებელი ელემენტების ისტორიული დასახლების გეგმარებით სტრუქტურაში ლოკალიზების თავისებურების ამსახველ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას;

ბ) არქიტექტურულ გეგმარებით და სივრცით-კომპოზიციურ ასპექტებს ძირითად ისტორიულ ეტაპებზე;

გ) არქიტექტურულ-კომპოზიციური დომინანტების ვიზუალურ-სივრცითი კავშირებისა და მათი გავლენის ზონების ანალიტიკურ სქემებს;

დ) არქეოლოგიური ძეგლებისა და მნიშვნელოვანი კულტურული ფენების საზღვრებს;

ე) ბუნებრივი ლანდშაფტის იმ მნიშვნელოვანი ელემენტების ამსახველ გრაფიკულ მასალას, რომლებიც უზრუნველყოფს დასახლების ისტორიული პანორამისა და ლოკალური ხედების სრულყოფილ აღქმას;

ვ) იმ მასივების განაშენიანების და ცალკეული შენობა-ნაგებობების დაფიქსირებას, რომლებიც არღვევენ დასახლების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტრუქტურასა და სივრცობრივ ორგანიზაციას, ზღუდავენ ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს აღქმის პირობებს, საფრთხეს უქმნიან მათ შენარჩუნებას;

ზ) ურბანისტული ძეგლის გარემოსათვის მიუღებელ ახალმშენებლობათა შეზღუდვას ან აკრძალვას, ცალკეულ შენობა-ნაგებობათა მასშტაბის, სტრუქტურისა და პროპორციების დადგენასთან დაკავშირებული ქალაქმშენებლობითი ურბანისტული რეგლამენტაციის შემუშავებას;

თ) ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოსათვის შეუსაბამო ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მდგომარეობის, საჰაერო აუზის დაბინძურების წარმოშობის წყაროებისა და ზონების დაფიქსირებასა და შეფასებას;

ი) ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს მახასიათებლებისა და იერის გაუმჯობესების ზომებს, კეთილმოწყობისა და

ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების წინადადებებს.

ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მასალები მტკიც-დება ამ კანონის მოთხოვნებით გათვალისწინებული და ქალაქმშენებ-ლობის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ისინი თან ერთვის ისტორიული დასახლების დამცავი ზონების პროექტებს.

ურბანისტული ძეგლებისა და ისტორიული გარემოს დამცავი ზონების სისტემა წარმოადგენს ამ დასახლების გენერალური გეგმის, დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 23³.

ისტორიული დასახლებისა და მისი
ურბანისტული მემკვიდრეობის
დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილებების
მიღების პროცესში საზოგადოების
მონაწილეობა და ინფორმაციის
ხელმისაწვდომობა

1. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ისტორიული დასახლების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისათვის შესაბამისი წინადადებების მიწოდების გზით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ინფორმაციის ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფენ საზოგადოების უფლების რეალიზაციას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, რომლებშიც მიეთითება ამ გადაწყვეტილების განხილვის ადგილი და თარიღი.

3. ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივ განხილვას აფინანსებს ისტორიული დასახლების დაცვით ზონებში კონკრეტული პროექტის დამკვეთი.

4. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ:

ა) ისტორიული დასახლების დაცვის საკითხებზე წინადადებები შეიტანონ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში;

ბ) საკუთარი სახსრებით მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები და ჩაატარონ ექსპერტიზა ისტორიული დასახლების დაცვის განსა-

ხილველ პროექტებზე. მათ მიერ მომზადებული ალტერნატიული წინადადებები უნდა ეფუძნებოდეს ამ კანონის მოთხოვნებს;

გ) განსახილველ პროექტზე მოამზადონ ალტერნატიული წინადადება ან დააფიქსირონ დამოუკიდებელი აზრი ექსპერტების მონვევის გარეშეც.

5. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა უნდა განიხილონ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე წარდგენილი წინადადებები.

6. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ დასვან საკითხი ასეთ გადაწყვეტილებათა სასამართლო წესით გაუქმებისა და სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების იმ თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული ან სხვა სახის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს ამ კანონის მოთხოვნები.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

საკუთრება უძრავ ქვებზე

მუხლი 24. უძრავი ძეგლის მესაკუთრე

1. უძრავი ძეგლის მესაკუთრე შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

გ) ფიზიკური პირი;

დ) იურიდიული პირი.

2. არქეოლოგიური ძეგლი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი – სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 25. უძრავი ძეგლის მესაკუთრის უფლებამოვალეობანი

1. უძრავი ძეგლის მესაკუთრე უფლებამოსილია:

ა) გამოიყენოს უძრავი ძეგლი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) მიიღოს შემოსავალი უძრავი ძეგლის ნებადართული წესით გამოყენების გზით;

გ) ისარგებლოს კანონით დადგენილი საგადასახადო თუ სხვა შეღავათებით;

დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოებისაგან მოითხოვოს სამეცნიერო-მეთოდური კონსულტაცია მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული უძრავი ძეგლის შესახებ;

ე) სახელმწიფოს მიერ უძრავი ძეგლის იძულებითი წესით ჩამორთმევის შემთხვევაში მოითხოვოს სათანადო ანაზღაურება.

2. უძრავი ძეგლის მესაკუთრე ვალდებულია:

ა) დაიცვას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ძეგლი, გაიღოს ხარჯები მისი მოვლა-პატრონობისათვის;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგა-

ნოებს, მათი მოთხოვნისამებრ, მიაწოდოს ინფორმაცია უძრავი ძეგლის შესახებ, თუ ამგვარი ინფორმაცია არ წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან კანონით დადგენილ სხვა საიდუმლოებას;

გ) უძრავი ძეგლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე დეპარტამენტთან გააფორმოს დაცვითი ხელშეკრულება, ამ ძეგლის დაცვითი რეჟიმის მითითებით;

დ) ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოებს უძრავი ძეგლის მდგომარეობის შემოწმებაში;

ე) აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოებს უძრავი ძეგლის მდგომარეობის ცვლილების შესახებ;

ვ) დაიცვას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ძეგლის დამცავი ზონის რეჟიმი;

ზ) დეპარტამენტის წერილობითი თანხმობის გარეშე არ დაუშვას უძრავი ძეგლის, მისი ნაწილებისა თუ ფრაგმენტების გადაკეთება, გადაადგილება და დაშლა, ხოლო უძრავი ძეგლის დამცავ ზონაში - მიწის სამუშაოების ჩატარება, მიცვალებულთა დაკრძალვა, მრავალწლიანი მცენარეების დარგვა და მოსპობა, ან უძრავი ძეგლის ისეთი ექსპლუატაცია, რომელიც ზიანს მიაყენებს ან სახეს შეუცვლის მას;

თ) ხელი შეუწყოს უძრავ ძეგლზე სამუშაოების ჩატარებას დადგენილი წესით;

ი) უზრუნველყოს უძრავი ძეგლის დათვალიერება მის მიერ დადგენილ ვადაში.

მუხლი 26. უძრავი ძეგლის მფლობელის უფლება-მოვალეობანი

1. უძრავი ძეგლის მფლობელ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე ვრცელდება იგივე მოვალეობები, რაც უძრავი ძეგლის მესაკუთრეზე.

2. უძრავი ძეგლის მფლობელი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებით.

მუხლი 27.

მემკვიდრეობითი უფლებები უძრავ ძეგლზე

უძრავ ძეგლზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მემკვიდრეობითი უფლება.

მუხლი 28.

უძრავი ძეგლის გასხვისება ან
სარგებლობაში გადაცემა

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ძეგლზე საკუთრების უფლების ნებისმიერი მოტივით გადაცემა (გასხვისება) აკრძალულია. ეს ძეგლი შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამონაკლისს წარმოადგენს საცხოვრებელი ფონდი, რომლის გადაცემა საკუთრებაში დასაშვებია ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. სხვა უძრავი ძეგლის გასხვისება ან სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია მესაკუთრის მიერ სამინისტროსთვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ. მესაკუთრემ სამინისტროს სათანადო შეტყობინება უნდა გაუზიაროს გასხვისებამდე ერთი თვით ადრე.

3. უძრავი ძეგლის გასხვისებისას ან სარგებლობაში გადაცემისას მის დამცავ ზონას შეუნარჩუნდება იგივე სამართლებრივი რეჟიმი, რაც უძრავ ძეგლს.

4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ძეგლის სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ძეგლის სარგებლობაში გადაცემის შემდეგ ფორმდება ძეგლის დაცვითი ხელშეკრულება სამინისტროსა და იმ პირს შორის, ვისაც სარგებლობაში გადაეცა უძრავი ძეგლი.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი – სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 29.

უძრავი ძეგლის იძულებითი წესით
ჩამორთმევა

1. უძრავი ძეგლი მესაკუთრეს (მფლობელს) იძულებითი წესით ჩამორთმევა იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბა-

მისად ვერ უზრუნველყოფს უძრავი ძეგლის დაცვას, რის გამოც ძეგლს ემუქრება დაზიანების, განადგურების ან გატაცების საფრთხე.

2. უძრავი ძეგლის მესაკუთრის დაუდევრობით უძრავი ძეგლის ხელყოფის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში დეპარტამენტი ვალდებულია წერილობით გააფრთხილოს მესაკუთრე (მფლობელი) და აცნობოს მას უძრავი ძეგლის მოვლა-პატრონობისას დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრის ვადები.

3. თუ მესაკუთრე (მფლობელი) არ გაითვალისწინებს დეპარტამენტის მოთხოვნებს, დეპარტამენტს შეუძლია, უძრავი ძეგლის ჩამორთმევის მოთხოვნით სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ან უძრავი ძეგლის იძულებითი წესით ჩამორთმევის შესახებ.

მუხლი 30.

საკუთრების უფლება უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ახლად აღმოჩენილ ობიექტზე

1. უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ახლად აღმოჩენილ ობიექტზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი ამ ობიექტის აღმომჩენსა და იმ ტერიტორიის მესაკუთრეს შორის, რომლის ტერიტორიაზედაც იქნა აღმოჩენილი ობიექტი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით.

2. თუ ახლად აღმოჩენილ ობიექტს მიენიჭება ეროვნული კატეგორია და არსებობს ამ ობიექტის მესაკუთრის თანხმობა, სათანადო ანაზღაურების საფუძველზე ობიექტი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

უძრავი ძეგლის დაცვა

მუხლი 31. უძრავი ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპი

უძრავი ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და გარემოს შენარჩუნება, რომლებიც შეადგენს მის მხატვრულ, ისტორიულ, მეცნიერულ, ესთეტიკურ და სულიერ ფასეულობას და რისთვისაც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

მუხლი 32. დამცავი ზონების სისტემა და მათი რეჟიმები

1. უძრავი ძეგლის, ძეგლთა კომპლექსების, ანსამბლების, მათი ბუნებრივი და ხელოვნური გარემოს შენარჩუნების მიზნით იქმნება დამცავი ზონების სისტემა, რომელიც შედგება შემდეგი ზონებისაგან:

- ა) არქეოლოგიური ზონა;
- ბ) ძეგლის დაცვის ზონა;
- გ) განაშენიანების რეგულირების ზონა;
- დ) ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის ზონა.

2. დამცავი ზონების დადგენას უზრუნველყოფს დეპარტამენტი სამინისტროსა და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან ერთად და მტკიცდება მათი ერთობლივი ბრძანებით.

3. განაშენიანების რეგულირებისა და ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის ზონების შემუშავებისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია დაიცვას დამცავი ზონების რეჟიმი.

5. დამცავი ზონების რეჟიმი გამორიცხავს მის ფარგლებში ისეთი საქმიანობის განხორციელებას, რომელმაც შეიძლება დაზიანების, განადგურების ან აღქმის გაუარესების საფრთხე შეუქმნას კულტურულ ფენებს, უძრავ ძეგლებს, ძეგლთა ანსამბლებსა და მათ გარემოს.

6. თუ უძრავი ძეგლის დაცვის ზონის ფარგლებში ხორციელდება ისეთი საქმიანობა (აფეთქება, ვიბრაცია, მავნე ნივთიერებების გამოყოფა და ა.შ.), რომელიც საფრთხეს უქმნის უძრავ ძეგლს, სამინისტროს მოთხოვნით ამგვარი საქმიანობა იზღუდება ან იკრძალება.

7. უძრავი ძეგლის დაცვის ზონის ფარგლებს გარეთ ისეთი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის უძრავ ძეგლს, სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტის წინაშე აყენებს საკითხს ამ საქმიანობის შეჩერების, შეზღუდვის, ხოლო დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში - შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 33. უძრავი ძეგლის დასაშვები გამოყენება

1. უძრავი ძეგლის გამოყენება დასაშვებია თავდაპირველი დანიშნულებით ან შესაბამისი ნებართვის საფუძველზე - სხვა დანიშნულებით, თუ მისი გამოყენება არ არღვევს ძეგლის დაცვით რეჟიმს.

2. უძრავი ძეგლის დასაშვები გამოყენება უნდა უზრუნველყოფდეს მისი დაცვის პირობებს და აკმაყოფილებდეს ამ კანონის მოთხოვნებს. (საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 34. მუზეუმ-ნაკრძალი

1. უძრავი ძეგლისა და მისი გარემოს დაცვის მიზნით იქმნება მუზეუმ-ნაკრძალი.

2. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით, სამინისტროს წარდგინებითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაკუთრებული მნიშვნელობის უძრავი ძეგლისა და მისი კომპლექსის ბაზაზე იქმნება მუზეუმ-ნაკრძალი, რომლის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. მუზეუმ-ნაკრძალის ძირითად ფუნქციას შეადგენს უძრავი ძეგლის მოვლა-პატრონობა, მისი პოპულარიზაცია, ტურისტების მიზიდვა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

4. მუზეუმ-ნაკრძალში არსებული ექსპონატ-ნაგებობების გამოყენების წესს განსაზღვრავს ეს კანონი, შესაბამისი დებულება და სათანადო წესით დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაცია.

მუხლი 35. უძრავ ძეგლთა გათვალისწინება მიწის კადასტრსა და ქალაქგეგმარებით დოკუმენტაციაში

1. აუცილებელია უძრავ ძეგლთა, მათი ტერიტორიებისა და დამცავი ზონების გათვალისწინება მიწის კადასტრსა და ქალაქგეგმარებით

დოკუმენტაციაში (განსახლებისა და დარგობრივ სქემებში, რაიონული დაგეგმარების სქემებსა და პროექტებში, დასახლებათა გენერალურ სქემებსა და გეგმებში, დეტალური დაგეგმარებისა და განაშენების პროექტებში და ა.შ).

2. აღნიშნული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაცია თანხმდება სამინისტროსთან.

მუხლი 36. მსხვილმასშტაბიანი სამშენებლო ან სხვა სამუშაოების დაპროექტებისა და წარმოების აუცილებელი პირობები

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო, სამელიორაციო, საგზაო, ნავთობისა და გაზსადენი მაგისტრალების და სხვა სახის სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტების განხორციელება ხდება სამინისტროს, დეპარტამენტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე.

2. მიწისზედა ძეგლების აღრიცხვაპასპორტიზაციასა და დაცვას, ისევე როგორც განათხარი ძეგლების დაცვას, რესტავრაციასა და კონსერვაციას უზრუნველყოფს სამინისტრო, ხოლო მშენებლობისათვის და რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი მიწის ფართობის არქეოლოგიურ დაზვერვას, ექსპერტიზას, გათხრებს, მეცნიერულად შესწავლის ორგანიზებას და შესაბამის დაწესებულებებთან და უწყებებთან ურთიერთობას ახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

3. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც განზრახული აქვთ მსხვილმასშტაბიანი სამშენებლო ან სხვა სამუშაოების ჩატარება (საგზაო და საინჟინრო ინფრასტრუქტურების აგება, მიწისა და სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება, კარიერის დამუშავება, სასარგებლო წიაღისეულის ამოღება და ა.შ.), ვალდებულნი არიან დაპროექტების პროცესში, სამუშაოების დაწყებამდე 3 თვით ადრე, არქეოლოგიური და სხვა ძეგლთა დაცვითი სამუშაოების განსახორციელებლად სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს წარუდგინონ სათანადო განაცხადი. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნის საფუძველზე

სამინისტრომ შეიძლება გააგრძელოს ვადა.

4. ის იურიდიული და ფიზიკური პირები, მათ შორის, საერთაშორისო და უცხოური ინვესტიციებით შექმნილი ორგანიზაციები და სანარმოები, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა სახის მასშტაბურ მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, დაპროექტებისა და მშენებლობის ღირებულების ხარჯთაღრიცხვაში ითვალისწინებენ არქეოლოგიური გათხრების, მეთვალყურეობის, წინასწარი დაზვერვის, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ფიქსაციის, მეცნიერული შესწავლის, პუბლიკაციისა და დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებელ თანხებს.

5. მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოთა დროებით შეჩერების გადანყვეტილებას იღებენ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 37. უძრავი ძეგლის თვითნებური გადაკეთების, გადაადგილების ან დაშლის აკრძალვა

1. აკრძალულია უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის თვითნებური გადაკეთება, გადაადგილება ან დაშლა.

2. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადაადგილება ან დაშლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს:

- ა) უძრავი ძეგლის გადარჩენა;
- ბ) გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობა.

4. უძრავი ძეგლის დაკარგული არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ აღსადგენი არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციისა და ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებული საპროექტო დოკუმენტაციის ბაზაზე.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68; საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების სახეები,
ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (უძრავ ძეგლებზე)
სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვა²

მუხლი 38. უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი
სამუშაოების სახეები

1. უძრავ ძეგლზე ტარდება შემდეგი სახის სამუშაოები:

- ა) დაზვერვა;
- ბ) განმენდა;
- გ) გათხრა;
- დ) კონსერვაცია;
- ე) რესტავრაცია;
- ვ) რეკონსტრუქცია;
- ზ) რეგენერაცია;
- თ) ადაპტაცია;

- ი) ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება;
- კ) ძეგლის ან მისი ნაწილის გადაადგილება;
- ლ) ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა.

2. უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები იყოფა შემდეგ
ძირითად სტადიებად:

- ა) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო;
- ბ) საპროექტო-საძიებო სამუშაო;
- გ) პროექტის რეალიზაცია.

3. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების კონკრეტულ წესებს
განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 39. უძრავ ძეგლზე სამუშაოების
ჩატარების პირობები

1. სამინისტროსა და დეპარტამენტის ანგარიშებზე მობილი-
ზებული ფულადი სახსრების გამოყენება უძრავ ძეგლზე სამუშაოების

² საქართველოს 2003 წლის 7 მაისის N2133 კანონი - სსმ, 13, მუხ.69

ჩასატარებლად დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. უძრავ ძეგლზე ჩატარებული სამუშაოს მიმღები კომისიის წევრთა - დეპარტამენტის სპეციალისტთა სამიველინებო ხარჯებს გაი-
ლებს ძეგლის მესაკუთრე ან ძეგლზე ჩატარებული სამუშაოს შემსრუ-
ლებელი.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 40. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე
(უძრავ ძეგლებზე) სამუშაოების
ჩასატარებლად დაშვების ნებართვის
სახეები და მისი გაცემისათვის
საჭირო პირობები

1. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (უძრავ ძეგლებზე) სამუ-
შაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის სახეებია:

- ა) უძრავი ძეგლის დაზვერვის ნებართვა;
- ბ) უძრავი ძეგლის განმენდის ნებართვა;
- გ) უძრავი ძეგლის გათხრის ნებართვა;
- დ) უძრავი ძეგლის კონსერვაციის ნებართვა;
- ე) უძრავი ძეგლის რესტავრაციის ნებართვა;
- ვ) უძრავი ძეგლის რეკონსტრუქციის ნებართვა;
- ზ) უძრავი ძეგლის ადაპტაციის ნებართვა;
- თ) უძრავი ძეგლის რეგენერაციის ნებართვა;
- ი) უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთების ნებართვა;
- კ) უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაადგილების ნებართვა;
- ლ) უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლის ნებართვა.

2. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (უძრავ ძეგლებზე) სამუ-
შაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვა ერთჯერადია.

3. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (უძრავ ძეგლებზე)
სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის გაცემისათვის,
გარდა "სამენარმო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის
საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული
პირობებისა, საჭიროა დამატებით წარდგენილ იქნეს:

- ა) მშენებლობის ნებართვა;

ბ) საპროექტო დოკუმენტაცია;

გ) ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირის მიერ თავისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ნებართვის მაძიებელი იურიდიული პირის მიერ - იმ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებმაც უნდა ჩაატარონ ამ კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოები.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 41.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (უძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (უძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრება "სამენარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 42.

პასუხისმგებლობა უძრავ ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე

პასუხისმგებლობა უძრავ ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი -სსმ, 13, მუხ. 69)

მოდრავი ქეგლის დაცვა

თავი VII

მოდრავი ქეგლის კლასიფიკაცია, აღრიცხვა,
რეგისტრაცია და მისთვის სტატუსის მინიჭება

მუხლი 43. მოძრავი ქეგლის კლასიფიკაცია

1. მოძრავი ქეგლის კლასიფიკაცია ხდება მისი სახეობის, ტიპოლოგიური, ფუნქციური, ქრონოლოგიური თუ სხვა მახასიათებლებისა და მხატვრული, ისტორიული, მეცნიერული, ესთეტიკური და სულიერი მნიშვნელობის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.

2. მოძრავი ქეგლის სახეობებია:

ა) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული სახვითი ხელოვნების ნიმუში;

ბ) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში;

გ) ისტორიულ მოვლენებთან ან ისტორიულ პირთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთები;

დ) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ან კულტურულ ფენებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები ან/და მათი ფრაგმენტები;

ე) ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შესრულებული საკულტო დანიშნულების ნივთი;

ვ) ხელნაწერები, ინკუნაბულები, სიგელები, გუჯრები და ბეჭდვითი გამოცემები, რომელთაც აქვთ ისტორიული, მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება;

ზ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, მათ შორის, ფოტო-ფონო-კინო-ვიდეო მასალები;

თ) ეთნოგრაფიული ნივთები;

ი) უნიკალური ავეჯი და მუსიკალური ინსტრუმენტები;

კ) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული ქეგლები;

ლ) სხვა გადაადგილებადი ნივთები, რომლებსაც აქვთ ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა ღირებულება, მათ შორის, ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურული ნახაზები, სახვითი ხელოვნების ნიმუშების ასლები.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

მუხლი 44. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტისათვის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება

1. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიენიჭება მოძრავი ძეგლის სტატუსი, თუ მას აქვს ამგვარი ძეგლის მახასიათებელი ნიშნები.

2. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მოძრავი ძეგლის სტატუსს საბჭოს დასკვნის საფუძველზე ანიჭებს სამინისტრო.

3. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მოძრავი ძეგლის სტატუსი ენიჭება მოძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის მომენტიდან.

მუხლი 45. მოძრავი ძეგლის სტატუსის დაკარგვა და სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვა

1. ძეგლი კარგავს მოძრავი ძეგლის სტატუსს, თუ მას აღარ აქვს მოძრავი ძეგლის ნიშნები, განადგურდა და მისი აღდგენა შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია.

2. მოძრავი ძეგლის სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვა ხორციელდება იმავე წესით, რომლითაც მას მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი.

მუხლი 46. მოძრავი ძეგლის კატეგორიები

მოძრავი ძეგლი მისი მხატვრული, ისტორიული, ესთეტიკური და სულიერი ფასეულობის მნიშვნელობის შესაბამისად მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიებს:

ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის მოძრავი ძეგლი;

- ბ) ეროვნული მნიშვნელობის მოძრავი ძეგლი;
- გ) ადგილობრივი მნიშვნელობის მოძრავი ძეგლი.

მუხლი 47. მოძრავი ძეგლისთვის კატეგორიის მინიჭება

1. მოძრავ ძეგლს კატეგორია ენიჭება საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

2. მოძრავ ძეგლს განსაკუთრებული მნიშვნელობის კატეგორიას სამინისტროს წარდგინებით ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. მოძრავ ძეგლს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიას სამინისტროს წარდგინებით ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. მოძრავ ძეგლს ადგილობრივი მნიშვნელობის კატეგორიას ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი ორგანოს წარდგინებით ანიჭებს სამინისტრო.

მუხლი 48. მოძრავი ძეგლისთვის კატეგორიის შეცვლა

მოძრავი ძეგლისთვის კატეგორიის შეცვლა ხდება საბჭოს მოტივირებული დასკვნის საფუძველზე ამ კანონის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ორგანოების მიერ და მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით.

მუხლი 49. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის სამართლებრივი რეჟიმი

1. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტზე ვრცელდება მოძრავი ძეგლის მიმართ ამ კანონით დადგენილი წესები.

2. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში აღმოჩენი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოსა და სამინისტროს, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის დროებითი დაცვის რეჟიმს.

3. სამინისტრო ვალდებულია მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმოჩენის შესახებ სათანადო შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 6 თვისა ობიექტის კულტურული ფასეულობის დადგენის მიზნით უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში

შეიტანოს იგი მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში, არსებული წესით უზრუნველყოს მისი კლასიფიკაცია და მისთვის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება.

მუხლი 50. მოძრავი ძეგლის აღრიცხვა

1. მოძრავი ძეგლი და მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი, განურჩევლად მათი მესაკუთრისა, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას.

2. მოძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციას შეადგენს:

- ა) მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სია;
- ბ) მოძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი;
- გ) მოძრავი ძეგლის პასპორტი;
- დ) მოძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრი.

3. მოძრავი ძეგლის მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტრო გასცემს სათანადო საბუთს.

4. მოძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებსა და მათი შევსების, დამტკიცების, შენახვისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს სამინისტრო.

5. მოძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციაში შეტანასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას აფინანსებს სახელმწიფო.

6. მესაკუთრე (მფლობელი) ვალდებულია, მიმართოს სამინისტროს ან სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს მის საკუთრებაში არსებული ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში შეტანის თაობაზე.

მუხლი 51. საკუთრების უფლება ახალაღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლზე

ახალაღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი, განურჩევლად მისი აღმოჩენის ადგილისა, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

საკუთრება მოძრავ ქვებზე

მუხლი 52. მოძრავი ძეგლის მესაკუთრე

1. მოძრავი ძეგლის მესაკუთრე შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

გ) ფიზიკური პირი;

დ) იურიდიული პირი.

2. ახლად აღმოჩენილი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი, რომლის მესაკუთრე ცნობილი არ არის ან შეუძლებელია კანონით განსაზღვრულ ვადებში მისი ვინაობის დადგენა, ცხადდება აღმომჩენის საკუთრებად. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა სამსახურებრივი მოვალეობაა ძეგლთა მოძიება, არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ან ძეგლზე მეთვალყურეობა.

3. თუ ცნობილია იმ ტერიტორიის მესაკუთრე, რომელშიც აღმოჩენილია მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი, მაშინ ამ უკანასკნელის მესაკუთრე (მესაკუთრეები) განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმომჩენს უფლება აქვს არ გამოააშკარაოს თავისი ვინაობა.

5. მოძრავი ძეგლი, რომლის მესაკუთრეა სახელმწიფო, არ შეიძლება იყოს გასხვისებული იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე.

მუხლი 53. მოძრავი ძეგლის მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი

1. მოძრავი ძეგლის მესაკუთრე უფლებამოსილია:

ა) გამოიყენოს მოძრავი ძეგლი ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით;

ბ) მიიღოს შემოსავალი მოძრავი ძეგლის კანონიერი გამოყენების გზით;

გ) ისარგებლოს კანონით დადგენილი საგადასახადო თუ სხვა შეღავათებით;

დ) დეპარტამენტისაგან მოითხოვოს სამეცნიერო-მეთოდური კონსულტაცია მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ძეგლის შესახებ.

2. სახელმწიფოს მიერ მოძრავი ძეგლის იძულებითი წესით ჩამორთმევის შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო ანაზღაურება.

3. მოძრავი ძეგლის მესაკუთრე ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ძეგლის მოვლა-პატრონობა;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს მოძრავ ძეგლში მომხდარი ცვლილებების ან მისი გატაცების შესახებ;

გ) არ დაუშვას მოძრავი ძეგლის, მისი ნაწილების ან ფრაგმენტების გადაკეთება, დაშლა ან ძეგლის ისეთი გადაადგილება თუ ექსპლუატაცია, რომელიც ზიანს მიაყენებს ან სახეს შეუცვლის მას;

დ) ხელი შეუწყოს მოძრავ ძეგლზე სამუშაოების ჩატარებას დადგენილი წესით;

ე) მოძრავი ძეგლის გასხვისების შემთხვევაში ინფორმაცია ძეგლის დაცვის პირობების შესახებ გადასცეს ახალ მესაკუთრეს;

ვ) ხელი შეუწყოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და ლიცენზირებულ სპეციალისტებს ძეგლის მდგომარეობის შემოწმებაში. თუ არსებობს მოძრავი ძეგლის მდგომარეობის შემოწმების დასაბუთებული აუცილებლობა და მესაკუთრე (მფლობელი) არ იძლევა ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ძეგლის შესახებ, სამინისტრო იღებს სათანადო ზომებს, რათა შესაძლებელი გახდეს მოძრავი ძეგლის შემოწმება;

ზ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.

მუხლი 54.

მოძრავი ძეგლის მფლობელის უფლება-მოვალეობანი

1. მოძრავი ძეგლის მფლობელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ვრცელდება იგივე მოვალეობანი, რაც მოძრავი ძეგლის მესაკუთრეზე.

2. მოძრავი ძეგლის მფლობელი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებით.

მუხლი 55. მემკვიდრეობითი უფლება მოძრავ ძეგლზე

მოძრავ ძეგლზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მემკვიდრეობითი უფლება.

მუხლი 56. მოძრავი ძეგლის გასხვისება ან სარგებლობაში გადაცემა

1. მოძრავი ძეგლის გასხვისების შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია წინასწარ აცნობოს სამინისტროს გასხვისების პირობები.

2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ძეგლი არ ექვემდებარება განსახელმწიფოებრივებას.

3. აუქციონის ჩატარების ორგანიზატორები ვალდებული არიან აუქციონზე გასატანი ნივთების ნუსხა აუქციონის ჩატარებამდე 30 დღით ადრე გაუგზავნონ სამინისტროს.

მუხლი 57. მოძრავი ძეგლის იძულებითი წესით ჩამორთმევა

1. მოძრავი ძეგლი მესაკუთრეს (მფლობელს) იძულებითი წესით ჩამორთმევა იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს მოძრავი ძეგლის სათანადო დაცვას, რის გამოც ძეგლს ემუქრება დაზიანების ან განადგურების საფრთხე.

2. მოძრავი ძეგლის ხელყოფის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში დეპარტამენტი ვალდებულია, წერილობით გააფრთხილოს მესაკუთრე (მფლობელი) და აცნობოს მას მოძრავი ძეგლის მოვლა-პატრონობისას დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრის ვადები.

3. თუ მესაკუთრე (მფლობელი) არ გაითვალისწინებს დეპარტამენტის მოთხოვნებს, დეპარტამენტს შეუძლია, უძრავი ძეგლის ჩამორთმევის მოთხოვნით სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ან უძრავი ძეგლის იძულებითი წესით ჩამორთმევის შესახებ.

მოძრავი ქვების დაცვა

მუხლი 58. მოძრავი ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპი

მოძრავი ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც შეადგენს მის ისტორიულ, მხატვრულ, ესთეტიკურ და სულიერ ფასეულობას და რისთვისაც ძეგლს მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი.

მუხლი 59. მოძრავი ძეგლის თვითნებური გადაკეთებისა და დანაწევრების აკრძალვა

1. აკრძალულია მოძრავი ძეგლის თვითნებური გადაკეთება, დანაწევრება ან მისი სახის რამენაირი შეცვლა.

2. მოძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება ან დანაწევრება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს:

ა) მოძრავი ძეგლის გადარჩენა;

ბ) გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობა.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 60. მოძრავი ძეგლის დაცვის პირობების უზრუნველყოფა

თუ მესაკუთრეს (მფლობელს) არ გააჩნია მოძრავი ძეგლის შენახვისა და დაცვისათვის სათანადო პირობები და არც შეუძლია დეპარტამენტის მიერ დადგენილ ვადებში ამ პირობების შექმნა, იგი ვალდებულია მოძრავი ძეგლი მიზარების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს სხვა პირს მის მიერ ძეგლის დაცვის უზრუნველყოფისათვის სათანადო პირობების შექმნამდე.

მოძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების
სახეები და პირობები³

მუხლი 61. მოძრავ ძეგლზე ჩასატარებელი
სამუშაოების სახეები

1. მოძრავ ძეგლზე ტარდება შემდეგი სახის სამუშაოები:

- ა) განმენდა;
- ბ) კონსერვაცია;
- გ) რესტავრაცია;
- დ) რეგენერაცია;
- ე) ძეგლის ან მისი ნაწილის დანაწევრება.

2. მოძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები იყოფა შემდეგ ძირითად სტადიებად:

- ა) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო;
- ბ) პრაქტიკული სამუშაო.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 62. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე
(მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების
ჩასატარებლად დაშვების ნებართვის
გაცემის, მოქმედების შეჩერების,
განახლების, გაუქმებისა და მასში
ცვლილებების შეტანის წესი

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრება "სამენარჩემო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

³ საქართველოს 2003 წლის 7 მაისის N2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68; საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 63. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის სახეები და მისი გაცემისათვის საჭირო პირობები

1. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის სახეებია:

- ა) მოძრავი ძეგლის განმენდის ნებართვა;
- ბ) მოძრავი ძეგლის კონსერვაციის ნებართვა;
- გ) მოძრავი ძეგლის რესტავრაციის ნებართვა;
- დ) მოძრავი ძეგლის რეგენერაციის ნებართვა;
- ე) მოძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დანაწევრების ნებართვა.

2. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვა ერთჯერადია.

3. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის გაცემისათვის, გარდა "სამენარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობებისა, საჭიროა დამატებით წარდგენილ იქნეს:

ა) ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირის მიერ თავისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ნებართვის მაძიებელი იურიდიული პირის მიერ - იმ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებმაც უნდა ჩაატარონ ამ კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები;

ბ) მოძრავ ძეგლზე სამუშაოების განმახორციელებელი პირის შესაბამის სამუშაოთა წარმოების არანაკლებ 5 წლის გამოცდილების დამადასტურებელი საბუთი.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 64. ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის ამოქმედება

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვის ამოქმედება განისაზღვრება "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 65. პასუხისმგებლობა მოძრავ ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე

პასუხისმგებლობა მოძრავ ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

**ანტიკვარული საგნებით ვაჭრობის
რეგულირება⁴**

**მუხლი 66. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის
რეგულირება**

მოძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის აღმოჩენის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა დაიშვება მხოლოდ სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.
(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი – სსმ, 13, მუხ. 69)

**მუხლი 67. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის
ნებართვა და მისი გაცემისათვის
საჭირო პირობები**

1. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე.

2. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის ნებართვა გაიცემა სამი წლის ვადით.

3. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის ნებართვის გაცემისათვის, გარდა "სამენარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობებისა, საჭიროა დამატებით წარდგენილ იქნეს:

ა) შესაბამისი სათავსოს ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ინფორმაცია შენობის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოებისა და სიგნალიზაციის სისტემების შესახებ;

გ) დოკუმენტაცია შენობის ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის შესახებ;

დ) სპეციალისტის - ხელოვნებათმცოდნის ყოლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

⁴საქართველოს 2003 წლის 7 მაისის N2133 კანონი – სსმ, 13, მუხ. 69

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი – სსმ, 13, მუხ. 69)

მუხლი 671. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის
ნებართვის გაცემის, მოქმედების
შეჩერების, განახლების, გაუქმებისა
და მასში ცვლილებების შეტანის წესი

ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრება "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

(საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69)

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივი
ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები

თავი XII

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსება

მუხლი 68. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ფინანსდება:

- ა) სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან;
- ბ) ძეგლის მესაკუთრის (მფლობელის) სახსრებით;
- გ) მიზნობრივი ფონდებიდან;
- დ) საიჯარო გადასახადებიდან;
- ე) სპეციალური შემოსავლების ანარიცხებიდან;
- ვ) შემონირულობებით;
- ზ) ლატარიის მონყობით მიღებული მოგებიდან;
- თ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პროგრამების განხორციელებისათვის გაცემული გრანტებით;
- ი) უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების სახსრებით;
- კ) ყველა იმ სხვა შემოსავლით, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 69. კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სახსრების გამოყენება

- 1. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ხმარდება:
 - ა) ძეგლთა დაცვის ორგანოების საქმიანობას;
 - ბ) სამინისტროს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობას კულტურული მემკვი-

დრეობის დაცვის სფეროში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

2. ავტონომიური და სხვა სახელმწიფოებრივი ტერიტორიული ერთეულები წლიური ბიუჯეტების დამტკიცებისას ითვალისწინებენ შესაბამის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დასაცავად საჭირო თანხებს. აღნიშნული თანხები დეპარტამენტთან შეთანხმებით ხმარდება ძეგლთა მოვლა-პატრონობას.

**მუხლი 70. კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ფონდები**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდები იქმნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქეგლის დაზღვევა და შეღავათები
კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის**

მუხლი 71. ქეგლის დაზღვევა

ქეგლის დაზღვევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 72. შეღავათები

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ანგარიშსწორება სახელმწიფო ბიუჯეტთან წარმოებს “საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობები საქართველოს
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
სფეროში⁵

თავი XIV

საერთაშორისო ურთიერთობები საქართველოს
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

მუხლი 73. საქართველოს მონაწილეობა
საერთაშორისო ორგანიზაციებსა და
საერთაშორისო ხელშეკრულებებში

1. საქართველო მონაწილეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში.

2. საქართველო ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებთან მიერთებაზე.

მუხლი 74. საზღვარგარეთ არსებული
საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვა

საქართველო ზრუნავს საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

მუხლი 75. საქართველოს ტერიტორიაზე
არსებული სხვა სახელმწიფოს
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვა სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება საქართველოსა

⁵ საქართველოს 2002 წლის 18 მაისის N1462 კანონი – სსმ, 16, მუხ. 68

და დაინტერესებულ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

მუხლი 76.

დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე
დიპლომატიური
წარმომადგენლობებისათვის
უძრავი ძეგლის გადაცემის აკრძალვა

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების განსათავსებლად უძრავი ძეგლის საკუთრების უფლებით ან ნებისმიერი ფორმით სარგებლობისათვის გადაცემა აკრძალულია.

პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

მუხლი 761. პასუხისმგებლობა კანონის
დარღვევისათვის

ამ კანონის დარღვევისათვის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი - სსმ, 16, მუხ. 68)

კარი VII

ბარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

თავი XV

ბარდამავალი დებულებანი

მუხლი 77. კანონის ამოქმედება და
ძალადაკარგული ნორმატიული
აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს "ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ 1977 წლის 29 დეკემბრის კანონი (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12, 1977 წლის დეკემბერი, მუხ. 184).

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) "ქალაქთმშენებლობის შესახებ" საქართველოს კანონი;

ბ) "არქეოლოგიის შესახებ" საქართველოს კანონი;

გ) "კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ" საქართველოს კანონი;

დ) "სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის კულტურული მემკვიდრეობის საკუთრების სფეროში უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" საქართველოს კანონი;

ე) დებულება "საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის შესახებ";

ვ) დებულება "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შესახებ";

ზ) დებულება "უძრავ ძეგლზე სამუშაოების ჩატარების ლიცენზირების შესახებ";

თ) დებულება "სპეციალისტთა საკვალიფიკაციო სერტიფიცირების შესახებ";

ი) დებულება "მოძრავ ძეგლზე სამუშაოების ჩატარების ლიცენზირებისა და სპეციალისტთა საკვალიფიკაციო სერტიფიცირების შესახებ";

კ) დებულება "უძრავი ძეგლის საალრიცხვო დოკუმენტაციის ფორმის, მათი შევსების, დამტკიცებისა და გამოყენების წესის შესახებ";

ლ) დებულება "მოძრავი ძეგლის საალრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებისა და მათი შევსების, დამტკიცებისა და გამოყენების წესის შესახებ";

მ) დებულება "ანტიკვარიატით ვაჭრობის წესის შესახებ".

დასკვნითი დებულება

მუხლი 79. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2002 წლის 18 მაისის 1462 კანონი -სსმ, 16, მუხ. 68
2. საქართველოს 2003 წლის 7 მაისის 2133 კანონი - სსმ, 13, მუხ. 69

საქართველოს კანონი

კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ¹ (საქართველოს 2001 წლის 22 ივნისის კანონი 985 _ სსმ I, 2001 წ., 23, მუხ. 89)

პრეამბულა

ამ კანონის მიზანია დაიცვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობები საქართველოდან მათი უკანონო გატანისა და უნებართვო არქეოლოგიური გათხრებისაგან.

კანონი ხელს უწყობს საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ხალხთა კულტურული ურთიერთობების განმტკიცებასა და კულტურულ ფასეულობათა გაცნობას, უზრუნველყოფს საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ საქართველოში დროებით შემოტანილ და საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობათა დაცვასა და სახელმწიფოში დაბრუნებას.

¹საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სფეროში

1. საქართველოს კანონმდებლობა კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

2. ეს კანონი ადგენს საქართველოს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ერთიან წესს. (საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონით განსაზღვრული საქართველოს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის წესი ვრცელდება ნებისმიერ კულტურულ ფასეულობაზე.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 3. ტერიტორია განმარტება

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა - ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობის გადაადგილება მისი უკან შემოტანის ვალდებულების გარეშე.

2. კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანა - ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობის გადაადგილება დადგენილ ვადებში მისი უკან შემოტანის ვალდებულებით.

3. კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთიდან შემოტანა - ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით კულტურული ფასეულობის შემოტანა მისი უკან გატანის ვალდებულების გარეშე.

4. კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთიდან დროებით შემოტანა - ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით კულტურული ფასეულობის შემოტანა დადგენილ ვადებში მისი უკან გატანის ვალდებულებით.

5. კულტურული ფასეულობა - არქეოლოგიის, ნინაისტორიული პერიოდის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სხვა მნიშვნელოვანი სასულიერო თუ საერო ხასიათის ფასეულობა, რომელიც:

ა) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის ან სხვა ერების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და უცხოელი მოქალაქეების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე;

დ) წარმოადგენს საჩუქარს, ან შექმნილია იმ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობა;

ე) შექმნილია საქართველოს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ექსპედიციების მიერ იმ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობა.

6. კულტურულ ფასეულობათა კოლექცია - ერთგვარ ან გარკვეული ნიშნით შეკრებილ სხვადასხვაგვარ კულტურულ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელსაც აქვს ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა კულტურული მნიშვნელობა.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 4.

კულტურულ ფასეულობებად მიჩნეული ნივთები, რომლებზედაც ვრცელდება ეს კანონი

1. ეს კანონი ვრცელდება:

ა) ფლორისა და ფაუნის, მინერალოგიისა და პალეონტოლო-

გისათვის საინტერესო იშვიათ კოლექციებსა და ნიმუშებზე;

ბ) ღირებულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიასთან, მათ შორის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ომებისა და საზოგადოების ისტორიასთან, აგრეთვე ეროვნულ მოღვაწეთა, მოაზროვნეთა, მეცნიერთა, ხელოვანთა და სპორტსმენტთა ცხოვრებასთან და დიდმნიშვნელოვან ეროვნულ ფაქტებთან;

გ) არქეოლოგიურ აღმოჩენაზე;

დ) მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების ფრაგმენტებზე;

ე) 100 წელზე მეტი ხნის წარწერაზე, მონეტასა და ბეჭედზე;

ვ) ეთნოგრაფიულ მასალაზე;

ზ) ნებისმიერი მასალით ხელით შესრულებულ ტილოზე, სურათზე, ნახატზე (ნახაზისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშზე;

თ) ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგინალურ ნაწარმოებზე;

ი) ორიგინალურ გრაფიურაზე, ესტამპსა და ლითოგრაფიაზე;

კ) ნებისმიერი მასალისაგან დამზადებულ ორიგინალურ მხატვრულ შენარჩევსა და მონტაჟზე;

ლ) იშვიათ ხელნაწერზე და ინკუნაბულზე, ძველ წიგნზე, გუჯარსა და გამოცემაზე, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს (ისტორიულ, მხატვრულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვა) იწვევენ ცალ-ცალკე და კოლექციად;

მ) მიმოქცევიდან ამოღებულ საფოსტო მარკაზე, საგადასახადო და ანალოგიურ მარკაზე ცალ-ცალკე ან კოლექციად;

ნ) არქივზე, მათ შორის ფონო-ფოტო და კინოარქივზე;

ო) 100 წელზე მეტი ხნის ავეჯსა და ძველებურ მუსიკალურ საკრავზე.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება თანამედროვე სუვენირული ხასიათის ნაკეთობაზე, აგრეთვე სერიული და მასობრივი წარმოების კულტურული დანიშნულების ნივთზე.

მუხლი 5.

კულტურული ფასეულობა, რომელიც არ ქვემდებარება საქართველოდან გატანას

1. აკრძალულია საქართველოს ფარგლებს გარეთ იმ კულტურული ფასეულობის გატანა, რომელსაც სახელმწიფომ განსაკუთრებულის სტატუსი მიანიჭა.

2. საქართველოდან საზღვარგარეთ გატანას არ ექვემდებარება:

ა) მოძრავი ნივთი, რომელსაც განსაკუთრებული, ეროვნული ან ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულება აქვს და მიეკუთვნება საქართველოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებულად ფასეულ ობიექტს, მიუხედავად მათი შექმნის დროისა;

ბ) მოძრავი ნივთი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ამ კანონის მიღებამდე უკვე შეტანილია დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში, ან რომელსაც ამ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე საქართველოს კულტურის სამინისტრო შეიტანს სპეციალურ სიასა და რეესტრში და რომელსაც იცავს სახელმწიფო;

გ) კულტურული ფასეულობა, რომელიც მისი აღმოჩენის ან შეძენის დროიდან მუდმივად ინახება სახელმწიფო სამუზეუმო ფონდში, არქივში, ბიბლიოთეკაში, კულტურული ფასეულობის დაცვის სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, აგრეთვე საკუთრების სხვა ფორმით არსებულ ანალოგიური დანიშნულების დაწესებულებაში;

დ) სხვა უნიკალური კულტურული ფასეულობა, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ კანონის მე-4 მუხლის "ი" და "კ" ქვეპუნქტებით.

3. კულტურული ფასეულობების კონკრეტულ ნუსხას, რომლებიც არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას, ცალკე სახელმწიფო რეესტრით ადგენს და ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

მუხლი 6.

კულტურული ფასეულობა, რომლის საქართველოში შემოტანა აკრძალულია

აკრძალულია იმ კულტურული ფასეულობის საქართველოში შემოტანა, რომელზედაც უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების შეტყობინების საფუძველზე გამოცხადებულია ძებნა.

**კულტურული ფასეულობის საქართველოდან
უკანონო გატანა, საქართველოში უკანონო შემოტანა
და მასზე საკუთრების უფლების სამართლებრივი
რეჟიმი¹**

მუხლი 7. კულტურული ფასეულობის
საქართველოდან უკანონო გატანა,
საქართველოში უკანონო შემოტანა
და მასზე საკუთრების უფლების
უკანონო გადაცემა

1. უკანონოდ ითვლება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ დარღვეულია ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. უკანონოდ ითვლება აგრეთვე კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ იგი უცხო სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ნაწილობრივი ან სრული ოკუპაციის ან ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიაზე სახელმწიფო იურისდიქციის სხვა მიზეზით დაკარგვის პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგია.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 8. საქართველოდან უკანონოდ გატანილი
კულტურული ფასეულობის
საქართველოში დაბრუნება

1. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კულტურული ფასეულობის მესაკუთრეს უფლება აქვს, თხოვნით მიმართოს საქართველოს შესაბამის ორგანოებს, მხარდაჭერა აღმოუჩინონ საქართველოდან უკანონოდ გატანილი ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე

¹ საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70

უკანონო მფლობელობაში მყოფი კულტურული ფასეულობის საქართველოში დასაბრუნებლად.

2. ამ კატეგორიის კულტურულ ფასეულობაზე კანონიერი მესაკუთრის უფლების აღდგენის გარანტი სახელმწიფოა.
(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 9. საზღვარგარეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის დაბრუნება

1. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით საზღვარგარეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობა დაუბრუნდება მესაკუთრეს.

2. დაბრუნება ხდება მომთხოვნი მხარის განაცხადისა და მის მიერ სათანადო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

3. კულტურული ფასეულობის ამოღებისა და კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე მისი გადაადგილების ხარჯებს გაიღებს მომთხოვნი მხარე.

4. საზღვარგარეთიდან უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარანტი სახელმწიფოა.

მუხლი 10. კულტურული ფასეულობის კეთილსინდისიერი შემძენის უფლება

საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის ამოღებისა და კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების შემთხვევაში მის კეთილსინდისიერ შემძენს მომთხოვნმა მხარემ, თუ იგი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო, მისი მოქალაქე ან იურიდიული პირია, უნდა გადაუხადოს ამ კულტურული ფასეულობის კომპენსაცია, თუ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ასეთი კომპენსაციის გადახდა. სხვა შემთხვევაში გადახდა მოხდება ნებაყოფლობით ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა კულტურული ფასეულობის აქართველოდან გატანისა და დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სფეროში¹

მუხლი 11. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის რეგულირების სახელმწიფო ორგანოები და მათი კომპეტენციები

1. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანას, დროებით გატანას, საქართველოში შემოტანასა და დროებით შემოტანას არეგულირებს და აკონტროლებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

2. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო ამ საკითხებთან თავიანთ ფუნქციებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად.

3. საქართველოს კულტურის სამინისტრო საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანიზაციებისა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საქმიანობის საერთო კოორდინაციას ახორციელებს ამ კანონის შესაბამისად.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

¹ საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70

მუხლი 12. საქართველოს კულტურის სამინისტროს
კომპეტენცია კულტურული ფასეულობის
საქართველოდან გატანის, დროებით
გატანის, საქართველოში შემოტანისა
და დროებით შემოტანის სფეროში
საქართველოს კულტურის სამინისტრო:

ა) ხელს უწყობს კულტურული ფასეულობის საქართველოდან
გატანისა და საქართველოში შემოტანის მარეგულირებელი საკანონ-
მდებლო ბაზის შექმნას; სათანადო სამეცნიერო და ტექნიკური დანე-
სებულებების დაარსებასა და განვითარებას;

ბ) ადგენს იმ კულტურული ფასეულობის დაცვით სახელმწიფო
სიასა და რეესტრს, რომლებზედაც ვრცელდება ამ კანონის მოქმედება;

გ) აწარმოებს კულტურული ფასეულობის პასპორტიზაციას;

დ) კულტურული ფასეულობის დაცვითი სახელმწიფო სიისა და
რეესტრის ბაზაზე ადგენს საკუთრების ნებისმიერი ფორმით არსებუ-
ლი კულტურული ფასეულობის იმ სახელმწიფო რეესტრს, რომელიც
ამ კანონის თანახმად არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას,
რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად გააღარიბოს საქართველოს
კულტურული მემკვიდრეობა;

ე) იღებს გადაწყვეტილებას კულტურული ფასეულობის საქარ-
თველოდან გატანის ან დროებით გატანის შესახებ;

ვ) უზრუნველყოფს საქართველოდან გასატანად განცხადებული
კულტურული ფასეულობის, აგრეთვე დროებით გატანის შემთხვევაში
მისი უკან დაბრუნებისას სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზის
ჩატარებას;

ზ) გასცემს ნებართვას კულტურული ფასეულობის საქართვე-
ლოდან გატანაზე ან დროებით გატანაზე;

თ) აწარმოებს საქართველოში დროებით შემოტანილი კულტუ-
რული ფასეულობის სახელმწიფო რეგისტრაციას;

ი) კულტურული ფასეულობის დაკარგვის ან ხელყოფის ფაქ-
ტების შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის როგორც საქარ-
თველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ პუბლიკაციებით, მასობრივი
ინფორმაციის და კანონით ნებადართული სხვა საშუალებებით;

კ) საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად
იღებს ზომებს კულტურული ფასეულობის მესაკუთრის უფლებებისა

და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 13. საქართველოს მუზეუმებში დაცული მოძრავი ძეგლების საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სახელმწიფო რეგულირება

საქართველოს მუზეუმებსა და საცავეებში დაცული მოძრავი ძეგლების საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დასკვნის საფუძველზე.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 14. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა კულტურული ფასეულობის დაცვის, მისი საქართველოდან გატანის, დროებითგატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის რეგულირების საქმეში

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ, შეუზღუდავად მიიღონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს კულტურული ფასეულობის დაცვის, მისი საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის შესახებ, თუ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებთან ან ამ ფასეულობის გამტანი ფიზიკური და იურიდიული პირების კანონით დაცულ ინტერესებთან დაკავშირებულ საიდუმლოებას.

**კულტურული ფასეულობის საქართველოდან
გატანის, დროებით გატანის, საქართველოში
შემოტანისა და დროებით შემოტანის სახელმწიფო
რეგულირება¹**

**მუხლი 15. კულტურული ფასეულობის
სახელმწიფო ექსპერტიზა**

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის განმცხადებელი ნებისმიერი პირი ვალდებულია წარადგინოს იგი სახელმწიფო ექსპერტიზისათვის.

2. თუ ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ კულტურული ფასეულობა თავისი მნიშვნელობით ექვემდებარება კულტურული ფასეულობის დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში შეტანას, საქართველოს კულტურის სამინისტრო ამას განახორციელებს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის განმცხადებელი პირის თანხმობის გარეშე.

3. თუ კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის განმცხადებელი არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას, სადავო საკითხს იხილავს სასამართლო.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

**მუხლი 16. კულტურული ფასეულობის
ექსპერტიზის ჩატარების წესი**

1. “კულტურული ფასეულობის ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ” დებულებას ამტკიცებს საქართველოს კულტურის მინისტრი.

2. საქართველოდან გასატანად განცხადებული ან დროებით გასატანად განცხადებული, აგრეთვე დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული კულტურული ფასეულობის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებას ორგანიზებას უწევს საქართველოს კულტურ-

¹(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

რის სამინისტრო.

3. საქართველოდან დროებით გასატანად განცხადებული, აგრეთვე დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული კულტურის მოძრავი ძეგლი ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ექსპერტიზას.

4. ექსპერტიზის ჩასატარებლად საქართველოს კულტურის სამინისტრო ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებთან, არქივებთან, ბიბლიოთეკებთან, აგრეთვე ასეთი ექსპერტიზის ჩატარების უფლების (ლიცენზიის) მქონე სხვა მონვეულ დამოუკიდებელ სპეციალისტებთან.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 17. ექსპერტიზის ანაზღაურების წესი

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასთან, მასზე საკუთრების უფლების გადაცემასთან, აგრეთვე სხვა ანალოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებით ჩასატარებელი ექსპერტიზის ღირებულებას ანაზღაურებს მესაკუთრე საქართველოს კულტურის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 18.

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის წესი დიპლომატიური პრივილეგიითა და იმუნიტეტით აღჭურვილი პირისათვის

1. ამ კანონით განსაზღვრული კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის წესი ვრცელდება დიპლომატიური პრივილე-

გითა და იმუნიტეტით აღჭურვილ პირებზედაც.

2. ამ პირის პირადი ბარგის საბაჟო შემოწმება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

**მუხლი 19. კულტურული ფასეულობის
საზღვარგარეთიდან საქართველოში
შემოტანის წესი**

საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოტანილი კულტურული ფასეულობა ექვემდებარება აუცილებელ საბაჟო კონტროლს, ტარდება სპეციალურ რეგისტრაციაში და ამის შესახებ ერთი კვირის ვადაში ეცნობება საქართველოს კულტურის სამინისტროს.

მუხლი 20. კულტურული ფასეულობის ტრანზიტი

კულტურული ფასეულობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის დროს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს შესაბამის ორგანოებს წარედგინება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული საბუთები, რომელთა საფუძველზედაც დგინდება ამ კულტურული ფასეულობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის მიზნით შემოტანა.

**მუხლი 21. კულტურული ფასეულობის
საქართველოდან გატანა საფოსტო
გზავნილისა და ამანათის სახით**

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა საფოსტო გზავნილისა და ამანათის სახით ხორციელდება ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობითა და ამ კანონით დადგენილი წესებისა და პირობების გათვალისწინებით.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

**კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით
გატანისა და საქართველოში შემოტანის რეგულირება¹**

**მუხლი 22. კულტურული ფასეულობის
საქართველოდან დროებით გატანა**

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანას სამუზეუმო, საარქივო, საბიბლიოთეკო დაწესებულებები, ფიზიკური და იურიდიული პირები ახორციელებენ შემდეგი მიზნებისათვის:

ა) გამოფენის ორგანიზება;

ბ) სარესტავრაციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება;

გ) საკონცერტო, თეატრალური ან სხვა სახის სამსახიობო საქმიანობა;

დ) სხვა შემთხვევაში, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება ამ კანონსა და საქართველოს კანონმდებლობას.

2. საქართველოდან დროებით გატანას ექვემდებარება აგრეთვე ის კულტურული ფასეულობები ან მათი კოლექციები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-5 მუხლით.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

**მუხლი 23. განცხადება კულტურის მოძრავ
ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე
ობიექტს მიკუთვნებული კულტურული
ფასეულობის საქართველოდან დროებით
გატანაზე ნებართვის მისაღებად**

საქართველოს სახელმწიფო სამუზეუმო ფონდი, არქივი, ბიბლიოთეკა, კულტურული ფასეულობის საცავი სხვა სახელმწიფო დაწესებულება, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები

¹საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70

და სხვა პირები კულტურის მოძრავ ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებად განცხადებით მიმართავენ საქართველოს კულტურის სამინისტროს. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) მიმღებ მხარესთან დადებული ხელშეკრულება კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანის მიზნებისა და პირობების შესახებ;

ბ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მიმღები მხარის მიერ სადაზღვევო რისკის ყველა შემთხვევის უზრუნველყოფას, კომერციული დაზღვევა ან დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მიმღები მხარის მიერ ყველა სხვა რისკის ფინანსურ უზრუნველყოფას სახელმწიფო გარანტიით;

გ) მიმღები მხარისა და სახელმწიფოს დოკუმენტურად დამოწმებული გარანტიები საქართველოდან დროებით გატანილი კულტურული ფასეულობის დაცვისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ;

დ) ცნობა იმის შესახებ, არის თუ არა საქართველოდან დროებით გასატანი კულტურული ფასეულობა შეტანილი საქართველოს კულტურულ ფასეულობათა დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 24. უარი კულტურის მოძრავ ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებ განცხადებაზე

განმცხადებელს კულტურის მოძრავ ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებ განცხადებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) არ შეუძლია ამ კანონით დადგენილი წესით წარადგინოს კულტურული ფასეულობის საქართველოში შემოტანის (დაბრუნების) გარანტიები;

ბ) გასატანად განცხადებული კულტურული ფასეულობის მდგომარეობა არ იძლევა შენახვის პირობების შეცვლის შესაძლებლობას, ან თუ ასეთი შეცვლა გამოიწვევს მისი ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებას ნებისმიერი სახით;

გ) გაურკვეველია გასატანად განცხადებული კულტურული ფასეულობის მესაკუთრე ან თუ იგი წარმოადგენს მასზე საკუთრების უფლების მოპოვებაზე დავის საგანს;

დ) გასატან ქვეყანაში უახლოეს წარსულში მოხდა, ხდება ან მოსალოდნელია სტიქიური უბედურება ან შეიარაღებული კონფლიქტი, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის დროებით გასატანი კულტურული ფასეულობის დაცვას;

ე) საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობა იმ ქვეყანასთან, სადაც აპირებენ კულტურული ფასეულობის გატანას.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 25. საქართველოდან დროებით გატანილი კულტურული ფასეულობის ექსპერტიზა მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ

კულტურული ფასეულობა საქართველოდან დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებისას ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ექსპერტიზას, რომელიც ტარდება ამ კანონის მე-15-17 მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 26. საქართველოდან დროებით გასატანი კულტურული ფასეულობის დიპლომატიური არხით დაცვა

საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობას მისი განთავსების ქვეყანაში დიპლომატიური არხით იცავს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი საზღვარგარეთ.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

**მუხლი 27. კულტურული ფასეულობის
საზღვარგარეთიდან საქართველოში
დროებით შემოტანის წესი**

1. საზღვარგარეთიდან დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობა საქართველოში ექვემდებარება აუცილებელ საბაჟო რეგისტრაციას საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

2. აღნიშნული ფასეულობის დაცვის სახელმწიფო გარანტია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

3. საქართველოში საზღვარგარეთიდან დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობის მიმართ რისკის ყველა შემთხვევაში ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიის საერთო წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

კულტურული ფასეულობის საქართველოდან
გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვის
გაცემა¹

მუხლი 28. კულტურული ფასეულობის
საქართველოდან გატანასა და
დროებით გატანაზე ნებართვის
გაცემა

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვას გასცემს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

2. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვა წარმოადგენს ამ ფასეულობის საქართველოს საბაჟო და სახელმწიფო საზღვარზე გადატანის საფუძველს.

3. საქართველოში დადგენილია კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის ნებართვის ერთიანი ფორმა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

4. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის შესახებ ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლების, გაუქმების, მასზე უარის თქმისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრება "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძველების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. ნებართვა ერთჯერადია და მისი მოქმედების ვადაა 3 თვე.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

¹(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 _ სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 29. იმ კულტურული ფასეულობის
საქართველოდან დროებით გატანაზე
ნებართვის გაცემა, რომელიც
შეტანილია კულტურული
ფასეულობის დაცვით სახელმწიფო
სიასა და რეესტრში

1. საქართველოს კულტურის სამინისტრო ნებართვას გასცემს აგრეთვე იმ კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე, რომელიც მუდმივად ინახება სახელმწიფო და მუნიციპალურ მუზეუმში, არქივში, ბიბლიოთეკაში, კულტურული ფასეულობის საცავ სხვა სახელმწიფო დანესებულებაში.

2. განცხადებას კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებად წარადგენს ამ ფასეულობის მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 30. კულტურული ფასეულობის
საქართველოდან დროებით გატანის
შესახებ ხელშეკრულების ურღვეობა

კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანის პირობებისა და მიზნების შესახებ მის მიმღებ მხარესთან დადებული ხელშეკრულება დროებით გატანაზე ნებართვის გაცემის შემდეგ არ ექვემდებარება შეცვლას.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

**მუხლი 31. კულტურული ფასეულობა, რომელიც
შეიცავს ძვირფას ლითონებსა და ქვებს**

იმ კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანაზე ნებართვის გაცემა, რომელიც შეიცავს ძვირფას ლითონებსა და ქვებს, ხორციელდება ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

**მუხლი 32. იარაღის სახეობა, რომელიც
წარმოადგენს კულტურულ ფასეულობას**

ნებართვა ნებისმიერი კატეგორიის იმ იარაღის საქართველოდან გატანაზე, რომელსაც აქვს ისტორიული, სამეცნიერო, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულება, გაცივება ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

კულტურული ფასეულობის საკუთრების უფლების უკანონო გადაცემის თავიდან აცილება

მუხლი 33. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა
საკუთრების უფლება გასატანად
განცხადებულ კულტურულ
ფასეულობაზე

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა შეიძლება განხორციელდეს კანონიერი მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ამ კანონით დადგენილი წესით.

2. კულტურული ფასეულობის გატანისას იურიდიული პირი ვალდებულია დოკუმენტურად დაასაბუთოს საკუთრების უფლება გასატან ნივთზე.

3. საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად გამსვლელი ფიზიკური პირი ვალდებულია წარადგინოს საკუთრების უფლების დამამტკიცებელი საბუთები კულტურულ ფასეულობაზე, თუ განცხადებულია, რომ იგი საოჯახო რელიქვიისა და მემორიალური ფასეულობის სახით ინახება მის ოჯახში და არა სახელმწიფო მუზეუმში, არქივში ან კულტურული ფასეულობის საცავ სხვა სახელმწიფო დანესებულებაში.

4. ამ მუხლის მოთხოვნა არ ვრცელდება საქართველოდან დროებით გასატან კულტურულ ფასეულობაზე.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 34. სახელმწიფოს უპირატესი შესყიდვის
უფლება საქართველოდან გასატანად
განცხადებული კულტურულ
ფასეულობაზე

1. სახელმწიფო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე საქართველოს მუზეუმების, არქივებისა და ბიბლიოთეკების ფონდების შევსებისათვის საქართველოს კულტურის სამინისტროს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება იმ კულტურული ფასეულობის შესყიდვაზე, რომელიც

საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ განცხადებულია საქართველოდან გასატანად.

2. საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად გამსვლელი ფიზიკური პირის მიერ კულტურული ფასეულობის გატანის შესახებ განცხადებისას და მისი აუცილებელი თანხმობის არსებობისას ფასეულობის შესყიდვისათვის საჭირო თანხას ანაზღაურებს სახელმწიფო მესაკუთრის საზღვარგარეთ გასვლამდე, ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ავტორის მიერ კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისას ამ ფასეულობის მიმართ არ გამოიყენება სახელმწიფოს უპირატესი შესყიდვის უფლება.

4. კულტურული ფასეულობის შესყიდვაზე სახელმწიფოს უპირატესი უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დავა განიხილება სასამართლო წესით.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 35. საბაჟო ან/და სამართალდამცავი ორგანოების მიერ კულტურული ფასეულობის დაკავება

1. კულტურული ფასეულობა, რომლის მესაკუთრეც ვერ დადგინდა და რომელიც დროებით დაკავებულია საქართველოს საბაჟო ორგანოების, შინაგან საქმეთა ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ, კულტურული ფასეულობის მესაკუთრის დადგენამდე შესანახად გადაეცემა საქართველოს კულტურის სამინისტროს.

2. საქართველოს კულტურის სამინისტრო ახორციელებს ამ კულტურული ფასეულობის დაცვას, მის სახელმწიფო ექსპერტიზას და მასზე საკუთრების უფლების დადგენის მიზნით ავრცელებს ოფიციალურ ინფორმაციას.

3. სასამართლოს მიერ აღნიშნული კულტურული ფასეულობის მესაკუთრის დადგენისას ეს უკანასკნელი გადაეცემა მესაკუთრეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, თუ დადგინდა, რომ კულტურული ფასეულობა საბაჟო წესების დარღვევის საგანი გახდა მათი სურვილისგან დამოუკიდებლად.

4. აღნიშნული კულტურული ფასეულობის დაცვის, შენახვისა

და ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მესაკუთრე, თუ სასამართლო სხვა რამეს არ დაადგენს.

5. დაკავებულ კულტურულ ფასეულობას, რომლის მესაკუთრეც ვერ დადგინდა, საქართველოს კულტურის სამინისტრო საკუთრების უფლებით გადასცემს სახელმწიფო მუზეუმს, ბიბლიოთეკასა და არქივის ფონდს.

6. კულტურული ფასეულობა, რომელიც არ გადაეცემა საკუთრების უფლებით მუდმივი შენახვისა და დაცვისათვის სახელმწიფო ან მუნიციპალურ მუზეუმს, არქივს, ბიბლიოთეკას ან კულტურული ფასეულობის დაცვის სხვა სახელმწიფო დანესებულებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება რეალიზაციას და თანხა შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში.

**მუხლი 36. კულტურული ფასეულობის
საქართველოდან გატანა ავტორის
ან მისი მემკვიდრის მიერ**

კულტურული ფასეულობის ავტორს (ან მის მემკვიდრეს ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში), იმის მიუხედავად, იგი საქართველოს საზღვრებს გარეთ დროებით გადის თუ მუდმივ საცხოვრებლად, უფლება აქვს გაიტანოს მის (მამკვიდრებლის) მიერ შექმნილი კულტურული ფასეულობა, მიუხედავად ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 37. კულტურული ფასეულობის

საცავის

მიერ უცხო სახელმწიფოდან
დატაცებული ან უკანონოდ შეძენილი
კულტურული ფასეულობის შეძენის
თავიდან აცილება

სახელმწიფო ან საკუთრების სხვა ფორმით არსებული მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი ან კულტურული ფასეულობის საცავი სხვა სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია უცხო სახელმწიფოდან დატაცებული ან უკანონოდ ნაყიდი კულტურული ფასეულობის შეძენის თავიდან აცილების მიზნით დაადგინოს ამ კულტურული ფასეულობის კანონიერი მესაკუთრე ან მფლობელი.

თავი VIII

ბადასახადები და მოსაკრებლები

მუხლი 38. საბაჟო-საგადასახადო პირობები
კულტურული ფასეულობის
საქართველოს საბაჟო აზღვარზე
გადაადგილების დროს

ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმებული კულტურული ფასეულობის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას გადაიხდება საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები კულტურული ფასეულობის გაფორმების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად დადგენილი წესით.

**პასუხისმგებლობა ამ კანონის
დარღვევისათვის**

**მუხლი 39. პასუხისმგებლობა ამ კანონის
დარღვევისათვის**

კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ უკანონო გადაადგილება და საქართველოდან დროებით გატანილი კულტურული ფასეულობის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობა, რაც კულტურული ფასეულობის საქართველოდან უკანონო გატანად ითვლება, იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

თავი X

**საერთაშორისო თანამშრომლობა და
საერთაშორისო ხელშეკრულებები**

**მუხლი 40. საერთაშორისო თანამშრომლობა
კულტურული ფასეულობის
საქართველოდან უკანონო გატანისა
და საქართველოში უკანონო შემოტანის
და მასზე საკუთრების უფლების უკანონო
გადაცემის თავიდან აცილების მიზნით**

კულტურული ფასეულობის საქართველოდან უკანონო გატანის ან საქართველოში უკანონო შემოტანის, მასზე საკუთრების უფლების უკანონო გადაცემის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კულტურის სამინისტრო თანამშრომლობს უცხო სახელმწიფოების ანალოგიურ სამსახურებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 41. საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოდან უკანონოდ გატანილი და საქართველოში უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის დაბრუნების შესახებ

1. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო ხელშეკრულებებში საქართველოდან უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობის დაბრუნების შესახებ.

2. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია, საქართველო ვალდებულია შესთავაზოს უცხო სახელმწიფოს იმ კულტურული ფასეულობის უკან დაბრუნება, რომელიც უკანონოდაა შემოტანილი მის ტერიტორიაზე.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

მუხლი 42. კულტურული ფასეულობის გადაადგილება და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის საკითხის საერთაშორისო რეგულირება

კულტურული ფასეულობის გადაადგილებისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის საერთაშორისო რეგულირების მიზნით სახელმწიფო ვალდებულია:

ა) აღკვეთოს თავის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმის, არქივის, ბიბლიოთეკისა და სხვა ანალოგიური დანესებულების მიერ უცხო სახელმწიფოში შექმნილი იმ კულტურული ფასეულობის შექმნა, რომელიც უკანონოდაა შემოტანილი ან შექმნილი;

ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები უცხო სახელმწიფოს მოთხოვნით ყოველი ისეთი კულტურული ფასეულობის მისაგნებად და დასაბრუნებლად, რომელიც შემოტანილია საქართველოს ტერიტორიაზე, იმ აუცილებელი პირობით, რომ კეთილსინდისიერი მყიდველისათვის კომპენსაციის სრული ანაზღაურების გარანტი არის უცხო სახელმწიფო, თუ ასეთი კომპენსაციის გადახდა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვალდებულებებს ან საქართველოს კანონმდებლობას.

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 43. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს გამოსცეს ბრძანებულება საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობის დაცვისა და მის მიმართ რისკის ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიების შესახებ.

2. საქართველოს კულტურის სამინისტრომ გამოსცეს:

ა) დებულება კულტურული ფასეულობის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებისა და მასზე განეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ;

ბ) დებულება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის ნებართვის ფორმის, მისი გაცემისა და მასზე განეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ.

3. საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ გამოსცენ ინსტრუქცია კულტურული ფასეულობის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესის შესახებ.

(საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70)

დასკვნითი დებულება

მუხლი 44. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი N2137 - სსმ I, 2003 წ., N13, მუხ. 70

საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა მუზეუმების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა მუზეუმების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, "კულტურის შესახებ" და "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებისა და ამ კანონისაგან, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ამ კანონის ძირითადი მიზნებია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგება და საქართველოს სამუზეუმო ფონდის დაცვა.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;

ბ) სამუზეუმო საქმიანობაში სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს მეზეუმების სისტემის მართვა და დაფინანსების პრინციპების განსაზღვრა;

დ) მუზეუმების კატეგორიების განსაზღვრა;

ე) სამუზეუმო საქმიანობაში არასახელმწიფო სექტორის ლეგიტიმაცია;

ვ) სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ძირითადი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებზე, განურჩევლად მათი კუთვნილებისა.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მუზეუმი-კანონით დადგენილი წესით შექმნილი (დაფუძნებული) ან/ და რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;

ბ) ისტორიული მუზეუმი - მუზეუმი, სადაც დაცულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები;

გ) საბუნებისმეტყველო მუზეუმი - მუზეუმი, სადაც დაცულია ბუნების მოვლენების, ადამიანისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების ამსახველი მასალები, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებასთან დაკავშირებული მასალები;

დ) მემორიალური მუზეუმი - მუზეუმი, სადაც დაცულია ისტორიულ პირთან დაკავშირებული მასალები ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენის ამსახველი მასალები;

ე) ხელოვნების მუზეუმი - მუზეუმი, სადაც დაცულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორიისა და თანამედროვე ხელოვნების

ამსახველი მასალები;

ვ) ლიტერატურული მუზეუმი - მუზეუმი, სადაც დაცულია ლიტერატურის ისტორიისა და თანამედროვე ლიტერატურის ამსახველი მასალები;

ზ) მუზეუმის ფონდი - მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა;

თ) სამუზეუმო ნივთი - მუზეუმის ფონდში დაცული კულტურული ფასეულობა, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლი, კულტურის უძრავი ძეგლის ფრაგმენტული ნაწილი ან კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე ანტიკვარული საგანი;

ი) სამუზეუმო ექსპონატი - დადგენილი წესით აღრიცხული სამუზეუმო ნივთი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამუზეუმო ექსპონატის სტატუსი;

კ) სამუზეუმო კოლექცია - რაიმე საერთო ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებული ნივთების ერთობლიობა, რომელიც შეადგენს მუზეუმის ფონდის ნაწილს;

ლ) სამუზეუმო საქმიანობა - მუზეუმთან დაკავშირებული საკანონმდებლო და საფინანსო-ეკონომიკური, შეგროვებითი, საფონდო, სარესტავრაციო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო და საექსპოზიციო საქმიანობა;

მ) საქართველოს მუზეუმების სისტემა - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების ერთობლიობა;

ნ) საქართველოს სამუზეუმო ფონდი - საქართველოს მუზეუმებში დაცული ფონდების ერთობლიობა;

ო) საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო ნაწილი - სახელმწიფო და ადგილობრივ მუზეუმებში აღრიცხული და დაცული სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა;

პ) საქართველოს სამუზეუმო ფონდის არასახელმწიფო ნაწილი - არასახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის მუზეუმების საკუთრებაში არსებული, აღრიცხული და დაცული სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა;

ჟ) მუზეუმის საინვენტარო ნიგნი - დადგენილი წესით შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია ძირითადი მონაცემები თითოეულ სამუზეუმო ექსპონატსა და კოლექციაზე;

რ) სამუზეუმო ექსპოზიცია - გარკვეული სისტემით ექსპონირებული მუზეუმის ფონდის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დამთვალიერებლისათვის.

სამუზეუმო საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 5. სამუზეუმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება

1. სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმების უფლებების დაცვის გარანტი, განურჩევლად მათი კუთვნილებისა, არის სახელმწიფო.

2. სამუზეუმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლს ახორციელებენ საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (შემდგომში "საბჭო"), საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

მუხლი 6. მუზეუმების კატეგორიები

თავისი მნიშვნელობისა და სამოღვაწეო არეალის მიხედვით მუზეუმები, განურჩევლად მათი კუთვნილებისა, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) სახელმწიფო (ეროვნული);
- ბ) ადგილობრივი.

მუხლი 7. მუზეუმისათვის კატეგორიის მინიჭება

1. მუზეუმს სახელმწიფო (ეროვნულ) კატეგორიას საქართველოს კულტურის სამინისტროს წარდგინებით და საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. მუზეუმს ადგილობრივი კატეგორიას ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს წარდგინებით ან მუზეუმის მესაკუთრის განცხადებით ანიჭებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

მუხლი 8. მუზეუმის ტიპები

მუზეუმი თავისი საქმიანობის მიმართულებით შეიძლება იყოს:

- ა) ისტორიული;
- ბ) საბუნებისმეტყველო;
- გ) მემორიალური;
- დ) ხელოვნების;
- ე) ლიტერატურული.

მუხლი 9. მუზეუმის შექმნა (დაფუძნება) და მუზეუმის შემქმნელის (დამფუძნებლის) უფლებები

1. მუზეუმი იქმნება სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. არასახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის მუზეუმები ფუძნდება ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. მუზეუმის შემქმნელის (დამფუძნებლის) უფლებები განისაზღვრება მის მიერ შექმნილი (დაფუძნებული) მუზეუმის დებულებით (წესდებით) ან/და მუზეუმის შემქმნელსა (დამფუძნებელსა) და საქართველოს კულტურის სამინისტროს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების ფორმას ადგენს და ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

მუხლი 10. მუზეუმის რეგისტრაცია და მუზეუმების სახელმწიფო რეესტრში აღრიცხვა

1. მუზეუმი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესაბამისად იურიდიული პირის სტატუსს იძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირების მომენტიდან.

2. საქართველოში არსებულ და ახალშექმნილ მუზეუმებს საქართველოს კულტურის სამინისტრო აღრიცხავს მუზეუმების სახელმწიფო რეესტრში.

3. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები აღრიცხავენ მათ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებს.

**მუხლი 11. მუზეუმის შექმნისათვის
(დაფუძნებისთვის) საჭირო პირობები**

1. სახელმწიფო მუზეუმის შექმნისათვის (დაფუძნებისათვის) აუცილებელია ფართობი, მუზეუმში დაცული ექსპონატების შესანახად ვარგისი შენობა, სამუზეუმო ექსპოზიციისა და საქმიანობისათვის საჭირო სახსრები.

2. მუზეუმის შემქმნელი (დამფუძნებელი) წერილობით აცნობებს საქართველოს კულტურის სამინისტროს მუზეუმის შექმნის (დაფუძნების) მიზანს, მის ტიპს, სახელწოდებასა და ადგილმდებარეობას.

**მუხლი 12. სახელმწიფო და არასახელმწიფო
მუზეუმის რეორგანიზაცია**

1. სახელმწიფო მუზეუმის რეორგანიზაცია ხორციელდება შემქმნელის (დამფუძნებლის) გადაწყვეტილებით და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. რეორგანიზაციით სახელმწიფო მუზეუმისთვის საქმიანობის მიმართულების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

3. არასახელმწიფო მუზეუმის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 13. სახელმწიფო და არასახელმწიფო
მუზეუმების ლიკვიდაცია**

1. სახელმწიფო მუზეუმის ლიკვიდაცია ხორციელდება შემქმნელის (დამფუძნებლის) გადაწყვეტილებით და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ლიკვიდირებული სახელმწიფო მუზეუმის ფონდი გადაეცემა მხოლოდ სახელმწიფო მუზეუმს.

3. ლიკვიდირებული ადგილობრივი მუზეუმის ფონდი გადაეცემა ადგილობრივ ან სახელმწიფო მუზეუმს.

4. ლიკვიდირებული სახელმწიფო მუზეუმის ქონება, გარდა მისი ფონდისა, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. არასახელმწიფო მუზეუმის ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ლიკვიდირებული არასახელმწიფო მუზეუმის გასაყიდად გამოტანილ ფასეულობათა შესყიდვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ სახელმწიფო მუზეუმები.

მუხლი 14. სახელმწიფო ორგანოთა უფლება-მოვალეობები სამუზეუმო საქმიანობის მართვა

1. საქართველოს კულტურის სამინისტრო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამუზეუმო საქმიანობის მართვას.

2. საქართველოს კულტურის სამინისტროს ფუნქციებია:

ა) სახელმწიფო სამუზეუმო პოლიტიკის გატარება;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან მუშაობის კოორდინაცია სამუზეუმო საქმიანობის მართვაში;

გ) სახელმწიფო მუზეუმების დაფინანსება დადგენილი წესით;

დ) სამუზეუმო საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა ან/და კანონპროექტების შემუშავება;

ე) საინფორმაციო ბანკის შექმნა;

ვ) მუზეუმის ფონდის მდგომარეობისა და აღრიცხვის შემოწმება;

ზ) საქართველოს კულტურისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო - კვლევითი და სარესტავრაციო პროგრამების დაფინანსება დადგენილი წესით;

თ) სამუზეუმო საქმის სპეციალისტებისა და რესტავრატორების მომზადებისათვის ხელშეწყობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება;

ი) სამუზეუმო საქმიანობაში საერთაშორისო კონვენციების, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულების კონტროლი;

კ) სახელმწიფო მუზეუმის ფონდების შესავსებად სამუზეუმო ნივთების შესყიდვა;

ლ) სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

3. სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების მდგომარეობის, დაცულობისა და აღრიცხვიანობის, აგრეთვე ზოგადი სამუზეუმო წესების დაცვის შემონმების მიზნით საქართველოს კულტურის სამინისტრო დადგენილი წესით აკონტროლებს არასახელმწიფო მუზეუმებს.

4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში მართავს მის დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებს და უზრუნველყოფს მათ გამართულ საქმიანობას.

5. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას უწევენ არასახელმწიფო მუზეუმებს.

მუხლი 15. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები სამუზეუმო საქმიანობის მართვაში

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები:

ა) აფინანსებენ და აკონტროლებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებს.

ბ) საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმების დირექტორებს;

გ) კოორდინაციას უწევენ მათ ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების საქმიანობას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას უწევენ არასახელმწიფო მუზეუმებს.

მუხლი 16. მუზეუმით სარგებლობა

1. მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების სანახავად დაიშვება ყველა მოქალაქე.

2. მუზეუმის ექსპოზიცია ღია უნდა იყოს ყველა კატეგორიის

დამთვალე რეგულაციისათვის მოსახერხებელ საათებში.

3. მუზეუმის საცავებში (დეპოზიტარიუმებში) დაცული სამუზეუმო ექსპონატებით სარგებლობის წესი განისაზღვრება მუზეუმის დებულებით (წესდებით).

4. მუზეუმის მესაკუთრეს ან მფლობელს უფლება აქვს შეზღუდოს მუზეუმის ფონდში დაცულ ექსპონატებთან დაშვება მათი დაცულობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, რესტავრაციის ან საცავებში (დეპოზიტარიუმებში) მოთავსების გამო.

სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების უფლება-მოვალეობები

მუხლი 17. სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების უფლებები

1. სახელმწიფო მუზეუმს, მიუხედავად მისი დაქვემდებარებისა, უფლება აქვს:

ა) განახორციელოს მუზეუმში დაცული ექსპონატების პირველი პუბლიკაცია;

ბ) საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით მისცეს თანხმობა სხვადასხვა სახის ბეჭდვით პროდუქციაზე, აგრეთვე სუვენირებსა და ფართო მოხმარების საგნებზე სამუზეუმო ექსპონატების, მუზეუმის შენობის და მის ტერიტორიაზე არსებული სხვა ობიექტების სიმბოლოებად გამოყენებაზე.

გ) დაამზადოს მუზეუმის ფონდში დაცული ექსპონატების ასლები და გამოიყენოს ისინი დადგენილი წესით;

დ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით განახორციელოს მუზეუმისათვის აუცილებელი ეკონომიკური საქმიანობა.

2. არასახელმწიფო მუზეუმს უფლება აქვს:

ა) თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატის კატალოგში შეტანისას ან სხვა სახით პუბლიკაციისას მოითხოვოს მესაკუთრის ვინაობის მითითება;

ბ) მოითხოვოს თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია სახელმწიფო სარესტავრაციო დანესებულების მიერ, სათანადო ანაზღაურებით;

გ) საჭიროების შემთხვევაში თავისი კუთვნილი ექსპონატი შესანახად გადასცეს სახელმწიფო მუზეუმს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით;

დ) მოითხოვოს თავის საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო რეესტრში შეტანილი სამუზეუმო ექსპონატის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა.

მუხლი 18. სახელმწიფო მუზეუმის მოვალეობები

სახელმწიფო მუზეუმი ვალდებულია უზრუნველყოს:

- ა) სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა;
- ბ) მუზეუმის ფონდის აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- გ) სამუზეუმო ექსპონატების პუბლიკაცია;
- დ) სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;
- ე) სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდების ბაზაზე

მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება.

მუხლი 19. არასახელმწიფო მუზეუმის მოვალეობები

1. არასახელმწიფო მუზეუმი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა; უზრუნველყოს სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო საქმის სპეციალისტების დაშვება მათი მდგომარეობის შემოწმების მიზნით;

ბ) სახელმწიფო რეესტრში შესატანად წარმოადგინოს სრული ინფორმაცია სამუზეუმო ექსპონატის შესახებ;

გ) დადგენილ ვადებში აცნობოს საქართველოს კულტურის სამინისტროს სამუზეუმო ექსპონატის გასხვისება;

დ) უზრუნველყოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება.

2. მუზეუმის ფონდში შეტანილი ექსპონატის გადაცემისას ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ექსპონატის მიმღები კისრულობს მოვლა - პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჰქონდა ექსპონატის მესაკუთრეს.

სამუზეუმო ექსპონატის დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 20. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა

1. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა ხორციელდება “საქართველოს სამუზეუმო ფონდის აღრიცხვისა და დაცვის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

2. სამუზეუმო ექსპონატი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით.

მუხლი 21. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია

1. სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია ხორციელდება იმ მუზეუმში, რომელშიც არსებობს სარესტავრაციო განყოფილება ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ სპეციალურ სარესტავრაციო ცენტრებში.

2. სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაციის უფლება აქვთ მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატის მქონე რესტავრატორებს.

მუხლი 22. სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვა

1. სამუზეუმო ექსპონატი აღრიცხება დადგენილი წესით.

2. სამუზეუმო ექსპონატი არ ექვემდებარება საბუღალტრო აღრიცხვას.

3. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციაა:

- ა) ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;
- ბ) მუზეუმის საინვენტარო წიგნი;
- გ) სამეცნიერო - დამხმარე წიგნი;
- დ) დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;
- ე) ძვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვის სპეციალური წიგნი;
- ვ) სამუზეუმო ექსპონატის მიღება-ჩაბარების აქტი;

ზ) სამუზეუმო ექსპონატის სამეცნიერო პასპორტი.

3. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებს ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

4. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის განადგურება ან გაყალბება ისჯება კანონით.

5. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის გარდა მუზეუმში არსებობს დამატებით სამუშაოთა დოკუმენტაცია, მათ შორის:

ა) სამუზეუმო ნივთის შესყიდვის დეტალური აღრიცხვის დოკუმენტი;

ბ) სამეცნიერო მასალა - კატალოგები, ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო-კვლევითი მასალა და სხვა;

გ) საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია სამუზეუმო სამუშაოთა წარმართვის შესახებ.

საქართველოს სამუზეუმო ფონდი

მუხლი 23. საქართველოს სამუზეუმო ფონდი

1. საქართველოს სამუზეუმო ფონდი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია.
2. საქართველოს სამუზეუმო ფონდზე საკუთრების უფლება განისაზღვრება ამ კანონით.

მუხლი 24. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის აღრიცხვა საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში და მათი რეესტრიდან ამორიცხვა

1. სამუზეუმო ნივთი და კოლექცია ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვას (სახელმწიფო რეესტრში შეტანას), განურჩევლად მათი საკუთრებისა.
2. საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრი არის საქართველოს სამუზეუმო ფონდის სააღრიცხვო დოკუმენტი.
3. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში აღრიცხავს საქართველოს კულტურის სამინისტრო საბჭოს დასკვნის საფუძველზე.
4. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრიდან ამორიცხვა ხორციელდება დადგენილი წესით, საქართველოს კულტურის სამინისტროს დასკვნის საფუძველზე.
5. სამუზეუმო ნივთი ან კოლექცია საქართველოს სამუზეუმო ფონდში ჩარიცხულად ითვლება საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში შეტანისთანავე.
6. საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრის ფორმის შედგენის, შენახვისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს კულტურის სამინისტრო.
7. საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილ ნივთთან და კოლექციასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება აღნიშნული უნდა იყოს საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში.

**მუხლი 25. საქართველოს სამუზეუმო ფონდში
შეტანილი ნივთის საზღვარგარეთ
გატანა და საქართველოში შემოტანა**

საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილი ნივთის საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის წესს არეგულირებს საქართველოს კანონი "კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ".

**მუხლი 26. სამუზეუმო ნივთისა და
კოლექციის გასხვისება**

1. საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო ნაწილში შესული სამუზეუმო ნივთი და კოლექცია გასხვისებას არ ექვემდებარება.
2. დასაშვებია სახელმწიფო მუზეუმებს შორის სამუზეუმო ექსპონატების გაცვლა მუზეუმის ფონდის შევსების მიზნით.
3. საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილი კოლექცია განუყოფელია.
4. საქართველოს სამუზეუმო ფონდის არასახელმწიფო ნაწილში ჩარიცხული სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის ყიდვა-გაყიდვისას, ანდერძით გადაცემისას ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ნივთისა და კოლექციის მიმღები კისრულობს მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას. ასეთი სამუზეუმო ნივთი ან კოლექცია, თუ იგი სახელმწიფოს მიერ შეტანილია დაცვით სიებსა და საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრში, საქართველოდან გატანას არ ექვემდებარება.
5. სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის გაყიდვის შემთხვევაში სახელმწიფო მუზეუმს აქვს შესყიდვის უპირატესი უფლება.

მუზეუმის ქონება

მუხლი 27. მუზეუმის ქონებაა:

1. მუზეუმის ქონებას შეადგენს მუზეუმში დაცული ექსპონატები, მისი შენობები და სხვა უძრავი ობიექტები, მიწის ნაკვეთი, მოძრავი ქონება და ფინანსური რესურსები.

2. სახელმწიფო მუზეუმი სარგებლობს და მართავს თავის კუთვნილ უძრავ ქონებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სახელმწიფო მუზეუმის გასახლება მის მიერ დაკავებული შენობიდან აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას სთავაზობენ საქმიანობისათვის უკეთეს შენობას.

4. არასახელმწიფო მუზეუმის ქონებით (გარდა სამუზეუმო ექსპონატებისა) სარგებლობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 28. მუზეუმის დაფინანსება

1. მუზეუმი ფინანსდება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
ბ) მუზეუმის მესაკუთრის სახსრებიდან;
გ) სპეციალურად შექმნილი ფონდებიდან;
დ) საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდებისა და პროგრამების გრანტებიდან;

ე) შემონირულობებიდან;

ვ) უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული სახსრებიდან;

ზ) ყველა იმ შემოსავლიდან, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. სახელმწიფო მუზეუმი, მისი კატეგორიის შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, საქიროების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა სახსრები ადგილობრივი მუზეუმის დასაფინანსებლად.

3. სამუზეუმო საქმიანობაში საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 29. სამუზეუმო ნივთებისა და
კოლექციების დაზღვევა**

სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების დაზღვევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII

**პასუხისმგებლობა სამუზეუმო
საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის**

**მუხლი 30. პასუხისმგებლობა სამუზეუმო
საქმიანობაში საქართველოს
კანონმდებლობის დარღვევისათვის**

პასუხისმგებლობა სამუზეუმო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**საქართველოს მუზეუმების
უფლებამოსილებანი საერთაშორისო თანამშრომლო-
ბის სფეროში**

**მუხლი 31. საქართველოს მუზეუმების
უფლებამოსილებანი საერთაშორისო
თანამშრომლობის სფეროში**

1. საქართველოს მუზეუმები უფლებამოსილნი არიან განეკრიან-
დნენ საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციებში, ითანამშრომლონ
უცხო ქვეყნის მუზეუმებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო
სამუზეუმო პროგრამებში.

2. საქართველოს მუზეუმების საერთაშორისო თანამშრომლო-
ბა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ამ კანონის და ამ
მუზეუმების დებულების (წესდების) შესაბამისად.

თავი IX

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

**მუხლი 32. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით
მისაღები ნორმატიული აქტები**

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს
საქართველოს კულტურის მინისტრის შემდეგი ბრძანებები:

ა) "სახელმწიფო (ეროვნული) მუზეუმების შესახებ" დებულე-
ბის დამტკიცების თაობაზე.

ბ) "ადგილობრივი მუზეუმების შესახებ" დებულების დამტკი-
ცების თაობაზე;

გ) "არასახელმწიფო მუზეუმების შესახებ დებულების დამ-
ტკიცების თაობაზე".

დ) "საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეეს-
ტრის ფორმის შედგენის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ"

დებულების დამტკიცების თაობაზე.

ე) "საქართველოს სამუზეუმო ფონდის აღრიცხვისა და დაცვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

ვ) "საქართველოს სამუზეუმო ფონდის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 33. სახელმწიფო ორგანოების მიერ შექმნილი მუზეუმების რეორგანიზაცია

სახელმწიფო ორგანოების მიერ შექმნილი მუზეუმები 2002 წლის 1 იანვრამდე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

მუხლი 34. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2001 წლის 1 აგვისტოდან.

კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა

სამუზეუმო რეფორმის პროგრამა

<p style="text-align: center;">პროგრამის აუცილებლობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე</p>	<p style="text-align: center;">პროგრამის მიზნები</p>	<p style="text-align: center;">პროგრამის ლონისძიებები</p>
<p>რეფორმის აუცილებლობას განაპირობებს საქართველოს სამუზეუმო სივრცის დღევანდელი მდგომარეობის შემდეგი მახასიათებელი ფაქტორები: საზოგადოებისა და მუზეუმების გაუცხოება; დამთვალეობა; დაძვარება; ახალი თაობისთვის სამუზეუმო ცხოვრებიდან გარიყვა; ექსპონატთა მძიმე მდგომარეობა; ფონდებში დაცული ექსპონატების შესახებ მწიფი, არასრულფასოვანი ინფორმაცია; თანამედროვე ტექნოლოგიების არარსებობა; მოძველებული ამორტიზებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თანამშრომელთა მძიმე სოციალური პირობები.</p> <p>ქვეყანაში არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო სისტემა, რაც აუცილებელია მუზეუმების</p>	<p>ხელშეწყობა საქართველოს მუზეუმების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლისათვის</p> <p>საკანონმდებლობის მონერსრიგება</p> <p>საქართველოს მუზეუმების რეესტრის შექმნა და მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება</p>	<p>სამუზეუმო რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელება და შემდგომი განვითარება;</p> <p>“მუზეუმების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანაზე მუშაობა; მუზეუმების ჩამოყალიბება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (ამჟამად ჩამოყალიბებულია 16 მუზეუმი, პროცესი გრძელდება).</p> <p>განხორციელდა საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაციის პროექტი, რომლის შედეგად შეიქმნა მონაცემთა ელექტრონული ვერსია და განხორციელდა</p>

<p>მართვისათვის, კოლექციების დაცვის სრულყოფისათვის.</p>	<p>მოძრავი ძეგლების (მუზეუმების ექსპონატთა) პასპორტიზაცია</p>	<p>საქართველოს მუზეუმების ვებ-გვერდის შექმნის პროექტი, იქმნება საქართველოს მუზეუმების რეესტრი.</p> <p>საქართველოს მუზეუმების ფონდების აღრიცხვიანობის მონესრიგება და სრული პასპორტიზაცია-სისტემატიზაცია თანამედროვე სტანდარტებით, სადღეისოდ არსებული სიტუაციის შესახებ რეალური ინფორმაციის მიღებისა და გაანალიზებისთვის, აგრეთვე საქართველოს მუზეუმების შესახებ არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებისა და პოპულარიზაციისათვის.</p>
<p>არ არსებობს მუზეუმ-ნაკრძალების სრულყოფილი დოკუმენტაცია, რაც შეუძლებელს ხდის მათი დაცვის ეფექტური მექანიზმების დაგეგმვას და განხორციელებას, ჩარევის კრიტერიუმების დადგენას</p>	<p>მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია</p>	<p>მუზეუმ-ნაკრძალების (14 ობიექტი) დაცვითი ზონების განსაზღვრა და დადგენა, მათი პასპორტებისა და სხვა დოკუმენტაციის შედგენა, დაცვა-კონსერვაცია და განვითარება</p>
<p>მუზეუმების უმეტესობა დღემდე მოქმედებს მოძველებული საბჭოური მართვის სისტემით, რაც შეუძლებელს ხდის მუზეუმის გადასვლას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე</p>	<p>მართვის დასავლური სტანდარტებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს მუზეუმებში</p>	<p>მუზეუმების აღჭურვა ინოვაციური საინფორმაციო და სხვა ტექნოლოგიებით, ტრენინგებსა და ვორკშოპებში მონაწილეობა და მათი ორგანიზება, თანამშრომელთა სტაჟირება თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით;</p>

<p>საეალალო მდგომარეობა- შია საქართველოს მუზეუმების უმრავლესობის მატერიალურ-ტიქნიკური ბაზა, რაც ხელს უშლის მათ გამართულ ფუნქციონირებას</p>	<p>ხელშეწყობა მუზეუმების მატერიალურ-ტიქნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის</p>	<p>ტრენინგების ჩატარება სამუზეუმო მენეჯმენტის სფეროში დასავლური გამოცდილების გაზიარების მიზნით (წელიწადში - 2 ტრენინგი საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა ძალეებით);</p> <p>თბილისისა და რეგიონის მუზეუმების შენობებისა (განსაკუთრებით ფონდსაცავების) და დამხმარე ნაგებობების რეაბილიტაცია, თანამედროვე დაცვითი სისტემებით აღჭურვა, მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარება;</p>
<p>საქართველოს მუზეუმების უმრავლესობის ფონდების მდგომარეობა ძალზე მძიმეა და ხშირად უნიკალური ექსპონატები განადგურების საფრთხის წინაშე დგას</p>	<p>სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია</p>	<p>მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების პრევენციული დიაგნოსტიკა, დაცვა-კონსერვაცია (ამ სფეროში არსებული თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით).</p>
<p>სამუზეუმო ექსპოზიციები ძირითადად რამდენიმე ათეული წლის წინაა შექმნილი და დღემდე უცვლელია, ხოლო ცვლადი ან გაცვლითი გამოფენები საერთოდ არ ეწყობა</p>	<p>მუზეუმების საგამოფენო საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება და სამუზეუმო ცხოვრების გაჯანსაღება</p>	<p>მუზეუმებში მოძველებული მუდმივი ექსპოზიციების განახლება (რეექსპოზიცია) თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით; ცვლადი, მოძრავი და გაცვლითი, საგანმანათლებლო ხასიათის გამოფენების მოწყობა და სხვა.</p>

<p>საქართველოს მუზეუმებში არ მუშავდება საგანმანათლებლო პროგრამები, რაც შესაბამისად, იწვევს დამთვალეიერებელთა რიცხვის შემცირებას და მუზეუმისადმი საზოგადოების გაუცხოებას</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სამეცნიერო ფუნქციების გაძლიერება მუზეუმებში</p>	<p>საზოგადოების სხვადასხვა ფენაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და დამთვალეიერებელთა აუდიტორიის გაფართოება, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება, სამუზეუმო ცხოვრების გაჯანსაღება, მუზეუმების გარდაქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად და ცოცხალ, ქმედით ორგანიზებად;</p>
<p>მუზეუმებში თითქმის არ მიმდინარეობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის პროცესი, რაც ხელს უშლის მუზეუმის შემდგომ განვითარებას კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას</p>	<p>ახალი კადრების მოზიდვა მუზეუმებში</p>	<p>ახალგაზრდა კადრების მოზიდვა მუზეუმებში, ხელშეწყობა და ზრუნვა მათი პროფესიული დაოსტატების, კვალიფიციური სტაჟირებისა და სამუზეუმო საქმიანობაში აქტიური ჩარევისათვის;</p>
<p>საქართველოს მუზეუმებისა და მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინფორმაცია ფაქტობრივად უცნობია არამხოლოდ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც, რაც ხელს უშლის მუზეუმის უმთავრესი მისიის - საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომობის განხორციელებას, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.</p>	<p>საქართველოში მუზეუმების პოპულარიზაცია</p>	<p>მუზეუმების გზამკვლეუბის, საინფორმაციო ბუკლეტების, სამეცნიერო კრებულების, პოსტერების, ლია ბარათებისა და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა, სხვადასხვა ხასიათის აქციებისა და გამოფენების მოწყობა სამუზეუმო კოლექციების პოპულარიზაციის მიზნით, მულტიმედიაური პროექტების, სატელევიზიო სიუჟეტების, სარეკლამო კლიპების მომზადება და განთავსება, მუზეუმების ვებ-გვერდის შექმნა.</p>

სამუზეუმო რეფორმის პირველ ეტაპს წარმოადგენს საქართველოს რამდენიმე მუზეუმის გაერთიანება და მათ ბაზაზე “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ ჩამოყალიბება (გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე). ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა: სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი; ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი, მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი, იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი), იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), გიორგი ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, სევანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ამჟამად მიმდინარეობს საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული მმართველობითი და ადმინისტრაციული მოდელის შექმნა და მისი დანერგვა. შედეგად, შეიქმნება თანამედროვე მენეჯმენტის, ეკონომიკურად მძლავრი და მოქნილი სტრუქტურის მქონე, საერთაშორისო სტანდარტის მუზეუმი.

გარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა:

1. ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი
2. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
3. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
4. გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
5. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
6. ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი
7. დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი
8. საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი
9. ნიკო ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
10. აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი
11. დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი
12. სახელმწიფო მუზეუმი-საქართველოს სურათების ეროვნული გალერეა
13. დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი
14. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი
15. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმი
16. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაცია

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ფონდ “ღია საზოგადოება-საქართველოს” დაფინანსებით, საქართველოს მუზეუმების ასოციაციისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მუზეუმებისა და კოლექციების სამმართველოს მიერ განხორციელდა “საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაციის” პროექტი. მოძიებული იქნა მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია საქართველოში ამჟამად მოქმედი სახელმწიფო და კერძო, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან არსებული მუზეუმების შესახებ, მომზადდა დაკონკრეტებული ანოტაციები, შედგენილ იქნა ყველა მუზეუმის პასპორტი (მუზეუმის პროფილი, ადგილმდებარეობა, ინფორმაცია კოლექციებსა და განყოფილებებზე, ექსპონატთა რაოდენობასა და დაცულობაზე, მატერიალურ - ტექნიკურ მდგომარეობაზე და სხვა, მუზეუმისა და რამდენიმე ექსპონატის თანმხლები ფოტოებით), რომელიც პერიოდულად შეიცვლება მუზეუმში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

მოპოვებული მასალის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმად, საქართველოში ამჟამად სხვადასხვა პროფილის 223 მუზეუმია.

მათ შორის: თბილისში - 70, რეგიონებში - 153.

რეგიონების მუზეუმები :

აჭარა - 15

აფხაზეთი - 2 (დღეისათვის არსებული სიტუაციის გამო აფხაზეთის მუზეუმებზე სრული ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა)

გურია - 8

იმერეთი - 31

სამეგრელო-ზემო სვანეთი - 16

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 5

სამცხე-ჯავახეთი - 6

შიდა ქართლი - 15

საქართველოს რევოლუციური კავშირის (ფუნქციონირების) მემბრის პასპორტი



მემბრის პასპორტი

სარეგ. ნომერი: გან-1 მობრ. ნომერი: სურათი

ფირმის სახელი: ქველი ვანის ტალავები

ქართული სახელი: ქველი ვანის ტალავები

ინგლისური სახელი: Camel and Vani Persia

სახელი: ფიროსმანაშვილი გვარი: ნიკო (ნიკალა)

დაბადების თარიღი: 1862 ადგილი: 1918

სკოლა: _____

საპროფ. კვალი: განსაკუთრებული

საპროფ. კვალი: საგანმანათლებლო

საქმიანობა: 1909 წ. - დათარიღებულია 1926 წ. კატალოგის მიხედვით: ნიკო ფიროსმანაშვილი, ტექსტი ტაბიძე ტ. რობაქიძე გრ. ჯიქოძე გ. ზდანევიჩი კ. და ჩერნიავსკი კ.

საქმიანობის ადგილი: სოხუმი

განმარტების თარიღი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების შემდეგ მისი მემბრის უფლებები შეწყვეტილია.

მედიცინური აღწერა: საქართველოს მ. ამბროსიძის სახ. სტაციონარული სხელმწიფო მუზეუმი, ახალი და თანამედროვე ქართული სტაციონარული განყოფილება, იმ. № 146.

ფურცლის აღწერა: ფარგალიანი ტექსტურისა და ტენიანობის რეჟიმი

საპროფ. კვალი: საგანმანათლებლო

მუზეუმის ექსპონატის პასპორტი

ნიმუში

სარეგ. ნომერი: **სხ-009**
 ექსპონატი: **სურათი**
 დასახელება **ორიგ.**: **მეაქლემე თათარი**
 ქართულად: **მეაქლემე თათარი**
 ინგლისურად: **Tatar Camel Driver**
 ავტორი, გვარი: **ფიროსმანაშვილი ნიკო (ნიკალა), ფიროსმანი.**
 ცხოვრების წლები: **1862-1918**

სკოლა:

შექმნის თარიღი: **1909 წ. - დათარიღებულია 1926 წ. კატალოგის მიხედვით: ნიკო ფიროსმანაშვილი, ტექსტი ტაბიძე ტ, რობაქიძე გრ, ქიქოძე გ, ზდანევიჩი კ. და ჩერნიავსკი კ, ტფილისი, 1926 (ქართულად, რუსულ და ფრანგულ ენებზე).**

შექმნის ადგილი: თბილისი

მინიჭებული კატეგორია: განსაკუთრებული

ნარმომავლობა: ადრე ნარმოადგენდა პავლე მეტრეველის საკუთრებას. 1930 წ. 22 მარტს მისგან შეძინა დიმიტრი შევარდნაძემ საქართველოს ეროვნული გალერეისათვის.

ამჟამინდელი ადგილმდებარეობა: დარღვეულია ტემპერატურის და ტენიანობის რეჟიმი.

შემადგენლობა: ცალკე სურათი

ჟანრი: ყოფითი

მასალა: მუყაო

ზომები: 100 X 99 სმ.

აღწერა: თითქმის მთელი სასურათე სიბრტყე შევსებულია საკმაოდ დიდი ზომის ტვირთაკიდებული აქლემის გამოსახულებით. მის გვერდზე დგას ნაბადმოხვეული მამაკაცის მცირე ზომის ფიგურა, რომელსაც ხელში აქლემზე მიბმული თოკი უჭირავს. აქლემის ზურგზე, ორ თეთრ ფუთას შორის, მოჩანს ფერადზოლიანი ქსოვილი. აქლემს კისერს ზანზალაკი უმშვენებს. სურათის კოლორიტი შავი, წითელი, მოყვანისფრო-მოყვითალო, მომწვანო და თეთრი ფერებისაგან შედგება.

გაფორმების მასალა: ხის ჩარჩო

გაფორმების ზომა:

საავტორო ნარწერა: ქვემოთ მარცხნივ ქართულად: მიაქლემე თათარი. ნიკო ფიროსმანაშვილი.

სხვა ნიშანი:

ცვლილებები:

დაცვის ხარისხი: დამაკმაყოფილებელი

დაზიანება:

რესტავრაცია: რესტავრირებულია ჯ. ახობაძის მიერ 1983 წ. (მსუბუქი რესტავრაცია) და 1986 წ. (რთული რესტავრაცია).

გამოფენები: 1930 წ. მოსკოვი, ნატიფი ხელოვნების მუზეუმი;

1931 წ. ხარკოვი-კიევი-ოდესა;

1963 წ. მოსკოვი, ლიტერატორთა ცენტრალური სახლი;

1968 წ. ვარშავა, სახალხო მუზეუმი;

1969 წ. პარიზი, ლუვრი, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმი;

1969 წ. ვენა, სახვითი ხელოვნების აკადემია;

1970 წ. ბერლინი, ბერლინის ახალი გალერეა;

1971 წ. ზაგრები, პრიმიტივისტების გალერეა;

1971 წ. ბუქარესტი, დალესის სახ. საგამოფენო დარბაზი;
1976 წ. ტალინი, ესტონეთის სახელმწიფო სამხატვრო მუზეუმი;
1976 წ. რიგა, ლატვიის სახელმწიფო სამხატვრო მუზეუმი;
1976 წ. ლენინგრადი, რუსული უზეუმი;
1986 წ. მოსკოვი, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახ. მუ-
ზეუმი;

1988 წ. ბერლინი, ბერლინის ახალი გალერეა;

1999 წ. ნანტი, ხელოვნების მუზეუმი.

ესკიზები, ასლები:

ძირითადი: ბიბლიოგრაფია:

1. ნიკო ფიროსმანაშვილი, ტექსტი ტაბიძე ტ, რობაქიძე გრ. ქიქოძე გ, ზდანევიჩი კ, და ჩერნიავესკი კ, ტფილისი, 1926 (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე).

2. ზდანევიჩი კ. ფიროსმანაშვილი, თბილისი, 1963.

3. Буачидзе Г. Пиросмани или прогулка оленя, Тбилиси, 1963

4. Апчинская Н, Стиль и видение мира Пиросманашвили, Москва, 1986.

5. Нико Пиросманашвили, Вступительная статья Апчинской А, Москва, 1990, стр.2

6. PIROSMANI (1862-1918), MUZEE DES BEAUX – ARTS DE NANTES. Editions MeMo. Eteri Chelia, ass. de Nino Okrostvaridze et Isolda Kourdadze, 1999.

შენიშვნა:

დაზღვეული თანხა პასპორტის შედგენის დროს: 2 000 000 \$ ექ-
ვივალენტი ლარებში.

პასპორტის შედგენის თარიღი: 31. 10. 2001 წ.

პასპორტი შეადგინა: ი. ქურდაძე

მუზეუმის ექსპონატის გარათი

ნიმუში

სარეგისტრაციო ნომერი: სხ-001

ექსპონატის სახეობა: სურათი

დასახელება: ქეიფი ვაზის ტალავერში

ავტორი: ფიროსმანაშვილი ნიკო (ნიკალა) ფიროსმანი

შექმნის თარიღი: 1905 წ. - დათარიღებულია 1926 წ. კატალოგის

მიხედვით:

ნიკო ფიროსმანაშვილი, ტექსტი ტაბიძე ტ, რობაქიძე გრ, ქიქოძე გ, ზდანევიჩი კ. და ჩერნიაევსკი კ. ტფილისი, 1926 (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე).

ამჟამინდელი ადგილმდებარეობა: საქართველოს შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილება, ინ. 146.

მასალა: მუშამბა, ზეთი

ზომები: 139 X 112 სმ.

მინიჭებული კატეგორია: განსაკუთრებული



ექსპონატთა დროებით სარგებლობაში
ბადაცემის წესი

შესავალი

განცხადება ექსპონატებით სარგებლობის შესახებ

- წინასწარი გამოკითხვა
- განცხადება
- წინასწარი შეტყობინება

დამტკიცების პროცედურა

შეთანხმება დროებით სარგებლობის შესახებ

1. ხელშეკრულების ვადები და პირობები
2. სარგებლობის პერიოდი
3. დაზღვევა და გარანტია
4. შეფუთვა და ტრანსპორტირება
5. კურიერი
6. გარემომცველი პირობები
7. ექსპონატთა უსაფთხოება
8. ექსპონატთა მოვლა
9. რეპროდუქცია
10. საჯაროობა
11. წყაროებზე მითითება
12. დაზიანების შემთხვევა
13. სარგებლობის დასასრული
14. ანგარიში შენობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების შესახებ

დანართი №1 საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატთა ტრანს-

პორტირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;

დანართი №2 ხელშეკრულება ექსპონატთა დროებითი სარგებლობის შესახებ;

დანართი №3 ანგარიში ნივთების მდგომარეობის შესახებ (ფორმა);

დანართი №4 დროებითი სარგებლობის ვადის გაგრძელების ფორმა;

დანართი №5 ექსპონატთა სია (ფორმა);

დანართი №6 ექსპონატთა დროებითი სარგებლობის დოკუმენტაციის ნუსხა (ფორმა);

შესავალი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი საქართველოს უმნიშვნელოვანესი მუზეუმების გაერთიანებას წარმოადგენს. ამ გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში თავმოყრილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების უდიდესი ნაწილი.

ეროვნული მუზეუმში იქმნება კოლექციების მართვის სტრუქტურულად გამართული, ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს დაცული კოლექციების ოპტიმალურ მართვას და პოპულარიზაციას.

რამდენადაც კოლექციები საკმაოდ მდიდარია, ეროვნული მუზეუმში მისი სრულყოფილად ექსპონირება შეუძლებელია. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მუზეუმმა შეიმუშავა ექსპონატთა დროებითი სარგებლობის წესი, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ მუზეუმში დაცული კოლექციების პოპულარიზაციას არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ საზღვარგარეთაც.

იმისათვის, რომ ეროვნულ მუზეუმში სამუზეუმო ცხოვრება არ შეფერხდეს, მუზეუმი ამ მიზნისათვის გამოყოფს ექსპონატთა გარკვეულ რაოდენობას. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატებიდან დროებითი სარგებლობისათვის შერჩეულია მთელი რიგი ექსპონატები (**X რაოდენობა. აუცილებლად უნდა განისაზღვროს რამდენი**). ვიდრე შედგებოდეს ექსპონატთა ნუსხა, ეროვნული მუზეუმში იტოვებს უფლებას, თავად განსაზღვროს იმ ექსპონატთა სია, რომელთა გატანაც საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან დასაშვებადაა მიჩნეული.

კოლექციების დროებით სარგებლობაში გადაცემისას პირველ რიგში გათვალისწინებულია ექსპონატთა უსაფრთხოება, ძეგლის ინტე-

რესები, მისი ექსპონირებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა, გადაადგილების მიღებული ნორმების დაცვა და ა.შ.

აღნიშნული წესი ხელს შეუწყობს საქართველოს სამუზეუმო სივრცის გაჯანსაღებას, სამუზეუმო კოლექციების მართვასა და საზოგადოებასათვის მისი სრულყოფილი სახით წარმოჩენას. დროებითი სარგებლობის წესის ჩამოყალიბება საგრძნობლად გაამარტივებს ურთიერთობას სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

1. განცხადება ექსპონატებით სარგებლობის შესახებ

წინასწარი გამოკითხვა

თუ რომელიმე ორგანიზაცია გამოთქვამს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატით ან კოლექციით დროებითი სარგებლობის სურვილს, მან უნდა მიმართოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციას - სათავო ოფისს. მუზეუმის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ექსპონატის/კოლექციის შესახებ არსებული ინფორმაციისა და მასალების მიწოდებას.

იმ შემთხვევაში თუ განცხადება შეტანილი იქნება ეროვნული მუზეუმის სტრუქტურულ ერთეულებში (მუზეუმებში) მისი განხილვა დაიწყება მას სემდეგ რაც იგი გადმოგზავნილ იქნება ეროვნული მუზეუმის სათავო ოფისში.

განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

- ორგანიზაციისათვის ექსპონატის დროებით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მათი ექსპონირება მოხდება საჯაროდ;
- ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ექსპონატების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 ერთეულს;
- როგორც წესი, ექსპონატების დროებით სარგებლობაში გადაცემა არ ხორციელდება იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ეწვეიან კომერციულ საქმიანობას და სურთ ნივთების კომერციული მიზნებისათვის გამოყენება;
- დასაშვებია სამუზეუმო ექსპონატების კომერციული მიზნებისათვის გამოყენება ტელევიზიების შემთხვევაში, მოკლე ვადით და გადასახადი საგრძნობლად იმატებს;
- შესაძლებელია აგრეთვე იმ ექსპონატთა გადაცემა დროებით

სარგებლობაში, რომლებიც ექსპონირებულია მუზეუმში;

- დაუშვებელია დროებით სარგებლობაში იმ ექსპონატების გადაცემა, რომლებიც ეროვნულ მუზეუმს აქვს დროებით სარგებლობაში, მესამე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

- ყველა ხარჯი, რომელიც დროებით სარგებლობაში გადაცემისას წარმოიშობა, დაფარული უნდა იყოს მოსარგებლე ორგანიზაციის მიერ.

2. განაცხადი

განაცხადი ექსპონატების დროებით სარგებლობის შესახებ ორგანიზაციის მიერ უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით ორგანიზაციის ბლანკზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადი არ განიხილება. წინამდებარე განაცხადში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- განმცხადებელი ორგანიზაციის საქმიანობის სფერო;
- ექსპოზიციის სახელწოდება და მიზანი;
- საგამოფენო დარბაზის მისამართი;
- გამოფენის გახსნისა და დახურვის თარიღი;
- მუზეუმიდან ექსპონატების გატანისა და დაბრუნების თარიღი;
- მოთხოვნილი ექსპონატების (კოლექციის) ნუსხა;
- ექსპონატის შეფუთვისა და ტრანსპორტირების მეთოდი;
- გამოფენის ორგანიზატორების სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

3. წინასწარი შეტყობინება

ეროვნულ მუზეუმში განაცხადი შეტანილი უნდა იქნას 6 თვით ადრე, ვინაიდან განაცხადების განხილვა ხდება 2 თვეში ერთხელ და ითვალისწინებს შემდეგი საკითხების განხილვას: კონსერვაცია, ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. თუ დროებითი სარგებლობისათვის განკუთვნილი ექსპონატების რაოდენობა დიდია ან საჭიროებს სპეციალურ ტრანსპორტირებას

განაცხადი შემოტანილ უნდა იქნას 9 თვით ადრე (დაგეგმილ გამოფენამდე/ლონისძიებამდე).

4. დამტკიცების პროცედურა

თითოეული განაცხადი განიხილება ცალ-ცალკე. შესაბამისი ფონდების თანამშრომლები და ექსპერტები, ექსპონატის მდგომარეობის გათვალისწინებით, განიხილავენ ნივთების ტრანსპორტირებისა და კონსერვაციის საკითხებს.

განაცხადი დამტკიცებულად არ ითვლება, ვიდრე ეროვნული მუზეუმი არ დაამოწმებს ნივთების ტრანსპორტირებისა და უსაფთხოების წესებს. საჭიროების შემთხვევაში მუზეუმი მიავლენს თავის წარმომადგენელს, რომელიც წარადგენს უსაფთხოებისათვის საჭირო დამატებით რეკომენდაციებს. აღნიშნული ხარჯები დაფარული უნდა იყოს მოსარგებლე ორგანიზაციის მხრიდან.

5. გადასახადი

ექპონატების რაოდენობისა და კოლექციის გათვალისწინებით ადმინისტრაციული ხარჯი წარმოადგენს 150-დან 500 ლარამდე. სხვა დანარჩენი ხარჯები მაგ. გადასახადი ერთ ექპონატზე - 200 ლარი. მუზეუმი იტოვებს უფლებას გაზარდოს ექპონატზე გადასახადი, რომელიც განისაზღვრება მუზეუმის შესაბამისი ფონდებისა და სათაო ოფისის შორის კონსულტაციების შედეგად.

შეთანხმება მუზეუმის ექსპონატთა დროებით სარგებლობაში გადაცემაზე

მას შემდეგ, რაც ტრანსპორტირების, უსაფრთხოების და კონსერვაციის საკითხები იქნება განხილული, ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაცია ამზადებს შეთანხმებას მუზეუმში დაცულ ექსპონატთა დროებით სარგებლობის შესახებ.

პირმა, რომელიც ხელს აწერს ამ შეთანხმებას, უნდა დაადასტუროს, რომ იგი უფლებამოსილია ორგანიზაციის მიერ.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად.

ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაცია ამზადებს საკუთარ ხელშეკრულებას და არ აწერს ხელს მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორმას, რათა ამან არ გამოიწვიოს შეთანხმებული პირობების გაუქმება.

დროებით სარგებლობაში წესის პირობები

1. სარგებლობის ვადა

ეროვნული მუზეუმის ექსპონატების სარგებლობის ვადის ათვლა იწყება მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. იგი ასევე მოიცავს ტრანსპორტირების, კონსერვაციისა და ექსპონირების პერიოდს.

2. დაზღვევა და გარანტია

- მოსარგებლე ორგანიზაცია იღებს პასუხისმგებლობას ნივთების უსაფრთხოებაზე. დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია აუნაზღაუროს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს მატერიალური ზიანი;
- მოსარგებლე ორგანიზაცია პასუხისმგებელია ნებისმიერ ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ექსპონატების ეროვნული მუზეუმიდან ტრანსპორტირებისას ან პირიქით, დაბრუნებისას;
- ორგანიზაცია ვალდებულია დააზღვიოს ექსპონატები და ეროვნულ მუზეუმში წარმოადგინოს ნივთის დაზღვევის სახეობები;
- თუ ეროვნული მუზეუმში დაცული ექსპონატები დროებით სარგებლობაში გადაცემის შემდეგ გადის ქალაქის ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაშინ მოსარგებლე ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს მუნიციპალური ან სახელმწიფო გარანტია ექსპონატის უსაფრთხო დაბრუნების შესახებ;
- ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს ექსპონატების სადაზღვევო პოლისი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული მუზეუმი იტოვებს უფლებას, არ მისცეს მოსარგებლეს აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენამდე ექსპონატების გატანის უფლება;

3. შეფუთვა და ტრანსპორტირება

- საქართველოს ეროვნული მუზეუმი წინასწარ ამტკიცებს მოსარგებლე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ექსპონატის შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობებს;
- მოსარგებლე ორგანიზაციამ უნდა შეარჩიოს ტრანსპორტი,

რომელიც შეესაბამება ეროვნული მუზეუმის რეკომენდაციებს ტრანსპორტირების შესახებ;

- ტრანსპორტირების განმახორციელებელი ორგანიზაცია წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს ეროვნულ მუზეუმთან;
- ექსპონატების მუზეუმიდან გატანა დაუშვებელია, ვიდრე მუზეუმი არ მიიღებს ტრანსპორტის უსაფრთხოების სათანადო გარანტიებს;
- მოსარგებლე ფარავს ეროვნული მუზეუმიდან ექსპონატების გატანასა და დაბრუნებასთან დაკავშირებულ შეფუთვისა და ტრანსპორტირების ყველა ხარჯს;
- ექსპონატის გატანა საზღვრებს გარეთ უნდა ხორციელდებოდეს გადაზიდვების გამოცდილი აგენტის მიერ, ვინაიდან ექსპონატთა გატანისათვის საჭიროა სპეციალური ნებართვის აღება/წარდგენა;
- იმ შემთხვევაში, თუ ექსპონატების გადატანა ხორციელდება ზღვის მეშვეობით, ეროვნული მუზეუმის ან მოსარგებლე ორგანიზაციის წარმომადგენელი თან უნდა ახლდეს ყველა გადაზიდვას.

4. კურიერი

- დრებიტი სარგებლობის დამტკიცების პროცედურისას ეროვნული მუზეუმი განსაზღვრავს ესაჭიროება თუ არა ექსპონატის ტრანსპორტირებას ეროვნული მუზეუმის კურიერი.
- კურიერის საჭიროებისას მოსარგებლე ვალდებულია დაფაროს კურიერის მგზავრობის და საცხოვრებელი ხარჯები. ასევე აუნაზღაუროს დღიური გადასახადი.

5 ექსპონატისათვის შესაბამისი გარემო პირობები

- ექსპონატები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შენახვის სტაბილური გარემოთი. ასეთ გარემოდ ითვლება ტემპერატურა - 18-20^o C და ფარდობითი ტენიანობა - 40-65%;
- დღის და ხელოვნური განათება უნდა იყოს ისე მონყობილი, რომ ულტრაიისფერი რადიაცია იყოს 75 მიკროვატი per lumen დაბალი. ზოგადად განათების დიაპაზონი უნდა იყოს შემდეგი:

მაღალმგძნობიარე 50-70 ლუქსი

- ქალაქებში შესრულებული სამუშევრები
- ფოტოები
- ქსოვილები

მგძნობიარე 50-250 ლუქსი

- ავეჯი
- ხეზე შესრულებული ნახატები
- ზეთის საღებავებით შესრულებული სამუშევრები

დასასრულებელია

6. ექსპონატების უსაფრთხოება

მოსარგებლე ორგანიზაციამ ექსპონატები უნდა განათავსოს დაცულ შენობაში, ამასთანავე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ექსპონატები უნდა იყოს ორგანიზაციის სამტატო ერთეულის ჰუმანიტარული ზედამხედველობის ქვეშ ვიდრე გამოფენა/ექსპოზიცია ღია აზოგადობისათვის;
- ექსპონატები უნდა იყოს განთავსებული ისეთ ადგილზე, სადაც ღაცვა ელექტრონული სისტემის საშუალებით ხორციელდება;
- როდესაც გამოფენა/ექსპოზიცია დახურულია საზოგადოებისათვის, იგი უნდა კონტროლდებოდეს სიგნალიზაციის საშუალებით;
- ექსპონატები ორგანიზაციის სამტატო ერთეულის მიერ უნდა კონტროლდებოდეს 24 საათის განმავლობაში;
- ექსპონატები ექსპონირებული უნდა იყოს დამცავი ბარიერის პილმა;
- ექსპონატები ექსპონირებისას მოთავსებული უნდა იყოს დახურულ ვიტრინებში;
- იმის შემდეგ, რაც ექსპონატები მოთავსებული იქნება საგამოფენო ტერიტორიაზე (ვიტრინებში), მათი გახსნა ან გადაადგილება, გარდა ავარიული შემთხვევებისა, დაუშვებელია ეროვნულ მუზეუმთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

7. რეპროდუქცია

- კომერციული მიზნით ექსპონატთა ფოტოების, გადაღებების:: სხვა რეპროდუქციების დამზადება დაუშვებელია მოსარგებლე ორგანიზაციის ან სხვა მესამე მხარის მიერ, ეროვნულ მუზეუმის წინასწარ ნებართვის გარეშე;
 - რეპროდუქციისას გადასახადი საგრძნობლად იზრდება ექსპონატების კომერციული მიზნით გამოყენების შემთხვევაში;
 - მოსარგებლე ორგანიზაციას შეუძლია ექსპონატების ფოტოები გაკეთება ჩანანერებისა და აღრიცხვისათვის;
 - საქართველოს ეროვნულ მუზეუმს არ გააჩნია არავითარი პრეტენზია იმ ფოტოებზე, რომლებიც გადაღებულია დამთვალეიერებელთა მიერ პირადი სარგებლობისათვის.

8. საჯაროობა

- არც ერთი პრეს-რელიზი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული იქამდე, ვიდრე ხელშეკრულება ექსპონატთა დროებით სარგებლობის შესახებ არ იქნება ხელმოწერილი ეროვნულ მუზეუმსა და მოსარგებლე ორგანიზაციას შორის;
 - ყველა პრეს-რელიზი ეროვნული მუზეუმის ექსპონატებთან დაკავშირებით უნდა იყოს დამონმებული ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ.

9. წყაროებზე მითითება

- სახელწოდება - "საქართველოს ეროვნული მუზეუმი" ექსპოზიციაზე უნდა იყოს მითითებული ყველა ექსპონატის აღმნიშვნელ ნიშანზე, კატალოგსა თუ ბროშურაზე;
 - ეროვნული მუზეუმი უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოფენისთვის მოსარგებლე ორგანიზაციის მიერ ყველა გამოცემული კატალოგით, ბროშურით ან ნებისმიერი სხვა რეპროდუქციით;
 - სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ მოსარგებლე ორგანიზაციას უფლება არ აქვს გამოიყენოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატებ

პუბლიკაციებში, პრეზენტაციებში, კატალოგებში, ბროშურებსა და სხვა გამოცემებში, წინასწარი შეტყობინების გარეშე.

10. დაზიანების შემთხვევა

- ექსპონატების დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული;
- მოსარგებლე ორგანიზაციამ უნდა მოამზადოს ანგარიში დაზიანების ამსახველი მასალების ჩათვლით და უნდა მიანოდოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციას 48 საათის განმავლობაში;
- ნებისმიერი ქურდობა თუ ექსპონატების დაზიანების ფაქტი, რომელსაც ადგილი ექნება გამოფენის მსვლელობისას სასწრაფოდ უნდა ეცნობოს ეროვნულ მუზეუმს, მიუხედავად იმისა, დაზიანდა თუ არა ეროვნული მუზეუმიდან გატანილი ექსპონატები;
- თუ ექსპონატის დაზიანების ხარისხი საჭიროებს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლის ჩარევას, მაშინ მოსარგებლე ორგანიზაცია ფარავს მისი ტრანსპორტირების ხარჯებს (ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ).

11. სარგებლობის დასასრული

- მოსარგებლე ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას, სარგებლობის დასასრულისათვის დაუბრუნოს ექსპონატები ეროვნულ მუზეუმს;
- ექსპონატები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ამოღებული იქნა ექპოზიციიდან, შესაძლებლობის ფარგლებში სწრაფად უნდა დაუბრუნდეს ეროვნულ მუზეუმს და არ უნდა იყოს შენახული მოსარგებლე ორგანიზაციის საცავებსა თუ ფონდებში.

12. ანგარიში შენობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების შესახებ

საქართველოს ეროვნული მუზეუმი დროებით სარგებლობაში გადაცემულ ექპონატთა მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მოსარგებლე ორგანიზაციიდან მოითხოვს ანგარიშს შენობის

მდგომარეობისა და უსაფრთხოების შესახებ.

აღნიშნული ანგარიში უნდა შეიცავდეს ზუსტ ინფორმაციას შენობის მდგომარეობის და უსაფრთხოების შესახებ და ხელმოწერილი უნდა იქნას ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- შენობის აღწერილობასა და გეგმას/გეგმას თან უნდა ახლდეს ტექსტური ნაწილი/;
 - საგამოფენო სივრცის დეტალურ აღწერილობასა და გეგმას/ტექსტური ნაწილი/;
 - უსაფრთხოების სისტემასა და დაცვას/მითითებული უნდა იყოს დაცვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ზედამხედველების სამუშაო საათები, სრული მისამართები და ტელეფონის ნომრები/;
 - ელექტრონული უსაფრთხოების სისტემა/როდის იქნა დამონტაჟებული და ვის მიერ; ფირმის მისამართი, საკონტაქტო პირის ტელ. ნომერი; ასევე თუ რა პერიოდულობით ხდება სისტემის შემოწმება/;
 - ხანძარსა და სანაღმდეგო სისტემა და ექსპონატთა ევაკუაციის გეგმა./რა ტიპის ხანძარსა და სანაღმდეგო სისტემაა დამონტაჟებული და ვის მიერ; ფირმის მისამართი, საკონტაქტო პირის ტელ. ნომერი/
- ზემოხსენებული ანგარიში წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და იგი ეროვნული მუზეუმის მიერ განხილული იქნება მხოლოდ ექსპონატთა დროებითი სარგებლობის პერიოდში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ზემოაღნიშნული წესის ყველა პირობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ თავად არის მოსარგებლე ორგანიზაცია და ასევე უშვებს სხვა დამატებითი მოთხოვნების არსებობას, რომლებიც შესაძლოა აღნიშნული იყოს მეორე მხარის ექსპონატთა დროებითი სარგებლობის წესში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

1. ნებისმიერ სატრანსპორტო კომპანიას, რომელსაც განზრახული აქვს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გადაზიდვა, უნდა ჰქონდეს მსხვერველი და ძვირფასი ნივთების გადაზიდვის გამოცდილება და ჰყავდეს სპეციალურად მომზადებული საშტატო ერთეული;

2. თუ ექსპონატები შემოსატანი ან გასატანია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გადამზიდავ კომპანიას უნდა შეეძლოს დროულად გაართვას თავი საბაჟო და სხვა პროცედურებს;

3. სატრანსპორტო კომპანიამ ან მოსარგებლე ორგანიზაციამ წინასწარ უნდა შეათანხმონ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი გართულებები;

4. ექსპონატის გადატანა, შეფუთვა და ტრანსპორტირება უნდა კონტროლდებოდეს კომპანიის ხელმძღვანელი თანამშრომლების მიერ, რომლებმაც კონსულტაციები უნდა გაიარონ ეროვნული მუზეუმის და მოსარგებლე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;

5. ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოყოფილია ექსპონატების გადასატანად და ეკუთვნის გადამზიდავ ან მოსარგებლე ორგანიზაციას, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- როგორც წესი, გადაზიდვისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს დახურული მიკროავტობუსი, რომელშიც გამოყოფილია საბარგო და სამართავი ადგილები;
- მიკროავტობუსის ყველა კარი თუ ფანჯარა ალჭურვილი უნდა იყოს სპეციალური უსაფრთხოების საკეტებით, რომლებიც განსხვავდება ჩვეულებრივი საკეტებისაგან;
- მიკროავტობუსი ალჭურვილი უნდა იყოს სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებებით;
- მიკროავტობუსის საბარგოს გასაღებები უნდა ინახებოდეს სხვა გასაღებებისაგან განცალკევებით;
- თუ ექსპონატი დიდი ზომისაა, მიკროავტობუსის გარდა, გადაზიდვებში შესაძლებელია გამოყენებული იყოს დიდი მანქანებიც. უფრო იმეტიც, ექსპონატის გადატანა დასაშვებია ჩვეულებრივი ავტომანქანითაც, შესაბამისი დაცვის თანხლებით;

- ავტომანქანა აღჭურვილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო მონყობილობით;

- ავტოტრანსპორტს შორეულ მარშრუტზე უნდა ემსახურებოდეს ორი მძღოლი, ახლო მანძილზე - მძღოლი და კურიერი.

- ნივთების ტრანსპორტირების მარშრუტი კარგად უნდა იყოს შესწავლილი და გაუთვალისწინებელი შემთხვევის პირობებში, ეკიპაჟს უნდა ჰქონდეს საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- როდესაც შორეულ მარშრუტებზე ტრანსპორტის გაჩერება აუცილებლობას ნარმოადგენს, ავტომანქანას უნდა გააჩნდეს სპეციალური საგანგაშო სისტემა, ან უნდა იმყოფებოდეს 24-საათიანი დაკვირვების ქვეშ ეკიპაჟის მხრიდან;

- არავითარ შემთხვევაში ტრანსპორტი არ უნდა იყოს უმეტესადაა ურეოდ მიტოვებული ეკიპაჟის მიერ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროსაც.



ექსპონატთა დროებითი სარგებლობის ვადის გაგრძელება

ექსპონატთა დროებითი სარგებლობის №: _____

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მისამართი:

ტელეფონი:

ფაქსი:

მოსარგებლე ორგანიზაცია (მოსარგებლე): _____

დეპარტამენტი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

ფაქსი: _____

პასუხისმგებელი პირი (მოსარგებლე): _____

თანამდებობა: _____

დროებითი სარგებლობის ვადა:

დროებითი სარგებლობის ვადის დასაწყისი (ხელშეკრულების): _____

დროებითი სარგებლობის დასასრული (ხელშეკრულების): _____

მოთხოვნილი ვადის ხანგრძლივობა: _____

დროებით სარგებლობაში არსებული ნივთები:

ვადის გაგრძელების მოთხოვნა: _____
მოსარგებლე ითხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ნებართვას.

ვადის გაგრძელება მოთხოვნილია: _____

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (მოსარგებლე ორგანიზაცია) _____
თარიღი _____

ვადის გაგრძელება დამტკიცებულია ან უარყოფილი:

დამტკიცებული ვადის ხანგრძლივობა: _____

დამტკიცებული ვადის დასასრული: _____

ვადის გაგრძელება დამტკიცებულია: _____

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა (საქ. ეროვნული მუზეუმი) _____ თარიღი _____

ვადის გაგრძელება უარყოფილია. (განმარტეთ)

ადრინდელი ვადის გაგრძელება და კომენტარები:

წინა გახანგრძლივების ვადა: _____

დამატებითი გარემოებები და კომენტარები:

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ექსპონატთა დროებითი სარგებლობის №: _____

ექსპონატთა ნუსხა

№	კატალოგის დასახლება და ნომერი	კოლექციაში ნივთის ნომერი	რაოდენობა	ნივთის დასახელება	აღწერილობა	ღირებულება	კომენტარები
1							
2							
3							
4							
5							

პირობები აღწერილია:

სახელი/გვარი/თანამდებობა: _____

ხელმოწერა/თარიღი: _____

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ექსპონატთა დროებითი სარგებლობის №: _____

მუზეუმის სახელწოდება: _____

დოკუმენტაცია ექპონატთა დროებითი სარგებლობის შესახებ

ინსტრუქცია: აღნიშნული ფორმა გამოიყენება საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ექპონატთა დროებით სარგებლობაში გადაცემისას. ფორმა უნდა ერთვოდეს ექპონატთა გადაცემასთან დაკავშირებულ საქალაქულ დეპარტამენტს.

<p>A. სარგებლობის ტიპი _____</p> <p>B. მოსარგებლე _____</p> <p>C. მიზანი _____</p> <p>დროებით სარგებლობის ვადის დასაწყისი _____</p> <p>დროებით სარგებლობის ვადის დასასრული _____</p> <p>ვადის გაგრძელება _____</p>	<p>D. ექსპონატთა დროებითი სარგებლობის ხელშეკრულებასთან არსებული დოკუმენტაცია</p> <p><input type="checkbox"/> ხელშეკრულება და ექსპონატთა ნუსხა</p> <p><input type="checkbox"/> დროებით სარგებლობასთან დაკავშირებული მიმონერა</p> <p><input type="checkbox"/> სადაზღვევო დოკუმენტაცია</p> <p><input type="checkbox"/> ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია</p> <p><input type="checkbox"/> ნივთების შეფუთვისასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია</p> <p><input type="checkbox"/> ჩანაწერები ნივთის კონსერვაციის შესახებ</p> <p><input type="checkbox"/> ფოტოები</p> <p><input type="checkbox"/> ანგარიში მუზეუმის უსაფრთხოებისა და შესაძლებლობების შესახებ</p> <p><input type="checkbox"/> დროებითი სარგებლობის ვადის გაგრძელებასთან არსებული დოკუმენტი</p> <p><input type="checkbox"/> სხვა დოკუმენტები</p>
<p>E. ნივთების დაბრუნება</p> <p><input type="checkbox"/> დაბრუნებულია ნახევრად (თარიღი) _____</p> <p>სრულად (თარიღი) _____</p> <p><input type="checkbox"/> კომენტარები ხელმოწერა/თარიღი: _____</p>	

ანგარიში ექსპონატთა მდგომარეობის შესახებ

დოკუმენტაცია:

კატალოგის №: _____ კოლექციაში ნივთის №: _____

ნივთის დასახელება: _____ რაოდენობა: _____

შემადგენელი ნაწილები (ნუსხა): _____

ექსპონატთა დროებითი სარგებლობის №: _____

ფოტოების რაოდენობა: _____

მდგომარეობა: დანვრილებით აღწერეთ სტრუქტურული/ზედაპირული და სხვა მდგომარეობა (მიუთითეთ ნივთის ადგილმდებარეობა):

მდგომარეობა აღწერილია:

სახელი/გვარი/თანამდებობა: _____

ხელმოწერა/თარიღი: _____

ნივთების მდგომარეობა დაზრუნებისას:

იგივე _____ სხვა (აღწერეთ) _____

მდგომარეობა აღწერილია:

სახელი/გვარი/თანამდებობა: _____

ხელმოწერა/თარიღი: _____



ხელშეკრულება მუზეუმის ექსპონატთა დროებითი
სარგებლობის შესახებ

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი,

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მისამართი : შოთა რუსთაველის გამზირი 3

წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ლორთქი-
ფანიძის სახით,

შემდგომში მუზეუმი;

და

(ორგანიზაციის დასახელება),

მისამართი :

წარმოდგენილი მისი (სახელი გვარი, თანამდებობა),

შემდგომში (მოსარგებლე); სახით

ვეთანხმებით შემდეგს.

ბანმართება "დროებითი სარგებლობა": ნივთის ან ნივთების სხვა
ორგანიზაციისათვის (მოსარგებლე) დროებით გადაცემა.

"ნივთი" სამუზეუმო ნივთი, რომელიც გადაეცემა მოსარგებლეს ამ
ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 1.

ხელშეკრულების საგანი

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმი გადასცემს მოსარგებლე ორგანიზაციას ნივთებს, რომელთა ნუსხაც თან ერთვის ხელშეკრულებას.

2. მოსარგებლეს გადაეცემა ნივთები შემდეგი მიზნისათვის (მიუთითეთ გამოფენის/ლონისძიების/ დასახელება და მიზანი, ასევე მისი დაწყებისა და დასრულების თარიღები)

მუხლი 2.

ხელშეკრულების ხანგრძლივობა

3. ხელშეკრულება ძალაში შედის ნივთების ტრანსპორტირების (მიუთითეთ თარიღი დღიდან მოსარგებლე ორგანიზაციაში და დასრულების ვადა (თარიღი))

მუხლი 3.

ტრანსპორტირება და შეფუთვა

4. მუზეუმი და მოსარგებლე წინასწარ ათანხმებენ ნივთების ტრანსპორტირებისა და შეფუთვის ხარჯებს.

5. მოსარგებლე ორგანიზაციამ წინასწარ უნდა შესთავაზოს ეროვნულ მუზეუმს ტრანსპორტირებისა და შეფუთვის პირობები.

6. ობიექტის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს წინასწარი შეთანხმებით შესაბამისი ტრანსპორტის მეშვეობით.

მუხლი 4.

გამოფენა

7. მოსარგებლე მოახდენს ნივთების ექსპონირებას წინასწარ შეთანხმებულ ადგილსა და დროს. (მიუთითეთ ადგილი და თარიღი)). მოსარგებლეს შეუძლია ექსპოზიციის ადგილმდებარეობის შეცვლა მუზეუმთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

8. მოსარგებლე მოახდენს ნივთების ექსპონირებას 1 და 2 მუხლში განსაზღვრული მიზნებისათვის.

9. მოსარგებლე ახორციელებს იმ სივრცის მართვასა და ზედამხედველობას სადაც ნივთებია ექსპონირებული.

10. მოსარგებლემ მუზეუმის მოთხოვნის შესაბამისად უნდა მოამზადოს ანგარიში არსებული ვითარების შესაზებ, რათა მუზეუმს მიეცეს შემონახვის საშუალება.

11. მოსარგებლემ უნდა შექმნას საგამოფენო სივრცის შესაბამისი პირობები, რომელიც გულისხმობს:

- მოწვევის, საკვებისა და სასმელის მიღების მკაცრი აკრძალვა;
- უსაფრთხოების ზომები;
- საგამოფენო სივრცის უზრუნველყოფა მუზეუმებისათვის სტანდარტული განათებისა და კლიმატური პირობების შესაბამისად;
- დამთვალეირებელს აეკრძალოს: საგამოფენო სივრცეში ექსპონატის, კინო, ვიდეო, მხატვრული ან სარეკლამო რგოლების გადაღება.

12. საგამოფენო სივრცის შესაბამისად მუზეუმს შეუძლია დამატებით მოთხოვნები განუსაზღვროს მოსარგებლეს.

მუხლი 5. ანგარიში ექსპონატის მდგომარეობის შესაბამისად

1. სანამ მოსარგებლის მიერ მოხდება ექსპონატის ტრანსპორტირება, მუზეუმმა უნდა გაუფ ზავნოს მოსარგებლეს ანგარიში ნივთების მდგომარეობის შესახებ. ანგარიში მომზადებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად დანერჩილებით, ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს ექსპონატის უახლესი ფოტოები.

2. სანამ მოსარგებლე მიიღებს ნივთებს მან უნდა შეამოწმოს მუზეუმის ანგარიში ნივთების შესახებ. თუ მოსარგებლეს მიიჩნევს, რომ ნივთის მდგომარეობა არ შეესაბამება ნივთების მდგომარეობის ზუსტ აღწერილობას, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მუზეუმს. იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ მოცემული ანგარიში საჭიროებს კორექტირებას, კორექტირებული ვერსია უნდა ინახებოდეს ორივე მხარესთან.

3. მუზეუმში ნივთების დაბრუნებამდე ერთი კვირით ადრე მოსარგებლის მიერ მომზადებული უნდა იქნას ანგარიში ნივთების მდგომარეობის შესახებ. თუ მუზეუმში მიიჩნევს, რომ ნივთები დაზიანებულია არასწორი მოპყრობით და ნივთები საჭიროებენ რესტავრაციას, მუზეუმში განსაზღვრავს რესტავრაციის პირობებს, რომელთა ხარჯებიც დაფარული უნდა იქნას მოსარგებლის მიერ.

მუხლი 6.

რესტავრაცია

4. მუზეუმის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე მოსარგებლეს არ აქვს უფლება გატანილი ნივთის რესტავრაციის, ჩარჩოდან ამოღების ან ჩასმის, განმენდის ან მის მდგომარეობის ზემოქმედების უფლება, გარდა იმ სასწრაფო შემთხვევისა როდესაც არ რჩება დრო მუზეუმიდან ნებართვის მისაღებად და გარემოებები მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. ამ შემთხვევაში მოსარგებლემ უნდა მიიღოს ნივთის მდგომარეობის შესაბამისად მიზანშეწონილი ზომები ნივთის მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

5. რესტავრაციის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მოსარგებლე მხარეს.

მუხლი 7.

კატალოგები, ბროშურები

6. ნივთების ფოტოგრაფირება მოსარგებლის მიერ ნებადართულია კატალოგში შეტანად მხოლოდ საგამოფენო მიზნებისათვის.

7. იმ შემთხვევაში თუ ნივთი შევა კატალოგში, მაშინ მოსარგებლე ვალდებულია მუზეუმს გადასცეს კატალოგის/ბროშურის ორი ეგზემპლარი უსასყიდლოდ.

მუხლი 8.

ინტელექტუალური საკუთრება

1. მოსარგებლეს არ აქვს უფლება მოახდინოს ნივთის ფოტორგაფირება, ვიდეო გადაღება ან ციფრული ვერსიის შექმნა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ იგი აუცილებელი არ არის გამოფენისათვის.

2. თუ მოსარგებლეს სურს არსებული ფოტოების, სლაიდების ან ციფრული მასალის გამოყენება, მან წერილობით უნდა მიმართოს მუზეუმს და ადგენილი თარიღების შესაბამისად გადაიხადოს გადასახადი.

3. მოსარგებლემ უნდა გაითვალისწინოს ნივთებზე მუზეუმის უფლებები.

მუხლი 10.

დაზღვევა

1. მოსარგებლე ორგანიზაციამ უნდა დააზღვიოს ნივთები სრულად მუზეუმებს შორის ექსპონატთა დროებითი სარგებლობის შესაბამისად.

2. ნივთები დაიზღვევა ყველა რისკის, დაკარგვის და ნებისმიერი დაზიანებისაგან. ასევე ტრანსპორტირებისას და ნივთების ექსპონირების პერიოდში.

3. მოსარგებლემ უნდა უზრუნველყოს მუზეუმში ნივთების სადაზღვევო პოლისით მინიმუმ ორი კვირით ადრე.

4. მუზეუმში იტოვებს უფლებას არ გასცეს ნივთები დროებით სარგებლობაში, სანამ არ მიიღებს სადაზღვევო პოლისს.

მუხლი 11.

დროებით სარგებლობასთან

დაკავშირებული ხარჯები/გადასახადი

1. მოსარგებლებ უნდა დაფაროს შემდეგი ხარჯები:

- სადაზღვევო გადასახადი. დაზღვევა განხორციელებული უნდა იყოს (მიუთითეთ სადაზღვევო კომპანია);
- გადასახადი ექსპონატზე;
- ნივთის შეფუთვის ხარჯები;
- ტრანსპორტირება;
- საკონსერვაციო ხარჯები იმისათვის რომ ნივთები იყოს ექსპონირებული;

2. ყველა გადასახადი, მათ შორის ადმინისტრაციული შეთანხმებული უნდა იყოს წინასწარ მხარეებს შორის.

მუხლი 12.

დროებითი სარგებლობის შეწყვეტა

თუ მოსარგებლე ორგანიზაცია:

- არ იყენებს ნივთებს საგამოფენო მიზნებისათვის, რისთვისაც ნივთები გადაეცა;
- ან არღვევს ექსპონატთა მოპყრობის იმ პირობებს, რომლებიც აღწერილია ამ ხელშეკრულებაში;

მუზეუმს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს დროებითი სარგე-

ბლობის ხელშეკრულება და მოსთხოვოს მოსარგებლე ორგანიზაციას ნივთების დაუყოვნებელი დაბრუნება.

მუხლი 14. დავა

ნებისმიერი სადავო საკითხები ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გენერალური დირექტორი:

ადგილი:

თარიღი:

(მოსარგებლე ორგანიზაცია)

თანამდებობა:

ადგილი:

თარიღი:

დანართი:

- დროებით სარგებლობაში გადაცემულ ექსპონატთა სია.

იკომი არის მუზეუმებისა და მუზეუმების პროფესიონალების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება მსოფლიოს ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე და მომავალ კონსერვაციას, განვითარებასა და საზოგადოებისთვის გაცნობას.

იკომი დაარსდა 1946 წელს. იგი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს იუნესკოსთან და გააჩნია საკონსულტაციო სტატუსი გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში.

იკომი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, ძირითადად ფინანსდება სანეერო გადასახადებიდან და მას მხარს უჭერს სხვადასხვა სამთავრობო და სხვა ორგანოები. იგი ახორციელებს **UNESCO-ს** სამუზეუმო პროგრამის ნაწილს. იკომი მდებარეობს პარიზში (საფრანგეთი). მის მთავარ ოფისში განთავსებულია ICOM-ის სამდივნო და **UNESCO-ICOM - ის სამუზეუმო ინფორმაციის ცენტრი**.

იკომის 21 000 წევრი 140 ქვეყნიდან მონაწილეობას იღებს ორგანიზაციის ნაციონალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში: ვორკშოპების, პუბლიკაციების, ტრენინგების, შეხვედრების პროგრამებისა და მუზეუმების პრომოუშენის მუზეუმების საერთაშორისო დღის (18 მაისი) მეშვეობით.

იკომის წევრები მონაწილეობას იღებენ 115 ნაციონალური კომიტეტის და 30 საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობაში. ზოგიერთი ნაციონალური კომიტეტი ორგანიზებას ახდენს რეგიონალურ დონეზე, რათა გაამყაროს საკუთარი ქმედებები. იკომს ჰყავს 14 მოკავშირე საერთაშორისო ასოციაცია.

იკომის სტრატეგიული გეგმა მიღებულია გენერალური კრების მიერ და ხორციელდება იკომის სამდივნოს მიერ, ასევე ნაციონალური და საერთაშორისო კომიტეტების მიერ, რომლებიც ეხმარებიან იკომს პროგრამების რეალიზებაში.

იკომის აქტივობები პასუხობს სამუზეუმო პროფესიის სირთულეებს, საჭიროებებს და ფოკუსირებას ახდენენ შემდეგ თემებზე: პროფესიული თანამშრომლობა და გაცვლები;

ცოდნის გავრცელება და მუზეუმების გაცნობა საზოგადოებისათვის;

მუზეუმების პერსონალის ტრეინინგი;

პროფესიული სტანდარტების განვითარება;

პროფესიული ეთიკის დეტალური დამუშავება და პრომოუშენი;

მემკვიდრეობის პრეზერვაცია და კულტურული მემკვიდრეობით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლა.

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი

ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის ეს ვერსია წარმოადგენს ექვსწლიანი სარედაქციო მუშაობის შედეგს. ICOM-ის კოდექსი საფუძვლიანადაა შეჯერებული თანამედროვე მუზეოლოგიის გამოცდილებასთან. წინა, შესწორებული ვერსია გამოვიდა 2001 წელს და იმთავითვე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, კვლავ მთლიანად იქნა გადამუშავებული. იგი ეყრდნობა სამუზეუმო პროფესიის გამოცდილებას და მონოდებულია, რომ ზოგადად განსაზღვროს დარგის ეთიკური მხარე. ICOM-ის წევრები კოდექსს განიხილავდნენ სამი კონსულტაციის განმავლობაში. მისი საბოლოო ვერსია მიღებულია ICOM-ის 21-ე გენერალურ ასამბლეაზე, სეულში, 2004 წელს.

წინამდებარე სამუზეუმო კოდექსი შემუშავებულია საერთაშორისო სამუზეუმო საბჭოს მიერ. იგი შეესატყვისება ICOM-ის დებულებებში დეკლარირებულ პრინციპებს, ამავე დროს ასახავს საერთაშორისო სამუზეუმო გაერთიანების ზოგად პრინციპებსაც. ICOM-ის წევრობა და მისი წლიური საგადასახადო წესების დაცვა, ნიშნავს ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის აღიარებასაც.

მინიმალური ნორმები მუზეუმებისათვის

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს მინიმალური ნორმების კრებულს მუზეუმებისათვის. იგი ჩამოყალიბებულია პრინციპების სახით, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სპეციალისტების პროფესიულ საქმიანობას. ზოგიერთ ქვეყანაში ეს მინიმალური ნორმები ეროვნული კანონით ან რეგლამენტითაა განსაზღვრული, ზოგან კი აკრედიტაციის ან რაიმე სხვა მსგავსი სისტემითაა ფორმულირებული. მაშინ, როცა

ეს ნორმები ადგილობრივ დონეზე განსაზღვრული არ არის, მათი მოპოვება შეიძლება ICOM-ის სამდივნოში ან მის ეროვნულ და შესაბამის საერთაშორისო კომიტეტებში. საბაზო დოკუმენტის სახით ამ კოდექსის გამოყენება შეუძლიათ ცალკეულ ერებს თუ მუზეუმებთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, თუკი მათ დასჭირდებათ დამატებითი ნორმების შემუშავება.

1. მუზეუმი უზრუნველყოფენ ბუნებისა და კაცობრიობის სხვადასხვა სახის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, დოკუმენტირებას და წარმოჩენას

ძირითადი პრინციპები: მუზეუმებს აკისრიათ პასუხისმგებლობა ბუნებისა და კულტურის მატერიალური თუ სულიერი მემკვიდრეობის მიმართ. ხელმძღვანელი და ყველა სხვა ორგანოს, ვისაც სტრატეგიულად ეხება მუზეუმის ხელშეწყობა ან კონტროლი, უპირველესი ვალდებულებაა, დაიცვას მემკვიდრეობა და უზრუნველყოს მისი მოვლა და წარმოჩენა, აგრეთვე - დარგში მომუშავე ადამიანების ფინანსური თუ ფიზიკური დახმარება.

ინსტიტუციური სტატუსის განსაზღვრა

1.1. იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტები

ხელმძღვანელმა ორგანომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ყველა მუზეუმს ჰქონდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, დებულება, კონსტიტუცია, ან სხვა რაიმე წერილობითი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული მუზეუმის იურიდიული სტატუსი, ამოცანები და აგრეთვე, მისი, როგორც არაკომერციული დაწესებულების პერმანენტული ფუნქციონირების ხასიათი.

1.2. დეკლარაცია ამოცანების, მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა შეადგინოს და გაავრცელოს დეკლარაცია მუზეუმის ამოცანების, მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ და უნდა შეასრულოს კიდევ ამ დეკლარაციის დებულებები. დეკლარაციით განსაზღვრული უნდა იყოს, აგრეთვე, მუზეუმის დირექციის შემადგენლობა და როლი.

ფიზიკური რესურსები

1.3. სათავსები

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მუზეუმი უზრუნველყოს ისეთი შენობითა და სათავსებით, სადაც საგანგებოდ შექმნილი ადექვატური გარემო-პირობები ხელს შეუწყობს მუზეუმს საკუთარი უმთავრესი მიზნების განხორციელებაში.

1.4. ხელმისაწვდომობა

ხელმძღვანელი ორგანო მუდმივად უნდა ცდილობდეს, რომ მუზეუმი და იქ დაცული კოლექციები ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს დროის მოსახერხებელი მონაკვეთის განმავლობაში. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს სპეციფიკური მოთხოვნების მქონე სუბიექტებთან ურთიერთობას.

1.5. სანიტარული და უსაფრთხოების ნორმების დაცვა

ხელმძღვანელი ორგანო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს მუზეუმის პერსონალისა და დამთვალიერებლებისათვის 'სანიტარული, უსაფრთხოებისა და მუზეუმებისა და კოლექციების ხელმისაწვდომობის ნორმების დაცვაზე.

1.6. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების პროფილაქტიკა

ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს საგანგებო პოლიტიკა, რათა მუზეუმის დამთვალიერებლები, პერსონალი, კოლექციები და სხვა სიმდიდრე დაიცვას უბედური შემთხვევებისა თუ ბუნებისა და ადამიანისგან მიყენებული შესაძლო ზიანისგან.

1.7. უსაფრთხოების ზომები

ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები კოლექციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თავიდან უნდა აიცილოს ვიტრინებიდან, საექსპოზიციო დარბაზებიდან, საფონდო საცავებიდან, სამუშაო ოთახებიდან და ტრანსპორტირებისას ნივთების შესაძლო ქურდობა და დაზიანება.

1.8. დაზღვევა და კომპენსაცია

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექციებს აზღვევს კერძო კომპანია, ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, გადაამოწმოს დაზღვევის პირობები და დარწმუნდეს, რომ სადაზღვევო თანხა რისკის ადექვატურია, განსაკუთრებით მათი დროებითი გადაცემის ან ტრანზიტის დროს. საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის ნივთებიც, რომლებიც მუზეუმის საკუთრებას არ წარმოადგენს, მაგრამ რომლებზეც ამჯერად მას აკისრია პასუხისმგებლობა.

დაფინანსების წყაროები

1.9. დაფინანსება

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მოიპოვოს სახსრები მუზეუმის საქმიანობის წარმართვისა და განვითარებისათვის. თანხების განკარგვა უნდა მოხდეს მხოლოდ პროფესიული მართვის საფუძველზე.

1.10. კომერციული პოლიტიკა

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია იქონიოს წერილობითი დებულება, სადაც განსაზღვრული იქნება საკუთარი საქმიანობის შედეგად თუ სხვა საშუალებით მიღებული მუზეუმის ნებისმიერი სავარაუდო შემოსავალი. როგორც არ უნდა იყოს დაფინანსების წყაროები, მუზეუმმა მუდმივად უნდა აკონტროლოს, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსების რაოდენობა და ხარჯვა მუზეუმის გეგმებს, ექსპოზიციების მოწყობისა და მისი სხვა მოღვაწეობის სპეციფიკას. მუზეუმის შემოსავლის მომტანი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მიღებულ ნორმებს და ზიანი არ უნდა მოუტანოს არც დაწესებულებას და არც მის დამთვალეირებელს. (6.6)

თანამშრომლები (პერსონალი)

1.11. თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების პოლიტიკა

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, თანამშრომლების სამუშაოზე მიღება რეგლამენტირებული იყოს მუზეუმის პოლიტიკის შესაბამისად და ეყრდნობოდეს კანონის მოთხოვნებს.

1.12. დირექტორისა და პასუხისმგებელი პირის დანიშვნა

მუზეუმის დირექტორის პოსტი წამყვანი თანამდებობაა, ამიტომაც დირექტორის დანიშვნისას ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული პირის ცოდნა და კომპეტენცია აღნიშნულ თანამდებობას. კანდიდატურის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და პროფესიონალიზმს უნდა ავსებდეს უნაკლო ეთიკური ქცევა.

1.13. ხელმძღვანელი ორგანოს მისაწვდომობა

მუზეუმის დირექტორსა თუ პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოსთან უშუალო ურთიერთობისა და ანგარიშგების საშუალება.

1.14. მუზეუმის თანამშრომლების კომპეტენცია

მუზეუმს უნდა ჰყავდეს მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, რომ მათ შეძლონ მათზე დაკისრებული მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება (2.18. 2.3. და 81.12).

1.15. პროფესიული კადრების აღზრდა

მუზეუმის თანამშრომლების კვალიფიკაციისა და საქმიანობის ეფექტურობის შენარჩუნების მიზნით სავალდებულოა, რომ მალ მიეცეთ უწყვეტი განათლებისა და პროფესიონალიზმის ამალღების საშუალება.

1.16. ეთიკური კონფლიქტი

დაუშვებელია, რომ მუზეუმის ხელმძღვანელმა ორგანომ მუზეუმის თანამშრომლებს მოსთხოვოს ის, რაც შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული კანონების, ICOM-ის სამუზეუმო ან ეთიკის სხვა ნებისმიერი კოდექსის მოთხოვნების დარღვევად.

1.17. თანამშრომლები და მოხალისეები

თუ მუზეუმი იყენებს მოხალისეთა დახმარებას, მაშინ მისი ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია შეიმუშაოს წესდება, რომელიც ხელს შეუწყობს მუზეუმის თანამშრომლებსა და მოხალისეთა შორის ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

1.18. მოხალისეები და პროფესიული ეთიკა

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმი საკუთრივ სამუზეუმო, ან სხვა საქმეში დასახმარებლად მიმართავს მოხალისეებს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ისინი კარგად იცნობენ ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსს, აგრეთვე, ეთიკის სხვა კოდექსებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

2. მუზეუმი იცავს და ინარჩუნებს კოლექციებს საზოგადოების სასიკეთოდ და მისი განვითარებისათვის

ძირითადი დებულება: მუზეუმი შეიძენს, იცავს და ინახავს საკუთარ კოლექციებს ბუნების, კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით. სამუზეუმო კოლექციები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საერთო-ზოგადოებრივ მემკვიდრეობას, გააჩნია განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი და დაცულია საერთაშორისო კანონებით. სახელმწიფოს მიზანია, გონივრული მართვით უზრუნველყოს საკუთრების კანონიერება, მუდმივობა, დოკუმენტირება, მისანვდომობა და განკარგვაზე პასუხისმგებლობა.

კოლექციების შევსება

2.1. კოლექციების გამდიდრების პოლიტიკა

ყველა მუზეუმის ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს დებულება კოლექციების შევსების, დაცვისა და გამოყენების შესახებ. ტექსტში გარკვეული უნდა იყოს იმ ნივთების შეძენასთან დაკავშირებული პირობებიც, რომლებიც არ ექვემდებარება კატალოგიზაციას, დაცვას ან გამოფენას (2.7 და 2.8).

2.2. საკუთრების კანონიერი უფლება

დაუშვებელია, რომ მუზეუმმა შეიძინოს, საჩუქრად ან ანდერძით მიიღოს, ითხოვოს ან გაცვალოს რაიმე ნივთი ან ნიმუში, თუ დარწმუნებული არ იქნება, რომ იგი წარმოადგენს კანონიერი საკუთრების საგანს. ზოგიერთ ქვეყანაში ნივთის ფლობის ფაქტი შესაძლებელია არ ნიშნავდეს, რომ საქმე გვაქვს კანონიერ საკუთრებასთან.

2.3. წარმომავლობა და მისი ზედმიწევნით გამოკვლევის ვალდებულება

შეძენის, ჩუქების, თხოვების, გაცვლის გზით რაიმე ნივთის ან ნიმუშის შეძენამდე, ან ანდერძით მიღებამდე, ზუსტად უნდა იქნეს გარკ-

ვეული, რომ იგი არ არის არალეგალურად მოპოვებული (ან უკანონოდ ექსპორტირებული) თავისი წარმოშობის ან სატრანზიტო ქვეყნიდან, სადაც მას შეიძლება ჰყოლოდა კანონიერი მესაკუთრე (იგულისხმება ის ქვეყანაც, სადაც მდებარეობს მუზეუმი). ამიტომ, საჭიროა ნივთის სრული ისტორიის ზედმინვენით შესწავლა, მოყოლებული მისი აღმოჩენისა თუ შექმნის დღიდან.

2.4. არამეცნიერული ან უნებართვო სამუშაოების შედეგად მოპოვებული ნივთი ან ნიმუში

მუზეუმმა არ უნდა შეიძინოს ნივთი, თუკი არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ იგი მოპოვებულია არქეოლოგიური ან გეოლოგიური ძეგლის ან ობიექტის, რაიმე სახეობის ან ადამიანის ბუნებრივი საცხოვრისისკენ მიმართული უკანონო ან წინასწარგანზრახული დამაზიანებელი, გამანადგურებელი ან არამეცნიერული ქმედებების შედეგად. ამასთან, მუზეუმმა არ უნდა შეიძინოს ისეთი ნივთი, რომლის აღმოჩენის ფაქტი უცნობი იყო მიწის იმ ნაკვეთის მესაკუთრის თუ დამქირავებლისათვის, სადაც აღმოჩნდა ნივთი, ან შესაბამისი სახელისუფლო თუ სამთავრობო სტრუქტურებისათვის.

2.5. მასალა, რომელიც მოითხოვს ფაქიზ დამოკიდებულებას

დაუშვებელია მუზეუმმა შეიძინოს კოლექცია, რომელიც შედგება ადამიანის ნაშთების ან საკრალური ნივთებისაგან, თუ მას არა აქვს მათი სათანადო დაცვისა და მათდამი პატივისცემით მოპყრობის საშუალება; ეს უნდა გაკეთდეს პროფესიული ნორმების სრული დაცვით და შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენისა და ინტერესების გათვალისწინებით, ვისგანაც მომდინარეობს ეს ნივთები (3.7 და 4.3).

2.6. ბიოლოგიური და გეოლოგიური ნიმუშების დაცვა

დაუშვებელია მუზეუმმა შეიძინოს ბიოლოგიური და გეოლოგიური ნიმუშები, თუ ისინი შეგროვებული, გაყიდული, ან გადაცემულია ადგილობრივი, ეროვნული ან რეგიონული კანონებისა და დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით.

2.7. ცოცხალი ნიმუშების კოლექციები

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექცია შეიცავს ცოცხალ ბოტანიკურ ან ზოოლოგიურ ნიმუშებს, მათი დაცვისას აუცილებელია თითოეულის ბუნებრივი და სოციალური გარემოს გათვალისწინება. საჭიროა, აგრეთვე, ფლორისა და ფაუნის სახეობებისა და გარემოს დაცვის შესახებ ადგილობრივი, ეროვნული ან რეგიონული კანონებისა და საერთაშორისო შეთანხმებების დაცვა.

2.8. მოქმედი კოლექციები

კოლექციების შესახებ სახელმწიფოს პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს განსაკუთრებულ მიდგომას გარკვეული ტიპის მუზეუმებისადმი, სადაც უპირატესობა ენიჭება უფრო კულტურულ, სამეცნიერო ან ტექნიკურ მოვლენებს ვიდრე ნივთს, ან სადაც საგნები და ნიმუშები გამოიყენება მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის (2.1).

2.9. შეძენის შემთხვევები, რომლებიც სცდება კოლექციების შესახებ მუზეუმის პოლიტიკის ფარგლებს

შეძენა, რომელიც არ ჯდება მუზეუმის მიერ დეკლარირებული პოლიტიკის ფარგლებში, უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლისის სახით. ამ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია სპეციალისტების თვალსაზრისი ნივთისა თუ ნიმუშის შესახებ, გასარკვევია მისი მნიშვნელობა ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობისათვის. საჭიროა, აგრეთვე დაინტერესებული მხარეებისა და იმ მუზეუმების სპეციფიკური ინტერესების გათვალისწინება, რომლებიც აგროვებენ ამავე ტიპის ნიმუშებს. დაუშვებელია ისეთი ნივთების შეძენა, რომელთა კუთვნილების საკითხი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არ არის.

2.10. ხელმძღვანელი ორგანოს წევრების ან მუზეუმის თანამშრომელთა მიერ ნივთების შეძენა

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ხელმძღვანელი ორგანოს წევრების, მუზეუმის თანამშრომლების, მათი ოჯახებისა ან ახლობლების მიერ მუზეუმისათვის ნივთის მიყიდვის, ჩუქების ან სხვა ნების-

მიერი ფორმით შეთავაზების შემთხვევაში, თუკი ეს აქტი ამ პირებისათვის საგადასახადო შეღავათების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

კოლექციების გასხვინება

2.12. გასხვისების კანონიერი და სხვა შემთხვევები

იმ შემთხვევაში, თუკი მუზეუმს გააჩნია გასხვისების იურიდიული უფლება, ან თუ ნივთი შექნილია შესაძლო გასხვისების პირობით, მუზეუმი ვალდებულია მკაცრად დაიცვას კანონის და ყველა სხვა მოთხოვნა და პროცედურა. თუ საწყისი შექნის პირობა გარკვეულ შემზღვევებთან იყო დაკავშირებული, ისინი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვევითაა დასაბუთებული აღნიშნული პირობების შესრულების შეუძლებლობა ან, თუ მათი დაცვა პრინციპულად მიუღებელია დანესებულებისათვის. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც - მუზეუმის გათავისუფლება მსგავსი შემზღვევებისაგან შეიძლება მხოლოდ სათანადო იურიდიული პროცედურების დაცვის გზით.

2.13. მუზეუმის კოლექციების გასხვისება

ნივთისა და ნიმუშის კოლექციიდან ამოღება უნდა მოხდეს მხოლოდ მათი მნიშვნელობის, კოლექციების ხასიათის (განახლებადია თუ არა) და მუზეუმის პასუხისმგებლობის იურიდიული ნორმების შესაბამისად. დაუშვებელია, რომ გასხვისების ფაქტმა გამოიწვიოს გაუგებრობა ან განხორციელდეს საზოგადოებრივი ინტერესის უგულვებლყოფით.

2.14. გასხვისებასთან დაკავშირებული ვალდებულებანი

გასხვისების შესახებ გადანყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა აკისრია ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც მოქმედებს მუზეუმის დირექტორთან და აღნიშნული კოლექციის მცველთან შეთანხმებით. შესაძლოა მოქმედი კოლექციებისათვის დაშვებული იქნეს სპეციფიკური პირობები.

2.15. კოლექციიდან ამოღებული ცალკეული ნივთების გასხვისება

ყველა მუზეუმს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს პოლიტიკა ცალკეული ნივთის კოლექციებიდან საბოლოოდ ამოღების შესახებ, იქნება ეს ჩუქება, გადაცემა, ამოღება, რაც გულისხმობს საკუთრების უფლების გადაცემას სხვა მიმღები პირისათვის. გასხვისების შესახებ ნებისმიერი გადანყვეტილება უნდა გაფორმდეს დეტალური წერილობითი ანგარიშის სახით, სადაც აღწერილი იქნება თითოეული ნივთი და განხილული იქნება მათი მომავალი ბედი. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ გასხვისება უნდა მოხდეს სხვა მუზეუმის უპირატესი შესყიდვის უფლების გათვალისწინებით და მის სასარგებლოდ.

2.16. კოლექციების გასხვისებიდან შემოსული მოგება

იმის გამო, რომ სამუზეუმო კოლექციები წარმოადგენს საერთო-საზოგადოებრივ საკუთრებას, დაუშვებელია მათი ფინანსური აქტივის სახით განხილვა. კოლექციიდან ნივთის გასხვისების შედეგად შემოსული თანხები ან კომპენსაცია უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ სამუზეუმო კოლექციებს, კერძოდ, ახალი ნივთების შექენას.

2.17. კოლექციებიდან ამოღებული ნივთების შექენა

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა, ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლებმა, მათი ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა შეიძინონ იმ კოლექციებიდან ამოღებული ნივთები, რომლებზედაც ვრცელდება ამ პირების პასუხისმგებლობა.

კოლექციების დაცვა

2.18. კოლექციების მუდმივობა

მუზეუმის პოლიტიკით განსაზღვრული უნდა იყოს, რომ სამუზეუმო (მუდმივი თუ დროებითი) კოლექციები, ასევე, მათთან დაკავშირებული, კორექტულად შედგენილი ყოველგვარი საბუთი, მომავალ თაობებს უნდა გადაეცეს რაც შეიძლება საუკეთესო მდგომარეობაში. ყოველივე

ეს უნდა კეთდებოდეს ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებისა და ცოდნის გამოყენებით.

2.19. კოლექციებზე პასუხისმგებლობის სხვაზე გადაცემა

კოლექციების დაცვის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს აუცილებელი ცოდნითა და კომპეტენციით აღჭურვილ, ან სათანადოდ მომზადებულ პირებს (8.11).

2.20. კოლექციების დოკუმენტაცია

სამუზეუმო კოლექციების დოკუმენტირება უნდა ხდებოდეს მიღებული პროფესიული ნორმების შესატყვისად. დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ყველა ნივთის, მისი თითოეული ნაწილისა თუ მასთან დაკავშირებული ელემენტის სრულ აღწერას, ინფორმაციას მისი წარმომავლობის, დაცულობის მდგომარეობის, "ქირურგიული ჩარევისა" და შენახვის ადგილის შესახებ. დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს უსაფრთხო ადგილას და აღჭურვილი იყოს საძიებო სისტემით, რათა მუზეუმის თანამშრომლებსა და მისი გაცნობის ნებართვის მქონე სხვა მომხმარებლებს გაუადვილდეთ მასალის ნახვა.

2.21. კატასტროფებისაგან დაცვის ღონისძიებები

ცალკე უნდა შემუშავდეს შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაზიანების თუ სხვა ადამიანური ფაქტორის ან სტიქიური უბედურებისაგან კოლექციების დაცვის პოლიტიკა.

2.22. კოლექციებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის უსაფრთხოება

როდესაც კოლექციებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება და კონტროლია საჭირო, რომ არ მოხდეს პირადი ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება.

2.23. პრევენციული კონსერვაცია

პრევენციული კონსერვაცია არის სამუზეუმო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი კოლექციების დაცვის საქმეში. სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლების ვალდებულებაა მუზეუმის ექსპოზიციებში, საცავებში თუ ტრანსპორტირებისას, მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ კოლექციებს შეუქმნან და შეუნარჩუნონ დაცვის აუცილებელი გარემო-პირობები.

2.24. კოლექციების კონსერვაცია და რესტავრაცია

მუზეუმის მოვალეობაა, რეგულარულად ადევნოს თვალყურს კოლექციებს, რათა საჭიროების შემთხვევაში, პროფესიონალმა კონსერვატორ-რესტავრატორმა დროულად აღმოუჩინოს კვალიფიციური დახმარება ექსპონატს. ამგვარი ჩარევის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ნივთისა თუ ნიმუშის მდგომარეობის სტაბილიზება. კონსერვაციის ყოველი მეთოდი მაქსიმალურად შექცევადი და დანვრილებით დოკუმენტირებული უნდა იყოს. ნათლად უნდა განირჩეოდეს ნივთისა თუ ნიმუშის ნებისმიერი გარეგნული ტრანსფორმაცია.

2.25. ცხოველებისათვის ბუნებრივ საარსებო გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნის აუცილებლობა

მუზეუმს, რომელსაც ჰყავს ცხოველები, აკისრია სერიოზული ვალდებულება იზრუნოს მათ ჯანმრთელობაზე და შეუქმნას საარსებო გარემოსთან მიახლოებული პირობები. მუზეუმმა უნდა შეიმუშაოს დამთვალეიერებელთა, მომსახურე პერსონალისა და ცხოველების უსაფრთხოების კოდექსი, რომელიც მოწონებული უნდა იქნეს ვეტერინარული სამსახურის სპეციალისტის მიერ. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს ყოველი გენეტიკური ცვლილების იდენტიფიცირება.

2.26. მუზეუმების კოლექციების გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა, ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლებმა, მათი ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა

პირადი მოხმარებისათვის (თუნდაც დროებით) გამოიყენონ მუზეუმის კუთვნილი ნივთები.

3. მუზეუმი უნდა უზრუნველყოს ნივთიერი მასალის განათლებისა და ცოდნის გარეგანი გავრცელების მიზნით

მთავარი პრინციპი: მუზეუმებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია საზოგადოების წინაშე უმნიშვნელოვანესი ნივთიერი მასალის დაცვის, მისაწვდომობისა და ინტერპრეტაციის საქმეში.

უზრუნველყოს ნივთიერი მასალის

3.1. კოლექციების უმნიშვნელოვანესი ნივთიერი მასალის ერთობლიობა

მუზეუმის პოლიტიკაში კოლექციების შესახებ ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი მათი, როგორც პირველხარისხოვანი ნივთიერი მასალის მნიშვნელობა. და ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული დროებით ინტელექტუალურ ტენდენციებზე ან მუზეუმის ტრადიციაზე.

3.2. კოლექციების ხელმისაწვდომობა

მუზეუმების სპეციფიკური ვალდებულებაა, თავისუფლად ხელმისაწვდომი გახადონ კოლექციები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; მაგრამ, ამავე დროს, უნდა გაითვალისწინონ კონფიდენციალურობისა და უშიშროების ნორმები.

კოლექციების შევსება და კვლევა მუზეუმში

3.3. შეგროვება საეფელე პირობებში

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექციის გამდიდრების მიზნით, მუზეუმი აპირებს საეფელე სამუშაოების დაგეგმვას, მას წინასწარ უნდა აქონდეს შემუშავებული ამ საქმიანობის შესატყვისი პოლიტიკა, სადაც

გათვალისწინებული იქნება, როგორც სამეცნიერო ნორმები, ასევე, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნები. სავსე პირობებში შეგროვება აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისის, კულტურული ტრადიციების პატივისცემითა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით. ამასთან, საჭიროა გარკვეული ძალისხმევა მოპოვებული მასალის სათანადოდ პოპულარიზაციისათვის.

3.4. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნივთიერი საბუთების შეგროვების საგანგებო შემთხვევები

არის შემთხვევები, როდესაც გაურკვეველი წარმომავლობის ნივთი ან ნიმუში თავისთავად იმდენად საინტერესოა შესასწავლად, რომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო ხდება მისი შენარჩუნება. ამ ნივთის შექენაზე მუზეუმის თანხმობა დამოკიდებულია შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიუკერძოებელ და ობიექტურ, მხოლოდ სამეცნიერო ინტერესით განპირობებულ გადაწყვეტილებაზე (2.11).

3.5. კვლევა

კვლევითი სამუშაოები, რომლებსაც მუზეუმის თანამშრომლები აწარმოებენ, უნდა ეთანხმებოდეს მუზეუმის მიზნებსა და ამოცანებს, არსებულ იურიდიულ, ეთიკურ და სამეცნიერო ნორმებს.

3.6. კვლევის დესტრუქციული მეთოდები

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმი მიმართავს კვლევის ე.წ. დესტრუქციულ მეთოდებს, ინფორმაცია ასეთი ანალიზისა და კვლევის შედეგებზე, ისევე, როგორც ყველა პუბლიკაცია, აუცილებლად უნდა შევიდეს ნივთის დაცულობის მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციაში.

3.7. ადამიანის ნაშთები და საკრალური ნივთები

ადამიანის ნაშთებისა და საკრალური მნიშვნელობის მქონე ნივთების გამოკვლევა უნდა ხდებოდეს პროფესიული ნორმების დაცვით, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენის და ამასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

3.8. კვლევითი სამუშაოების ჩატარების უფლება

როდესაც მუზეუმის მუშაკები ამზადებენ ნივთებს პრეზენტაციისათვის, ან საველე პირობებში აწარმოებენ ანკეტირებასა და დოკუმენტირებას, სავალდებულოა მკაფიოდ ფორმულირებული შეთანხმების გაფორმება იმ მუზეუმთან, რომელიც პასუხისმგებელია ჩატარებულ სამუშაოზე.

3.9. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულები არიან, საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ თავიანთ კოლეგებს, შესაბამისი დარგების მკვლევარებსა და სტუდენტებს. პატივი სცენ და წარმოაჩინონ პიროვნებები, რომელთაგანაც მიღებული აქვთ ცოდნა; სხვებსაც გააცნონ ტექნიკის უახლესი მიღწევები და მათი გამოყენების გამოცდილება.

3.10. მუზეუმებს შორის და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობა

სავალდებულოა, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა ხელი მოაწერონ შეთანხმებას მსგავსი ინტერესების და კოლექციების შეგროვების პრაქტიკის მქონე სხვა მუზეუმებსა და დაწესებულებებთან ურთიერთ-კოორდინირებული მუშაობის შესახებ. განსაკუთრებით სასურველია საუნივერსიტეტო და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სადაც შესაძლებელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კოლექციებისა და ნივთების კვლევა.

4. მუზეუმები ხელს უწყობენ ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების აღქმას, შესწავლასა და პოპულარიზაციას

მთავარი პრინციპი: მუზეუმებს აკისრია ძალზე მნიშვნელოვანი კალდებულება, განავითაროს თავისი აღმზრდელობითი როლი და ჰოიზიდოს საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენები: სხვადასხვა ჭიპის გაერთიანებები, ადგილობრივი მოსახლეობა თუ ლოკალური ჯგუფები. მათთან თანამშრომლობა და მათი მემკვიდრეობის გამოვლენა მუზეუმის საგანმანათლებლო ფუნქციის განუყოფელი ნაწილია.

პრეზენტაცია და ექსპონირება

4.1. პრეზენტაციები, გამოფენები და სპეციალური აქტივობები

მატერიალური თუ ვირტუალური ხასიათის პრეზენტაციები და დროებითი გამოფენები უნდა შეესაბამებოდეს მუზეუმის მიერ დეკლარირებულ მიზნებს, პოლიტიკასა და ამოცანებს. დაუშვებელია, რომ ამ ღონისძიებებმა ზიანი მიაყენოს კოლექციების ხარისხს, მათი დაცვისა და შენახვის პირობებს.

4.2. ექსპონატების ინტერპრეტაცია

მუზეუმი ვალდებულია, რომ გამოფენილი ექსპონატების შესახებ ნებისმიერი ტექნიკური საშუალებითნარმოდგენილი ინფორმაცია იყოს დასაბუთებული და ზუსტი; აგრეთვე, იძლეოდეს შესაბამის ცნობებს ამ მასალით ნარმოდგენილი საზოგადოების ჯგუფებისა და მათი რწმენის შესახებ.

4.3. სათუთი ნიმუშების ექსპონირება

ადამიანის ნაშთებისა და საკრალური ნივთების ექსპონირება უნდა ხდებოდეს პროფესიული ნორმების დაცვით, ტაქტითა და ადამიანური ღირსების პატივისცემით, იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების რწმენისა და ინტერესების (თუკი ისინი ცნობილია) გათვალისწინებით,

საიდანაც ეს ნივთები მომდინარეობს.

4.4. საჯარო პრეზენტაციაზე უარის თქმა

მუზეუმი ვალდებულია გულისხმიერებით, პატივისცემითა და გაგებით მოეკიდოს კონკრეტული ჯგუფების მოთხოვნას მათგან მომდინარე საკრალური ნივთებისა და ადამიანების ნაშთების ექსპოზიციიდან ამოღების შესახებ. ასეთივე მიდგომაა საჭირო ნივთების დაბრუნების თხოვნის შემთხვევაშიც. მუზეუმის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს მსგავს სიტუაციებს და მკაფიოდ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, თუ როგორ მოიქცეს ასეთ შემთხვევაში.

4.5. გაურკვეველი წარმომავლობის ნიმუშების პრეზენტაცია

მუზეუმმა თავი უნდა შეიკავოს გაურკვეველი წარმომავლობის ნიმუშების პრეზენტაციისა და გამოყენებისაგან. მას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მსგავსი მასალის გამოფენამ ან რაიმე სხვა სახით გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კულტურული ფასეულობებით არაკანონიერ ვაჭრობას.

სსპა რისურსები

4.6. პუბლიკაცია

მუზეუმის მიერ ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით გამოქვეყნებული ყველა ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და ობიექტური, უნდა ემყარებოდეს კომპლექსური სამეცნიერო კვლევის შედეგებს, შეიცავდეს ინფორმაციას იმ ჯგუფებსა და მათ რწმენაზე, ვისგანაც მომდინარეობს გამოფენილი მასალა. მუზეუმის პუბლიკაციები არაფრით უნდა ეწინააღმდეგებოდეს დანებსებულების მიერ აღიარებულ ნორმებს.

4.7. რეპროდუქციები

მუზეუმის მიერ კოლექციის ექსპონატთა რეპლიკების, რეპროდუქციების ან ასლების დამზადების შემთხვევაში, აუცილებელია ასლი შეესაბამებოდეს ორიგინალს და ნაწარმზე აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ფაქსიმილე.

5. მუზეუმები ფლობენ რასურსებს, საზოგადოების სასარგებლოდ სერვისის გაწარმოებისათვის

მთავარი პრინციპები: მუზეუმები იყენებენ სპეციალობების, კომპეტენციების და მატერიალური რესურსების ფართო სპექტრს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საკუთრივ მუზეუმის ფარგლებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს რესურსებისა და მომსახურების გადანაწილება და შედეგად - მუზეუმის აქტივობების გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში არ მოხდეს მუზეუმების მიზნებისა და ინტერესების იგნორირება.

საიდენტიფიკაციო სერვისი

5.1. არალეგალურად შექმნილი ნივთების იდენტიფიკაცია

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმს გააჩნია ნივთების საიდენტიფიკაციო სამსახური, დაუშვებელია მისი გამოყენება მუზეუმისათვის პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლის მისაღებად. არ შეიძლება საექვო წარმომავლობის ანუ არალეგალურად შექმნილი, გადაცემული ან გატანილი ნივთის იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება სათანადო კომპეტენციის მქონე სამსახურების მიერ ამ ნივთების კონფისკაციამდე.

5.2. აუთენტიფიკაცია და შეფასება

მუზეუმს შეუძლია ჩაატაროს საკუთარი კოლექციების ექსპერტიზა. სხვა ნივთების მონეტარული ღირებულების დადგენა მუზეუმს

შეუძლია მხოლოდ სხვა მუზეუმის, იურიდიული, სამთავრობო ან სხვა საჯარო სამსახურების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმი თვითონ არის რაიმე ახალი ნივთის ან ნიმუშის მიმღები, ექსპერტიზისათვის უნდა მიმართოს დამოუკიდებელ საექსპერტო სამსახურს.

6. მუზეუმები მჭიდროდ თანამშრომლობენ საზოგადოების იმ ჯგუფებთან და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებებთან, საიდანაც მომდინარეობს მათი კოლექციები და აგრეთვე, ემ- სახსრებიან მათ

მთავარი პრინციპები: მუზეუმების კოლექციების მნიშვნელობა სცილდება ჩვეულებრივი საკუთრების ფარგლებს, რადგანაც ისინი წარმოადგენს ბუნების და მთელი იმ საზოგადოების კულტურულ მემკვიდრეობას, საიდანაც წარმოდგება და ამდენად ეროვნული, რეგიონული, ლოკალური, ეთნიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური იდენტურობის გამომხატველია; ყოველივე ამის გათვალისწინება წარმოადგენს მუზეუმების მნიშვნელოვან ვალდებულებას.

კოლექციების წარმომავლობა

6.1. თანამშრომლობა

მუზეუმებმა ცოდნა კოლექციებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესახებ უნდა გაუზიარონ იმ ქვეყნებსა თუ რეგიონების მუზეუმებსა და სხვა კულტურულ დანესებულებებს, საიდანაც მათი ეს ექსპონატები წარმოდგება. მიზანშეწონილია თანამშრომლობის განვითარება იმ ქვეყნებთან და რეგიონებთან, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

6.2. კულტურულ ფასეულობათა დაბრუნება

მუზეუმი განწყობილი უნდა იყოს კულტურულ ფასეულობათა დაბრუნების შესახებ დიალოგის წარსამართავად იმ ქვეყანასა თუ

რეგიონთან, საიდანაც ეს ფასეულობები მომდინარეობს. ეს დიალოგი უეჭველად უნდა იყოს მიუკერძოებელი, ემყარებოდეს მეცნიერულ, პროფესიულ და ჰუმანიტარულ პრინციპებს და ხორციელდებოდეს ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის სათანადო დებულებების გათვალისწინებით (სასურველია მოქმედება სამთავრობო და პოლიტიკურ დონეებზე).

6.3. კულტურულ ფასეულობათა რესტიტუცია

როდესაც რომელიმე ერი ან ჯგუფი სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე ითხოვს საერთაშორისო თუ ეროვნული შეთანხმებების დარღვევით გატანილი, ან სხვა უკანონო გზით გადაცემული ნივთის ან ნიმუშის დაბრუნებას და როდესაც დასაბუთებულია, აგრეთვე, რომ ეს ნივთები ან ნიმუშები ნამდვილად მათი კულტურის თუ ბუნების მემკვიდრეობას წარმოადგენს, მაშინ მუზეუმმა, თუკი კანონი მას ამის საშუალებას აძლევს, სწრაფად უნდა მიიღოს სათანადო ზომები ნივთების დაბრუნების ხელშესაწყობად.

6.4. დაპყრობილი ქვეყნიდან მომდინარე კულტურული ფასეულობები

მუზეუმებმა თავი უნდა შეიკავონ ოკუპირებული ქვეყნიდან მომდინარე ნივთების შექცენისგან. აგრეთვე მკაცრად უნდა დაიცვან საერთაშორისო შეთანხმებები ბუნებისა და კულტურის ფასეულობათა გატანის, შემოტანისა და გადაცემის შესახებ.

მუზეუმი პატივს სცემს საზოგადოების იმ ჯგუფებს და სხვადასვა ტიპის გაერთიანებებს, რომლებსაც ემსახურება

6.5. დღეს არსებული გაერთიანებები

თუ მუზეუმს განზრახული აქვს ითანამშრომლოს საზოგადოების რომელიმე ჯგუფთან და შეიძინოს მისი მემკვიდრეობა, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ნათლად ჩამოყალიბებული, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, როდესაც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ინტერესები, მესაკუთრისა და ინფორმატორის ინტერესთა ჩათვლით. უპირატესი უნდა იყოს ამ ჯგუფისა თუ გაერთიანების სურვილი.

6.6. მუზეუმის საქმიანობის და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებების დაფინანსება

მუზეუმის მიერ თანხების მოზიდვისას იმ ღონისძიების დასაფინანსებლად, რომელშიც განზრახულია არსებული გაერთიანების მონაწილეობა, სავალდებულოა ამ გაერთიანების ინტერესების გათვალისწინება (1.10).

6.7. დღეს არსებული ჯგუფებისა და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებებიდან მომდინარე კოლექციების გამოყენება

დღეს არსებული ჯგუფებისა და გაერთიანებებიდან მომდინარე კოლექციების გამოყენება უნდა მოხდეს ადამიანური ღირსების და ამ საზოგადოების კულტურისა და ტრადიციებისადმი პატივისცემით, მათი ყოფისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით – ტოლერანტობის, პატივისცემის გრძნობის, მულტსოციალური, მულტიკულტურული და მულტილინგვისტურია ურთიერთობების განვითარებისათვის. (4.3).

6.8. დამხმარე ორგანიზაციები

მუზეუმები უნდა ცდილობდნენ სასურველი გარემო შექმნან საზოგადოებრივი დახმარების პროგრამების ასამოქმედებლად (მაგ. მუზეუმების მეგობართა და სხვა ხელშემწყობი ასოციაციებისათვის). საჭიროა ამ ურთიერთობების ოფიციალურად გაფორმება და ამ ასოციაციებსა და მუზეუმის პერსონალს შორის ჰარმონიული ურთიერთობების ხელშემწყობა და განვითარება.

7. მუზეუმები მოქმედებენ კანონის ფარგლებში

მთავარი პრინციპები: მუზეუმებმა უნდა იმოქმედონ საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი კანონმდებლობისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. ამასთანავე, ხელმძღვანელი ორგანო უნდა ასრულებდეს მუზეუმების მართვის, სამუზეუმო კოლექციების და

მუზეუმების ფუნქციონირების შესახებ არსებული კანონებით ან სხვა კირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საკანონმდებლო ბაზა

7.1. ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა

მუზეუმებმა უნდა იმოქმედონ ადგილობრივი და ეროვნული კანონების შესატყვისად; აგრეთვე უნდა სცნონ იმ სახელმწიფოთა კანონები, რომელ სახელმწიფოებთანაც მათ მოუწევთ თანამშრომლობა.

7.2. საერთაშორისო კანონმდებლობა

მუზეუმის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს იმ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს ნორმას ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის გაგებისათვის. ეს დოკუმენტებია:

კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (ჰააგის კონვენციის 1956 და 1999 წლების პროტოკოლები);

UNESCO-ს კონვენცია კულტურულ ფასეულობათა უკანონო იმპორტის (შემომტანის), ექსპორტისა (გატანის), და ტრანსფერის (გადაცემის) აკრძალვის შესახებ (1970 წ.);

კონვენცია გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (ვაშინგტონი, 1973 წ.);

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1992 წ.);

IDRIOT-ის კონვენცია მოპარული და უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობების შესახებ (1995 წ.);

UNESCO-ს კონვენცია წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2001 წ.)

UNESCO-ს კონვენცია სულიერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (2003 წ.);

8. მუზეუმები მოქმედებენ პროფესიულად

მთავარი პრინციპი: სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულებაა დაიცვან არსებული წესები და კანონები და საკუთარი პროფესიული ღირსება, საზოგადოებას აარიდონ ყოველგვარი არაკანონიერი, არაპროფესიული და არაეთიკური ქმედება; ყველა ღონე იხმარონ, რომ გააცნობიერებინონ მას სამუზეუმო პროფესიის მიზნები, ამოცანები და მუზეუმის როლი საზოგადოების განვითარების საქმეში.

პროფესიული ქცევა

8.1. შესაბამისის კანონების ცოდნის აუცილებლობა

სამუზეუმო პროფესიის ყველა წარმომადგენელი უნდა ერკვეოდეს დარგის პოლიტიკაში, იცნობდეს შესაბამის ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონებს და მათი გამოყენების პირობებს. ეს მუზეუმის პროფესიონალს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს იმგვარი სიტუაცია, რომლის პირობებშიც მისი საქციელი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც კანონსაწინააღმდეგო.

8.2. პროფესიული პასუხისმგებლობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულებაა დაიცვან საკუთარი დანესებულების პოლიტიკა და სავალდებულო პროცედურები. მათ შეუძლიათ არ დაეთანხმონ ისეთ წინადადებებსა და ქმედებებს, რომლებიც ობიექტურად საზიანოა მუზეუმისათვის და ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს.

8.3. პროფესიული ქცევა

კანონზე დაფუძნებული დამოკიდებულება კოლეგებისა და დამჭირავებელი მუზეუმის მიმართ არის საერთო და მნიშვნელოვანი პროფესიული ვალდებულება და მთლიანად ეფუძნება პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ მოთხოვნებს. მუზეუმის პროფესიონალის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსის ნორმებს, აგრეთვე, მუზეუმებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და ეთიკის სხვა კოდექსებს.

8.4. ინტელექტუალური და სამეცნიერო პასუხისმგებლობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ ექსპონატებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოკვლევას, დაცვასა და გამოყენებას. აქედან გამომდინარე, მათ თავიდან უნდა აიცილონ ისეთი საქმიანობა თუ სიტუაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ინტელექტუალური და სამეცნიერო მონაცემების დაკარგვა.

8.5. უკანონო ვაჭრობა

დაუშვებელია, სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობა ბუნებისა და კულტურული ფასეულობების სპეკულაციასა და არაკანონიერ ვაჭრობაში.

8.6. კონფიდენციალურობა

სამუზეუმო პროფესიის წარმომადგენელთა ვალდებულებაა დაიცვან მუშაობის პროცესში მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალურია ინფორმაცია მუზეუმისათვის საინფორმაციო გადაცემული ნივთების შესახებაც; დაუშვებელია მისი გამოქვეყნება, სხვა დანებსებულებისა ან პირისათვის გადაცემა ამ ნივთის მესაკუთრის სპეციალური ნებართვის გარეშე.

8.7. მუზეუმისა და კოლექციების უსაფრთხოება

მუზეუმის პროფესიონალთა ვალდებულებაა დაიცვან ინფორმაცია მუზეუმებისა და კოლექციების უსაფრთხოების, აგრეთვე, კერძო პირების კუთვნილი საცავების შესახებ, რომელთა მონახულება მათ უხდებათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, რადგანაც ეს ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია.

8.8. გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც არ არის საჭირო კონფიდენციალურობის დაცვა

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ გამორიცხავს ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას მოპარული ან არალეგალუ-

რად შექმნილი თუ გასხვისებული ნივთების შესახებ პოლიციის ან სათანადო კომპეტენციის ორგანოებისათვის, მათთვის დახმარების განწვევის მიზნით.

8.9. პირადი დამოუკიდებლობა

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი ფლობს დამოუკიდებლობის გარკვეულ ხარისხს, მუზეუმის თანამშრომელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ყოველი კერძო, თუ არასამსახურეობრივი პროფესიული საქმიანობა, გამორიცხულია, რომ გარკვეულწილად არ დაუკავშირდეს მისი დანესებულების საქმიანობას.

8.10. პროფესიული ურთიერთობები

სამუზეუმო დარგის წარმომადგენლებს, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალ ადამიანთან უნევთ სწავიანი კონტაქტების დამყარება საკუთარ დანესებულებაში თუ მის გარეთ; იგულისხმება, რომ პროფესიულ სამსახურს ისინი გასწევენ კვალიფიციურად და მაღალ დონეზე.

8.11. პროფესიული თანამშრომლობა

იმ შემთხვევაში, როდესაც მუზეუმის თანამშრომელს არ გააჩნია სათანადო კომპეტენცია ეფექტური გადწყვეტილების მისაღებად, მისი პროფესიული ვალდებულებაა კონსულტაციისათვის მიმართოს კოლეგებს დანესებულების შიგნით, თუ მის გარეთ.

ინტერესთა კონფლიქტი

8.12. ჩუქება, ძღვენი. სესხება ან სხვა პირადი სარგებელი

დაუშვებელია, რომ მუზეუმის თანამშრომელმა მიიღოს საჩუქარი, დახმარება, სესხი ან რაიმე სხვა პირადი სარგებელი, რომელიც მას შესაძლოა შესთავაზონ მისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო. პროფესიული თავაზიანობა უშვებს საჩუქრის მიღებებს ან მიღებას, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს მხოლოდ შესაბამისი დანესებულების სახელით.

8.13. გარეშე სამსახური

მიუხედავად იმისა, რომ სამუზეუმო საქმის პროფესიონალებს აქვთ გარკვეული პირადი დამოუკიდებლობა, მათ შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ მუზეუმს გარეთ ამ პროფესიულ სფეროში მათი კერძო სამსახური ან სხვა საქმიანობა, შეუძლებელია სრულიად დამოუკიდებელი იყოს მათი დაწესებულების საქმიანობისაგან. ამიტომ ისინი არ უნდა დათანხმდნენ გარეშე შემოსავალს და მუზეუმის გარეთ მათ არ უნდა დაიკავონ რაიმე ხელფასიანი ადგილი, რაც იქნება, ან შეიძლება ჩაითვალოს მუზეუმის ინტერესის საწინააღმდეგოდ.

8.14. კულტურისა და ბუნების მემკვიდრეობის ნიმუშებით ვაჭრობა

დაუშვებელია მუზეუმის პროფესიონალის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობა კულტურისა თუ ბუნების მემკვიდრეობის ნიმუშებით ვაჭრობაში (იგულისხმება ყიდვა ან გაყიდვა პირადი მოგების მიღების მიზნით).

8.15. მოვაჭრეებთან ურთიერთობა

დაუშვებელია, რომ მუზეუმის პროფესიონალმა მოვაჭრისაგან, გამყიდველისაგან ან აუქციონის კომისრისაგან მიიღოს ნებისმიერი ფორმით შეთავაზებული საჩუქარი, ძღვენი, ან მონაწილეობა მიიღოს რაიმე გარიგებაში, რომლის მიზანია კანონის შემოვლით ნივთის ყიდვის, გაყიდვის ან მუზეუმის ადმინისტრაციისაგან რაიმე უფლების ან ნებართვის მოპოვება. სრულიად დაუშვებელია, აგრეთვე, რომ მან ნივთის შექენით ან გაყიდვით დაინტერესებულ პიროვნებასთან რეკომენდაცია გაუწიოს რომელიმე მოვაჭრეს, აუქციონის კომისარს, ან ექსპერტს.

8.16. კერძო კოლექციები

მუზეუმის პროფესიონალმა მუზეუმს ნივთების შექენასა და შეგროვებაში კონკურენცია არ უნდა გაუწიოს. თუ მუზეუმის პროფესიონალი აგროვებს რაიმე კოლექციას, მაშინ ამ პირსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომლის პირობე-

ბის ზედმინევიტ დაცვაც აუცილებელია.

8.17. ICOM-ის სახელისა და ლოგოს გამოყენება

დაუშვებელია, რომ ICOM-ის წევრებმა, “მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს” სახელით, ასევე მისი აბრევიატურა - ICOM-ის ან ორგანიზაციის ლოგო, გამოიყენონ რაიმე კომერციული ოპერაციის ან პროდუქციის რეკლამირებისათვის.

8.18. ინტერესთა სხვა შესაძლებელი კონფლიქტი

პიროვნებასა და მუზეუმს შორის წამოჭრილი რაიმე სხვა კონფლიქტის დროს უპირატესია მუზეუმის ინტერესი.

კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

შემოსავლის მომტანი საქმიანობა

საქმიანობა, რომელსაც დანებსებულებისათვის შეუძლია ფინანსური მოგების ან სარგებლის (შელავათის) მოტანა.

ხელმძღვანელი ორგანო

პირები ან ორგანიზაციები, რომელთაც მუზეუმის იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელი საკანონმდებლო დოკუმენტებით მინიჭებული აქვთ მუზეუმების მუდმივობის, სტრატეგიული განვითარებისა და დაფინანსების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა.

ინტერესთა კონფლიქტი

კერძო ან პირადი პროფესიული სიტუაციის შეფასებისას აზრთა პრინციპული სხვადასხვაობა, რაც თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე.

კონსერვატორ-რესტავრატორი

სათანადო კომპეტენციის მქონე, მუზეუმის ან დამოუკიდებელი მუშაკი, რომელსაც შეუძლია ტექნიკურად გამართულად წარმართოს კულტურულ ფასეულობათა კვლევა, კონსერვაცია, რესტავრაცია და დაცვა (სრული ინფორმაციისათვის იხ. კრებული *es nouvelles de l'ICOM* 39 (1), (გვ. 5-6 1986 წ.).

ექსპერტიზა

ხელოვნებისა და სხვა ნიმუშის იდენტიფიკაცია და მისი ფულადი ღირებულების დადგენა. ზოგიერთ ქვეყანაში ეს არის საგადასახადო შეღავათების მიღების მიზნით საჩუქრად შეთავაზებული ნივთის დამოუკიდებელი შეფასება.

მუზეუმი 1

მუზეუმი არის არაკომერციული, ღია, მუდმივმოქმედი დანესებულება, რომელიც ემსახურება საზოგადოებას და ამ მიზნით შეიძენს, იცავს, შეისწავლის და პოპულარიზაციას უწევს ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს ამსახველ მატერიალურ და არამატერიალურ საბუთებს.

მინიმალური ნორმა

ნორმა, რომლის დაცვას, ჩვეულებრივ, უნდა ცდილობდეს ყველა მუზეუმი და მისი თანამშრომელი. ზოგიერთ ქვეყანას აქვს საკუთარი კრიტერიუმები ამ მოთხოვნების დასადგენად.

თანმიმდევრული და დეტალური გამოკვლევის ვალდებულება

ნივთის შექენამდე ან გამოყენებამდე მისი ისტორიისა და წარმომავლობის თანმიმდევრული და დეტალური გამოკვლევის აუცილებლობა.

არაკომერციული მიზნის მქონე ორგანიზაცია

ოფიციალურად რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომლის შემოსავალი (მოგების ჩათვლით) ხმარდება მხოლოდ ამ ორგანიზაციას და მის ფუნქციონირებას. ტერმინი "კომერციული მიზნის არმქონე" იგივე მნიშვნელობით იხმარება.

კულტურული მემკვიდრეობა

ესთეტიკური, ისტორიული, სამეცნიერო თუ სულიერი ღირებულებების მქონე ნებისმიერი ნივთი თუ კონცეფცია.

ბუნების მემკვიდრეობა

საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ღირებულებისა და სამეცნიერო თუ სულიერი მნიშვნელობის მქონე ბუნების ფენომენი.

მუზეუმის პროფესიონალი 1

მე-2 თავის განსაზღვრების შესატყვისი მუზეუმის ტიპის დანესებულებებისა და მუზეუმების ყველა ხელფასიანი თუ უხელფასო თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება ან გააჩნია მუზეუმის მართვის ან მის რომელიმე სფეროში მუშაობის სათანადო გამოცდილება; აგრეთვე დამოუკიდებელი პირი, რომელიც აღიარებს სამუზეუმო ეთიკის კოდექსს და დგას მუზეუმებისა და ზემოხსენებული დანესებულებების სამსახურში, გარდა სამუზეუმო აღჭურვილობისა და მუზეუმების მომსახურებისათვის განკუთვნილი კომერციული ნაწარმით ვაჭრობისა და გასაღების ხელშეწყობაში ჩართული პირებისა.

ნარმომავლობა

ნივთის სრული ისტორია მისი აღმოჩენისა თუ შექმნის მომენტიდან დღემდე, რაც მისი ავთენტიურობისა და კუთვნილების საკითხის დადგენის საშუალებას იძლევა.

საკუთრების კანონიერი უფლება

კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული საკუთრების უფლება. შესაძლოა ზოგიერთი ქვეყნის კანონებით არ იყოს გათვალისწინებული ნივთის სრული ისტორიის დეტალური გამოკვლევის აუცილებლობა.

საკუთრების ნამდვილი უფლება

კონკრეტული ნივთის სრული ისტორიის დეტალური გამოკვლევის საფუძველზე დადგენილი საკუთრების ნამდვილი უფლება.

კომერციული გარიგება

ნივთის ყიდვა ან გაყიდვა პირადი ან დანესებულებისათვის მოგების მოტანის მიზნით.

შენიშვნა: ICOM-ის სამუზეუმო ეთიკის კოდექსში გამოყენებული ტერმინები მუზეუმი და მუზეუმის პროფესიონალი პირობითი ტერმინებია. ICOM-ის წესდებაში გამოყენებული ტერმინები მუზეუმი და მუზეუმის პროფესიონალი ძალაში რჩება ამ დოკუმენტის საბოლოო შესწორებამდე.

მუხლი 1. სახელწოდება და სამართლებრივი სტატუსი

1. მუზეუმების საერთაშორისო საბჭო (ICOM) არის მუზეუმებისა და სამუზეუმო საქმის პროფესიონალების არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსებულია მუზეოლოგიის და მუზეუმების მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარების ხელშეწყობისათვის.

2. ICOM-ი შედგება წევრებისაგან, რომლებიც ICOM-ის სამდივნოს დახმარებით შეთანხმებულად მოქმედებენ ICOM-ის ეროვნულ და საერთაშორისო კომიტეტებში, ფილიალებსა და რეგიონულ ორგანიზაციებში.

3. ICOM-ის შტაბ-ბინისა და სამდივნოსათვის ადგილის შერჩევა ხდება გენერალური ასამბლეის მიერ UNESCO-სთან შეთანხმებით. შეღავათებისა და პრივილეგიების მოსაპოვებლად ICOM-ი მოქმედებს იმ ქვეყნის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, სადაც მდებარეობს მისი შტაბ-ბინა და სამდივნო.

მუხლი 2. განსაზღვრება

1. მუზეუმი არის საზოგადოებისა და მისი განვითარების სამსახურში მყოფი ღია, მუდმივმოქმედი, არაკომერციული დაწესებულება, რომელიც შეიძენს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ საბუთებს შესწავლის, განათლებისა და საზოგადოებისათვის სიამოვნების მინიჭების მიზნით.

ა) მუზეუმის ზემოთმოყვანილი განსაზღვრება სრულად უნდა გაერცხელდეს შესაბამის დაწესებულებებზე მათი ხელმძღვანელი ორგანოს სტრუქტურის, ტერიტორიული სტატუსის, ფუნქციონირების სისტემისა და კოლექციების პროფილის მიუხედავად.

ბ) გარდა საკუთრივ "მუზეუმებისა", ეს განსაზღვრება ვრცელდება:

1. მუზეუმის ხასიათის მქონე - ბუნების, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ძეგლებსა და ღირსესანიშნაობებზე, რომლებიც შეიძენენ (აგროვებენ), იცავენ და პოპულარიზაციას უწევენ ადამიანის საარსებო გარემოსა და ყოფის ამსახველ ნივთიერ საბუთებს;

II. დაწესებულებებზე, რომლებიც იცავენ და გამოყოფენ მცენარეული და ცხოველური სამყაროს ისეთ ცოცხალ ნიმუშებს, როგორებიცაა ზოოლოგიური პარკები და

ბოტანიკური ბალები, აკვარიუმები, ვივარიუმები;

III. სამეცნიერო ცენტრებსა და პლანეტარიუმებზე;

IV. სახვითი ხელოვნების არაკომერციულ საგამოფენო გალერეებზე, კონსერვაციის ინსტიტუტებზე, ბიბლიოთეკებზე და არქივებს დაქვემდებარებულ მუდმივმოქმედ საგამოფენო გალერეებზე;

V. ბუნების ნაკრძალებზე;

VI. ამავე მუხლში ზემოთ მოცემული განსაზღვრების შესატყვის საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ სამუზეუმო ორგანიზაციებზე, მუზეუმებზე პასუხისმგებელ სამინისტროებზე, დეპარტამენტებზე, სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებზე.

VII. არაკომერციულ დაწესებულებებსა ან ორგანიზაციებზე, რომელთა კომპეტენციაშიც შედის კონსერვაციის, სამეცნიერო კვლევის, განათლების, დოკუმენტირების, კადრების მომზადების, მუზეოლოგიისა და მუზეუმებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

VIII. ულტურის ცენტრებსა და სხვა დაწესებულებებზე, რომელთა მიზანია მატერიალური თუ არამატერიალური მემკვიდრეობის (იგულისხმება, როგორც ცოცხალი მემკვიდრეობის ნიმუშები, ასევე, ციფრული ენით გამოხატული შემოქმედებითი საქმიანობა) დაცვის, არსებობის გახანგრძლივებისა და მართვის ხელშეწყობა.

IX. სხვა დაწესებულებებზე, რომლებსაც აღმასრულებელი საბჭო საკონსულტაციო კომიტეტის ნებართვით მიიჩნევს ზოგიერთი ან ყველა სამუზეუმო ნიშნის მქონე დაწესებულებად, ან ისეთ ორგანიზაციად, რომელიც მუზეუმებს და მუზეუმის სპეციალისტებს ეხმარება მუზეოლოგიურ კვლევაში, განათლებასა და კადრების მომზადებაში.

2. მუზეუმის პროფესიონალებში მოიაზრება მუზეუმების და მე-2 მუხლის § 1-ის განმარტების შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებსაც მიღებული აქვთ სპეციალური განათლება ან გააჩნიათ მუზეუმის მართვისა თუ სამუზეუმო საქმიანობის სხვა ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობის სათანადო პრაქტიკული გამოცდილება. მათ განეუთვნებიან აგრეთვე, დამოუკიდებელი პირები, რომლებიც მუშაობენ მუზეუმებისათვის, როგორც კონსულტანტები ან შემსრულებლები და აღიარებენ წინამდებარე წესდებას და მის თანმხლებ დოკუმენტს - ICOM-ის სამუზეუმო პროფესიული ეთიკის კოდექსს. გამონაკლისია ყველა ის პირი, ვინც ვაჭრობს მუზეუმებისა და მათი მომსახურებისათვის საჭირო ნაწარმით ან აღჭურვილობით, ან ხელს უწყობს ამ საქმიანობას.

3. მოქმედი წესდების თანახმად, ICOM-ის სრულუფლებიან წევრად ჩაითვლება პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ყოველი წლის 1 აპრილამდე იხდის სანევრო გადასახადს და არა აქვს არავითარი დავალიანება.

4. ქვეყანა არის გაეროს ან მისი რომელიმე სპეციალიზებული სამსახურის ან ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წევრი, ან საერთაშორისო სასამართლოს მონაწილე დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მუხლი 3. ICOM-ის მიზნები და უფლებამოსილება

1. ICOM-ის მიზნებია:

ა) ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ყველა კატეგორიის მუზეუმის შექმნას, განვითარებას და პროფესიულ მართვას.

ბ) ფართოდ ცნობილი და გასაგები გახადოს მუზეუმის, როგორც საზოგადოებისა და მისი განვითარების სამსახურში მყოფი დაწესებულების ხასიათი, დანიშნულება და როლი.

გ) ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებისა და მუზეუმის პროფესიონალთა თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

დ) წარმოაჩინოს და დაიცვას მუზეუმის უკლებლივ ყველა სპეციალისტის ინტერესები, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას და წინსვლას.

ე) ხელი შეუწყოს მუზეოლოგიისა და მუზეუმების მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებული დარგების შესახებ ცოდნის გაღრმავებას და განვითარებას.

2. ამ მიზნების მისაღწევად ICOM-ი მოქმედებს იმ სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რომლებიც საჭიროა მისი მოვალეობის სრულყოფილად აღსრულებისათვის.

მუხლი 4. ოფიციალური ენები

1. ICOM-ის ოფიციალური ენები არის ინგლისური და ფრანგული, ისინი სარგებლობენ თანაბარი სტატუსით და ICOM-ის ნებისმიერ საერთაშორისო შეკრებაზე ორგანიზაციის წევრს აქვს უფლება გამოიყენოს რომელიმე მათგანი.

2. გენერალურ ასამბლეას შეუძლია ოფიციალურად აღიაროს სხვა ენაც, თუ ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავენ ორგანიზაციის წევრები.

მუხლი 5. სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობა

1. ICOM-ი მიმართავს აუცილებელ ზომებს, რათა დაამყაროს და განავითაროს საკონსულტაციო თუ სხვა კავშირები UNESCO-სთან. თუ საჭიროდ ჩათვლის, მას შეუძლია ითანამშრომლოს, აგრეთვე იმ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭო – ECOSOC-ი, ICOMOS-ი, ICCR-ი.

2. ICOM-ს შეუძლია გენერალურ ასამბლეაზე მიიწვიოს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებთანაც ამყარებს ურთიერთობას.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც თავმჯდომარის საგანგებო მოთხოვნით საჭიროა კავშირის დამყარება რომელიმე მნიშვნელოვან ორგანიზაციასთან, გენერალური მდივანი ვალდებულია:

ა) წინასწარ შეათანხმოს პირობები;

ბ) ეს პირობები აპრობაციისათვის წარუდგინოს აღმასრულებელ საბჭოს და საკონსულტაციო კომიტეტს;

მუხლი 6. წევრების კატეგორიები

1. ICOM-ის წევრები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად:

ა) ინდივიდუალური წევრები;

ბ) ინსტიტუციური წევრები;

გ) ქველმოქმედი წევრები;

დ) საპატიო წევრები;

ე) სტუდენტი წევრები.

წევრობის რაიმე კატეგორიის მიკუთვნება უნდა ხდებოდეს მე-7 (ინდივიდუალური, ინსტიტუციური, ქველმოქმედი და სტუდენტი წევრები) და მე-8 (საპატიო წევრები) მუხლების გათვალისწინებით.

2. ინდივიდუალური წევრები შეიძლება გახდნენ:

ა) მუზეუმის პროფესიონალები (მუხლი 2, § 2), რომლებიც მუშაობენ მუზეუმში მთელ ან ნახევარ განაკვეთზე;

ბ) პენსიაში გასული მუზეუმის პროფესიონალები;

გ) სხვა პირები, რომლებიც პირადი გამოცდილების, ან ICOM-ის, მისი პროგრამის, საერთაშორისო თუ ეროვნული კომიტეტებისათვის გაწეული სამსახურისათვის შეიძლება ჩაითვალოს ICOM-ის წევრობის ღირსად ეროვნული კომიტეტის წევრობის 10%-იანი ლიმიტის ფარგლებში.

3. ინსტიტუციური წევრები შეიძლება გახდნენ: მუზეუმები, მუზეუმის სტატუსის მქონე დაწესებულებები (წინამდებარე წესდების მუხლი 2, §1), მუზეუმებთან არსებული ან მუზეუმებს დაქვემდებარებული ორგანიზაციები.

4. ქველმოქმედი წევრები შეიძლება გახდნენ პირები ან დაწესებულებები, რომელთა ინტერესების სფეროში შედის მუზეუმების და საერთაშორისო დონეზე მათი თანამშრომლობის განვითარება და რომლებიც ხელს უწყობენ ICOM-ს და მისი მიზნების განხორციელებას.

5. საპატიო წევრები გახდებიან პირები, რომლებმაც განსაკუთრებული სამსახური

გაუწიეს სამუზეუმო საქმეს და ICOM-ს საერთაშორისო დონეზე.

6. სტუდენტ ნევრად გახდომის ნებართვას ეროვნული კომიტეტი გასცემს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი პრინციპების საფუძველზე. სტუდენტ ნევრებს არა აქვთ ხმისა და ICOM-ში რომელიმე არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლება.

მუხლი 7. განევრიანების წესები

1. საპატიო ნევრების გარდა, ICOM-ის ნევრობის მსურველმა ყველა ცალკეულმა პირმა თუ დაწესებულებამ უნდა წარადგინოს სასურველი კატეგორიის მისაღები წესების დაცვით შედგენილი წერილობითი განაცხადი.

2. ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ, ქველმოქმედ თუ სტუდენტ ნევრად გახდომის სურვილის შესახებ განაცხადი უნდა გაეგზავნოს ICOM-ის გენერალურ მდივანს ან იმ ქვეყნის ეროვნულ კომიტეტს, თუკი ასეთი არსებობს, სადაც ცხოვრობს ეს პირი. გენერალური მდივანი მიღებულ განაცხადს განსახილველად წარუდგენს შესაბამისი ქვეყნის ეროვნულ კომიტეტს. ინდივიდუალური ნევრობის მსურველს განაცხადს (მუხლი 6, § 2 გ), უნდა ახლდეს მოთხოვნის გამამყარებელი დოკუმენტაცია.

3. შესაბამისი ეროვნული კომიტეტი განიხილავს ნევრობის მსურველთა ყველა განაცხადს და დააკმაყოფილებს ან უარყოფს მათ მხოლოდ წინამდებარე წესდების მე-6 მუხლის § 2, § 3, § 4 და § 6-ის კრიტერიუმების შესაბამისად. შემზღუდველი პირობა მოცემულია ამავე მუხლის § 5-ში.

4. განმცხადებლის ქვეყანაში ეროვნული კომიტეტის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს აღმასრულებელ საბჭოს.

5. ICOM-ის წევრი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს კერძო პირი ან დაწესებულება (თანამშრომლების ჩათვლით), რომელიც ვაჭრობს (ყიდულობს ან ყიდის პირადი მოგების მიზნით) კულტურის ფასეულობებით, რაც ეროვნული კანონმდებლობის და არსებული საერთაშორისო კონვენციების თანახმად მოიცავს ხელოვნების, ბუნების და მეცნიერების ნიმუშებს (ორიგინალებს ან ასლებს). ეს ეხება, ასევე, იმ პირებს და დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი.

6. განაცხადზე ეროვნული კომიტეტის (საჭიროების შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს) თანხმობისა და წლიური შესატანის გადახდის რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე განმცხადებელი ხდება ICOM-ის წევრი.

7. ეროვნული კომიტეტის მიერ ახალი ნევრების მიღების შემთხვევაში, ნევრების სახელი, ნევრად მიღების თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და მიმდინარე წლის საწევროს გადახდის ქვითრის ასლები უმოკლეს დროში უნდა გადაეგზავნოს ICOM-ის სამდივნოს.

8. ICOM-ის სამდივნომ ახალი წევრისა და მის მიერ გადასახადის გადახდის შესახებ აუცილებელი ცნობების მიღებისთანავე, უმოკლეს ვადაში უნდა გაუგზავნოს მას, როგორც მისი წევრობის, ასევე ყველა სხვა უფლებათა დამადასტურებელი საბუთი.

9. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კომიტეტი არ დააკმაყოფილებს განაცხადს ICOM-ში განწევრიანებაზე, განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა აღმასრულებელი საბჭოს მიერ. ასეთი მოთხოვნა წერილობითი ფორმით უნდა გაეგზავნოს გენერალურ მდივანს, რომელიც აღმასრულებელ საბჭოში საკითხის განსახილველად წარდგენამდე, მოიპოვებს საჭიროდ დამატებით ინფორმაციას. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, საკითხის თავიდან განხილვის შემთხვევაში, საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

მუხლი 8. საპატიო წევრები

1. საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს გენერალური ასამბლეა, აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრის ერთსულოვანი რეკომენდაციის საფუძველზე. კანდიდატურა უნდა წარადგინოს ეროვნული ან საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ ან აღმასრულებელი საბჭოს რომელიმე წევრმა. წარდგენას უნდა ახლდეს იმ განსაკუთრებული ღვაწლის დამამატიკიციებელი ყველა საბუთი, რისთვისაც ანიჭებენ ამ წოდებას.

2. საპატიო წევრის წოდება ენიჭება სამუდამოდ. საპატიო წევრი თავისუფალია ყოველგვარი გადასახადებისაგან. საპატიო წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოცს.

მუხლი 9. წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. ICOM-ის ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური წევრობა სუბიექტს შეიძლება შეუწყდეს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) წევრი წარმოადგენს წერილობით თხოვნას გათავისუფლების შესახებ;

ბ) მიუხედავად ოფიციალური შეტყობინებისა, წევრი არ გადაიხდის წლიურ გადასახადს;

გ) წევრი შეიცვლის პროფესიას;

დ) აღმასრულებელი საბჭო ეროვნული კომიტეტის რეკომენდაციით, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით შეუწყვეტს წევრს უფლებამოსილებას რაიმე სერიოზული მიზეზის გამო. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს პროფესიული ეთიკის უხეშ დარღვევასთან ან ICOM-ის მიზნებისათვის შეუფერებელ ქცევასთან.

მუხლი 10.

ნლიური გადასახდი

1. ყოველი ინდივიდუალური, ინსტიტუციური თუ ქველმოქმედი წევრი იხდის ნლიურ გადასახადს, რომლის ოდენობა ყოველწლიურად 22-ე მუხლის § 1 (ზ)-ს თანახმად განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო;

2. ნლიური გადასახადი ვრცელდება ერთ კალენდარულ წელიწადზე (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) და არაუგვიანეს 1 აპრილისა, გადახდილი უნდა იქნეს იმ ეროვნულ კომიტეტში, რომელსაც ეკუთვნის წევრი, ეროვნული კომიტეტის არარსებობის შემთხვევაში კი - ICOM-ის სამდივნოში.

მუხლი 11.

წევრების უფლებები

1. ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ და ქველმოქმედ წევრს გააჩნია შემდეგი უფლებები:

ა) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს ICOM-ის გენერალური კონფერენციის მუშაობაში;

ბ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს ICOM-ის გენერალური ასამბლეის მუშაობაში;

გ) მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის ეროვნული კომიტეტის საქმიანობაში;

დ) მონაწილეობა მიიღოს მის მიერ შერჩეული, ერთი ან რამოდენიმე საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობაში;

ე) უფასოდ მიიღოს წევრებისათვის განკუთვნილი ბიულეტენები და სხვა პუბლიკაციები.

ვ) ისარგებლოს UNESCO-ICOM-ის მუზეოლოგიის საინფორმაციო ცენტრის სამსახურით.

ზ) მიიღოს ICOM-ის წევრობის ბარათი ნლიური სანევრო გადასახადის მარკებით (ინსტიტუციურ წევრებს ეკუთვნით 3 ბარათი და 3 მარკა).

2. ინდივიდუალური წევრები, რომლებიც რეგულარულად იხდიან სანევროს, შეიძლება წარდგენილ იყვნენ კანდიდატებად შემდეგ არჩევით თანამდებობებზე:

ა) საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის ან აღმასრულებელი საბჭოს წევრის;

ბ) ICOM-ის თავმჯდომარის ან აღმასრულებელი საბჭოს წევრის;

გ) ბიუროს წევრობასა ან თავმჯდომარეობაზე იმ საერთაშორისო თუ ეროვნულ კომიტეტში, რომლის ხმის უფლების მქონე წევრებიც ისინი უკვე არიან (მუხლი 12, § 1 და 2);

დ) იმ რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობასა ან ბიუროს წევრობაზე,

რომლის შემადგენლობაშიც შედის ეროვნული კომიტეტი.

3. სრულუფლებიან ინსტიტუციურ წევრებს, რომლებიც რეგულარულად იხდიან სანევროს, უფლება აქვთ მუზეუმის პროფესიონალთაგან დაასახელონ წარმომადგენლები იმ ეროვნულ თუ საერთაშორისო კომიტეტებში, რომელთა წევრებიც თვითონ არიან, აგრეთვე გენერალურ კონფერენციასა და ასამბლეაზე. ამ კანდიდატებისათვის არ არის აუცილებელი ICOM-ის ინდივიდუალური წევრობა. დასახელებულ კანდიდატთა ვინაობა სიტუაციის მიხედვით უნდა ეცნობოს თავმჯდომარეებს ან გენერალურ მდივანს წერილობით და დანესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით. ინსტიტუციურ წევრთაგან წარდგენილებს აქვთ უფლება, მიიღონ კენჭისყრაში მონაწილეობა შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

ა) ICOM-ის თავმჯდომარის ან აღმასრულებელი საბჭოს წევრის;

ბ) იმ ეროვნული ან საერთაშორისო კომიტეტების თავმჯდომარის ან კომიტეტის ბიუროს წევრის, რომელთა ხმის უფლების მქონე წევრიც არის აღნიშნული დანესებულება (მუხლი 12, §1 და 2).

გ) იმ რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ან ბიუროს წევრის, რომლის შემადგენლობაშიც არის მათი ეროვნული კომიტეტი.

4. ქველმოქმედ წევრებს არ შეუძლიათ რაიმე თანამდებობების დაკავება ICOM-ში.

5. საპატიო წევრები სარგებლობენ ყველა იმ უფლებითა და პრივილეგიით, რაც წინამდებარე მუხლის § 1-შია ჩამოყალიბებული. ისინი უფასოდ იღებენ წევრის ბარათსა და წლიურ მარკას. საპატიო წევრებმა არ შეიძლება დაიკავონ რაიმე თანამდებობა ICOM-ში.

მუხლი 12. ხმის უფლება

1. ეროვნული კომიტეტის ყველა ინდივიდუალურ ინსტიტუციურ სრულუფლებიან წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება, ინსტიტუციური წევრის ხმის უფლებით შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ მის მიერ დასახელებულმა წარმომადგენელმა, რომლის მიერ კენჭისყრის დროს მიღებული გადაწყვეტილება არაფრით ზღუდავს მის ორგანიზაციას ან ადმინისტრაციას.

2. ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ წევრს, რომელიც იხდის სანევროს, აქვს ერთადერთი ხმის უფლება მხოლოდ ერთ საერთაშორისო კომიტეტში. საერთაშორისო კომიტეტის წევრად გახდომის შემთხვევაში მან უნდა დააზუსტოს, სურს თუ არა ხმის უფლებით სარგებლობა ამ კომიტეტში. ყოველი მოთხოვნა საერთაშორისო კომიტეტში ხმის უფლებით სარგებლობის შესახებ უნდა გადაეცეს გენერალურ მდივანს, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს წევრი ხმის უფლებით არ სარგებლობს არც ერთ სხვა საერთა-

პორისო კომიტეტში. ინსტიტუციური წევრის ხმის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ამ დანებებულების მიერ დასახელებულ წარმომადგენელს. იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლების მქონე ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური წევრი ვერ ესწრება საერთაშორისო კომიტეტის სხდომას, მას შეუძლია ამ სხდომაზე თავისი ხმის უფლება გადასცეს კომიტეტის რომელიმე სხვა, ხმის უფლების მქონე წევრს.

3. ინდივიდუალურ თუ ინსტიტუციურ წევრს, რომელიც რეგულარულად იხდის სანევროს, ICOM-ის გენერალურ კონფერენციაზე აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ინსტიტუციური წევრის ხმის უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მის მიერვე დასახელებულ წარმომადგენელს. ამ კონფერენციის არც ერთ ოფიციალურ მონაწილეს არა აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება.

4. გენერალურ ასამბლეაზე ინდივიდუალური და ინსტიტუციური წევრების ხმის უფლების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-19 მუხლის § 6-ში, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებზე – 27-ე მუხლში.

5. ქველმოქმედ და საპატიო წევრებს ICOM-ის გენერალურ კონფერენციაზე ხმის უფლება აქვთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ გააჩნიათ ინდივიდუალური მონაწილის სტატუსი.

მუხლი 13. ICOM-ის შემადგენლობა

1. ICOM-ის შემადგენელი ერთეულებია:

- ა) ეროვნული კომიტეტები;
- ბ) რეგიონული ორგანიზაციები;
- გ) ეროვნული კორესპოდენტები;
- დ) საერთაშორისო კომიტეტები;
- ე) ფილიალები;
- ვ) გენერალური ასამბლეა;
- ზ) გენერალური კონფერენცია;
- თ) საკონსულტაციო კომიტეტი;
- ი) აღმასრულებელი საბჭო
- კ) სამდივნო;
- ლ) UNESCO-ICOM-ის მუზეოლოგიის საინფორმაციო ცენტრი;
- მ) ICOM-ის ფონდი

1. ეროვნული კომიტეტები წარმოადგენს ICOM-ის ძირითად გაერთიანებებს და ICOM-სა და მის წევრებს შორის ურთიერთობის უმთავრეს საშუალებას. ეროვნული კომიტეტი უზრუნველყოფს ICOM-ის ინტერესების გატარებას თავის ქვეყანაში, წარადგენს თავისი წევრების ინტერესებს ICOM-ში, მათ შორის კომიტეტებში წამოჭრილ პროფესიულ საკითხებს და ხელს უწყობს ICOM-ის პროგრამების განხორციელებას.

2. ეროვნული კომიტეტი უნდა იყოს დამაკავშირებელი რგოლი ICOM-ის წევრებსა და შტაბ-ბინას შორის. მისი უმთავრესი მოვალეობაა:

ა) ხელი შეუწყოს ქვეყნის მუზეუმებისა და მუზეუმის პროფესიონალთა ICOM-ში გაწევრიანებას;

ბ) ICOM-ის საკონსულტაციო კომიტეტს, აღმასრულებელ საბჭოს და გენერალურ მდივანს წარუდგინოს ICOM-თან და მის პროგრამებთან დაკავშირებული ყველა წინადადება და მოსაზრება;

გ) გადანყვიტოს ინდივიდუალური, ინსტიტუციური თუ ქველმოქმედი წევრების მიღებისა და სამდივნოსათვის მათი წარდგენის საკითხი;

დ) დაასახელოს ხმის უფლების მქონე წევრები აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებსა და გენერალურ ასამბლეაზე კენჭისყრისათვის;

ე) აღმასრულებელ საბჭოსა და საკონსულტაციო კომიტეტს წარუდგინონ წლიური ანგარიში გასული კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

ვ) აკრიფოს ICOM-ის საწევრო წლიური გადასახადი და გადასცეს იგი სამდივნოს.

3. აღმასრულებელი საბჭოს მიერ ქვეყანაში დაარსებული ეროვნული კომიტეტი შედგება ამ ქვეყანაში მყოფი ICOM-ის ყველა წევრისაგან. კომიტეტი იღებს საკუთარ წესდებებს, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეროვნული კომიტეტების წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ მოდელს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ინდივიდუალური წევრი ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც არ არის ეროვნული კომიტეტი, მას შეუძლია სხვა ქვეყნის ეროვნული კომიტეტისა და აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, გახდეს მისი ეროვნული კომიტეტის თანაწევრი, სადაც იმოღვაწებს, როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენელი, მაგრამ ეს თანაწევრობა ავტომატურად შეწყდება, თუკი მის საკუთარ ქვეყანაში ICOM-ის წევრთა რაოდენობა მიაღწევს ხუთს.

5. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ ქვეყანაში დააარსოს ეროვნული კომიტეტი მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს ამ ქვეყანაში მცხოვრები ICOM-ის, სულ მცირე ხუთი ინდივიდუალური ან ინსტიტუციური წევრის განცხადებას.

6. განცხადების მიღებისთანავე გენერალური მდივანი მას გააცნობს იმავე ქვეყნის მცხოვრებ ICOM-ის ყველა სხვა წევრს და სთხოვს მათ, ოცდაათ დღეში მიანოდონ თავიანთი კომენტარები. გენერალური მდივანი ქვეყანაში მცხოვრები ICOM-ის ყველა დანარჩენი წევრის შენიშვნებთან ერთად განცხადებას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს.

7. თუ აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტს ეროვნული კომიტეტის დაარსებას, გენერალური მდივანი ამ გადაწყვეტილებას გააცნობს შესაბამისი ქვეყნის ICOM-ის დანარჩენ წევრებს და ერთ-ერთ მათგანს ანდობს ეროვნული კომიტეტის პირველი სხდომის ორგანიზებასა და თავმჯდომარეობას. ამ სხდომაზე ირჩევენ აღმასრულებელი ბიუროს წევრებს, თავმჯდომარეს და იღებენ წესდებას.

8. პირველ სხდომაზე არჩეულმა თავმჯდომარემ სხდომის ჩატარების შემდეგ უმოკლეს ხანში გენერალურ მდივანს უნდა მიანოდოს ამ კრების ოქმი, რომელსაც დაურთავს წესდების ასლს და აღმასრულებელი ბიუროს წევრების სიას.

9. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ეროვნული კომიტეტი, იქ მოქმედი ასოციაცია, რომელიც ეროვნულ დონეზე წარმოადგენს მუზეუმებსა და მუზეუმის პროფესიონალებს, შეიძლება გახდეს ICOM-ის ეროვნული კომიტეტი. ამისათვის ასოციაციამ წერილობითი განაცხადით უნდა მიმართოს გენერალურ მდივანს და მიიღოს აღმასრულებელი საბჭოს ნებართვა. ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე არის ICOM-ის წევრი და ასოციაციის წესდება არ ეწინააღმდეგება ICOM-ის წესდებას, კერძოდ კი, ეროვნული კომიტეტებისათვის წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ წესებს.

10. ყოველი ეროვნული კომიტეტი ირჩევს საკუთარ თავმჯდომარეს და აღმასრულებელ ბიუროს, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ ოთხი წევრისაგან (თავმჯდომარის ჩათვლით). ბიუროს რიგითი წევრობის ვადაა არა უმეტეს ექვსი წლისა, თუკი ის არ იქნება შემდგომში არჩეული თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ. თავის მხრივ, თავმჯდომარის და მოადგილის ფუნქციონირების ვადაც განისაზღვრება ექვსი წლით.

11. ყოველი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ წარუდგინოს განუული საქმიანობის წლიური ანგარიში გენერალურ მდივანს, რომელსაც გენერალური მდივანი წარადგენს საკონსულტაციო კომიტეტისა და აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიურ სხდომაზე. ანგარიში გენერალურ მდივანს უნდა გაეგზავნოს სხდომამდე, სულ ცოტა ექვსი კვირით ადრე.

12. ეროვნული კომიტეტი ვალდებულია წელიწადში ერთხელ ჩაატაროს პლენარული სხდომა, სადაც აღმასრულებელი ბიურო კომიტეტის წევრების წინაშე წარადგენს კომიტეტის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს. სხდომამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს კომიტეტის მომავალი საქმიანობის პროგრამა.

13. აღმასრულებელი ბიუროს მოვალეობაში შედის იმ ნევრების დასახელება, რომლებიც შემდგომში ეროვნული კომიტეტის სახელით ხმას მისცემენ აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებზე და გენერალურ ასამბლეაზე.

14. თუ ქვეყანაში არსებობს UNESCO-ს ეროვნული კომისია, ICOM-ის ეროვნული კომიტეტი ამყარებს მასთან კავშირს.

15. ყველა ეროვნულმა კომიტეტმა შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაამყაროს კავშირი ქვეყანაში მოქმედ იმ ასოციაციასთან ან ასოციაციებთან, რომლებიც ეროვნულ დონეზე წარმოადგენენ მუზეუმებისა და მუზეუმის პროფესიონალებს.

16. აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია შეუნყევიტოს უფლებამოსილება წინამდებარე ნესდების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ეროვნულ კომიტეტს, თუკი დარწმუნდება, რომ კომიტეტი აღარ არის ქმედითუნარიანი.

17. აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია გააუქმოს ეროვნული კომიტეტი:

ა) თუ მიიღებს კომიტეტის ნევრთა 3/4-ის მიერ ხელმოწერილ წერილობით განცხადებას;

ბ) თუ (კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ) მას ექნება დამამტკიცებელი საბუთი, რომ კომიტეტმა აშკარად დაარღვია წინამდებარე ნესდება ან ICOM-ის პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები და თუ, მრავალჯერადი გაფრთხილების მიუხედავად, რომ ნესდებისა და კოდექსის კვლავაც უხეში დარღვევის შემთხვევაში მას შეუწყდება უფლებამოსილება, კომიტეტმა არაფერი იღონა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

18. აღმასრულებელმა საბჭომ უფლებამოსილება შეწყვეტილ ეროვნულ კომიტეტს შეიძლება კვლავ აღუდგინოს უფლებები, თუკი დარწმუნდება, რომ ეროვნული კომიტეტი ისევ ქმედითუნარიანია და აღმოფხვრილია ის ხარვეზები, რამაც განაპირობა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 15. რეგიონული ორგანიზაციები

1. აღმასრულებელმა საბჭომ შეიძლება დაარსებულად ცნოს ICOM-ის რეგიონული ორგანიზაცია, თუ ერთი გეოგრაფიული რეგიონის სამი ან მეტი ეროვნული კომიტეტი გააკეთებს ერთობლივ განაცხადს, რომელსაც დაურთავს საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციას. ამ ორგანიზაციასაც დაერქმევა ICOM-ი, მაგრამ დაემატება შესაბამისი გეოგრაფიული რეგიონის სახელი, ასე მაგალითად: აზია-წყნარი ოკეანის ICOM-ი.

2. ეროვნულ კომიტეტებს შეუძლიათ მოითხოვონ იმ რეგიონულ ორგანიზაციაში განწევრიანება, რომელ რეგიონშიც მდებარეობს ეს ქვეყანა. გადაწყვეტილება ICOM-ის რეგიონულ ორგანიზაციაში განწევრიანებაზე უნდა მიიღოს აღმასრულებელმა საბჭომ, საკონსულტაციო კომიტეტთან და ორგანიზაციის დამაარსებლებსა თუ დღევანდელ ნევრებთან კონსულტაციის შემდეგ.

3. რეგიონული ორგანიზაციის მიზანია გამართოს შეკრებები რეგიონის ეროვნულ კომიტეტებს, მუზეუმებსა და მუზეუმის პროფესიონალებს შორის ინფორმაციის გაცვლის, თანამშრომლობისა და ურთიერთობის უზრუნველსაყოფად. მას შეუძლია საკუთარი სახსრებით ჩაატაროს კონფერენციები, გამოაქვეყნოს ბიულეტენები თუ სხვა პუბლიკაციები ან წამოიწყოს სხვა საჭირო და სასარგებლო საქმიანობა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

4. ICOM-ის რეგიონულ ორგანიზაციას მართავს ორგანიზაციის წევრების მიერ კრებაზე არჩეული აღმასრულებელი ბიურო. კრებაზე წარმოდგენილ ყოველ ეროვნულ კომიტეტს აქვს ერთი საარჩევნო ხმის უფლება. ბიუროს შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე და სულ ცოტა, სამი სხვა წევრი. რეგიონში მცხოვრები ICOM-ის აღმასრულებელი საბჭოს ყოველი წევრი, ICOM-ის თავმჯდომარე, აგრეთვე საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე ეს ოფფიცियो ითვლებიან, ასევე ბიუროს წევრებად. ახლად დაარსებული რეგიონული ორგანიზაციის პირველი ბიუროს არჩევნებს ხელმძღვანელობს ICOM-ის პრეზიდენტი ან მისი წარმომადგენელი. აღმასრულებელი ბიუროს რიგითი წევრობის საარჩევნო ვადა მხოლოდ ექვსი წელია, თუკი შემდგომში რომელიმე მათგანი თავმჯდომარედ არ იქნა არჩეული. თავმჯდომარე პოსტზე რჩება არაუმეტეს ექვსი წლისა.

5. ICOM-ის რეგიონულმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს საკუთარი წესდება, რომლის საფუძველზეც იგი წარმართავს საქმიანობას. ეს წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ რეგიონული ორგანიზაციებისათვის შემუშავებულ წესდებას (მუხლი 28).

6. აღმასრულებელი საბჭოს თანხმობით გენერალურ მდივანს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს რეგიონულ ორგანიზაციას საქმიანობის წარმართვაში. კერძოდ, დაინიშნოს რეგიონული ორგანიზაციის აღმასრულებელ პოსტზე ICOM-ის სამდივნოს ერთ-ერთი წევრი, ან ამ რეგიონში მცხოვრები პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება რეგიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი ბიუროს წინაშე. ამ პროცედურებთან დაკავშირებულ ხარჯებს თავის თავზე იღებს რეგიონული ორგანიზაცია.

7. აღმასრულებელი საბჭო საკონსულტაციო კომიტეტთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას რეგიონული ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან მისი საქმიანობის დროებით შეჩერების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) რეგიონში არ არის ეროვნული კომიტეტების საკმარისი რაოდენობა რეგიონული ორგანიზაციის არსებობისათვის.

ბ) სახეზეა არასაკმარისი აქტივობა ან სრული უმოქმედობა.

გ) მისი საქმიანობა უხეზად არღვევს ICOM-ის წესდებასა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

8. აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია გაუქმებული ან უფლებამოსილება შეჩერე-

ბული რეგიონული ორგანიზაციის აღდგენა, თუ ექნება იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ორგანიზაცია კვლავ ქმედითუნარიანია და გაუქმების გამომწვევი მიზეზები აღმოფხვრილია.

მუხლი 16. ეროვნული კორესპონდენტები

1. როდესაც რომელიმე ქვეყანაში არ არსებობს ეროვნული კომიტეტი, მაგრამ არიან ICOM-ის წევრები, აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია ამ წევრთაგან ერთ-ერთი დაასახელოს აღნიშნული ქვეყნის ეროვნულ კორესპონდენტად; ეს ნოდება მას უფლებას ანიჭებს დაესწროს გენერალურ ასამბლეის სხდომას, როგორც თავისი ქვეყნის ICOM-ის წევრების წარმომადგენელი; მას შეუძლია, აგრეთვე, დამკვირვებლის სტატუსით დაესწროს საკონსულტაციო კომიტეტსა და აიმ გეოგრაფიული რეგიონის ყოველი რეგიონული ორგანიზაციის კრებებს, რომელსაც მისი ქვეყანა განეკუთვნება. ეროვნულ წევრ-კორესპონდენტს არა აქვს ხმის უფლება არც გენერალური ასამბლეის და არც აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებზე.

მუხლი 17. საერთაშორისო კომიტეტები

1. საერთაშორისო კომიტეტებმა უნდა შეასრულონ მთავარი ბერკეტის როლი ICOM-ის მუშაობაში და მისი პროგრამების განხორციელებაში. ისინი უნდა იყვნენ გამორჩეულად პროფესიული ხასიათის.

2. საერთაშორისო კომიტეტები უნდა იყოს ერთი და იმავე პროფესიული ინტერესების მქონე ICOM-ის წევრთა ურთიერთობის მთავარი საშუალება; მან უნდა გააცნოს ამ წევრთა ინტერესები ICOM-ს, კერძოდ, ის ვალდებულია:

ა) განავითაროს და განახორციელოს ICOM-ის პროგრამები და ამასთან დაკავშირებული სპეციალური სფეროების საქმიანობა;

ბ) წარადგინოს ხმის უფლებების მქონე წევრები აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებსა და გენერალურ ასამბლეაზე.

გ) წარუდგინოს აღმასრულებელ საბჭოსა და საკონსულტაციო კომიტეტს წლიური ანგარიში გასული წლის საქმიანობის შესახებ.

დ) გააცნოს თავისი აზრი აღმასრულებელ საბჭოს, საკონსულტაციო კომიტეტს და გენერალურ მდივანს ICOM-სა და მის პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. საერთაშორისო კომიტეტი შეიძლება დაარსდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მუზეოლოგიის, სამუზეუმო პოლიტიკისა და პრაქტიკის ან მუზეუმის მენეჯმენტსა და მართვასთან დაკავშირებული ერთი ან მეტი დარგის ან პროფესიის ცალკეული საკითხების მოსაგვარებლად. საერთაშორისო კომიტეტის დაარსებამდე აღმასრულებელი

ბელმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს საკონსულტაციო კომიტეტის აზრი. აღმასრულებელი საბჭოს საგანგებო ვალდებულებაა წინასწარ ზუსტად განსაზღვროს ყოველი საერთაშორისო კომიტეტის სამოქმედო სფერო, რათა არ მოხდეს საერთაშორისო კომიტეტების მიერ ერთმანეთის საქმიანობის დუბლირება ან ერთმანეთის უფლებებში შეჭრა.

4. ყოველი საერთაშორისო კომიტეტი შედგება ინდივიდუალური წევრებისაგან და ინსტიტუციური წევრების მიერ დასახელებული, კომიტეტის წევრობის სურვილის მქონე წარმომადგენლებისაგან. ყოველი კომიტეტი ირჩევს საკუთარ თავმჯდომარეს და აღმასრულებელ ბიუროს, შემომუშავებს საკუთარ რეგლამენტს, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ICOM-ის წინამდებარე წესდებით დადგენილ საერთაშორისო კომიტეტების მოდელს. მის საქმიანობაში შედის:

- ა) სხდომების ჩატარება;
- ბ) ბიულეტენებისა და სხვა პუბლიკაციების გამოცემა;
- გ) კორესპონდენციების განხილვა;
- დ) სხვა პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საერთაშორისო კომიტეტის ბიუროს რიგითი წევრობის ვადა მხოლოდ ექვსი წელია, თუ შემდგომში ამ წევრს არ აირჩევენ ბიუროს თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ. თავმჯდომარის ან მოადგილის პოსტზე ყოფნის ვადაც მხოლოდ ექვსი წელია.

5. საერთაშორისო კომიტეტი შეიძლება დაარსდეს აღმასრულებელი საბჭოს ინიციატივით ან გენერალური მდივნის და ICOM-ის, სულ ცოტა, ათი წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე, სადაც უნდა იყოს დასაბუთებული აღნიშნული კომიტეტის დაარსების აუცილებლობა და ხაზგასმული კომიტეტის მიზნები. თუ საბჭო თვითონ გამოდის ახალი კომიტეტის დაარსების წინადადებით ან გარედან მიიღებს მსგავს მოთხოვნას, გენერალური მდივანი ვალდებულია ეს ამბავი შეატყობინოს ყველა საერთაშორისო კომიტეტსა და ფილიალის თავმჯდომარეებს და სთხოვოს მათ მიანოდონ თავიანთი მოსაზრებები ამ საკითხზე სამოცი დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლისთანავე გენერალურმა მდივანმა აღნიშნული წინადადება თანდართული კომენტარებითურთ განსახილველად უნდა წარუდგინოს საკონსულტაციო კომიტეტს.

6. განცხადება ახალი კომიტეტის დაარსების მოთხოვნით, რომელსაც თან დაერთება საერთაშორისო კომიტეტების და ფილიალი ორგანიზაციების თავმჯდომარეების და საკონსულტაციო კომიტეტის მოსაზრებები, გენერალური მდივანი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს. თუ აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტს ახალი საერთაშორისო კომიტეტის დაარსებას, გენერალური მდივანი ამ გადაწყვეტილებას ატყობინებს განაცხადის შემომტან წევრებს, თანაც რომელიმე კონკრეტულ წევრს ავალებს ახალი კომიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული სხდომის ორგანიზებასა და მის თავმჯდომარეობას. სხდომაზე ირ-

ჩვენ კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროს და თავმჯდომარეს და იღებენ წესდებას, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე წესდებაში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო კომიტეტების მოდელს. საერთაშორისო კომიტეტის არჩეულმა თავმჯდომარემ უმოკლეს ვადაში გენერალურ მდივანს უნდა წარუდგინოს ამ სხდომის ოქმი, მიღებული წესდების ასლი, კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს წევრების სია და მათი მისამართები.

7. საინაუგურაციო სხდომის შემდეგ გენერალური მდივანი ვალდებულია ICOM-ის წევრებს რაც შეიძლება მოკლე ხანში შეატყობინოს ახალი საერთაშორისო კომიტეტის ჩამოყალიბებისა და მისი მიზნების შესახებ, ასევე, პასუხიმიგებელი პირების ვინაობა და მისამართები, რის შემდეგაც ICOM-ის ნებისმიერ სრულუფლებიან წევრს შეუძლია გახედეს ამ კომიტეტის წევრი და მიეცეს ხმის უფლება მე-12 მუხლის, § 2-ის თანახმად.

8. კომიტეტში დასმულ საკითხზე კენჭისყრის უფლება გააჩნიათ მხოლოდ ინდივიდუალურ წევრებსა და საერთაშორისო კომიტეტში ხმის უფლების მქონე ინსტიტუციური წევრების წარმომადგენლებს. მათ უფლება აქვთ კენჭი იყარონ აღმასრულებელი ბიუროს წევრობასა და თავმჯდომარეობაზე, აგრეთვე, კომიტეტის სახელით მისცენ ხმა გენერალურ ასამბლეაზე და აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებზე.

9. საერთაშორისო კომიტეტმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩაატაროს პლენარული სხდომა, ხოლო იმ წლებში, როდესაც იკრიბება გენერალური ასამბლეა, სხდომის დრო და ადგილი უნდა დაემთხვეს მას. გენერალური მდივანის მოთხოვნის თანახმად, ყოველი საერთაშორისო კომიტეტის ბიურომ თავისი სახელით გენერალურ ასამბლეაზე და აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებზე ხმის მისაცემად უნდა დაასახელოს ზუთი წარმომადგენელი ICOM-ის ინდივიდუალური წევრების ან ინსტიტუციური წევრების წარმომადგენელთაგან. ყველა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია გენერალურ მდივანს საკონსულტაციო კომიტეტისა და აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე წარსადგენად გაუგზავნოს გასულ წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში. წლიური ანგარიში გენერალურ მდივანს უნდა გაეგზავნოს სხდომამდე, სულ ცოტა, ექვსი კვირით ადრე.

10. როდესაც საერთაშორისო კომიტეტი გადაწყვეტს სხდომის ჩატარებას რომელიმე ქვეყანაში, მან ეს გადაწყვეტილება წინასწარ უნდა შეატყობინოს შესაბამის ქვეყნის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს.

11. საერთაშორისო კომიტეტს შეუძლია ჩამოაყალიბოს იმდენი სამუშაო ჯგუფი, რამდენსაც ჩათვლის მიზანშეწონილად თავისი მიზნების განხორციელებისათვის.

12. საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე აღმასრულებელმა საბჭომ შეიძლება დაითხოვოს საერთაშორისო კომიტეტი, ან შეუჩეროს უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ:

ა)წევრთა რაოდენობა არასაკმარისი იქნება ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

- ბ) მისი საქმიანობა ჩაითვლება არასაკმარისად ან არარსებულად;
- გ) პროგრამები ხორციელდება მუდმივი დაგვიანებით;
- დ) კომიტეტის მიზნები სრულად არაა მიღწეული;
- ე) არსებობს ICOM-ის წესდების და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

13. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია აღადგინოს საერთაშორისო კომიტეტი, თუ მას ექნება იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ პრობლემები აღმოფხვრილია და კომიტეტი კვლავაც ქმედითუნარიანია.

მუხლი 18. ფილიალები

1. ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორ მესამედს შეადგენენ სამუზეუმო საქმის პროფესიონალები (იხ. განმარტება წინამდებარე წესდების მე-2 მუხლის § 2-ში) ან მუზეუმები (მუხლი 2 § 1), შეუძლია მოითხოვოს ICOM-ის ფილიალის სტატუსი.

2. წერილობითი განაცხადი ფილიალად გახდომის შესახებ უნდა გაეგზავნოს გენერალურ მდივანს. განაცხადს უნდა ახლდეს ორგანიზაციის წესდება, დებულების ასლი და საბუთი მის შემადგენლობაში მყოფი პროფესიონალებისა და მუზეუმების რაოდენობის შესახებ განაცხადში მითითებული უნდა იყოს, აგრეთვე მოტივაცია, თუ რატომ სურს ორგანიზაციას ICOM-ის ფილიალად გახდომა.

3. გენერალური მდივანი ვალდებულია ამგვარი განაცხადის მიღების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ყველა, უკვე არსებული სააერთაშორისო კომიტეტისა და ფილიალის თავმჯდომარეებს და სთხოვოს – სამოცი დღის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. სამოცდღიანი ვადის გასვლისთანავე გენერალურმა მდივანმა აღნიშნული განაცხადი თანდართული კომენტარებით განსახილველად უნდა წარუდგინოს საკონსულტაციო კომიტეტს.

4. ამის შემდეგ გენერალური მდივანი განაცხადს საერთაშორისო კომიტეტებისა და ფილიალების თავმჯდომარეების კომენტარებთან და საკონსულტაციო კომიტეტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან ერთად წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

5. აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტილებას რომელიმე ორგანიზაციისათვის ფილიალის სტატუსის მინიჭების შესახებ აცნობებს ამ ორგანიზაციას და მოითხოვს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის ვადაში მის წევრთა 50% გახდეს ICOM-ის წევრი. თუ ვადის გასვლის შემდეგ ICOM-ში განვერიანებული იქნება ამ ორგანიზაციის წევრთა ერთ მესამედზე ნაკლები, მაშინ ორგანიზაცია კარგავს ფილიალის სტატუსს.

6. ფილიალს უფლება აქვს იხელმძღვანელოს საკუთარი წესდებითა და დებულებით, თუ ისინი არსებითად არ ეწინააღმდეგება ICOM-ის წესდებას.

7. საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას გაუუქმოს ფილიალის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ორგანიზაცია ვერ შეინარჩუნებს ICOM-ის წევრთა სავალდებულო რაოდენობას.

ბ) ორგანიზაცია ვერ ახერხებს თავის წევრთა შორის ჰყავდეს მუზეუმის პროფესიონალთა ან მუზეუმის სავალდებულო რაოდენობა.

გ) ორგანიზაციის საქმიანობა ჩაითვლება არასაკმარისად ან არარსებულად.

დ) აღმოჩნდება ICOM-ის წესდების ან პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები.

8. საერთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია მოითხოვოს ფილიალის სტატუსის აღდგენა, თუ იგი მოახერხებს მისი გაუქმების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას.

მუხლი 19. გენერალური ასამბლეა

1. გენერალური ასამბლეა არის ICOM-ის პოლიტიკის გამტარებელი უმაღლესი ორგანო. მას გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

ა) მიიღოს წესდება ან, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს მასში შესწორებები;

ბ) დაამტკიცოს ICOM-ის მომდევნო სამი წლის პროგრამა;

გ) დაამტკიცოს მომდევნო სამი წლის ბიუჯეტი;

დ) მიიღოს და შეაფასოს ICOM-ის წინა სამი წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამები;

ე) მიიღოს და შეაფასოს წინა სამი წლის საბიუჯეტო ფინანსური ანგარიში;

ვ) განიხილოს საკონსულტაციო კომიტეტის, აღმასრულებელი საბჭოსა და გენერალური კონფერენციის მიერ წამოჭრილი საკითხები და მიიღოს მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;

ზ) მისცეს აღმასრულებელ საბჭოს საჭირო მითითებები ICOM-ის საქმიანობასთან დაკავშირებით;

თ) შეარჩიოს მომდევნო გენერალური ასამბლეის ჩატარების დრო და ადგილი და განსაზღვროს გენერალური კონფერენციის თემა;

ი) მიიღოს ან, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს საკუთარი და გენერალური კონფერენციის მიერ შემუშავებული დებულებები.

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

2. ICOM-ის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს დაესწროს გენერალურ ასამბლეას და მიიღოს მონაწილეობა მის მუშაობაში. ინსტიტუციური წევრებს აქვთ უფლება გენერალურ ასამბლეაზე თავის წარმომადგენლად დაასახელონ სამი პირი.

3. გენერალური ასამბლეის (და გენერალური კონფერენციის) რიგითი სხდომები იმართება სამ წელიწადში ერთხელ. სხდომის თემას, ადგილს და ჩატარების დროს ადგენს წინა გენერალური ასამბლეა საკონსულტაციო კომიტეტისა და აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით. გენერალური ასამბლეისა და გენერალური კონფერენციის ჩატარების ადგილის განსაზღვრისას, ასამბლეა განიხილავს სხვადასხვა რეგიონის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს და ირჩევს მათგან საუკეთესოს. განიხილავს, აგრეთვე, სხდომასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გენერალური ასამბლეის სხდომების თავმჯდომარეობა ეკისრება ICOM-ის თავმჯდომარეს, ან, მისი არყოფნის შემთხვევაში რომელიმე მოადგილეს.

4. გენერალური ასამბლეის ჩატარებამდე, სულ ცოტა, თორმეტი თვით ადრე გენერალური მდივანი ატყობინებს ყველა ეროვნული და საერთაშორისო კომიტეტისა და ფილიალის თავმჯდომარეებს ასამბლეის ჩატარების ადგილს და თარიღს და სთხოვს წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები ასამბლეის დღის წესრიგში შესატანი საკითხების თაობაზე. წარმოდგენილ მოსაზრებებს იღებს და განიხილავს აღმასრულებელი საბჭო, რომელიც ვალდებულია დაადგინოს დღის წესრიგი და აპრობაციისათვის გადასცეს ის საკონსულტაციო კომიტეტს გენერალური ასამბლეის ჩატარებამდე, სულ ცოტა, ექვსი თვით ადრე.

5. ICOM-ის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიას ICOM-ის თავმჯდომარე იწვევს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ამას მოითხოვს ეროვნული კომიტეტის ერთი მესამედი;

ბ) ან თუ ამას მოითხოვს აღმასრულებელი საბჭოს წევრების უმრავლესობა;

გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია უნდა გაიმართოს იქ, სადაც არის ICOM-ის გენერალური სამდივნო, თავმჯდომარის მიერ მოთხოვნის მიღებიდან ორი თვის ვადაში.

6. გენერალური ასამბლეის სესიებზე და აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებზე ხმის მიცემა ხდება შემდეგი წესით:

ა) ყოველი ეროვნული კომიტეტი უფლებამოსილია საკუთარ, ICOM-ის ინდივიდუალურ წევრთაგან ან ამ კომიტეტში შემავალ ინსტიტუციური წევრების წარმომადგენელთაგან (ამაში შედიან საკონსულტაციო კომიტეტისა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებიც ამ ქვეყნიდან) წარადგინოს ხუთი პირი, რომლებმაც კომიტეტის სახელით კენჭი უნდა უყარონ გენერალურ ასამბლეაზე დასმულ საკითხებს.

ბ) ყოველი საერთაშორისო კომიტეტი უფლებამოსილია საკუთარ, ICOM-ის ინდივიდუალურ წევრთაგან ან ამ კომიტეტში შემავალ ინსტიტუციური წევრების მიერ

დასახელებულ ხმის უფლების მქონე წარმომადგენელთაგან წარადგინოს ხუთი პირი, რომლებმაც კომიტეტის სახელით კენჭი უნდა უყარონ გენერალურ ასამბლეაზე დასმულ ნებისმიერ საკითხს.

გ) ყოველი ფილიალი, რომლის წევრთა ნახევარი არის ICOM-ის წევრი, უფლებამოსილია საკუთარი ინდივიდუალური ან ფილიალში შემავალი ინსტიტუციური წევრების მიერ დასახელებულ წარმომადგენელთაგან დაასახელოს სამი პირი, რომლებსაც შეეძლებათ ამ ორგანიზაციის სახელით კენჭი უყარონ ასამბლეაზე დაყენებულ ნებისმიერ საკითხს. თუ ფილიალის წევრთა ნახევარზე ნაკლებია ICOM-ის წევრი, მაშინ ამ ორგანიზაციას უფლება აქვს დაასახელოს მხოლოდ ერთი წევრი, რომელიც კენჭისყრაში მიღებს მონაწილეობას ამ ორგანიზაციის სახელით.

დ) ეროვნული კომიტეტის, საერთაშორისო კომიტეტის ან ფილიალის ბიურო უფლებამოსილია ამ კომიტეტებისა თუ ორგანიზაციის მიერ უკვე დასახელებული წარმომადგენლის ხმის უფლება გადააბაროს სხვა წევრს, რომელიც ხმას მისცემს აღნიშნული წევრის მაგივრად (იხ. წინამდებარე პუნქტის ა, ბ და გ ქვეპუნქტები). მხოლოდ, მას არ ექნება გენერალურ ასამბლეაზე დასწრების უფლება.

7. გენერალური ასამბლეის ქვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრებიან ხმის უფლების მქონე წევრთა ორი მესამედი. (ხმების დათვლის წესი იხ. მე-19 მუხლის \$6-ში). თუ ქვორუმი არ შედგა, მაშინ გენერალური ასამბლეა უნდა შეიკრიბოს ოცდაოთხი საათის შემდეგ, იმავე ადგილას და უფლებამოსილი იქნება ჩაატაროს სხდომა იქ დამსწრე ხმის უფლების მქონე წარმომადგენელთა რაოდენობის მიუხედავად. წინამდებარე მუხლი ითვალისწინებს, აგრეთვე, რომ ქვორუმს არ შეიძლება მიეთვალოს უფლებამოსილებაზეჩერებული კომიტეტი. პიროვნება, რომელიც დასახელებულია ხმის უფლების მქონე წევრად ერთდროულად ერთზე მეტი კომიტეტის ან ფილიალის მიერ, უნდა აღირიცხოს თითოეული ამ კომიტეტისა და ფილიალის სახელით ცალ-ცალკე, მიუხედავად იმისა, შემდგარია თუ არა ქვორუმი.

8. გენერალურ ასამბლეაზე დასმული ყოველი საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა ხმების უბრალო უმრავლესობა. თუ კენჭი ეყრება წინამდებარე წესდებაში შესწორებების შეტანას, გადანყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების ორი მესამედი. (მუხლი 29). თუ კენჭი ეყრება ICOM-ის ლიკვიდაციას - საჭიროა ხმების სამი მეოთხედი (მუხლი 30).

მუხლი 20. გენერალური კონფერენცია

1. გენერალურ კონფერენციას ICOM-ი იწვევს სამ წელიწადში ერთხელ, იგი უნდა დაემთხვეს მორიგი გენერალური ასამბლეის ჩატარების დროსა და ადგილს. გენერალური კონფერენცია წარმოადგენს ფორუმს, სადაც განიხილავენ და მსჯელობენ მუზეოლოგიისა და მუზეუმებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ თუ თეორიულ საკით-

ხეზე, განსაკუთრებით, წინა გენერალური ასამბლეის კონფერენციაზე წამოჭრილ თემებზე. კონფერენციას განსახილველად უნდა წარედგინოს ICOM-ის მიერ წინა სამი წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობის ანგარიში და მომავალ სამ წელიწადში შესასრულებელი პროექტები. გენერალურ კონფერენციას შეუძლია გენერალურ ასამბლევას წარუდგინოს თავის სხდომებზე მსჯელობის შედეგად მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომელთა განხილვასაც გენერალურ ასამბლეაზე ჩათვლის მიზანშეწონილია.

2. გენერალურ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ICOM-ის ნებისმიერ წევრს. კონფერენციაზე დასწრება შეუძლია ინსტიტუციური წევრების რამოდენიმე (ერთზე მეტ) წარმომადგენელს, მაგრამ ხმის უფლება აქვს მხოლოდ ერთს და იგი აძლევს ხმას ამ წევრების სახელით.

3. გენერალურ კონფერენციაზე რეგისტრირებულ თითოეულ ინდივიდუალურ წევრს, ინსტიტუციური წევრის წარმომადგენელს, ქველმოქმედ და საპატიო წევრს გააჩნია თითო ხმის უფლება ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად. გენერალურ კონფერენციაზე კენჭისყრის დროს არ შეიძლება ხმის უფლების გადაცემა. კონფერენციაზე განხილული ნებისმიერი საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა ხმების უბრალო უმრავლესობა.

მუხლი 21. საკონსულტაციო კომიტეტი

1. საკონსულტაციო კომიტეტის ფუნქციებია:

ა) გაუწიოს კონსულტაცია აღმასრულებელ საბჭოს და გენერალურ ასამბლევას ყველა იმ საკითხის გარშემო, რომელიც ეხება ICOM-ის პოლიტიკას, პროგრამებს, პროცედურებსა და ფინანსებს;

ბ) მიიღოს და განიხილოს მთავარი ხაზინადარის მიერ წარმოდგენილი გასული წლის ოფიციალური ფინანსური ანგარიშები და მიმდინარე წლის ბიუჯეტი;

გ) შეარჩიოს კანდიდატები აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებისათვის;

დ) განიხილოს და გამოთქვას აზრი ICOM-ის წესდებაში შესწორებების შესახებ, წინამდებარე წესდების 29-ე მუხლის თანახმად.

ე) შეასრულოს წინამდებარე წესდებით მასზე დაკისრებული ყველა ვალდებულება;

2. საკონსულტაციო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან:

ა) ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეები, ან მათ მიერ დასახელებული წარმომადგენლები;

ბ) საერთაშორისო კომიტეტების თავმჯდომარეები, ან მათი წარმომადგენლები;

გ) ფილიალების თავმჯდომარეები, ან მათი წარმომადგენლები;

დ) საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს თვითონ კომიტეტი ICOM-ის წევრებს შორის;

3. საკონსულტაციო კომიტეტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება იმ შემთხვევაში თუ:

ა) იგი აღარ არის ეროვნული ან საერთაშორისო კომიტეტის, ან ფილიალის თავმჯდომარე;

ბ) თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება, როდესაც ის ვერ ახერხებს ამ თანამდებობით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ან თუ მე-9 მუხლის თანახმად შეუწყდება ICOM-ის წევრობა; ანდა თუ გენერალური მდივნის სახელზე დანერილი პირადი განცხადებით მოითხოვს თანამდებობიდან გადადგომას.

4. საკონსულტაციო კომიტეტის წევრს (თავმჯდომარის გარდა) აქვს უფლება კომიტეტის ერთ სხდომაზე თავის მაგივრად წარგზავნოს ICOM-ის სხვა წევრი, მაგრამ არ შეიძლება, რომ ვინმეს ჰქონდეს ერთზე მეტი რწმუნება. ასეთი წარმომადგენელი უნდა ფლობდეს წერილობით მინდობილობას კომიტეტის წევრისაგან თავისი უფლებამოსილების გადაბარებაზე, რაც ძალაში იქნება მხოლოდ ერთი, ამ კონკრეტული სხდომის განმავლობაში, როდესაც იგი ისარგებლებს წევრის ყველა უფლებით, ხმის უფლების ჩათვლით.

5. საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებზე, რომლებიც უნდა გაიმართოს ICOM-ის გენერალური ასამბლეის მორიგ შეკრებასთან ერთად, კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს სამი წლის ვადით. ამ თანამდებობაზე დასახელებული პირი უნდა იყოს ICOM-ის ინდივიდუალური წევრი, რომელიც შეიძლება მანამდეც ყოფილიყო საკონსულტაციო კომიტეტის წევრი. კომიტეტის თავმჯდომარის მანდატის განახლება შეიძლება მხოლოდ ერთხელ. გენერალური ასამბლეის მორიგ სხდომამდე, სულ ცოტა ექვსი თვით ადრე გენერალური მდივანი წერილობით მიმართავს ეროვნული და საერთაშორისო კომიტეტებისა და ფილიალების თავმჯდომარეებს და სთხოვს კანდიდატების შერჩევას საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. კანდიდატურების წარდგენა უნდა მოხდეს არა უგვიანეს სამი თვისა აღნიშნულ სხდომამდე. გენერალურ ასამბლეამდე არაუგვიანეს ორი თვისა, გენერალურმა მდივანმა საკონსულტაციო კომიტეტს წევრებს უნდა გააცნოს კანდიდატთა ვინაობა და ბიოგრაფია.

6. საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარემ უშუალოდ გენერალური ასამბლეის წინ უნდა მოიწვიოს კომიტეტის სხდომა, რომელზედაც ფარული კენჭისყრით აირჩევენ ახალ თავმჯდომარეს. ხმებს ითვლის გენერალური მდივანი ორი მეთვალყურის თანდასწრებით. კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმების უმრავლესობას, ანუ 50%-ზე მეტს, ცხადდება არჩეულად. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმების 50%-ზე მეტს, მაშინ კანდიდატი, რომელსაც ექნება ხმების უმცირესობა, აღარ იყრის კენჭს და მორიგ არჩევნებში მონაწილეობენ დარჩენილი კანდიდატები მანამ, სანამ

რომელიმე მათგანი არ დააგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას. როდესაც რომელიმე კანდიდატი დააგროვებს ხმების 50%-ზე მეტს, იგი ცხადდება არჩეულად. ახლად არჩეული თავმჯდომარე თანამდებობას იკავებს ასამბლეის დახურვისთანავე, ოღონდ საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის მუშაობაში და დებატებში იგი მონაწილეობს როგორც კომიტეტის წევრი.

7. გენერალური ასამბლეის დახურვის შემდეგ საკონსულტაციო კომიტეტი ატარებს კრებას, სადაც თავისი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს. იგი თავმჯდომარეს ეხმარება კომიტეტის მართვაში და შეუძლია თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გაცემული წერილობითი ნებართვის საფუძველზე მის მაგივრად წარადგეს აღმასრულებელი საბჭოს ან რეგიონული ორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე.

8. საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და თავმჯდომარეობს საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებს;

ბ) არის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ეხ ოფიცის;

გ) 27-ე მუხლის თანახმად, არის ICOM-ის არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი;

დ) არის ყველა რეგიონული ორგანიზაციის ბიუროს წევრი ex officio;

თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომებს თავმჯდომარეობს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

9. თუ საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ადგილი თავისუფლდება, მომავალ პირველსავე სხდომაზე კომიტეტი თავისი წევრებიდან დარჩენილი დროით ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს.

10. საკონსულტაციო კომიტეტი უნდა შეიკრიბოს, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ, აღმასრულებელი საბჭოს მორიგი სესიის პარალელურად. გენერალურ ასამბლეამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე კომიტეტმა უნდა მოიწვიოს მორიგი სხდომა აღმასრულებელი საბჭოს სხდომის წინა დღეებში, სადაც უნდა აირჩიოს კანდიდატები აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებისათვის. საკონსულტაციო კომიტეტი იკრიბება, აგრეთვე, უშუალოდ ყოველი გენერალური ასამბლეის დაწყებამდე და დახურვის შემდეგ.

11. საკონსულტაციო საბჭოს საგანგებო სესია შეიძლება გაიმართოს მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს აღმასრულებელი საბჭო, ან კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე შემოვა კომიტეტის წევრთა ერთი მეოთხედის მიერ ხელმოწერილი განცხადება. თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ დანიშნოს სხდომის თარიღი. სხდომა უნდა გაიმართოს განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს ორი თვისა, იქ სადაც იმყოფება ICOM-ის გენერალური სამდივნო.

12. საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებზე დასწრება შეუძლიათ აღმასრულებელ საბჭოს წევრებს, რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეებს და ყველა

ეროვნულ კორესპონდენტს დამკვირვებლის სტატუსით (მუხლი 16). ამ უკანასკნელებს აქვთ აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ არ მონაწილეობენ კენჭისყრაში.

13. საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის ქვორუმად ითვლება კომიტეტის ნამდვილ თუ წარმომადგენლობით წევრთა რაოდენობის ნახევარი. თუ ქვორუმი არ შედგა, კომიტეტი კვლავ შეიკრიბება ოცდაოთხი საათის შემდეგ იგივე ადგილას და მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა, უფლებამოსილი იქნება ჩაატაროს სხდომა. საკონსულტაციო კომიტეტის თამჯდომარეს, ასევე, ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტების და ფილიალების თამჯდომარეებს (ან მათ წარმომადგენლებს) აქვთ თითო ხმა. თამჯდომარის რამოდენიმე თანამდებობაზე მყოფ პირს უფლება აქვს ხმა მისცეს ყველა იმ კომიტეტისა თუ ორგანიზაციის სახელით, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თამჯდომარის ხმა.

13. (ა) თუ საკითხი კომიტეტის სხდომაზე არ გადაწყდა იმ მიზეზით, რომ საჭიროებს დამატებით შესწავლას ან ინფორმაციას, მაშინ კომიტეტის თამჯდომარეს შეუძლია საკითხი წევრებს განსახილველად კვლავ წარუდგინოს სხდომის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ის საკონსულტაციო კომიტეტის წევრებს უნდა წარუდგინოს წერილობით, პასუხის მიღების ბოლო ვადის მითითებით. მათ ხმის მიცემა შეუძლია ფოსტით, ფაქსით ან ელ-ფოსტით და საკითხი გადაწყდება იმ ხმათა უბრალო უმრავლესობით, რომლებიც გაიგზავნება ვადის ამონურვამდე.

14. საკონსულტაციო კომიტეტს აქვს უფლება აღმასრულებელ საბჭოს ან გენერალურ მდივანს მოთხოვს და უნდა მიიღოს კიდევ ICOM-თან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი. გამონაკლის წარმოადგენს პირადული ხასიათის ინფორმაცია. კომიტეტს შეუძლია ჩამოაყალიბოს მუშა ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შეიყვანს ერთ ან რამოდენიმე საკუთარ წევრს, რომელთაგან ერთ-ერთის მოვალეობა იქნება სხდომის მონაწილე, ჯგუფში დასაშვებია ICOM-ის იმ წევრების შეყვანა, რომელთა მონაწილეობა სასარგებლო იქნება ICOM-თან დაკავშირებული საკითხების შესწავლისა და ანგარიშის მომზადებისათვის.

მუხლი 22. აღმასრულებელი საბჭო

1. აღმასრულებელ საბჭოს ევალება:

ა) გაატაროს სათანადო ღონისძიებები გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების და რეზოლუციების განსახორციელებლად.

ბ) თვალყური ადევნოს ICOM-ის პროგრამების ეფექტურად და კვალიფიციურად განხორციელებას და გაკონტროლოს მიღებულ ბიუჯეტთან მათ შესატყვისობა.

დ) უზრუნველყოს ICOM-ის პოლიტიკასთან, პროგრამებთან და პროცედურებთან

დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად და რჩევის მისაღებად საკონსულტაციო კომიტეტში გადაგზავნა;

ე) განიხილოს საკონსულტაციო კომიტეტის წინადადებები და რეკომენდაციები და სათანადოდ იზრუნოს მათი ეფექტურად განხორციელებისათვის;

ვ) გააკონტროლოს ეროვნული და საერთაშორისო კომიტეტების და ფილიალების მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში კოორდინირება გაუწიოს მას.

ზ) შეარჩიოს საერთაშორისო კომიტეტები, რომლებშიც შეიძლება ინდივიდუალური წევრების გაერთიანება;

თ) წევრის ყოველი კატეგორიისათვის დაადგინოს წლიური სანევრო გადასახადის ოდენობა;

ი) გენერალური ასამბლეის და საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებს შორის პერიოდში მიიღოს ის გადაწყვეტილებები და გადადგას ის ნაბიჯები (მათ შორის ისეთებიც, რომელთა გადადგმაც, წინამდებარე წესდების თანახმად გენერალური ასამბლეის ან საკონსულტაციო კომიტეტის პრეროგატივაა), რომლებიც ICOM-ის განსაკუთრებული ინტერესებიდან გამომდინარეობს და შეათანხმოს ისინი ICOM-ის შესაბამისი სამსახურებთან უმოკლეს ვადაში.

2. აღმასრულებელი საბჭო შედგება ICOM-ის თექვსმეტი წევრისაგან, ამათგან თხუთმეტს ირჩევენ სამი წლის ვადით ეროვნული და საერთაშორისო კომიტეტებისა და ფილიალების წარმომადგენლები. საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე არის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ეს ოფფიცო. თხუთმეტ არჩეულ წევრთაგან ოთხი თანამდებობის პირია, ხოლო თერთმეტი – რიგითი წევრი. თანამდებობის პირები არიან: საბჭოს თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე და ხაზინადარი. 27-ე მუხლის თანახმად, საბჭოს არჩევნები იმართება და შედეგებიც ცხადდება გენერალურ ასამბლეაზე. აღმასრულებელ საბჭოში არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაა გენერალური ასამბლეის მორიგი სხდომის დახურვიდან გენერალური ასამბლეის მომდევნო სხდომის ბოლომდე.

3. არ შეიძლება, რომ პირი აირჩიონ აღმასრულებელი საბჭოს რიგით წევრად ზედიზედ ორზე მეტი ვადით, მაგრამ ამ ვადის გასვლისთანავე ის შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელ საბჭოში პასუხისმგებელ პოსტზე. თავის მხრივ, თანამდებობაზე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით – იქნება ეს იგივე თუ სხვა თანამდებობა. არავის აქვს უფლება აღმასრულებელი საბჭოს წევრად დარჩეს ზედიზედ ოთხზე მეტი ვადით. პირი, რომელსაც ამოენურა აღმასრულებელი საბჭოს წევრობის ორი ან მეტი ვადა, წინამდებარე დებულების თანახმად, არ შეიძლება თავიდან იქნეს არჩეული საბჭოში სამი წლის გასვლამდე. ყოფილ წევრებს, რომლებიც, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში აღარ ყოფილან აღმასრულებელ საბჭოში, შეუძლიათ თავიდან იყარონ კენჭი საბჭოს წევრობაზე.

4. ზემოთ მოყვანილი დადგენილება არ უშლის ხელს პირს, რომელსაც უკვე ამოუწურა საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარეობის ერთი ან მეტი ვადა, აღმასრულებელ საბჭოში თანამდებობაზე ან რიგით წევრად არჩევაში, ისევე როგორც აღმასრულებელ საბჭოში ყოფნის ერთი ან მეტი ვადის ამოწურვის მიუხედავად, მას შეუძლია მომდევნო ვადით გახდეს საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

5. აღმასრულებელი საბჭოს წევრი კარგავს თანამდებობას: თუ ის ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, თუ მე-9 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე შეუწყდა ICOM-ის წევრობა, ან თუ საკუთარი სურვილით გენერალური მდივნის სახელზე შეიტანს განცხადებას გადადგომის შესახებ.

6. თუ სამწლიანი ვადის დამთავრებამდე აღმასრულებელ საბჭოში თავისუფლება თანამდებობის პირის ადგილი, რამაც შეიძლება სხვა ადგილების გათავისუფლებაც გამოიწვიოს, საბჭომ თავის წევრთაგან უნდა შეავსოს ეს ვაკანსიები. თუ სამწლიან პერიოდში, გენერალური ასამბლეამდე ექვს თვეზე ადრე გათავისუფლდა რიგითი წევრის ადგილი, საბჭო დარჩენილი ვადით ირჩევს ICOM-ის რომელიმე წევრს იმ გეოგრაფიული რეგიონის გათვალისწინებით, საიდანაც იყო ყოფილი წევრი. თუ ადგილის გათავისუფლებიდან გენერალური ასამბლეის მონვევამდე რჩება ექვს თვეზე ნაკლები, ეს ადგილი ვაკანტურად დარჩება, სანამ მას არ დაიკავებს გენერალურ ასამბლეაზე ახლად არჩეული პირი.

7. აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია რიგით სხდომებზე შეიკრიბოს – სულ ცოტა – წელიწადში ორჯერ. თუ სხდომის თარიღი ემთხვევა გენერალურ ასამბლეას, მაშინ ასეთი შეხვედრა იმართება იქ, სადაც იკრიბება გენერალური ასამბლეა. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს სხდომები გაიმართება ასამბლეის დაწყების წინ და მისი დამთავრებისთანავე, აგრეთვე – ასამბლეის განმავლობაში თავმჯდომარის მოთხოვნის ჩატარდება დამატებითი სხდომებიც. აღმასრულებელი საბჭო ახლად არჩეული წევრების უფლებამოსილება ძალაში შედის გენერალური ასამბლეის დამთავრებისთანავე გამართულ სხდომაზე.

8. აღმასრულებელი საბჭო საგანგებო სხდომას იწვევს თავმჯდომარის მოთხოვნით ან საბჭოს ხუთი ან მეტი არჩეული წევრის წერილობითი განცხადების საფუძველზე. მისი მიღებისთანავე თავმჯდომარე ვალდებულია მოაგვაროს სხდომის მონვევასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და ოცდაათი დღის ვადაში ჩაატაროს შეკრება.

9. თუ აღმასრულებელი საბჭოს რომელიმე წევრი ვერ ესწრება საბჭოს სხდომას, მას შეუძლია კრებაზე დასწრების უფლება ანდოს ICOM-ის სხვა წევრს, რომელიც არ არის აღმასრულებელი საბჭოს წევრი. მინდობილობა უნდა იყოს წერილობითი და ძალაშია მხოლოდ კონკრეტული სხდომის განმავლობაში, სადაც შემცველი სარგებლობს ამ წევრის ყველა, მათ შორის ხმის უფლებით. აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე არავის აქვს უფლება იყოს ერთზე მეტი წევრის წარმომადგენელი.

10. საბჭოს სხდომის ქვორუმი შემდგარია, თუ მას ესწრება შვიდი წევრი ან სათა-

ნაღონების მქონე პირები და საბჭოს, სულ ცოტა, ხუთი წევრი. გადანაცვლებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. საბჭოს ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

11. აღმასრულებელი საბჭოს სხდომა შეიძლება შედგეს მონაწილე წევრებს შორის ერთდროული ელექტრონული კავშირის საშუალებით.

მუხლი 23. აღმასრულებელი საბჭოს პასუხისმგებელი პირები

1. გენერალურ ასამბლეას და აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს იწვევს და უძღვება ICOM-ის თავმჯდომარე. სხდომებს შორის ინტერვალში იგი იღებს გადანაცვლებებს, დასახავს და ატარებს ისეთ ღონისძიებებს, რასაც ICOM-ის ინტერესებიდან გამომდინარე მიიჩნევს საჭიროდ. ამ პერიოდში მიღებული გადანაცვლებების რატიფიცირება ხდება აღმასრულებელი საბჭოს მორიგ სხდომაზე. თავმჯდომარე არის ICOM-ის წარმომადგენელი სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, კერძოდ კი UNESCO-თან, ICOMOS-თან, და ICCROM-თან.

2. მოადგილეები ეხმარებიან თავმჯდომარეს და საჭიროების შემთხვევაში ცვლიან კიდევ მას. თავმჯდომარეს შეუძლია მოადგილეებს განუსაზღვროს განსაკუთრებული ვალდებულების სფეროები. თუ რაიმე მიზეზით თავმჯდომარეს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, მაშინ მას ცვლის ერთ-ერთი მოადგილე, რომელიც, აგრეთვე, მიიწვევს და გაუწევს თავმჯდომარეობას გენერალური ასამბლეის და აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს.

3. ხაზინადარი მოვალეა შეადგინოს და ყოველ გენერალურ ასამბლეას წარუდგინოს ICOM-ის სამწლიანი ბიუჯეტი, ხოლო საკონსულტაციო კომიტეტისა და აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიურ სხდომებს – ყოველი მიმდინარე წლის ბიუჯეტი. იგი რეგულარულად ამონმებს ICOM-ის შემოსავალს და ხარჯებს და თუ საჭიროება მოითხოვს, აღმასრულებელ საბჭოს სთავაზობს წინადადებებს ICOM-ის ფინანსური მდგომარეობის დასაცავად. ხაზინადარი, 26-ე მუხლის § 5-ის საფუძველზე შერჩეულ პირს ან ორგანიზაციას ავალებს ICOM-ის წლიური ფინანსური ანგარიშების შემოწმებას. შემოწმების შედეგებს იგი წარუდგენს საკონსულტაციო კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად. ხაზინადარმა უნდა უზრუნველყოს წინა სამი წლის შემოწმებული ანგარიშების საკონსულტაციო კომიტეტის კომენტარებთან ერთად გენერალური ასამბლეის წინაშე საპრობაციოდ წარდგენა. აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია რომელიმე ერთ პირს, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა იგი ICOM-ის წევრი, დაავალოს ხაზინადარის დახმარება.

1. სამდივნოში შედიან გენერალური მდივანი და მისი აპარატის თანამშრომლები.

2. გენერალურ მდივანს ნიშნავს აღმასრულებელი საბჭო. იგი განსაზღვრავს, აგრეთვე, მდივნის ხელფასს და მუშაობის პირობებს, რომელთაც დროდადრო აზუსტებს და ცვლის კიდევ. გენერალურ მდივანთან დადებული ხელშეკრულების ვადა მაქსიმუმ სამი წელია, მაგრამ შესაძლებელია მისი განახლება. ახალი ხელშეკრულების ყველა პუნქტს განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო ძველი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე - სულ ცოტა - ექვსი თვით ადრე.

3. გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს ICOM-ის სამსახურების მუშაობას. იგი მოვალეა ეფექტურად და კომპეტენტურად წარიმართოს, როგორც სამდივნოს საქმიანობა, ასევე მართოს მთელი ორგანიზაცია, რაზედაც პასუხს აგებს აღმასრულებელი საბჭოს წინაშე. მდივნის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე-გენერალურ მდივანს ევალება სამდივნოს თანამშრომლების სამსახურში მიღება ან სამსახურიდან გათავისუფლება. ამ გადაწყვეტილების მიღებისას რეგლამენტში ჩამოთვლილ ზოგიერთ თანამდებობასთან დაკავშირებით, რომელთა უფლება-მოვალეობები და სახელფასო განაკვეთი განსაზღვრულია საშტატო განანესით (მუხლი 28 § 1), გენერალურმა მდივანმა უნდა გაითვალისწინოს აღმასრულებელი საბჭოს თვალსაზრისი.

4. გენერალური მდივანი მოვალეა:

- ა) უზრუნველყოს ნევრების მომსახურება;
- ბ) სამდივნოს აპარატის მომსახურებით უზრუნველყოს აღმასრულებელი საბჭოს, საკონსულტაციო კომიტეტისა და გენერალური ასამბლეის სხდომები;
- გ) მომზადოს, განახორციელოს და შეაფასოს გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული ICOM-ის პროგრამები და შეაჯამოს შედეგები;
- დ) შეასრულოს ხაზინადარის მითითებით ICOM-ის საფინანსო ოპერაციები, როგორებიცაა: ანგარიშსწორება, საბუღალტრო აღრიცხვა და სათანადო ფინანსური ანგარიშების მომზადება;
- ე) დახმარება გაუწიოს საერთაშორისო კომიტეტებს;
- ვ) დაეხმაროს UNESCO-ს სამდივნოს მისი პროგრამების განხორციელებაში.

5. გენერალური მდივანი რეგულარულად აქვეყნებს საინფორმაციო ბიულეტენს ICOM-ის ოფიციალურ ენებზე და უგზავნის ყველა სრულუფლებიან წევრს.

6. აღმასრულებელი საბჭოს მიერ აპრობირებული ICOM-ის გეგმებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით გენერალურ მდივანს შეუძლია მარტო ICOM-ის სახელით ან საერთაშორისო, ეროვნულ, საზოგადოებრივ თუ კერძო ორგანიზაციებთან ერთად იმ ენაზე, რომელზეც საჭიროება მოითხოვს, გამოსცეს სხვა პუბლიკაციებიც ICOM-ის

მოღვაწეობის შესახებ.

7. გენერალურ მდივანს შეუძლია ICOM-ის წევრებს და სხვა პირებს მიჰყიდოს ან რაიმე სხვა საშუალებით გადასცეს ეს პუბლიკაციები.

8. გენერალური მდივანი პასუხს აგებს UNESCO-ICOM-ის მუზეოლოგიის საინფორმაციო ცენტრის საქმიანობაზე. ნიშნავს მის თანამშრომლებს და აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის საფუძველზე უზრუნველყოფს ცენტრს საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური რესურსით.

მუხლი 25. ICOM-ის ფონდი

1. ICOM-ის ფონდი დაარსდა ICOM-ის მუშაობის ხელშეწყობისათვის. ფონდის წესდება და დებულება უნდა დაამტკიცოს გენერალურმა ასამბლეამ. იგი ამტკიცებს, აგრეთვე, წესდებასა და დებულებაში შესატან შესწორებებს. წესდება და დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე წესდებას.

2. ICOM-ის ფონდის თავმჯდომარეს ინვესტორულ ალმასრულებელი საბჭოს, საკონსულტაციო კომიტეტისა და გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მას არა აქვს ხმის უფლება.

მუხლი 26. ფინანსები

1. ICOM-ის დაფინანსების წყაროებია:

ა) სანევრო;

ბ) ICOM-ის საქმიანობიდან, კერძო, პუბლიკაციების გაყიდვიდან და კონფერენციებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) ასიგნაციები, სუბსიდიები და აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის საფუძველზე დაფინანსების სხვადასხვა წყაროდან წამოსული, საჩუქრად ან მემკვიდრეობით გადმოცემული თანხები;

დ) ICOM-ის ფონდის მიერ გადმოცემული თანხები;

ე) ICOM-ის მიერ განეული სამსახურისათვის მიღებული ანაზღაურება, ან სპეციფიკური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის დადებული კონტრაქტების საფუძველზე მიღებული თანხები;

2. აღმასრულებელ საბჭოს უფლება აქვს ICOM-ის სახელით მიიღოს, იქონიოს, ისესხოს, შეინახოს და გამოიყენოს ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო თანხები;

3. ხაზინადარი უფლებამოსილია მიიღოს ICOM-ის სახელზე შემოსული ასიგნებანი, დახმარებები, სუბსიდიები, დოტაციები, საჩუქრად ან მემკვიდრეობით დატოვებული

თანხები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს აღმასრულებელ საბჭოსთან.

4. ICOM-ის სახსრები უნდა გაიხარჯოს ხაზინადარის მიერ შემუშავებული და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის საფუძველზე.

5. საკონსულტაციო კომიტეტი უნდა შეიკრიბოს წელიწადში ერთხელ, რათა აირჩიოს კვალიფიციური პირი ან ორგანიზაცია, რომელსაც დაევალება ICOM-ის ანგარიშების გაკონტროლება და დაენიშნება სათანადო ხელფასი.

6. თუ ქვეყანაში არსებობს ოფიციალურად დაარსებული ICOM-ის ეროვნული კომიტეტი, მაშინ ქვეყნის კანონმდებლობისა და აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის საფუძველზე, ამ ქვეყანაში შესაძლებელია გაიხსნას იქ არსებული ICOM-ის ფონდების სპეციალური საბანკო ანგარიში, მაგრამ სახსრების თავისუფლად გადარიცხვის (ტრანსფერის) უფლების გარეშე. მათი გახარჯვა შეიძლება მხოლოდ აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის საფუძველზე. ICOM-ის ხაზინადარი აღმასრულებელ საბჭოს ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს ამ თანხების გაზრდისა თუ გახარჯვის შესახებ.

7. ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტი არ არის უფლებამოსილი აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის გარეშე მოაწეროს ხელი ისეთ ხელშეკრულებებს, რომელიც გულისხმობს ICOM-ის სახსრების ხარჯვას. ამ კომიტეტებმა უნდა მოიხმარონ საკუთარი ფინანსები.

მუხლი 27. აღმასრულებელი საბჭოს არჩევნები

1. ICOM-ის არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა აკისრია საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარეს. მან უნდა გააკონტროლოს არჩევნების პროცესი და უზრუნველყოს წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვა.

2. საკონსულტაციო კომიტეტი იწვევს კრებას, რომელზედაც გამოავლენენ კანდიდატებს აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის. კრება უნდა ჩატარდეს არჩევნებამდე, სულ ცოტა, სამი თვით ადრე. გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს ყველა ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტის და ფილიალის თავმჯდომარეს, წარმოადგინოს თავიანთი კანდიდატურები (ინდივიდუალური წევრები, ან ICOM-ის ინსტიტუციურ წევრთა წარმომადგენლები), აღმასრულებელი საბჭოს პასუხისმგებელი პირების თუ რიგითი წევრების არჩევნებზე. კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სხვა პირს და არა თვით კანდიდატს.

3. საკონსულტაციო კომიტეტი განიხილავს მხოლოდ იმ კანდიდატურებს, რომელთა შესახებ წარმოდგენილი იქნება მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მათი კვალიფიკაციისა და შრომითი გამოცდილების შესახებ. გარდა ამისა, ამ საბუთს უნდა ახლდეს თვით კანდიდატის ხელმოწერილი განაცხადი, სადაც იგი წარმოაჩენს თავის კომპეტენციას და დააფიქსირებს აღმასრულებელ საბჭოში მუშაობის სურვილს. გენე-

რალური მდივანი საკონსულტაციო კომიტეტს წარუდგენს ყოველ კანდიდატურას და ადასტურებს, რომ მათ არა აქვთ სანევრო დავალიანება და ნამდვილად არიან ICOM-ის ინდივიდუალური წევრები, ან ინსტიტუციური წევრის წარმომადგენლები და გააჩნიათ უფლებამოსილება იყარონ კენჭი აღმასრულებელ საბჭოში თანამდებობის, ან რიგითი წევრის ადგილის დასაკავებლად. მუხლი 22, § 3, 4.

4. აღმასრულებელ საბჭოში კენჭისყრისათვის კანდიდატურების შერჩევისას საკონსულტაციო კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს აღმასრულებელი საბჭოს, ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტებისა და ფილიალების აზრი ICOM-ში თანამდებობის პირად მათი არჩევის შესატყვისობის შესახებ. საკონსულტაციო კომიტეტმა კანდიდატები უნდა შეარჩიოს ICOM-ის პროფესიული და გეოგრაფიული ინტერესების გათვალისწინებით.

5. საკონსულტაციო კომიტეტმა წარმოდგენილი კანდიდატურათაგან კენჭისყრით უნდა შეარჩიოს მაქსიმუმ ოცდაათი პირი და შეადგინოს აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებში მონაწილეთა სია, რომელიც შედგება ორი, და ნაწილისაგან. A-ში შეყავთ ის კანდიდატები, რომლებიც კენჭს იყრიან გარკვეულ პოსტზე: B-ში – საბჭოს რიგითი წევრობის კანდიდატები. არ შეიძლება, რომ სიის კანდიდატებს ჰქონდეთ რიგით წევრად არჩევის უფლება.

6. ა) თუ შემდგომში აღმოჩნდება, რომ აღმასრულებელი საბჭოს პასუხისმგებელ თანამდებობაზე საკონსულტაციო კომიტეტის მიერ შერჩეული კანდიდატი რაიმე მიზეზით ვერ შეძლებს იყაროს კენჭი, თანაც, არ იარსებებს ამ თანამდებობის მაძიებელი სხვა კანდიდატი, მაშინ, აღმასრულებელმა საბჭომ საკონსულტაციო კომიტეტის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, უნდა შეარჩიოს სხვა წევრი, რომელსაც ენდომება წარადგინონ მისი კანდიდატურა.

ბ) თუ აღმოჩნდება, რომ აღმასრულებელი საბჭოს რიგითი წევრობისათვის საკონსულტაციო კომიტეტის მიერ შერჩეულ კანდიდატს რაიმე მიზეზით არ შეუძლია კენჭისყრაში მონაწილეობა, თანაც, თუ არ არსებობს წევრობის მაძიებელთა საკმარისი რაოდენობა თერთმეტი რიგითი წევრის არჩევის უზრუველსაყოფად, მაშინ აღმასრულებელმა საბჭომ საკონსულტაციო კომიტეტის წევრებთან თათბირის შემდეგ, უნდა შეარჩიოს სხვა წევრი, რომელიც დათანხმდება თავისი კანდიდატურის წარდგენას.

გ) კანდიდატთა შერჩევის პროცესში, რომელიც ზემოთმოყვანილი ნა და ნბ პუნქტებით რეგულირდება, აღმასრულებელ საბჭოს მხედველობაში უნდა ჰქონდეს საკონსულტაციო კომიტეტის მიერ დასახელებულ პოტენციურ კანდიდატთა სია და კომიტეტის იმ სხდომის კენჭისყრის შედეგები, რომელმაც ამ ნომინანტებს შორის კანდიდატები გამოავლინა საარჩევნოდ.

დ) თუ აღმასრულებელი საბჭო შეასრულებს წინამდებარე მუხლის (ა) და (ბ) პუნქტების პირობებს, მაშინ გენერალურ მდივანს ალარ დასჭირდება 27-ე მუხლის მე-7 და

მე-9 პრაგრაფებში მოცემული ვადების დაცვა.

7. გენერალური ასამბლეის სხდომების დაწყებამდე, სულ ცოტა, ხუთი თვით ადრე, გენერალური მდივანი ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტების და ფილიალების თავმჯდომარეებს წერილობით ატყობინებს საკონსულტაციო კომიტეტის მიერ შერჩეულ კანდიდატა ვინაობას, ხოლო იმ კომიტეტებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც ასამბლეაზე არ ეყოლებათ წარმომადგენლები, სთხოვს რომ თავიანთი ხმები გაუგზავნონ ფოსტით.

8. თუკი რომელიმე ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტი ან ფილიალი ხმის მიცემას ფოსტის საშუალებით გადაწყვეტს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს გენერალურ მდივანს და გენერალური ასამბლეის გახსნამდე არა უგვიანეს სამი თვისა, მიანდოს მას კომიტეტისა თუ ფილიალის სახელით კენჭისყრაში მონაწილე წევრების კოორდინატები (სახელები, გვარები, ზუსტი მისამართები). მუხლი 19 § 6 (ა), (ბ) ან (გ).

9. გენერალური ასამბლეის სხდომამდე სულ ცოტა, ორი თვით ადრე, ზემოთაღნიშნული წესით დასახელებულ ხმის უფლების მქონე წევრებს გენერალური მდივანი უგზავნის საარჩევნო ბიულეტენებს კანდიდატა და სიებით, რასაც თან დაურთავს, აგრეთვე, მოკლე ცნობებს კანდიდატების ვინაობის, კომპეტენციისა და შრომითი გამოცდილების შესახებ.

10. გენერალურმა მდივანმა საარჩევნო ბიულეტენს და ბოგრაფიებს უნდა დაურთოს, აგრეთვე, ბიულეტენის შევსების წესები და სპეციალური კონვერტი. (კონვერტს უნდა ეწეროს: "აღმასრულებელი საბჭოს არჩევნები" და ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტისა და ფილიალების სახელები), ხმის უფლების მქონე პირი საარჩევნო ბიულეტენს ჩადებს ამ კონვერტში, დალუქავს მას და სხვა კონვერტში ჩადებულს გაუგზავნის გენერალურ მდივანს.

11. იმისათვის, რომ შევსებული საარჩევნო ბიულეტენები არ გაბათილდეს, ისინი გენერალურ მდივანს უნდა მიუვიდეს კონფერენციის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე. გენერალურმა მდივანმა მიღებული კონვერტები უნდა გახსნას ერთი ან რამდენიმე პირის თანდასწრებით, ხოლო დალუქულ კონვერტებს იგი ათარიღებს და აწერს ხელს.

12. შემდეგ გენერალურმა მდივანმა ფოსტით მიღებული ყველა დალუქული, ბიულეტენიანი კონვერტი უნდა გადასცეს არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირს გენერალური ასამბლეის დაწყებამდე.

13. ეროვნულ თუ საერთაშორისო კომიტეტს და ფილიალს გენერალური კონფერენციის დაწყებამდე შეუძლია გააუქმოს კორესპონდენციით გამოგზავნილი თავისი ხმა. ამისათვის ის აკეთებს წერილობით განაცხადს იმის შესახებ, რომ მისი ორგანიზაციის ბიურომ გადაწყვიტა ხმის გაუქმება და აგზავნის წარმომადგენლებს არჩევნებზე კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად (მუხლი 19, § 6). ეს განაცხადი გენერალურ

მდივანს უნდა გადაეცეს გენერალური კონფერენციის დანყების წინა დღეს. განაცხადის მიღებისთანავე გენერალური მდივანი მას გადასცემს არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირს და დაურთავს დალუქულ კონვერტს, რომელშიც დევს კომიტეტისა თუ ფილიალის საარჩევნო ბიულეტენი. პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა გაანადგუროს (დახიოს) ეს კონვერტი დამსწრეთა თვალწინ.

14. გენერალურ ასამბლეაზე, აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებს წინასწარ განსაზღვრული რეგლამენტის საფუძველზე ხელმძღვანელობს არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი. (მუხლი 28. § 2) ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ ეროვნული თუ საერთაშორისო კომიტეტებისა და ფილიალების მიერ დასახელებულ (მუხლი 19 § 6. (ა), (ბ) ან (გ), ან მათ ნდობით აღჭურვილ პირებს. ყოველი წარმომადგენელი სხდომას ესწრება გენერალური მდივნის სახელზე დანიშნული და შესატყვისი კომიტეტისა თუ ფილიალის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი განაცხადების საფუძველზე. კონფლიქტისა თუ უთანხმოების შემთხვევაში ამ თუ იმ პირის ხმის უფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების აბსოლუტური უფლება გააჩნია არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირს. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

15. არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი ჯერ გახსნის დაბეჭდილ კონვერტებს და ფოსტით მოსულ საარჩევნო ბიულეტენებს მიუმატებს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ ხმებს. შემდეგ შეამოწმებს, ხომ არ არის არასწორად შევსებული და ამის გამო ბათილი ბიულეტენები.

16. ამის შემდეგ არჩევნებზე პასუხისმგებელი პირი დათვლის ხმებს გენერალური ასამბლეის მიერ დასახელებული ორი მანდატურის თანდასწრებით. მანდატურები უნდა იყვნენ ICOM-ის წევრები, მაგრამ არ უნდა იყრიდნენ კენჭს არჩევნებზე და არ უნდა იყვნენ სამდივნოს წევრები.

17. ხმების დათვლა ხდება შემდეგი წესით:

ა) პირველ რიგში დათვლიან იმ კანდიდატებისათვის მიცემულ ხმებს, რომლებმაც უნდა დაიკავონ თანამდებობები (სია) აღმასრულებელ საბჭოში; ხმებს ითვლიან ყოველი თანამდებობისათვის ცალ-ცალკე და კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმათა უმრავლესობას, გამოცხადდება არჩეულად;

ბ) შემდეგ ითვლება რიგითი წევრობის კანდიდატთა (სია) მიერ მიღებული ხმები და ყველაზე მეტი ხმის მიმღები თერთმეტი კანდიდატი ცხადდება არჩეულად.

18. თუ ხმები გაიყოფა, მაშინ თანაბარი რაოდენობის ხმების მქონე კანდიდატებს შორის გაიმართება წილისყრა არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობით;

19. გენერალური ასამბლეის არჩევნების საბოლოო შედეგებს აცხადებს არჩევნებზე პასუხისმგებელი პირი. მან უნდა გამოაცხადოს:

- ა) ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა;
 - ბ) ყოველი კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
 - გ) გაიყო თუ არა ხმები და ნილისყრის შედეგები;
 - დ) გაბათილდა თუ არა რომელიმე ბიულეტენი და თუ გაბათილდა, რა მიზეზით;
20. არჩევნების შედეგები გენერალურმა მდივანმა რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა აცნობოს ყველა კანდიდატს წერილობით.

მუხლი 28. საპროცედურო წესები (რეგლამენტი)

1. წინამდებარე წესდებით სარგებლობის წესებს საკონსულტაციო კომიტეტის თანხმობით ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში შეასწორებს აღმასრულებელი საბჭო. გამონაკლისია ის წესები, რომლებიც ეხება გენერალურ ასამბლევას, გენერალურ კონფერენციასა და საკონსულტაციო კომიტეტს.

2. იმ საპროცედურო წესების დამტკიცება ან საჭიროების შემთხვევაში შეცვლა, რომლებიც ეხება გენერალურ ასამბლევას და საკონსულტაციო კომიტეტს, შეუძლია საკუთრივ გენერალურ ასამბლევას და საკონსულტაციო კომიტეტს. თუ საჭიროა, გენერალური ასამბლეა ამტკიცებს იმ საპროცედურო წესებსაც, რომლებიც ეხება გენერალურ კონფერენციას.

3. წესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე წესდებსა და მათ არ შეუძლიათ შეზღუდოს და გააფართოოს:

ა) წევრების უფლება გააკონტროლონ ყველა ის საკითხი, რომლებიც წინამდებარე წესდებით ეხება წევრების უფლებებსა და მათ პასუხისმგებლობას.

ბ) გენერალური ასამბლევის, საკონსულტაციო კომიტეტისა თუ აღმასრულებელი საბჭოსათვის მინიჭებული უფლებამოსილება.

4. წესები, რომლებიც ძალაშია წინამდებარე წესდების მიღებიდან (გარდა მათი იმ ნაწილისა, რომლებიც ამ წესდებით უარყოფილია) და მის ჩარჩოში ჯდება, მოქმედი, როგორც მთელი წესდება და ასეთად რჩება მის შესწორებამდე. თუ საჭიროება მოითხოვს, წინამდებარე წესდების მიღებიდან თორმეტი თვის ვადაში საბჭომ უნდა შეიმუშაოს, შეაჯეროს და შეასწოროს ICOM-ის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წესები. საპროცედურო წესები, რომლებიც ეხება გენერალურ ასამბლევას ან საკონსულტაციო კომიტეტს, შესწორებებისა და დამტკიცებისათვის უნდა გადაეცეს სათანადო ორგანოს.

5. წესების შესწორების ან მიღების შესახებ უმოკლეს ვადაში უნდა ეცნობოს წევრებს.

6. ეროვნულ თუ საერთაშორისო კომიტეტებს, ფილიალს თუ საკონსულტაციო კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს წესების გასინჯვა. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი

საბჭოს მდივანს წერილობითი ფორმით უნდა გაეგზავნოს ამ მოთხოვნის მოტივაცია და დასაბუთება, რასაც იგი განიხილავს და შეძლებისამებრ, უმოკლეს ხანში აცნობებს მოთხოვნის ავტორს განუთლი მუშაობის შედეგებს. რაც შეეხება რეგლამენტს, რომლითაც ხელმძღვანელობს გენერალური ასამბლეა და საკონსულტაციო კომიტეტი, მოთხოვნა მათი შესწორების შესახებ და ამაზე აღმასრულებელი საბჭოს თანხმობა უნდა განიხილოს და მსვლელობა მისცეს შესაბამისმა ორგანომ.

მუხლი 29. წესდების გამოყენება და შესწორება

1. წინამდებარე წესდება ძალაში უნდა შევიდეს გენერალური ასამბლეის მიერ მისი მიღებისთანავე (გამონაკლისს წარმოადგენს 29-ე მუხლის § 3, რათა გენერალური ასამბლეის მიერ არჩეულ ICOM-ის თავმჯდომარეს არ შეეშალოს ხელი თანამდებობის ორი ვადით დაკავებაში). საჭიროების შემთხვევაში გენერალურ ასამბლევას შეუძლია წესდებაში შეიტანოს შესწორებები წინამდებარე მუხლში წარმოდგენილი პროცედურების დაცვით.

2. ეროვნულ საერთაშორისო კომიტეტს თუ ფილიალს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოვიდეს წინამდებარე წესდების შესწორების წინადადებით. ეს წინადადებები თანდართული დასაბუთებით შესწორებების საჭიროებებისა და აუცილებლობის შესახებ წერილობით უნდა გაეგზავნოს გენერალურ მდივანს, რომელიც წარადგენს მათ აღმასრულებელი საბჭოს მორიგ სხდომაზე.

3. გენერალური მდივანი ამ წინადადებას და თანმხლებ განმარტებებს დაურთავს (თუ ეს საჭირო შეიქმნება) აღმასრულებელი საბჭოს წევრების კომენტარებსაც და განსახილველად წარუდგენს საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ სხდომას. ამ უკანასკნელის მიერ შესწორებების რატიფიკაციის შემთხვევაში ისინი გადაეცემა გენერალურ მდივანს, რომელიც მათ წარუდგენს მორიგ გენერალურ ასამბლევას მათი საბოლოოდ მიღებისათვის.

4. საკონსულტაციო კომიტეტის მიერ შესწორებების უარყოფის შემთხვევაში, იგი ამის შესახებ ატყობინებს გენერალურ მდივანს, რომელიც, თავის მხრივ, ამასვე აცნობებს ავტორს, რის შემდეგაც შეწყდება მსჯელობა ამ შესწორებების შესახებ.

5. წინამდებარე წესდებაში შესწორებების შეტანის წინადადებით შეიძლება გამოვიდეს, ასევე, საკონსულტაციო კომიტეტი და აღმასრულებელი საბჭოც. აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემოთავაზებული ყველა შესწორება საბოლოოდ უნდა გადაეცეს საკონსულტაციო კომიტეტს.

6. ინფორმაციას საკონსულტაციო კომიტეტის მიერ შესწორებების რატიფიკაციის შესახებ გენერალური მდივანი ოფიციალურად ატყობინებს ყველა ეროვნული და საერთაშორისო კომიტეტისა და ფილიალის თავმჯდომარეებს გენერალური ასამბლეის

დანყებამდე, სულ ცოტა, სამოცი დღით ადრე.

7. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით გენერალურ ასამბლეაზე წარდგენილ შესწორებები მიიღება ხმათა ორი მესამედით. შესწორებები შედის ძალაში მათი მიღებისთანავე, რასაც გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა ეროვნულ და საერთაშორისო კომიტეტსა და ფილიალს.

მუხლი 30. ლიკვიდაცია

1. ICOM-ის ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების საფუძველზე. გენერალური ასამბლეა ვერ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, სანამ ასამბლეის დანყებამდე, სულ ცოტა, ექვსი თვით ადრე ყველა წევრს არ დაეგზავნება წერილობითი შეტყობინება, სადაც განმარტებული იქნება ამ შესაძლო გადაწყვეტილების მიღების მიზეზები და საფუძველი. გენერალურ ასამბლეაზე გადაწყვეტილება ICOM-ის დაშლის შესახებ მიღებული უნდა იქნეს ICOM-ის ხმის უფლების მქონე წევრთა ხმების სამი მეოთხედით. მუხლი 19, § 6.

2. ქონება, რომელსაც ICOM-ი ფლობს ლიკვიდაციის მომენტიდან, NESCO-სთან კონსულტაციის შემდეგ გადაეცემა იმ ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება ICOM-ის ანალოგიურ მიზნებს.

ფრანგულიდან თარგმნა ნინო კიტოვანმა

ICOM-ის რეკომენდაციები მუზეუმების საერთაშორისო დღისათვის

- ინიციატივები, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებისათვის

პრომოუშენი და კომუნიკაცია

პლაკატები, იარაღები, სანიშნეები, ღია ბარათები, საფოსტო მარკები, გულსამაგრები, საინფორმაციო ბიულეტენები, დოკუმენტების უფასო დისტრიბუცია

მედიის კამპანია

მედიასთან პარტნიორობა

რადიო-ინტერვიუები

რეკლამის განთავსება პრესასა და ტელევიზიაში, პრეს-რელიზები, კონფერენციები და ვიზიტები

მუზეუმს შიგნით

მუზეუმების საერთაშორისო დღის ფართოდ ინტეგრირება ვრცელ ნაციონალურ პროგრამაში (მაგ. მუზეუმების კვირეული ან მიმდინარე პროექტები). ეს დღე შეიძლება ჩართული იყოს პროგრამაში ან წარმოადგენდეს პროგრამის მთავარ თემას.

ვიზიტები

გახსნის ცერემონიები, დამატებითი დარბაზების გახსნა

ახლად რესტავრირებული და იშვიათად გამოფენილი კოლექციების მონახულება გიდების მეშვეობით

სპეციალური ტურები (თემატური ტურები, არაორდინარული თემატიკის ტურები და პროგრამები, ტურები უცხო ადგილებზე და სხვ.) მუზეუმის "კულისებს მიღმა" ტურები, საგანმანათლებლო მარშრუტები/ტურები.

პუბლიკის მიღება

მუზეუმში უფასო შესვლა, ღია კარის დღეები, უფასო ტურები გიდების მეშვეობით.

მუზეუმის გახსნა მთელი დღის განმავლობაში, მუზეუმის გახსნა საღამოობით, მუზეუმის სამუშაო საათების ხანგრძლივობის გაზრდა.

კულტურული ღონისძიებების პროგრამა

ლექციების სერია ან/და კოლოქვიუმი

კონცერტები, თეატრალური ვორკშოპები (მთხრობელები და წარმოდგენები)

არტისტული წარმოდგენები/პერფორმანსები/

ფილმების ციკლის ჩვენება

პროგრამები, რომლებიც გამიზნულია უფროსებისათვის

მუზეუმის სპეციალისტთა მზადყოფნა კითხვებზე პასუხის გასაცემად.

ინტერაქტიული გამოფენები

ტესტები

ინფორმაცია იმ კანონმდებლობის შესახებ, რომელიც იცავს მემკვიდრეობას (გამოფენების, საინფორმაციო ბიულეტენებისა და საუბრების მეშვეობით) ინფორმაცია მუზეუმების მართვაზე

საგანმანათლებლო ინიციატივები, რომლებიც გამიზნულია

ახალგაზრდებისათვის

საქალაქდღეები/პაკეტები/ სასწავლო მასალებით

ვირტუალური სკოლა

ვორკშოპები (თამაშები და შეჯიბრებები, კოსტუმირებული აქციები, სპექტაკლები, მუზეუმის დათვალიერება სპეციალისტი გიდების მეშვეობით)

ახალგაზრდა ვიზიტორების დაინტერესება მუზეუმებით - ემოციური და ინტელექტუალური კავშირების დამყარებით მუზეუმებთან და მათ საქმიანობასთან (მაგ., ხეების შვილების პროგრამის მეშვეობით და სკოლების მიერ მუზეუმის ან მონუმენტის შვილების პროგრამის მეშვეობით და სხვ.)

განძის აღმოჩენის პროცესის გათამაშება

ბავშვებზე მორგებული ტურების პროგრამების შედგენა (ტურები, რომლებიც მიჰყავს რაიმე "პერსონაჟს", ტურების ბუკლეტების დაბეჭდვა და ა.შ.)

ბავშვებისთვის დახმარების განევა თავიანთი გამოფენების მოწყობაში, მათთვის საკონსერვაციო და იმ სხვა საქმიანობის გაცნობა, რომლებსაც ეწევიან კულტურული მემკვიდრეობის პროფესიონალები

ფართო პუბლიკის ინფორმირება

კედლის მხატვრობისა/ფრესკების/და სხვა მოძრავი გამოფენები

მუზეუმის პროფესიონალებისა და მასწავლებელთა შეხვედრები სკო-

ლებში სამუზეუმო მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროფესიათა პრეზენტაციები

ინტერნეტვორკშოპები და ტურები

- **პროფესიონალებისათვის განკუთვნილი ინიციატივები**

შეხვედრები მუზეუმის იმ პროფესიონალებს შორის, რომლებიც მუშაობენ მოცემულ მუზეუმში ან იკომის ნაციონალური კომიტეტის/თუკი ასეთი არსებობს/მეშვეობით

საუბრები, კოლოქვიუმები, კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, სამუშაო ჯგუფები, დებატები, საერთაშორისო ფორუმები და უცხოელი სპიკერების ლექციები ინიციატივების შეჯერება (რეგიონებს შიგნით, ქვეყნებს შიგნით ან მსოფლიო მასშტაბით)

ნაციონალური ან საერთაშორისო დახმარების გეგმები

გამოფენების გაცვლა

დისციპლინათაშორისი და მულტიდისციპლინარული პროექტების ხელშეწყობა.

მუზეუმის ფონდის მართვა (ინვენტარი, უსაფრთხოების პროცედურები და ა.შ)

იკომის მუზეუმების ეთიკის კოდექსის გაცნობა მუზეუმის მუშაკებისათვის, კოდექსის ასლების გავრცელება. დისკუსიები და საინფორმაციო ინიციატივები შესაბამისი კანონმდებლობას საკითხებზე.

უნივერსიტეტებსა და ახალგაზრდა პროფესიონალებზე გათვლილი ინიციატივები

მემკვიდრეობის დაცვის ოფიცრების ვიზიტები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ინიციატივების შეჯერება, მუზეუმებში მონვენვა

პუბლიკაციები

ჟურნალების, საინფორმაციო ბიულეტენებისა და სტატიების სპეციალური გამოცემები

- **სამეთვალყურეო ორგანოების და მთავრობების ინფორმირება**

ნაციონალური და საერთაშორისო კამპანია მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის. მთავრობის მხარდაჭერის

მოპოვება, რათა მან წარადგინოს, მიიღოს, ახსნას საერთაშორისო სამართლის და კონვენციები და მოახდინოს მათი ინტეგრირება მუზეუმზე, ეროვნულ მემკვიდრეობასა და კულტურაზე არსებულ ეროვნულ კანონმდებლობაში (მუზეუმების დღისათვის ან შემდგომში)

ინფორმირება, რომ საჭიროა ახალი კანონის მიღება ან, რომ არსებული კანონმდებლობა საჭიროებს ცვლილებებს

- კანონის/ან ცვლილებების/მიღება მუზეუმების საერთაშორისო დღეს

- კანონმდებლობის შემოთავაზება კულტურულ მემკვიდრეობაზე
- მიმართულებების და ცვლილებების შემოთავაზება
- მანიფესტზე ხელის მოწერა
- იკომის მუზეუმების ეთიკის კოდექსის გავრცელება კულტურის ინსტიტუციებში, მაკონტროლებელ ორგანოებში, გადანაცვეტილების მიმღებ ორგანოებსა და პარლამენტის წევრებს შორის

- მაკონტროლებელი ორგანოების ყურადღების მიპყრობა იმ საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირების საჭიროებაზე, რომლებიც ეხება მემკვიდრეობას.

ICOM - ის საერთაშორისო კომიტეტები

VICOM (Audiovisual & New Technologies) - სამუზეუმო აუდიოვიზუალური საშუალებებისა და ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო კომიტეტი;

ICLM (Literary Museums) - ლიტერატურული მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი!

(Education & Cultural Action) - საგანმანათლებლო-კულტურული მუშაობის საერთაშორისო კომიტეტი;

ICMAH (Archaeology & History) - არქეოლოგიისა და ისტორიის საერთაშორისო კომიტეტი;

CIDOC (Documentation) - სამუზეუმო დოკუმენტირების საერთაშორისო კომიტეტი;

ICMAM (Museums of Arms & Military History) - იარაღისა და სამხედრო ისტორიის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

CIMAM (Modern Art) - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICME (Ethnography) - ეთნოგრაფიული მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

CIMCIM (Musical Instruments) - მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICMS (Security) - სამუზეუმო უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტი

CIMUSET (Science & Technology) - მეცნიერებისა და ტექნიკის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICOFOM (Museology) - მუზეოლოგიის საერთაშორისო კომიტეტი;

CEPEG (Egyptology) - ეგვიპტოლოგიის საერთაშორისო კომიტეტი;

ICOM-CC (Conservation) - კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტი;

COSTUME - კოსტიუმის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICOMON (Money & Banking Museums) - ნუმიზმატიკისა და საბანკო საქმის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

DEMIST (Historic House Museums) - ისტორიული სასახლე-მუზეუმების (არქიტექტურულ-საპარკო კომპლექსების) საერთაშორისო კომიტეტი;

ICR (Regional Museums) - რეგიონული მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

GLASS - მინის მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი

ICTOP (Training of Personnel) - მუზეუმის პერსონალის მომზადების საერთაშორისო კომიტეტი;

ICDAD (Decorative Arts & Design) - გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი;

INTERCOM (Management) - სამუზეუმო მენეჯმენტის საერთაშორისო კომიტეტი;

ICAMT (Architecture & Museum Techniques) - სამუზეუმო არქიტექტურისა და ტექნიკის საერთაშორისო კომიტეტი;

MPR (Marketing & Public Relations) - სამუზეუმო მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტი;

ICEE (Exhibition Exchange) - სამუზეუმო გამოფენების გაცვლის საერთაშორისო კომიტეტი;

NATHIST (Natural History) - საბუნებისმეტყველო მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICFA (Fine Arts) - სახვითი ხელოვნების მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

UNIVERSITY MUSEUMS - საუნივერსიტეტო მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICOM-ში გაერთიანებული ორგანიზაციები

(Association of European Open-Air Museums) - ღია ცის ქვეშ მუზეუმების ევროპის ასოციაცია;

AIMA (International Association of Agricultural Museums) - აგროკულტურული მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია;

AMOI (Association of Museums of the Indian Ocean) - ინდოეთის ოკეანის ქვეყნების მუზეუმების ასოციაცია;

(Commonwealth Association of Museums) - ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაცია ;

IACM (International Association of Custom Museums) - საბაჟო მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია;

IATM (International Association of Transport & Communications Museums) - ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია;

ICAM (International Confederation of Architectural Museums) - არქიტექტურული მუზეუმების საერთაშორისო კონფედერაცია;

ICMM (International Congress of Maritime Museums) - ზღვის მუზეუმების საერთაშორისო კონგრესი;

C (Museums Association of the Caribbean) - კარიბის აუზის ქვეყნების მუზეუმების ასოციაცია;

MINOM (International Movement for a New Museology) - საერთაშორისო მოძრაობა ახალი მუზეოლოგიისათვის;

PIMA (Pacific Islands Museums Association) - წყნარი ოკეანის კუნძულების მუზეუმების ასოციაცია;

SADCAMM (Southern Africa Development Community Association of Museums & Monuments) - სამხრეთ აფრიკის მუზეუმებისა და ძეგლების განვითარების ასოციაცია;

SIBMAS (International Association of Libraries & Museums of Performing Arts) - თეატრალური ხელოვნებისა და თეატრალური ბიბლიოთეკების მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია;

ICOM-ის რეგიონული ორგანიზაციები

ASPAC (Asia & Pacific) - აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების იკომი;

CIAO (West Africa) - დასავლეთ აფრიკის ქვეყნების იკომი;

ICOMAC (Central Africa) - ცენტრალური აფრიკის ქვეყნების იკომი;

ICOM-ARABE - არაბული ქვეყნების იკომი;

ICOM-EUROPA - ევროპის ქვეყნების იკომი;

ICOM-MAGREB - მაღრიბის ქვეყნების იკომი;

LAC (Latin America and the Caribbean) - ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების იკომი;

საერთაშორისო საგუზაურო ორგანიზაციებისა და მუზეუმების ვებ-გვერდები

საერთაშორისო საგუზაურო ორგანიზაცია

მუზეუმების საერთაშორისო საბჭო

www.icom.museum

ევროპის მუზეუმების ფორუმი

www.europeanmuseumforum.org

მუზეუმების ევროპული ორგანიზაციების ქსელი

www.ne-mo.org

ევროპული ხელოვნების და მემკვიდრეობის ფორუმი

www.efah.org

კულტურული რესურსების შევსების და შესწავლის ცენტრი

www.culturelink.org

იუნესკოს მუზეუმების რეგისტრაციის სამსახური

www.about.museum

კულტურული ცენტრების ევროპული ქსელი

www.encc.net

საერთაშორისო საკონსერვაციო - სარესტავრაციო ორგანიზაცია

იკომის კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტი

www.icom-cc.icom.museum

კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, დაცვისა და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრი - www.iccrom.org

ისტორიისა და ხელოვნების ძეგლების კონსერვაციის საერთაშორისო ინსტიტუტი www.iiconservation.org

საფრანგეთის კულტურის, მემკვიდრეობის და კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო www.culture.fr

დანიის ხელოვნების სამეფო აკადემიის მემკვიდრეობის დაცვის სკოლა www.kons.dk

დიდი ბრიტანეთის კონსერვაციის ინსტიტუტი

www.ukic.org.uk

ნიდერლანდების კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუტი

www.icn.nl

ჰოლანდიელ რესტავრატორ-კონსერვატორთა ორგანიზაცია
www.conserveer.in

კანადის კონსერვატორთა ასოციაცია
www.cac-accr.ca

აშშ-ს კონსერვაციის ინსტიტუტი (AIC)
aic.stanford.edu

უ. პ. გეტის სახელობის კონსერვაციის ინსტიტუტი, აშშ (GCI)
www.getty.edu/conservation/

ბელგიის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის
სამეფო ინსტიტუტი (KIK-IRPA)
www.kikirpa.be

კანადის კონსერვაციის ინსტიტუტი
www.cci-icc.gc.ca

ჰოლანდიის განათლების, კულტურისა და მეცნიერების
სამინისტრო
www.minocw.nl

საქველმოქმედო ფონდები

უ. პ. გეტის ფონდი
www.getty.edu

საქველმოქმედო ფონდების ცენტრი
www.fdncenter.org

კორეის კულტურის ფონდი
www.fpcp.or.kr

ჯ. როკფელერის ფონდი
www.rockfound.org

ჯ. მაკარტურის ფონდი
www.macfound.org

ე. მელონის ფონდი
www.mellon.org

ამერიკის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
www.nsf.gov

ჰუმანიტარული მეცნიერების მხარდაჭერის ეროვნული
სააგენტო (აშშ) - www.neh.fed.us

სამეცნიერო კვლევების იტალიის ეროვნული ფონდი
www.cnr.it

იაპონიის ფონდი

www.jpff.go.jp

ევროპის სამეცნიერო ფონდი

www.esf.org

კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

www.acdi-cida.gc.ca

ფონდი “ღია საზოგადოება საქართველო”

www.osgf.ge

ევრაზიის ფონდი

www.eurasia.org/offices/caucasia

ამერიკის სახელმწიფო განვითარების სააგენტო (USAID)

www.usaid.org.ge

საერთაშორისო გაცვლებისა და კვლევების საბჭო (IREX)

www.irex.ge

ვირტუალური ფონდი

www.virtualfoundation.org

ევროპული კულტურის ფონდი

www.eurocult.org

მუზეუმების ვებ-გვერდები

საქართველოს მუზეუმები

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

www.museum.ge

საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი

www.georgianmuseum.iatp.ge

ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი

www.museum.nokalakevi.ge

ფოტოგრაფიის ქართული მუზეუმი

www.photomuseum.org.ge

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

www.histmuseum.ge

კულტურული საკუთრების კერძო მენეჯმენტი

European Council Parliamentary Assembly ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რეკომენდაცია 1730 (2005)

1. ევროპის საბჭოს ეკუთვნის პირველობა ევროპის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში. იუნესკოსთან ერთად მან ჩამოაყალიბა ინსტრუმენტების სისტემა, რომელიც იქცა მემკვიდრეობის დაცვის აღიარებულ საერთაშორისო ნორმებად. მათ შორის, ისეთი ცნებები, როგორცაა ევროპისა და ზოგადად კაცობრიობის საერთო პასუხისმგებლობა და აგრეთვე - სახელმწიფოს პასუხისმგებლობა;

2. ევროპის საბჭო გულისხმობს აგრეთვე პარტნიორობის განვითარებას კერძო და საზოგადოებრივ სექტორებს შორის მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენებისათვის, მაგალითად, ტურისტული კომპანიების, კონსერვაციით დაკავებული ფირმების და კერძო მესაკუთრეების მომზადების მეშვეობით;

3. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ეკუთვნის კულტურული საკუთრების (უძრავი და მოძრავი) დიდი ნაწილი, მაინც მნიშვნელოვანი რაოდენობა ეკუთვნის აგრეთვე კერძო პირებს, ტრესტებს, ასოციაციებს, ფონდებს, ეკლესიებს და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ კომერციულ კომპანიებსაც;

4. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთის შესამსუბუქებლად უკანასკნელ ხანებში განხორციელდა გარკვეული ქმედებები კულტურული მემკვიდრეობის პრივატიზაციის მიმართულებით. სწორედ ეს გახდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რეჟიმის ცვლილების ძირითადი ნიშანი, რასაც ხაზი გაესვა 2002 წელს იტალიის მთავრობის მიერ, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კულტურული საკუთრების გაყიდვის საკანონმდებლო შესაძლებლობის შექმნით;

5. განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტვირთის შემსუბუქების მიზნით სახელმწიფოს მიერ კერძო მართვის განვრცობა. ეს მაგალითები უნდა შეფასდეს და მიღებული იქნეს შესაბამისი ნებსები;

6. ცნობს რა პრივატიზაციის და კერძო მართვის პოტენციურ სარგებლობას, საპარლამენტო ასამბლეას ალელეებს ის, რომ ამგვარი მოქმედებების შედეგად არანაირი სახით არ დაკნინდეს და უზრუნველყოფილი დარჩეს

მემკვიდრეობის დაცვა, არ შემცირდეს მისი ხელმისაწვდომობა ან სახელმწიფო პასუხისმგებლობა დაცვის უზრუნველყოფისათვის;

7. კერძოდ, საპარლამენტო ასამბლეამ უნდა მიანიშნოს საშიშროებაზე, რომელიც დაკავშირებულია მინის გაქირავების შემთხვევებთან, როდესაც უცნობია, არსებობს თუ არა ამ მიწაზე არქეოლოგიური მასალა; აგრეთვე არასრულად შესწავლილი ობიექტების გატანაზე ღია ბაზარზე გარანტიის გარეშე — შესაძლებელი იქნას ნივთის შემდგომი კვალის მიგნება, აგრეთვე მოვლისა და დაცვის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა;

8. პრივატიზაციას თან ახლავს სხვა რისკიც: კომერციული ინტერესებისათვის გეგმაზომიერი წინააღმდეგობის განევის, კულტურული ფასეულობის (მაგალითად, არქეოლოგიური კონტექსტის) იგნორირების, ან – შესაფერისი საკონსერვაციო ტექნოლოგიების არჩევანის შეუძლებლობა;

9. სპეციფიკური პრობლემები წარმოიქმნება მემკვიდრეობის დაცვისათვის არაადეკვატური შემონიშნულობების შემთხვევებში; მაგალითად, სოფლის სახლების პრივატიზაცია მინის ნაკვეთის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფდა მათ სიცოცხლისუნარიანობას, ან ეკლესიებისათვის რელიგიური საკუთრების დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შესაბამისი მრეველი, რომელიც დაინტერესებული მათი კონსერვაციის უზრუნველყოფით;

10. არსებითი პოლიტიკის თვალსაზრისით, ასამბლევას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს შორის სწორად დაბალანსებული პარტნიორობა სასურველი იქნება ორივე სექტორისთვის სპეციალური კონტროლის გასაწევად;

11. ამგვარად, ასამბლეა მინისტრების კომიტეტს სთხოვს შემდეგს:

11.1. განახორციელოს კულტურული მემკვიდრეობის (მოდრავი და უძრავი) საკუთრებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შედარებითი კვლევა (საზოგადოებრივი და კერძო);

11.2. გადახედოს კულტურული მემკვიდრეობის კერძო მართვის არსებულ და ახლად წარმოქმნილ მოდელებს და შეიმუშაოს დირექტივები საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობის საუკეთესო პრაქტიკისათვის;

11.3. წაახალისოს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები, რათა მათ უზრუნველყონ კულტურული მემკვიდრეობის კერძო მფლობელებისა და მენეჯერების ქმედითი პასუხისმგებლობა (უშუალოდ ან დაზღვევის მეშვეობით) მათი მეურვეობის ქვეშ არსებულ საკუთრებაზე.

საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი*

ნიგნი 4 - მუზეუმები 1

კარი I - ზოგადი დებულებები

მუხლი L 410-1. – წინამდებარე კარში მუზეუმად მოიხსენიება ყველა მუდმივი კოლექცია, რომელიც შედგება იმ ფასეულობებისაგან, რომლის დაცვა და ექსპონირება წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და განკუთვნილია დამთვალე-რებლებისათვის შემეცნების, განათლებისა და ესთეტიური სიამოვნების მინიჭების მიზნით.

მუხლი L 410-2. – ტერიტორიული ერთეულების ან მათი გაერთიანებების მუზეუმები იმართება და ფინანსდება იმ ტერიტორიული ერთეულების მიერ, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ტერიტორიული ერთეულის ან მათი გაერთიანებების მუზეუმები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სტატუსი "საფრანგეთის მუზეუმი", იმართება L 441-1 და მომდევნო მუხლების შესაბამისად და ექვემდებარება იმავე მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფოს სამეცნიერო და ტექნიკურ კონტროლს.

მუხლი L 410-3. – პირობებით, რომელიც ძალაში შევიდა 1986 წლის 1 იანვარს, თავიანთი სამუზეუმო კოლექციების დაცვისა და ექსპონირებისათვის ტერიტორიული ერთეულები სარგებლობენ სახელმწიფო დაფინანსებით.

მუხლი L 410-4. – დეპარტამენტის ან კომუნის მუზეუმებს შეიძლება აფინანსებდეს სამოქალაქო პირი, მისი მფლობელი დეპარტამენტის ან კომუნის თანხმობით, სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის შესაბამისად.

*ნიგნიდან "საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი", ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა, თბ., 2006 წ.

პარი II – ეროვნული მუზეუმები

წინამდებარე კარი არ შეიცავს საკანონმდებლო დებულებებს.

პარი III – საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭო

მუხლი L 430-1. – საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭო, რომელიც ექვემდებარება საფრანგეთის კულტურის მინისტრს, თავმჯდომარეების გარდა შედგება:

ა) შესაბამისი ასამბლეის მიერ დასახელებული დეპუტატებისა და სენატორებისაგან თანაბარი პროპორციით;

ბ) სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან;

გ) ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებისაგან;

დ) L 442-8 და L 452-1 მუხლებში მოხსენიებული პირებისაგან;

ე) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისაგან.

საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭოს კონსულტაციისათვის მიმართავენ L 442-1, L 442-3, L 451-8-დან L 451-10-მდე, L 452-2 და L 452-3 მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი L 430-2. – საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, მის წევრთა დასახელების, საბჭოს მუშაობისა და მისი გადანაცვეტილების გამოქვეყნების პირობები დადგენილია სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით.

პარი IV – საფრანგეთის მუზეუმების რაჟიში

თავი I – განსაზღვრება და მისია

მუხლი L 441-1. – სტატუსი “საფრანგეთის მუზეუმი” შეიძლება მიენიჭოს მუზეუმს, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ან არაკომერციული მიზნის მქონე კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

მუხლი L 441-2. – საფრანგეთის მუზეუმების მიზანია:

ა) დაიცვან, აღადგინონ, შეისწავლონ და გაამდიდრონ თავიანთი კოლექციები;

ბ) ხელმისაწვდომი გახადონ კოლექციები რაც შეიძლება ფართო აუდიტორიისათვის;

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ საგანმანათლებლო და პოპულარული ღონისძიებები;

დ) ხელი შეუწყონ განათლებისა და მეცნიერების პროგრესს, ისევე, როგორც მის გავრცელებას.

თავი II – სტატუსი “საფრანგეთის მუზეუმი”

განყოფილება 1 – “საფრანგეთის მუზეუმის” სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის პირობები

მუხლი L 442-1. – კოლექციისათვის “საფრანგეთის მუზეუმის” სტატუსის მინიჭება ხდება ადმინისტრაციული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მესაკუთრის (ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირის) მოთხოვნის შემთხვევაში, საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭოს წარდგინების შემდეგ.

როცა მოთხოვნა მომდინარეობს კერძო სამართლის იურიდიული პირის მხრიდან, ამ წოდების მინიჭებისათვის წარდგენილ უნდა იქნას კოლექციის შემადგენელი ექსპონატების ჩამონათვალი, ამ კოლექციის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საკუთრების კანონიერად მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქონება გადაეცა მემკვიდრეობით ან, L 451-10 მუხლის შესაბამისად, შეიძინა სახელმწიფოსა თუ ტერიტორიული ერთეულის დახმარებით. წოდების მინიჭების გადაწყვეტილება, ისევე როგორც მოთხოვნაზე თანდართული ექსპონატების სია, ხდება საჯარო, სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი L 442-2. – 2002 წლის 5 იანვრიდან “საფრანგეთის მუზეუმის” სტატუსი ენიჭება ეროვნულ მუზეუმებს, მანამდე არსებული კანონების შესაბამისად კლასიფიცირებულ მუზეუმებსა და სახელმწიფო მუზეუმებს, რომელთა სტატუსი განისაზღვრება დეკრეტით.

მუხლი L 442-3. – იმ შემთხვევაში, როცა კოლექციის შენახვა და ექსპონირება აღარ წარმოადგენს საზოგადოების ინტერესს, სტატუსი “საფრანგეთის მუზეუმი”, მუზეუმების უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ, ჩამორთმეული იქნება ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ.

“საფრანგეთის მუზეუმის” სტატუსის მინიჭებიდან ოთხი წლის შემდეგ ამ წოდების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ კოლექციის მფლობელი იურიდიული პირის მოთხოვნის შესაბამისად, თუ მუზეუმი სარგებლობდა სახელმწიფოს ან ტერიტორიული ერთეულის ფინანსური დახმარებით, ადმინისტრაციულ ხელისუფლებას წოდების ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ მუზეუმების უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ. წოდება ჩამორთმეულად ითვლება, როცა კოლექციების მესაკუთრე იურიდიული პირი L 451-8 და L 451-10 მუხლების შესაბამისად, კოლექციებს გადასცემს საფრანგეთის სხვა მუზეუმს, ან ქონება L123-1 და L123-2 მუხლების შესაბამისად, შესყიდულ იქნა საჯარო კონკურსის ან უპირატესი უფლების წესით, ან მათი საჯარო ჩამორთმევის შემთხვევაში.

მუხლი L 442-4. – იმ შემთხვევაში, თუ L 442-10 მუხლით გათვალისწინებული

ხელშეკრულება არ სრულდება წოდების მინიჭებიდან ოთხი წლის განმავლობაში, ეს ნოდება ჩამორთმეული იქნება L 442-3 მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად.

განყოფილება 2 – სისხლის სამართლის დებულებები

მუხლი L 442-5 – იმ შემთხვევაში, თუ “საფრანგეთის მუზეუმად” ნოდებული დანესებულებების დამფუძნებელი ან კანონიერი ხელმძღვანელი არ სარგებლობს ამ ნოდებით და ავერ იყენებს მას დანესებულების ინტერესების შესაბამისად, იგი ისჯება 15 000 ევროს ოდენობის ჯარიმით.

წინა აბზაცში მითითებული დარღვევებისათვის პირები შესაძლებელია გამოცხადებულ იქნან სისხლის სამართლის დამნაშავეებად და დაისაჯონ სისხლის სამართლის კოდექსის 121-2 და 131-38 მუხლის შესაბამისად.

განყოფილება 3 – “საფრანგეთის მუზეუმის” სტატუსთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

ქვეგანყოფილება 1 – დებულებები დამთვალეიერებელთა მიღების შესახებ

მუხლი L 442-6. – საფრანგეთის მუზეუმებში შესასვლელი ბილეთების ფასი დგინდება იმგვარად, რომ მან ხელი შეუწყოს ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომობას.

მუხლი L 442-7. – ყველა მუზეუმს გააჩნია სპეციალური სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია დამთვალეიერებელთა მიღებაზე, ინფორმაციის გავრცელებაზე, ანიმაციასა და კულტურულ შუამავლობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე მუზეუმს შეიძლება გააჩნდეს ერთი საერთო სამსახური.

ქვეგანყოფილება 2 – თანამშრომლების კვალიფიკაცია

მუხლი L 442-8. – საფრანგეთის მუზეუმების სამეცნიერო საქმიანობაზე პასუხს აგებს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით განსაზღვრული კვალიფიციური პერსონალი.

მუხლი L 442-9. – დამთვალეიერებელთა მიღებას, ინფორმაციის გავრცელების, ანიმაციასა და კულტურული შუამავლობის ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია L 442-7 მუხლით, ახორციელებენ კვალიფიციური თანამშრომლები.

ქვეგანყოფილება 3 – ქსელი დ ხელშეკრულებები

მუხლი L 442-10. – ხელშეკრულებებში, რომლებიც დადებულია სახელმწიფოსა და საფრანგეთის იმ მუზეუმებს შორის, რომელთა კოლექციები არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან მის რომელიმე საჯარო დაწესებულებას, უნდა დაზუსტდეს L 441-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და წინამდებარე წიგნის დებულებების განხორციელების პირობები.

ქვეგანყოფილება 4 – სამეცნიერო და ტექნიკური კონტროლი

მუხლი L 442-11. – საფრანგეთის მუზეუმები, წინამდებარე წიგნში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ექვემდებარება სახელმწიფოს სამეცნიერო და ტექნიკურ ცენტროლს.

სახელმწიფოს შეუძლია დაგეგმოს შესწავლისა და შემონახვის ღონისძიებები იმის დასადგენად, თუ როგორ ასრულებენ მუზეუმები მათზე დაკისრებულ მისიას.

პარი V - საფრანგეთის მუზეუმების კოლექციები

თავი 1 – კოლექციების სტატუსი

განყოფილება 1 – შენაძენი

მუხლი L 451-1. – ყოველგვარი შენაძენი, რომელიც ემსახურება საფრანგეთის რომელიმე მუზეუმის კოლექციის გამდიდრებას, ექვემდებარება იმ სამეცნიერო ინსტანციების გადაწყვეტილებას, რომლის შემადგენლობა და ფუნქციონირების პირობები დადგენილია დეკრეტით.

განყოფილება 2 – კოლექციის დანიშნულება და საკუთრება

ქვეგანყოფილება 1 – ზოგადი დებულებები

მუხლი L 451-2 – საფრანგეთის მუზეუმების კოლექციები ექვემდებარება საინვენტარო აღწერას. მათი ხელახალი აღწერა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ.

მუხლი L 451-3. – საფრანგეთის მუზეუმების კოლექციები ხელშეუხებელია.

მუხლი L 451-4. – საფრანგეთის მუზეუმების კოლექციის მთლიანი ან ნაწილობრივი გასხვისება ამ ქვეგანყოფილების დებულების დარღვევით, ბათილად ითვლება. გაბა-

თილების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება ნებისმიერ დროს, როგორც სახელმწიფოს, ასევე კოლექციების მესაკუთრე იურიდიული პირის მხრიდან.

ქვეგანყოფილება 2 – საჯარო კოლექციები

მუხლი L 451-5. – აკრძალულია იმ ექსპონატების გასხვისება, რომელიც შედის საფრანგეთის მუზეუმების კოლექციებში და ეკუთვნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

ამ საკუთრების კლასიფიკაციიდან ამოღების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის შემადგენლობა და მუშაობის წესი დგინდება დეკრეტით.

მუხლი L 451-6. – თუ საფრანგეთის მუზეუმების იმ კოლექციის მესაკუთრე, რომელიც სდახელმწიფოს ან რომელიმე საჯარო დაწესებულებას არ ეკუთვნის, ყიდის კოლექციიდან ამორიცხულ ფასეულობას, იგი ვალდებულია ადმინისტრაციულ ხელისუფლებას აცნობოს გაყიდვის თაობაზე, მისთვის სასურველი ფასის მითითებით.

ადმინისტრაციულ ხელისუფლებას ორი თვის ვადა აქვს იმისათვის, რომ გამოთქვას თავისი ნება ან უარი შესყიდვის თაობაზე.

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ფასი დგინდება ექსპრპრიაციის სასამართლოს მიერ.

სახელმწიფოს მიერ შექმნის შემთხვევაში, ანაზღაურება ხდება შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების თანახმად.

მეორე აბზაცში დადგენილი წესით უარი ან ორი თვის ვადაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, მესაკუთრეს უფლება აქვს თავისუფალი გადაწყვეტილება მიიღოს საკუთრების თაობაზე.

მუხლი L 451-7. – ფასეულობა, რომელიც საჯარო კოლექციების საკუთრებაში გადადის ჩუქებით ან ანდერძით, ან არასახელმწიფო კოლექციები, რომლებიც შექმნილია სახელმწიფოს დახმარებით, არ ექვემდებარება კლასიფიკაციიდან ამორიცხვას.

მუხლი L 451-8. – საჯარო სამართლის პირს შეუძლია უსასყიდლოდ გადასცეს თავისი კოლექცია სხვა საჯარი პირს, თუკი უკანასკნელი იღებს ვალდებულებას მისი საფრანგეთის მუზეუმების სკუთრებაში დატოვების შესახებ. მუზეუმების უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ საკუთრების გადაცემას ადასტურებს ადმინისტრაციული ხელისუფლება. წინამდებარე მუხლის დებულებები არ ვრცელდება ზოგადი საგადასახადო კოდექსის 1131 და 1716 მუხლების შესაბამისად სახელმწიფოსათვის გადაცემულ საკუთრებაზე.

მუხლი L 451-9. – ეროვნული კოლექციების საკუთრება, რომელიც 1910 წლის ოქტომბრამდე გადაცემული აქვს ტერიტორიულ ერთეულს სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ფორმით და ინახება 2002 წლის 5 იანვრამდე კლასიფიცირებულ მუზეუმში, ან

ექვემდებარება 1945 წლის 13 ივლისის №45-1546 ბრძანებულებას, რომელიც შეეხება ხელოვნების მუზეუმის დროებით მონყობას და ამ ტერიტორიულ ერთეულს ეკუთვნის, აღწერის შემდეგ ხდება ამ ერთეულის საკუთრება და შედის მუზეუმის კოლექციაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტერიტორიული ერთეული წინააღმდეგია, ან ამ მუზეუმს არ გააჩნია სტატუსი "საფრანგეთის მუზეუმი".

2002 წლის 5 იანვრამდე კლასიფიცირებულ მუზეუმში დაცული ნივთის, ან ნივთის, რომელზეც ვრცელდება 1945 წლის 13 ივლისის №45-1546 ბრძანებულება და ეკუთვნის სხვა ტერიტორიულ ერთეულს, გადატანა სხვა ტერიტორიულ ერთეულზე შესაძლებელია მხოლოდ საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭოს ბრძანებით.

წინა აბზაცის დებულებები არ ვრცელდება სახელმწიფოსათვის საჩუქრად ან ანდერძით გადაცემულ ნივთებზე.

ქვეგანყოფილება 3 – კერძო კოლექციები

მუხლი L 451-10. – საფრანგეთის მუზეუმების კოლექციების საკუთრება, რომელიც ეკუთვნის კერძო სამართლის იურიდიულ პირს, შექმნილია ჩუქების ან ანდერძის გზით სახელმწიფოს ან ტერიტორიული ერთეულის დახმარებით, შეიძლება გადაეცეს ჩუქებით ან შესყიდვით მხოლოდ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს არაკომერციული მიზნით, რომელიც ვალდებულებას აიღებს მისი საფრანგეთის რომელიმე მუზეუმისათვის მიკუთვნების თაობაზე. გადაწყვეტილების მიღება ხდება მუზეუმების უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელისუფლების თანხმობის შემდეგ.

წინა აბზაცში მოხსენიებული კოლექციები ხელშეუხებელია და მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ L 442-1 მუხლით გათვალისწინებული სარეკლამო მიზნებით.

განყოფილება 3 – თხოვნა და დეპოზიცია

მუხლი L 451-10. – საფრანგეთის მუზეუმებს უფლება აქვთ კერძო პირისაგან საგამოყენოდ ითხოვონ ხელოვნების ნიმუშები.

დეპოზიციის პირობები და ხანგრძლივობა, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 წელზე ნაკლები, განისაზღვრება მუზეუმსა და კერზო პირს შორის დადებული ხელშეკრულებით, სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

თავი II – დაცვა და რესტავრაცია

მუხლი L 452-1. – საფრანგეთის მუზეუმების კოლექციის საკუთრებაში არსებული ნივთის ნებისმიერ რესტავრაციას წინ უძღვის კომპეტენტური სამეცნიერო ინსტანციების კონსულტაცია, რომელიც განისაზღვრება L 451-1 მუხლით.

იგი ხორციელდება დეკრეტით განსაზღვრული კვალიფიციური ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირების მიერ, L 442-მ მუხლში მითითებული პროფესიონალების პასუხისმგებლობის ქვეშ.

მუხლი L 452-2. - თუ საფრთხე ემუქრება საფრანგეთის მუზეუმების საკუთრებაში არსებული ნივთის დაცვას, ხოლო კოლექციის მესაკუთრეს ვერ ან არ ძალუძს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ზომების მიღება, ადმინისტრაციულ ხელისუფლებას უფლება აქვს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია მუზეუმების უმაღლესი საბჭოს მიერ, აიძულოს მესაკუთრე, მიიღოს სასწრაფო ზომები სიტუაციის გამოსასწორებლად. თუ მესაკუთრე თავს იკავებს ამ ზომებისაგან, ადმინისტრაციულ ხელისუფლებას შეუძლია თავად მიიღოს საჭირო ზომები და მოითხოვოს ფასეულობის დროებით გადატანა ისეთ ადგილზე, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება ნივთის გადაადგილების და დაცვის პირობების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭოს ჩარევის გარეშე. ამ უკანასკნელს ეგზავნება ცნობა მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

მუხლი L 452-3 – თუ გადაწყდა ნივთის დროებით გადატანა სახელმწიფოს მიერ შერჩეულ ადგილზე, სადაც მისი შენახვისა და უსაფრთხოებისათვის შესაბამისი პირობებია, მესაკუთრეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიიღოს ამ ნივთის საფრანგეთის მუზეუმში დაბრუნების გადაწყვეტილება, თუკი ის მუზეუმების უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაადასტურებს, რომ იქ მისი უსაფრთხოების პირობები დაცულია.

მუხლი L 452-4. – ამ განსაკუთრებული ზომების მიღების ხარჯებს ინაწილებენ მესაკუთრე და სახელმწიფო L 452-2 და L 452-3 მუხლების შესაბამისად, ისე რომ სახელმწიფოს წილი არ აღემატებოდეს დახარჯული თანხის 50 %-ს.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმების სტრუქტურა და დაფინანსება

დიდ ბრიტანეთში არ არსებობს მუზეუმების უნივერსალური პოლიტიკა და მათი განვითარების სტრატეგიებიც უკანასკნელ ათწლეულებში ჩამოყალიბდა. 55 - მილიონიან ქვეყანაში ამჟამად ფუნქციონირებს ყველანაირი პროფილის 2500 მუზეუმი. ზოგიერთს მიაჩნია, რომ მუზეუმების რაოდენობა ძალიან დიდია და მათი სამომავლო სიცოცხლისუნარიანობაც საეჭვოა. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთში მუზეუმები დიდი პოპულარობით სარგებლობს და წელიწადში 80 მილიონ დამთვალიერებელს იზიდავს.

დიდ ბრიტანეთში მუზეუმების რეგულარული დამთვალიერებელია ზრდასრული მოსახლეობის 40% პროცენტი, ხოლო ზრდასრულთა 40% წარმოადგენს იშვიათ დამთვალიერებელს, ზრდასრული მოსახლეობის 20% კი საერთოდ არ დადის მუზეუმებში. ეს მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევა, ვინაიდან მუზეუმების დამთვალიერებელთა 1/3-ს წარმოადგენენ მოზარდები და ისინი მუზეუმში მოდიან არა მხოლოდ სკოლებიდან, არამედ მშობლებთან ერთად.

კულტურული ტურიზმის მეშვეობით, კარგა ხანია, დიდ ბრიტანეთში მუზეუმები იქცა ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობად. ტრადიციულად, მუზეუმები დიდ როლს ასრულებს აგრეთვე საზოგადოების განათლებასა და განვითარებაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში. სასკოლო სწავლებისგან განსხვავებით, მუზეუმებმა ხელი უნდა შეუწყოს სწავლების არატრადიციული გზის განვითარებას. სწორედ ესაა ის განსაკუთრებული მიზანი, რომელიც ახლანდელმა მთავრობამ დააკისრა მუზეუმებს.

მუზეუმების კატეგორიები

დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 20 ნაციონალური მუზეუმია, მათ შორისაა: ლონდონის ნაციონალური გალერეა, მეცნიერების მუზეუმი და წამყვანი მუზეუმები შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქებში.

დაახლოებით 800 მუზეუმი იმყოფება ქალაქის ან რაიონის დაქვემდებარების ქვეშ (მოყოლებული დიდი მულტიდისციპლინარული ინსტიტუციებიდან - ბირმინგემის ქალაქის მუზეუმიდან და ხელოვნების გალერეიდან, დამ-

თავრებული პატარა, ვინრო პროფილის ან ადგილობრივი ისტორიის მუზეუმებით). ყველაზე დიდ ჯგუფში, რომელშიც 1700 მუზეუმი გაერთიანებული, შედის დამოუკიდებელი მუზეუმები (რომლებიც დაფუძნებულია როგორც საქველმოქმედო ფონდები), ასევე საუნივერსიტეტო მუზეუმები და სამხედრო მუზეუმები. აღსანიშნავია, რომ სწრაფად მზარდი სოციალური, ეკონომიკური და ინდუსტრიული ცვლილებების საპასუხოდ, ბევრი დამოუკიდებელი მუზეუმი დაფუძნდა ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითაც. მათი უმრავლესობა მცირე ზომისაა და იმართება მოხალისეების მიერ, დანარჩენი მუშაობს კონკრეტული ეკოლოგიური თუ ინდუსტრიული ადგილებისა და მათთან დაკავშირებული ისტორიის მიმართულებით.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმების 2/3 დაარსდა 1970 წელს, რაც თავისთავად გამოიწვია მოთხოვნამ ცხოვრების იმ სტილის შენარჩუნებაზე, რაც ამა თუ იმ სოფლის ან ქალაქის ტერიტორიას ახასიათებდა. მუზეუმების ზრდის ასეთივე ტენდენცია შეინიშნება დასავლეთ ევროპაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

დიდი ბრიტანეთის სამუზეუმო საზოგადოების სპექტრს ქმნის მუზეუმების სამი ძირითადი კატეგორია: ნაციონალური, ადგილობრივი და დამოუკიდებელი. ამ სამ სექტორს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა არა მხოლოდ დაფინანსების მხრივ, არამედ პრიორიტეტულობის თვალსაზრისითაც.

გარდა ამისა, არსებობს კერძო მუზეუმები, რომლებსაც აფუძნებენ კერძო პირები და კომპანიები, მაგრამ უმეტესწილად ისინი არ გამოირჩევა კომერციული ნარმატებებით და ხშირად იხურება რამდენიმეწლიანი ფუნქციონირების შემდეგ. ყველას აქვს მუზეუმის დაფუძნების უფლება. არ არსებობს არანაირი იურიდიული შეზღუდვა.

თანამედროვე სტრატეგიული განვითარებები

ხანგრძლივი პროფესიული დებატების შედეგად, უკანასკნელ წლებში ბრიტანეთის მუზეუმების განვითარების მიმართულებით 2 ინიციატივა განხორციელდა. პირველი, კოლექციების იდენტიფიკაცია დაინერგა ხუთი წლის წინ, მთავრობის მიერ. ამ ინიციატივის მიზანია იმ ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის კონკრეტული და ღირსშესანიშნავი კოლექციების იდენტიფიცირება, რომლებიც ინახება არასახელმწიფო მუზეუმებში. დღეისათვის აღრიცხულია დაახლოებით 60 მუზეუმი, რომელთაც გააჩნია ასეთი მნიშვნელობის კოლექციები (ისინი იდენტიფიცირებულია კონკრეტული დისციპლინის, მაგალითად, ხელოვნების ან ბუნების ისტორიის მიხედვით).

მთავრობამ მოკრძალებული თანხები გამოყო ამ კოლექციების მოვლისა და წარმოჩენისთვის, მაგრამ ეს სახსრები გათვლილია მხოლოდ რამდენიმე წელიწადზე.

მეორე ინიციატივა 2003 წლიდან ხორციელდება. დაფინანსების კრიზისის შედეგად, დიდ რეგიონულ მუზეუმებში ყალიბდება რეგიონული მართვის სისტემა. თითოეულ რეგიონში რომელიმე წამყვანი, ცენტრალური მუზეუმი იმუშავებს რეგიონის რამდენიმე მთავარ პარტნიორ მუზეუმთან ერთად, რათა შემუშავდეს საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტები კოლექციების მოვლისა და საყოველთაო ხელისაწვდომობისათვის. საამისოდ, მთავრობის დაფინანსება გამოიყოფა ეტაპობრივად, რაც მჭიდროდ იქნება დაუკავშირდება მუზეუმის მიერ ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფას. ზოგიერთმა პატარა მუზეუმმა, რომელიც ხშირად არაორდინარულ, ახლებურ საქმიანობას ეწევა, ეს ინიციატივა აღიქვა მისი საქმიანობის სანაღამდეგო ქმედებად. თუმცა ამ ინიციატივის გარკვეული პოზიტიური შედეგები უკვე სახეზეა.

მუზეუმის მხარდამჭერი ორგანიზაციების სტრუქტურა და მუზეუმის პერსონალი

სამთავრობო ორგანიზაციები

მუზეუმებს კურირებს დიდი ბრიტანეთის კულტურის სამინისტროს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი (DCMS), რომელიც შეიქმნა 13 წლის წინ და კურირებს სპორტს, ბიბლიოთეკებს, პერფორმანსის ხელოვნებას, ტურიზმს, კულტურულ მემკვიდრეობასა და მედიას.

იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც DCMS-ი აფინანსებს, არის მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და არქივების საბჭო, რომელიც მთავრობისათვის წარმოადგენს მიუკერძოებელ მრჩეველს სამუზეუმო, საბიბლიოთეკო, საარქივო პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებზე. საბჭო შეიქმნა 8 წლის წინ. საბჭოს ზედამხედველობს კომისიის 14 წევრი და 50 თანამშრომელი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც საბჭოს აკისრია, არის სტანდარტების დადგენა სამუზეუმო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისთვის, მაგალითად, სამუზეუმო კოლექციების მოვლის პირობების შემუშავების საქმეში.

მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და არქივების მსგავსი საბჭოები (MLACs) ფუნქციონირებს რეგიონებშიც, რომლებსაც აფინანსებს ეროვნული საბჭო. ყველანაირი ტიპისა და მოცულობის მუზეუმი გაერთიანებულია რეგიონულ

საბჭოში, მოყოლებული დიდი მრავალმხრივი ან მუნიციპალური მუზეუმებით და დამთავრებული პატარა, მოხალისეთა მიერ მართული ინსტიტუციებით. საბჭო უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და ობიექტურ რეკომენდაცია-კონსულტაციებს მუზეუმებისათვის. აგრეთვე უზრუნველყოფს ტრენინგებს მუზეუმის პერსონალისა და მოხალისეებისთვის, წარადგენს მუზეუმების წინადადებებს მთავრობის სხვადასხვა ორგანოებთან, უზრუნველყოფს მცირე გრანტების გამოყოფას იმ პროექტებისთვის, რომლებიც ზრდის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხარისხს და ანვითარებს ახალ აუდიტორიას. საბჭო უზრუნველყოფს სტრატეგიულ რეგიონულ ზედამხედველობას და რეკომენდაციას უწევს რეგიონის მუზეუმების პროექტებს სახელმწიფო ლატარეისა და სხვა ღონისძიებების დამფინანსებელ სააგენტოებთან. მათი მიზანია მუზეუმების სტანდარტების ამაღლება, რაც მიიღწევა რეკომენდაციის, ინფორმაციის ლობირებისა და მიზნობრივი გრანტების მეშვეობით.

DCMS-ი აფინანსებს აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის ნაციონალური ტრენინგის ორგანიზაციას, რომელიც ადგენს სტანდარტებს მუზეუმისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოღვაწე პერსონალის ტრენინგისთვის. ამ ორგანიზაციის თაოსნობით, ათი წლის წინ შემუშავდა მთელი რიგი სტანდარტებისა და კვალიფიკაციების პროგრამა, რომელიც ქმნის სამუზეუმო საქმის ყველა მუშაკისათვის ადგილზე ტრენინგის გავლისა და სათანადო კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას. ტრენინგების სისტემა ჯერ ახალია და მასში მონაწილეობის პირობები მუზეუმის ხელმძღვანელობისა და მუზეუმის მუშაკთათვის ხშირად იცვლება. კურატორების ტრენინგის კურსები მიმდინარეობს სხვადასხვა უნივერსიტეტებშიც სტუდენტებისათვის, რომელთაც თავდაპირველად მოუწევთ მოხალისეებად (ვოლონტიორად) მუშაობა, ვიდრე გაფორმდებიან მუზეუმის შტატთან თანამშრომლებად.

კიდევ ერთ სპეციალიზებულ ერთეულს, რომელიც ფინანსდება სამინისტროს რესურსებიდან, წარმოადგენს მუზეუმების დოკუმენტირების ასოციაცია (**MDA**). იგი ადგენს და ანვითარებს სტანდარტებს, ტრენინგებითა და რეკომენდაციებით უზრუნველყოფს მუზეუმების დოკუმენტირების პროგრამას. **MDA** უზრუნველყოფს ბევრი საჭირო პუბლიკაციის განხორციელების პროგრამას, მოიძიებს შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას მუზეუმებში უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში.

პროფესიული ორგანიზაციები

მთავრობის მიერ დაფინანსებული სტრუქტურების გარდა, არსებობს ბევ-

რი სხვა ორგანიზაცია, რომლებშიც მუზეუმები და მათი კურატორები არიან გაერთიანებულნი. მათ შორის ყველაზე დიდი და გავლენიანია დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაცია (MA), რომელიც 1889 წელს დაარსდა. იგი პასუხისმგებელია ეთიკური სტანდარტების დადგენაზე და სხვა საქმიანობებთან ერთად, ყოველთვიურად გამოსცემს სამუზეუმო ჟურნალს. გარდა ამისა, არსებობს ნაციონალური, დამოუკიდებელი მუზეუმების ასოციაცია (AIM) და სპეციალიზებული ჯგუფების დიდი რაოდენობა, რომლებიც აერთიანებს კურატორებს კონკრეტული დისციპლინის მიხედვით (მაგ. ბიოლოგიის კურატორების ჯგუფი, მუზეუმის ეთნოგრაფების ჯგუფი და სხვა).

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს აგრეთვე რეგიონული მუზეუმების ფედერაცია, რომელიც უზრუნველყოფს არაფორმალური, ცოცხალი ადგილობრივი ფორუმის მოწყობას მუზეუმის თანამშრომლებისთვის, კურატორებისა და მოხალისეებისთვის. თითოეული კურატორი შეიძლება იყოს ერთზე მეტი პროფესიული ორგანიზაციის წევრი.

იურიდიული ბაზა დიდი ბრიტანეთის მუზეუმებისთვის

დიდ ბრიტანეთში არ არსებობს კონკრეტული კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს მუზეუმის არსს ან იცავს მასში დაცულ კოლექციებს.

ნაციონალური მუზეუმები იმართება სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის რამდენიმე აქტის მიხედვით. მაგალითად, 1963 წლის ბრიტანეთის მუზეუმების აქტი და 1983 წლის ნაციონალური მემკვიდრეობის აქტი (რომელის მიხედვითაც შეიქმნა ვიქტორია & ალბერტის მუზეუმისა და მეცნიერების მუზეუმის ამჟამინდელი კონსტიტუციები). ეს საპარლამენტო აქტები ზოგადად ადგენს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მუზეუმმა.

ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმები იმართება ძირითადად საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების 1963 წლის აქტით, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ხელისუფლება უფლებამოსილია განკარგოს საზოგადოებრივი ფულადი სახსრები მუზეუმების დაფინანსებისათვის. ამ სახსრების მოპოვება ხდება ადგილობრივი გადასახადებიდან, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება არ არის ვალდებული, ჩაერიოს ადგილობრივი მუზეუმების მართვაში ან დააფინანსოს ისინი. ეს დამოკიდებულია მხოლოდ მათ სურვილზე, მაშინ, როცა ბიბლიოთეკები და არქივები უნდა დაფინანსდეს აუცილებლად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

დამოუკიდებელი მუზეუმები ძირითადად დაარსებულია როგორც საქველმოქმედო ფონდები და შესაბამისად, იმართება საქველმოქმედო კანონ-

მდებლობით, რომელიც შეიქმნა იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევის და განათლების უზრუნველყოფას საზოგადოების ყველა ფენისათვის.

საქველმოქმედო სტატუსის მქონედ ითვლება ასევე, უნივერსიტეტები მუზეუმები და სამხედრო მუზეუმების უმეტესობა. ამ შემთხვევაში, საქველმოქმედო სტატუსი ნიშნავს, რომ მუზეუმები და კოლექციები არ ეკუთვნის რომელიმე ინდივიდუალურ პირს, მაგრამ ისინი იმართება საზოგადოების სახელით, მეურვეთა საბჭოს მიერ. ბევრი დამოუკიდებელი მუზეუმი, (განსაკუთრებით დიდი მუზეუმები) რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები და მათ უნდა გაითვალისწინონ იმ ბიზნესის პრაქტიკა, რომელიც ჩადებულია კომპანიების განსხვავებულ აქტებში. ზოგჯერ მუზეუმს შეიძლება მოუწიოს ისეთი მოთხოვნებიც შესრულებაც, რაც ეწინააღმდეგება საქველმოქმედო მიზანს, მაგრამ გამონეულია კომპანიის წესდებით.

ბრიტანეთში არსებობს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი კერძო მუზეუმებიც. მათში დაცულია კოლექციები, რომლებიც რომელიმე კერძო პირის ან ჯგუფის საკუთრებას წარმოადგენს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახსნას შენობა და დაარქვას "მუზეუმი". არ არსებობს შეზღუდვები, მაგრამ არსებობს მუზეუმების სარეგისტრაციო სქემა, რომელიც ცნობს მხოლოდ ჭეშმარიტად საზოგადოებრივ მუზეუმებს რეალურად არსებული კოლექციებით, დაცვის მინიმალური სტანდარტებითა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობით. როგორც წესი, თითქმის ყველა მუზეუმი თავად ითხოვს სარეგისტრაციო სქემაში შეტანას.

მუზეუმების დაფინანსება დიდ ბრიტანეთში

უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში, ბიუჯეტი შეუმცირდა საერთოდ, ყველა მუზეუმს. თუმცა, მათ უმეტესობას ადრეც ჰქონდა სერიოზული ფინანსური შეზღუდვები, განსაკუთრებით ექსპონატების შესაძენი თანხის გაიმოყოფის თვალსაზრისით.

ნაციონალური მუზეუმები ფინანსდება კულტურის, მედიის და სპორტის დეპარტამენტის მიერ. ნაციონალური მუზეუმები თეორიულად ფუძნდება, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციები საკუთარი სამეურვეო საბჭოებით (Boards of Trustees) და მათი პერსონალი არ წარმოადგენს სახელმწიფო თანამშრომლებს. მიუხედავად ამისა, ეს მექანიზმი მიჩნეულია, როგორც "arms's length" (კონკურენტული დამოკიდებულება) მთავრობის მხრიდან.

პრაქტიკულად, კულტურის, მედიის და სპორტის დეპარტამენტი მნიშვნელოვან კონტროლს უწევს მუზეუმების სამომავლო გეგმების განხორციელებას. და საერთოდ, მთავრობის დაფინანსება არ არის გათვალისწინებული კონკრეტული მიზნებისთვის, არამედ ეძლევა თითოეულ სამეურვეო საბჭოს ზუსტად განსაზღვრული პრიორიტეტების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმები ფინანსდება ადგილობრივი მთავრობის მიერ, რაიონის, ქალაქის, მხარის, რეგიონის ან ადმინისტრაციული ოლქის საბჭოების დონეზე. უკანასკნელი 13 წლის მანძილზე ბიუჯეტის შემცირება ყველა ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმს შეეხო (ყოველწლიურად 5%-ით). თავდაპირველად შეზღუდული იქნა გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების ბიუჯეტები, მაგრამ შემდეგში შემცირდა მუზეუმის მუშაობის საათები, რამაც გამოიწვია მუზეუმის ბევრი თანამშრომლების შემცირება (ზოგ შემთხვევაში იძულებითაც კი).

ცენტრალური მთავრობის მიერ ბიუჯეტის მკვეთრად შემცირებით ყველაზე მეტად დაზარალდა დიდ ქალაქებში მდებარე დიდი მუზეუმები. მათ არ ჰყოფნით თანამშრომლები მნიშვნელოვანი კოლექციების მოსაგვლელად, ვინაიდან ადგილობრივი პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო, რომელიც ცდილობს მუზეუმებს შეუნარჩუნოს საზოგადოებრივი დატვირთვა, დაფინანსება გათვლილია მხოლოდ ისეთ საქმიანობებზე, რომელსაც მომხმარებელი ამკარად "დაინახავს".

დამოუკიდებელი მუზეუმები დამოკიდებულნი არიან მოგებაზე, მაგრამ მათი უმრავლესობა დაბალ ფასებს ინარჩუნებს მხოლოდ მოხალისეების ხარჯზე. პრაქტიკულად, დამოუკიდებელი მუზეუმების უმეტესობა დახმარებას იღებს ადგილობრივი ხელისუფლებისგან. ეს ხდება არა მხოლოდ ფინანსური გრანტების მეშვეობით, არამედ შენობის, ელექტროენერჯის ხარჯების, პროფესიონალი კურატორებით უზრუნველყოფისა და ადგილობრივი გადასახადების შემცირებით.

განსაკუთრებული ფინანსური პრობლემები აქვს **უნივერსიტეტის მუზეუმებს**, ვინაიდან უნივერსიტეტების მხოლოდ 20%-ზე ნაკლები იღებს განსაზღვრულ დაფინანსებას მუზეუმებისათვის უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოსაგან (ბოლო წლებში უნივერსიტეტების დაფინანსება მჭიდროდა დაკავშირებული სტუდენტების რიცხვსა და კვლევის ხარისხთან).

სერიოზული საფრთხის წინაშე დგას **პოლკის მუზეუმების** საკითხი, ვინაიდან თანდაცვის სამინისტრომ, რომელიც უზრუნველყოფს მათ მწირ დაფინანსებას, 1990 წლის ბოლოს შეამცირა ბიუჯეტი და არსებობს საშიშროება, რომ მომავალშიც შეამცირებს (ვინაიდან მუზეუმები არ ითვლება თავდაცვის

სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან საქმიანობად).

ნებისმიერ მუზეუმში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოპერაციული ბიუჯეტის წარმოება გამოფენების მოსაწყობად და დამთვალეირებელთა მოსაზიდად სხვადასხვა საგანმანათლებლო და სოციალურად დაუცველ ადამიანთა ხელშეწყობის ღონისძიებების განსახორციელებისათვის. მაგრამ, პრაქტიკულად, ყველა მუზეუმის ბიუჯეტის დიდი ნაწილი მოდის პერსონალის ხელფასებსა და შენობასთან დაკავშირებულ ხარჯებზე. ნორმალურ მოვლენად ითვლება, როდესაც მთლიანი ბიუჯეტის 50%-ზე მეტი მიდის თანამშრომელთა შენახვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთში მუზეუმების თანამშრომელთა რაოდენობა 20%-ით ნაკლებია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის მსგავს ინსტიტუციებში (მაგ. პოლონეთსა და რუსეთში). შენობის შენახვის ხარჯები ძალიან დიდია, ვინაიდან ბრიტანეთის მუზეუმების 70% მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეესტრში აღრიცხულ ისტორიულ ნაგებობებში. ასეთი შენობები ძვირი შესანახია, ვინაიდან მაღალია გადასახადები ელექტროენერგიაზე და ნაგებობების შენარჩუნებისა და დაცვის ნებისმიერი სამუშაო უნდა განხორციელდეს შესაბამისი მასალებითა და მაღალ დონეზე. ამიტომ ზოგჯერ მთლიანი ბიუჯეტის მხოლოდ 5%-10% არის ხელმისაწვდომი ოპერირების ხარჯებისთვის საზოგადოებრივი მომსახურებისა და კოლექციების მოვლის უზრუნველსაყოფად.

გადასახადები

საგადახადო სიტუაცია მუზეუმებში რთულია და დროდადრო იცვლება. ამიტომ მუზეუმების თანამშრომლები რეგულარულად მიმართავენ გარე ექსპერტიზას, რათა გაერკვნენ მუდმივად ცვლად საგადასახადო სისტემაში.

მუზეუმებს არ აქვთ სპეციალური საგადასახადო შეღავათები, სამაგიეროდ ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმები არ იხდიან დღგ-ს 17.5%-იან გადასახადს, ვინაიდან ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია აინაზღაუროს დღგ-ს ხარჯები თავისი სხვა საქმიანობებისაგან. ნაციონალური მუზეუმები კი სულ ახლახან განთავისუფლდა დღგ-სგან.

საქველმოქმედო სტატუსი არ/ვერ ეხმარება დამოუკიდებელ მუზეუმებს დღგ-საგან განთავისუფლებაში, მაგრამ გარკვეულ შეღავათებს აწესებს იმ მიზნისა და შენობაზე, რომლებიც მათ უკავია. დამოუკიდებელი დიდი მუზეუმი შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც სავაჭრო ბიზნესით დაკავებული ორგანიზაცია, რის შედეგადაც მას საშუალება ეძლევა დაიბრუნოს დღგ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი, ოღონდ გადასახადების გადახდით იმ მოგებაზე, რომელსაც

იგი იღებს ვაჭრობიდან.

გადასახადების სისტემა მუზეუმებისათვის გართულებულია და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც. მთავრობა უბიძგებს მუზეუმებს მეტი მოგების მიღებისაკენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ქმედება მუზეუმის კონკრეტულ მისიას უკავშირდება. 20%-იანი კორპორაციული გადასახადი მოქმედებს სწორედ ასეთი საქმიანობიდან მიღებულ მოგებაზე.

მოგების მიღება

ყველა მუზეუმმა, მიუხედავად ტიპისა და სიდიდისა, უნდა იზრუნოს მოგებისათვის, რათა თავისი ბიუჯეტი შეავსოს. ეჭვგარეშეა, რომ მოგების მიღება ბევრად იოლია დიდ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით იმ ინსტიტუტებში, რომლებიც ლონდონში მდებარეობს, ან ტურისტულ ცენტრებში. პატარა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე სხვა, უფრო მცირე ინსტიტუტებში, ფულის მოზიდვა ძნელია და შეიძლება თანამშრომლების გარჯა ამაო აღმოჩნდეს.

ლონდონის მთავარი ნაციონალური მუზეუმებიც კი, მიუხედავად დახვეწილი სავაჭრო ოპერაციებისა და ტურიზმის შეუდარებელი პოტენციალისა, გამოიმუშავენს საკუთარი მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 20%-50%-ს. ადგილობრივი დაქვემდებარების სექტორში 800 მუზეუმიდან მხოლოდ 2 (იორკი და ბათი, ტურიზმის ხარჯზე) ფარავს საკუთარ ყველა ხარჯს. საშუალოდ კი, ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმები გამოიმუშავენ თავიანთი ბიუჯეტის 13%-ს (საუკეთესოდ ითვლება შემოსავლის 30%).

დამოუკიდებელ მუზეუმებში გამოიმუშაებული შემოსავალი ბევრად მეტია და შეიძლება მიაღწიოს 80%-ს. ეს მუზეუმები შედარებით ახალი დაწესებულებებია და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მცირე ან ერთი კოლექცია აქვთ, რომელიც არ ექვემდებარება ფართომასშტაბიანი მულტიდისციპლინარული კოლექციების მენეჯმენტის ხარჯებს. ეს მუზეუმები დამოკიდებულია მოხალისეებზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა პროფესიონალი პერსონალი ჰყავს.

1989 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მუზეუმის ბიუჯეტის 2/3 მთლიანად იხარჯება კოლექციების მოვლაზე, დანარჩენი 2/3 — პერსონალის ხელფასებზე, ასევე ექსპონატების შექმნაზე, დოკუმენტაციაზე, კონსერვაცია-ასა და დაცვაზე.

შემოსავლის წყაროები

ბილეთის ფასი. მუზეუმების პროფესიონალთა უმრავლესობას ურჩევნია, რომ კვლავ გაგრძელდეს ბრიტანული ტრადიცია – დამთვალეირებლების უფასოდ დაშვება მუზეუმში, თუმცა ბიუჯეტის შემცირების გამო იძულებულნი არიან გადასახადი მაინც დაანესონ. დღეისათვის მუზეუმების ნახევარზე მეტში შესვლა ფასიანია. თუმცა თითქმის ყველა მუზეუმი ახორციელებს ფასდაკლებებს სხვადასხვა ჯგუფებისათვის, მაგალითად, ბავშვებისა და მოხუცებისათვის. ზოგ მუზეუმში უფასოა კვირაში ერთი დღე ან გარკვეული საათი. ახლახან მთავრობამ უფასო გახადა ყველა ეროვნული მუზეუმი, რათა საარჩევნო მანიფესტი განეხორციელებინა. შედეგად, გაიზარდა კონკურენცია ფასიან მუზეუმებს შორის. ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმების 2/3 ფასიანია. საერთოდ, ქალაქის ცენტრში მდებარე მუზეუმები უფასოა, ხოლო ფილიალი მუზეუმები ანესებენ გადასახადს განსაკუთრებული ტურების გამო. თითქმის ყველა დამოუკიდებელი მუზეუმი ფასიანია, მაგრამ ფასები ვარიებს ნომინალური 10 ფუნტიდან რამდენიმე ფუნტამდე, მუზეუმის ადგილმდებარეობისა და სიდიდის გათვალისწინებით.

მუზეუმის მაღაზიები. მუზეუმების 80%-90%-ს აქვს საკუთარი მაღაზიები, სადაც იყიდება სხვადასხვა ბეჭდვითი პროდუქცია, კოლექციების ექსპონატთა რეპროდუქციები და სხვა. კომერციული მიზნებისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე საცალო ვაჭრობის ცენტრები, ფოსტის შეკვეთები, ინტერნეტსერვისი და დიზაინის ლიცენზირება, რაც მუზეუმში ფუნქციონირებს იურიდიული ნორმების გათვალისწინებით და მოიცავს კომპლექსურ კონტრაქტებს მომმარაგებლებთან და მწარმოებლებთან.

მომსახურება. წარსულში მუზეუმების მომსახურებას იშვიათად მოჰქონდა მოგება და ხშირად ითვლებოდა თვითდაფინანსების სერვისად დამთვალეირებელთათვის. დღეისათვის, ბევრ მუზეუმში ასეთი სერვისი კონტრაქტით გადაეცემა სპეციალურ კომერციულ კომპანიებს, რომლებიც იხდიან ქირას ან მოგების პროცენტს მუზეუმის სასარგებლოდ. მუზეუმებს აქვს კონკრეტული გარემო და მენიუ მათთვის, ვისაც სურს ასეთი კონტრაქტის დადება. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმს უხდება ამ სისტემის ყოველდღიური პრობლემების მოგვარება, იგი ვერ ახორციელებს პირდაპირ კონტროლს მომსახურების სერვისზე.

სპეციალური ღონისძიებები. უფასო მუზეუმებიც კი გადასახადს აწესებს სპეციალურ დროებით გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებზე. მაგალი-

თად, საგანმანათლებლო ვორკშოპები მოზრდილთათვის (განსაკუთრებით ტრადიციული craft) ძალიან პოპულარული და მზარდი შემოსავლის წყაროა ბევრი მუზეუმისათვის.

სპონსორობა. სპონსორობა ძალიან იშვიათად ხორციელდება შენობის შენარჩუნებაზე, საცავენსა და დაცვაზე. სპონსორების მოძიება საკმაოდ რთულია, რადგან სულ უფრო და უფრო მეტი კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა სოციალური პრობლემებით დაკავებული ორგანიზაციები უნევენ კონკურენციას მუზეუმებს ფულის მოპოვებაში. სპონსორების მოძიება ძალიან დიდ დროს მოითხოვს მუზეუმის პერსონალისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით უჭირთ ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმებს. აღსანიშნავია, რომ საშუალოდ მათი ბიუჯეტის მხოლოდ 1% მოდის სპონსორებზე.

ფართის გაქირავება. დამატებითი შემოსავლის მისაღებად მუზეუმები აქირავებენ შენობის გარკვეულ ნაწილს შეხვედრებისათვის, კონფერენციებისა და სხვადასხვა ტიპის სოციალური ღონისძიებებისათვის.

ღონორები. მუზეუმებისათვის ფულის გაღება (ონატიონ) იშვიათია დიდ ბრიტანეთში. დახმარების მოპოვების უფრო ხელსაყრელი წყაროა მუზეუმების მეგობრების ჯგუფის შექმნა. ამგვარი დაფინანსება ხშირ შემთხვევაში უფრო ნაკლებ მოთხოვნებს საჭიროებს, ვიდრე კორპორატიული სპონსორობა.

გრანტები. მუზეუმებისათვის არსებობს დამატებითი გრანტების ბევრი რესურსი საზოგადოებრივი თუ კერძო წყაროებიდან. მათში შედის: ევროკავშირის სტრუქტურული ფონდი, მთავრობის დაფინანსება რეგენერაციისათვის, მუზეუმის სპეციალური ფონდები და საქველმოქმედო ფონდები.

* * *

ევროპის ბევრი ქვეყნების მსგავსად, ბოლო 15-20 წლის მანძილზე ბრიტანეთის მუზეუმებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. საერთოდ, ამ სექტორში ცვლილებები არ წარმოადგენს მუზეუმების პროფესიონალთა ინიციატივას. ხშირ შემთხვევაში, მუზეუმი უფრო პასუხობს მათზე სამინისტროს (ან სხვა ზემდგომი ორგანიზაციის) მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, ვიდრე თვითონ იჩენს ინიციატივას.

მენეჯმენტის წესები XXI საუკუნის მუზეუმებისათვის

მენეჯმენტის ახალი წესების გათვალისწინება აუცილებელია მუზეუმის შემდგომი განვითარებისათვის. მთავრობა და სხვა დამფინანსებელი არ გამოყოფს ფულს მხოლოდ იმიტომ, რომ მუზეუმები "კარგია". მუზეუმმა უნდა

გამართლოს თავისი არსებობა. ეს ნიშნავს, რომ მან უნდა წარმოაჩინოს თავისი მოღვაწეობა – დაფინანსების სანაცვლოდ მოახდინოს მისი, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო დანებებულების დემონსტრირება. მუზეუმი ანტრეპრენერი უნდა იყოს და დაეხმაროს საკუთარ თავს საქმიანობის უკეთესი, წინდახედული დაგეგმვით, მარკეტინგით, შემოსავლებითა და მონიტორინგით.

როგორ შეიძლება დაინტერესებული პირების ფართო მოთხოვნების დაკმაყოფილება? მოვახდინოთ ფოკუსირება ადამიანურ რესურსზე და არა ნივთზე, განვაფიქროთ ჩვენი მენეჯერული და ლიდერის უნარ-ჩვევები.

რა მენეჯერული უნარ-ჩვევებია საჭირო დღეს მუზეუმებში?

ლიდერობისათვის საკმარისი აღარ არის მუზეუმის დირექტორის მიერ წარსულში შექმნილი მეცნიერული ნაშრომები. დღეს მუზეუმის ლიდერს ჭირდება ფართო სპექტრის ცოდნა და გამოცდილება.

ლიდერობა თუ მენეჯმენტი?

კარგი მენეჯმენტი გულისხმობს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ყოველდღიური ოპერაციების ეფექტურ წარმოებას. ძირითადად კი, ფინანსური თუ ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სწორ განაწილებას.

მეორე მხრივ, ლიდერობა გულისხმობს სტრატეგიულად და კრეატიულად დაგეგმვის შესაძლებლობას, თანამშრომლების მოტივირებას და მუზეუმის ეფექტურ განვითარებას.

წლების მანძილზე მუზეუმებში (მათ შორის ბრიტანეთის მუზეუმებშიც) მენეჯერული ჩვევები უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე ლიდერობა. მუზეუმი მხოლოდ ახლა ჩაერთო დებატებში ლიდერობასა და მენეჯერობას შორის განსხვავებაზე. ზოგმა ამერიკულმა და ბრიტანულმა ინსტიტუციამ სცადა ორი დირექტორის (აკადემიური და ბიზნესზე ორიენტირებული) არჩევა, მაგრამ ეს სტრატეგია წარუმატებელი აღმოჩნდა.

XXI საუკუნის მუზეუმმა უნდა შეძლოს მოდიფიცირება და მისი მენეჯმენტიც უფრო კომპლექსური გახდება. მუზეუმმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საზოგადოებას და გაიზიაროს მისი აზრი. მართალია, არ არსებობს მუზეუმების მართვის უნივერსალური მოდელი, მაგრამ სწორედ საზოგადოების შეფასება უნდა იქცეს მუზეუმების საქმიანობის ამოსავალ წერტილად. დირექტორები უნდა იყვნენ კარგი ლიდერები, მათ უნდა შეძლონ თანამშრომელთა ეფექტური ჯგუფების შექმნა.

შესაძლოა, მუზეუმის დირექტორის მოვალეობები შემაშინებლად რთულიც ჩანდეს, მაგრამ ამგვარი ცვლილებები გარდუეველია. მენეჯერისა და ლი-

დერის უნარ-ჩვევები მუზეუმების სპეციალისტებმაც უნდა შემატონ თავიანთ კურატორულ რეპერტუარს, რათა მუზეუმებს მართავდნენ ის პირები, ვინც ნამდვილად იცნობს კოლექციებს და არა მმართველი ორგანოს მიერ დანიშნული მენეჯერები, რომლებიც მხოლოდ შედეგზე იქნებიან ორიენტირებულნი.

იმ კომპლექსურ და რთულ სამოქმედო გარემოში, რომელშიც მუზეუმებს უწევს მოღვაწეობა, მათი გადარჩენის ერთ-ერთი მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს უნარი, შექმნას ყოვლისმომცველი ქსელი და განავითაროს პარტნიორული ურთიერთობები.

ბარბარა ვორონცოვი

დიდი ბრიტანეთის კულტურის სამინისტროს მრჩეველი

UNESCO-ს ექსპერტი

ICOM-ის ევროპის საბჭოს წევრი

სამუზეუმო საქმის ზოგიერთი ასპექტი აშშ-ში

აშშ-ში მუზეუმების რაოდენობა საკმაოდ დიდია. მუზეუმების ოფიციალურ ცნობარში (OMD) დღეისათვის შეტანილია 8 300 მუზეუმი, თუმცა ამერიკის მუზეუმების ასოციაციისა (AAM)* და მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურების ინსტიტუტის (IMLS) ინფორმაციით, რომელმაც შეასრულა ამერიკის მუზეუმების მონაცემთა ბაზის შექმნის სამუშაოები, ეს რიცხვი მიახლოებითაა. ვინაიდან ცნობარი მოიცავს მხოლოდ სახელმწიფო მუზეუმებს და რეალურად ამერიკის მუზეუმების რაოდენობა ამაჟამად 17 500-ს აღწევს.

აშშ მუზეუმებზე ამომწურავი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ზუსტი ინფორმაცია მიიღოს ყოველგვარი ტიპის (მათ შორის კულტურულ-სპეციფიკურ, საზღვაო, საბავშვო და სხვ.) მუზეუმზე ამერიკის მუზეუმების ასოციაციისა და სხვა სპეციფიკური მიმართულებით მომუშავე ასოციაციების საინფორმაციო ცენტრებისა და ცნობარების მეშვეობით. გარდა ამისა, მუზეუმების უმრავლესობას გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, რომლებიც შეიცავს საკონტაქტო და სხვა სახის ყოველგვარ ინფორმაციას მუზეუმსა და მის კოლექციებზე.

1999 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ამერიკულ მუზეუმებს ყოველწლიურად სტუმრობს 865 მილიონი დამთვალიერებელი, რაც დღეში შეადგენს 2.3 მილიონ მნახველს, თუმცა მათი რიცხვი მუზეუმის სპეციფიკისა და მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია (მაგალითად, ზოომუზეუმებს ყოველწლიურად სტუმრობს ყველაზე მეტი, 530 000 დამთვალიერებელი, სამეცნიერო-ტექნიკურ მუზეუმებს - 183 000, არბორეტუმებს/ბოტანიკურ მუზეუმებს - 119 000, ბავშვთა მუზეუმებს - 85 000, ხოლო ხელოვნებისა და ისტორიულ მუზეუმებს - 15-16 000 დამთვალიერებელი).

განსხვავებულია მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასებიც. AAM-ის ინფორმაციით, მათი საშუალო ფასი 5 დოლარია, მაგრამ აშშ-ს მუზეუმების 1/3-ზე მეტში შესვლა საერთოდ უფასოა. საშუალოდ, თითოეული დამთვალიერებელი მუზეუმის მაღაზიებში ხარჯავს 1.72 დოლარს, ხოლო მუზეუმის კვების ობიექტებში - 0.73 დოლარს. ამ შემოსავლიდან მიღებული ამონაგები მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მუზეუმის ვიზიტორთა მომსახურების ხარ-

* ამერიკის მუზეუმების ასოციაცია (AAM) 1906 წელს შეიქმნა სამუზეუმო საქმის შემდგომი განვითარებისათვის და დღემდე წარმოადგენს ერთადერთ ორგანიზაციას (მასში გაერთიანებულია 3100 მუზეუმის 16 000-ზე მეტი პროფესიონალი), რომელიც მოიცავს სამუზეუმო საქმიანობის ყველა სფეროს - ხელს უწყობს მუზეუმების მუშაკთა პროფესიული განათლების დონის ამაღლებას, საქმიანობის პროფესიული სტანდარტების დადგენას და დაცვას, ინფორმაციის გაცვლას, აშშ-ს მუზეუმების აკრედიტაციას და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას.

ჯებს, რომლის ფინანსური ექვივალენტი საშუალოდ 21 დოლარს შეადგენს. მუზეუმის მიერ გამოშვებული შემოსავალი ამ ხარჯების მხოლოდ 1/3-ს შეადგენს. მუზეუმების დაფინანსების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კერძო საქველმოქმედო ფონდებიდან შემოსული შემოწირულობები (თითქმის 35 %). სახელმწიფო დაფინანსების წილი შეადგენს 25 %-ს, ხოლო საინვესტიციო შემოსავალი – 10%-ს.

აშშ-ში არ არსებობს მუზეუმების დაფუძნებისა და აკრედიტაციის ერთიანი სტანდარტები. მუზეუმის აკრედიტაციის პირობები ძირითადად გამომდინარეობს მისი პროფილიდან და შესაბამისად, განსხვავებულია. ეს სტანდარტები არც შეიძლება იყოს ერთგვაროვანი, იმდენად განსხვავებულია აშშ-ს მუზეუმები (ხელოვნების მუზეუმებიდან ზოოპარკამდე) და, კოლექციების მიხედვით (შეიძლება ზოგ მუზეუმს კოლექცია არც ჰქონდეს) ან თუნდაც ყოველწლიური ბიუჯეტის თვალსაზრისით (100 000 დოლარიდან 1 მილიონ დოლარზე მეტი). ამიტომაც სტანდარტები განსხვავებულია ყველა მუზეუმისათვის. განსხვავებულია, მაგალითად, თუნდაც სხვადასხვა ტიპის კოლექციების დაცვის მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამების თანმხლები გამოფენები ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. AAM-მა შეიმუშავა აკრედიტაციის პროგრამა იმისათვის, რათა დაცული იქნეს არსებული სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავს მუზეუმების შეფასებას იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა მუზეუმის პროფილს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ძირითად სამოქმედო პრინციპებს. აკრედიტაციის კომისია ითვალისწინებს მუზეუმისა და მუზეუმის პროფესიონალთა საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს, რამაც მომავალში უნდა განსაზღვროს და დააზუსტოს მუზეუმების აკრედიტაციის პირობები. AAM-ის გარდა, არაერთმა სხვა ორგანიზაციამაც შეიმუშავა მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტანდარტები და საუკეთესო მეთოდები მუზეუმებისა და მუზეუმის პროფესიონალთა საქმიანობის სპეციფიკური ასპექტებისათვის. AAM-ის საინფორმაციო ცენტრი საკუთარ ვებ-გვერდზე უზრუნველყოფს ასოციაციის წევრების ინფორმირებას ფაქტობრივი ინფორმაციით მუზეუმების საუკეთესო სტანდარტებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მოიცავს იმ სტანდარტების დეტალურ ჩამონათვალს, რაც მუზეუმებში უნდა იქნეს გამოყენებული. მათ შორის, მუზეუმების საქმიანობის განსხვავებულ ასპექტებს (მაგალითად, კოლექციების მართვა, მათი დაცვის ეკოლოგიური პირობები და სხვა).

ახალი მუზეუმების დაფუძნება აშშ-ში არ არის შეზღუდული, მაგრამ დაკავშირებულია მთელ რიგ სერიოზულ სამეურვეო საკითხებთან და იურიდიულ პროცედურებთან. AAM-ის მიერ გამოცემულია რამდენიმე წიგნი, რომლებიც

ნარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს (რეკომენდაციებს) მუზეუმის დაარსებით დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის (ყველა ნივნი განთავსებულია AAM-ის ვებ-გვერდზე). ამ გამოცემებში განმარტებულია ის პირობები, რომლებიც აუცილებელია მუზეუმის დაფუძნებისათვის და იმ საკითხების გადწყვეტის გზები, რომლებიც უნდა იქცეს ახალდაფუძნებული მუზეუმის წარმატების გარანტიად. ეს რეკომენდაციები განმარტავს, თუ რა ოურიდიულ და სხვა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მუზეუმი, ყურადღებას ამახვილებს მისი დაფუძნების ურთიერთგამომრიცხავ მხარეებზე, დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საყურადღებო რჩევებს მუზეუმის ფუნქციონირების ყველა ასპექტზე (მოყოლებული შენობისა და კოლექციების შერჩევიდან, დამთავრებული რეგისტრაციით, გამოფენებით, დაცვით, პერსონალის დაკომპლექტებით, ფინანსური მართვითა და სახსრების მოძიებით). ხოლო "არაკომერციული ორგანიზაციების იურიდიული მოვალეობები" ზუსტად განსაზღვრავს ფედერალური და სახელმწიფო კანონების იმ მოთხოვნებსა და მოვალეობებს, რომელთა გათვალისწინება მოუწევს ახალი მუზეუმის დაფუძნების მსურველებს.

მუზეუმის პროფესიონალების წახალისებისათვის AAM-ი ახორციელებს მათი მხარდაჭერის პროგრამას ძირითადად ტრენინგებისა და სხვადასხვა ხასიათის სემინარების მეშვეობით. ხოლო მუზეუმების საერთაშორისო პარტნიორობის საზოგადოება (IPAM) უზრუნველყოფს ამერიკული მუზეუმის თანამშრომელთა გაცვლას (1 თვით) არაამერიკულ, მაგალითად, ევროპის რომელიმე ქვეყნის მუზეუმში, რათა მან თავის ევროპულ კოლეგასთან ერთად იმუშაოს ერთობლივ და ორივე მხარისათვის სასარგებლო პროექტზე (საამისოდ, IPAM ანაზღაურებს ავიაბილეთების ღირებულებას და გამოყოფს სტიპენდიას ყველა აუცილებელი ხარჯების დასაფარად).

ამერიკის მუზეუმებში ინტენსიურად ხორციელდება ახალი კადრების მოზიდვის პროცესი, რისთვისაც ამერიკის ბევრ უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალური პროგრამა სამუზეუმო საქმის შესწავლისათვის. მიუხედავად ამისა, მუზეუმში მუშაობის დაწყების წინ, სავალდებულოა დიპლომირებულმა სპეციალისტმა გაიაროს გარკვეული სპეციფიკური კურსი, რომელსაც თვით მუზეუმი შეიმუშავებს (კურსის პროგრამა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განთავსებულია მუზეუმების ვებ-გვერდებზე). მუზეუმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მათი ჩამონათვალი ხშირად 30-ს აჭარბებს) მოიცავს მოვალეობებისა და უნარ-ჩვევების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელსაც მუზეუმში მუშაობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს (მაგალითად, ფონდების მცველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: სამეცნიერო ხარისხი აღნიშნული მუზეუმის

სპეციალიზაციის სფეროში, გამობატული ადმინისტრაციული მონაცემები, მართვის გამოცდილება მუზეუმში ან სხვა მსგავს დაწესებულებაში, სპეციალიზაცია კოლექციის რომელიმე ერთი ნაწილის სფეროში, სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა, პუბლიკაციების ავტორობა, კოლექციების აღწერისა და ინტერპრეტაციის უნარი, ობიექტების შერჩევის, შეფასების, კონსერვაციის, რესტავრაციის და ექსპონირების მეთოდების ცოდნა; ბაზრის, კოლექციონირების ეთიკის, აგრეთვე მუზეუმის სპეციალიზაციის სფეროსთან მიმართებაში მოქმედი საბაჟო წესების ცოდნა). სმიტსონიანის ინსტიტუტის Carrer center-საც ჩამოყალიბებული აქვს მოთხოვნები კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მიმართულებით, ხოლო ინსტიტუტის Center for Education and Museum Studies თავის ვებ-გვერდზე რეგულარულად ათავსებს ინფორმაციას აშშ-ს უნივერსიტეტებში სამუზეუმო საქმის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, საზოგადოების ისტორიისა და არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტის შესწავლის პროგრამების შესახებ, აგრეთვე განცხადებებს იმ ვაკანსიებზე, რომლებიც ამა თუ იმ მუზეუმში არსებობს.



სმიტსონიანების ინსტიტუტი წარმოადგენს ნაციონალური სტატუსის მქონე ორგანიზაციას, რომელიც, სხვა ამერიკული მუზეუმებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს უშუალო დაქვემდებარებაშია. შესაბამისად, მისი დაფინანსების 70% მოდის აშშ-ს მთავრობის ბიუჯეტზე (მაშინ, როცა ამერიკული მუზეუმების უმრავლესობა კერძო სექტორიდან ფინანსდება და მათი სახელმწიფო დაფინანსების წილი 10-დან 25%-მდე მერყეობს), დანარჩენი სახსრების მოზიდვა ხდება კერძო სექტორიდან (ინდივიდთა შემოწირულობა, სხვადასხვა ფონდები, მუზეუმის მეგობრები) და შემოსავლებიდან. მაგრამ არა ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავლებიდან (სმიტსონიანების ინსტიტუტის მუზეუმებში შესვლა უფასოა), არამედ ცალკეული გამოფენების ორგანიზებიდან (ინვესტიციები), საგამომცემლო საქმიანობიდან, კაფე-რესტორნებიდან და მალაზიებიდან, სადაც მუზეუმის სასუვენირო პროდუქციასთან ერთად, ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის სასაჩუქრო საგნები, რეპროდუქციები, რენვის ნიმუშები, საიუველირო და კერამიკული ნაწარმი. სმიტსონიანების ინსტიტუტის 18 მუზეუმში დასაქმებულია 6500 ადამიანი, რომელთა ნაწილი ფინანსდება ფედერალური ბიუჯეტიდან, ნაწილი კი - კერძო სექტორიდან შემოსული თანხებით, 2000 ადამიანი - კონტრაქტორია (ძირითადად - საგამომცემლო საქმეში). მუზეუმისათვის გამოყოფილი თანხების უდიდესი ნაწილი იხარჯება

სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებზე (განსაკუთრებით XX ს-ის 50-60-იანი წლებიდან, როცა მუზეუმებში საკუთარი სარესტავრაციო ლაბორატორიები შეიქმნა), ნაწილი კი - მუზეუმის შენობების რეკონსტრუქციასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაზე.

სმიტსონიანის ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი და მართავს სამეთვალყურეო საბჭო (Board of Trusty), რომლის მეორე პირი ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტია. მის შემადგენლობაში შედიან კონგრესმენები და ჩვეულებრივი ადამიანებიც, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მუზეუმის დაფინანსების საკითხებზე საბჭო იკრიბება წელიწადში ოთხჯერ. მუზეუმის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 34-კაციან მრჩეველთა საბჭოს, რომელიც მუზეუმის პერსონალთან (უკანასკნელ ხანებში, სხვადასხვა ტიპის პროფესიონალებთან ერთად, მათ შორის ძალზე აქტუალურია განვითარების დირექტორის ფიგურა) ერთად, ქმედით როლს ასრულებს მუზეუმის სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მისიის განხორციელებაში.

ვინაიდან სმიტსონიანის ინსტიტუტი წარმოადგენს ნაციონალური სტატუსის მქონე ორგანიზაციას, ქვეყანაში იგი ახორციელებს მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებზეც წელიწადში 100 მილიონი დოლარი იხარჯება. მათ შორისაა მოძრავი გამოფენების პროგრამა (ხელოვნების, ისტორიისა და მეცნიერებისადმი მიძღვნილი ექსპოზიციების დემონსტრირება სხვადასხვა მუზეუმებში, კოლეჯებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში), ფილიალების განვითარების პროგრამა (კულტურის საკითხებით დაინტერესებული სხვა ორგანიზაციებისათვის სმიტსონიანის ინსტიტუტის ექსპონატების, პროგრამებისა და საექსპერტო ცოდნის გაცნობა), საგამომცემლო პროგრამები (სამეცნიერო და ზოგადსაგანმანათლებლო გამოცემები, ინფორმაცია ლექციებსა და კურსებზე, სამოგზაურო მარშრუტებსა და ამერიკის სხვადასხვა ქალაქის რეგიონულ მოვლენებზე, ყოველთვიური ყურნალი: Smithsonian - ხელოვნების, ისტორიისა და მეცნიერებისადმი მიძღვნილი მასალები და სხვა), ტურების პროგრამა (ყოველდღიური უფასო ტურები მუზეუმებში), უფასო ნაბეჭდი პროდუქცია (ბროშურები, ზოგადი ინფორმაცია სხვადასხვა ენებზე და სხვა), ფოლკლორული ფესტივალი (იმართება ყოველ ზაფხულს 10 დღის განმავლობაში).

ამ პროგრამებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სხვადასხვა მიმართულების საბავშვო პროგრამებს, რომლებიც ტარდება 3-დან 14 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის. საბავშვო საგანმანათლებლო პროგრამას თითოეული მუზეუმი ამუშავებს საკუთარი კოლექციისა და საექსპოზიციო შესაძლებლობების გათვალისწინებით (მაგალითად, ფრირისა და სეკლერის

გალერეებში მიმდინარე პროგრამა "წარმოიდგინეთ, რომ აზიაში ხართ," "როგორ ხდება გაფრენა?"-ავიაციისა და კოსმონავტიკის ნაციონალურ მუზეუმში და სხვა). როგორც წესი, ამერიკული მუზეუმი არ არის ორიენტირებული ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკური ზონის შექმნაზე და ხშირად მოზარდები მუშაობენ მუზეუმის საერთო საექსპოზიციო სივრცეში, სადაც მშობლებთან ერთად შეუძლიათ შექმნან ექსპონატის ასლი (ოჯახური პროგრამები), ან გაერთონ "დისქვერის" დარბაზში და სმიტსონიანის კარუსელზე, ან სულაც, შაბათ-კვირას საკუთარი თავი გამოსცადონ ზოოპარკის მომსახურე პერსონალის როლში (ნაციონალური ზოოპარკი).

თუკი ევროპული ტრადიცია მუზეუმს განიხილავს როგორც მეცნიერების, ხელოვნებისა და განათლების ტაძარს, ჩრდილოამერიკული კონცეფცია მას მიიჩნევს სწავლების, დასვენებისა და გართობის ადგილად. სმიტსონიანების ინსტიტუტი ცდილობს, არ დაუშვას, რომ საზოგადოებაში მუზეუმს ჩაკეტილობისა და ელიტარულობის იმიჯი შეექმნას. ექსკურსიებმა, ლექციებმა, მოძრავმა გამოფენებმა, კონცერტებმა, სლაიდებისა და ფილმების დემონსტრირებამ, მრავალფეროვანმა ნაბეჭდმა პროდუქციამ მუზეუმები გარდაქმნა თავისებურ უნივერსიტეტებად, მოცალეობის ჟამს ფართო პუბლიკის შემოქმედებითი თვითგამოვლენისა და გართობის ადგილად.

დღეს სმიტსონიანის ინსტიტუტი მძლავრი სამუზეუმო-საგანმანათლებლო ცენტრია, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საფუძველი ჩაუყარა "ახალი მუზეოლოგიის" კონცეფციას - მუზეუმი გადაიქცა გარესამყაროსთან ემოციური დიალოგისა და კამათის ადგილად, სადაც ადამიანებს შეუძლიათ იმსჯელონ არა მხოლოდ კულტურისა და ხელოვნების პრობლემებზე, არამედ ყველა იმ საკითხზე, რაც დღეს კაცობრიობას ალელვებს.

AAM-ის მასალების მიხედვით მოამზადა
და ინგლისურიდან თარგმნა
ინგა ქარაიამ

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოცი- ქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ;

საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;

მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად

საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქით, დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას (შემდგომში შეთანხმება):

მუხლი 1

სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციე-

ლების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიცემა შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით); ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათალიკოს-პატრიარქი.

5. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავსუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექსნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და ნოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან განათლების აისტიმაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებსმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამენარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური ჩიხნით არსებული ქონება და მიწა გათავსუფლებულია გადასახადებისაგან.

6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს

და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგეობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავეებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმინდა ნაწილებისა და წმინდა რელიქვიების გარდა).

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავეებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევების, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (გასაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში

დში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90).

2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მინის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.

2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმინდა სინოდის დამტკიცებით.

3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმინდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

საქართველოს სახელმწიფოს
სახელით

საქართველოს სამოციქულო
ავტოკეფალური მართლმადიდებელი
ეკლესიის სახელით

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი ილია II

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი
14 ოქტომბერი, 2002 წ.

ტარმინთა განმარტება

1. სამოციქულო საყდარი - ეკლესია, რომელიც დაარსებულია ქრისტეს წმინდა მოციქულთა (ან მოციქულის) მიერ.

2. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია - საეკლესიო კანონიკური ნორმით არსებულ ადგილობრივ (ავტოკეფალურ) მართლმადიდებელ ეკლესიათა სულიერი ერთობა, რაც ხორციელდება (გამოხატულია) საეკლესიო საიდუმლოებების ურთიერთცნობით და ეკლესიის მეთაურთა მიერ წირვა-ლოცვის დროს ურთიერთმოხსენიებით.

3. ავტოკეფალია – ადგილობრივი ეკლესიის სრული თვითმმართველობა; მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის, ასევე საეკლესიო ცხოვრების წარმართვის (წმინდა მირონის კურთხევა, კანონიკური განჩინებების გამოცემა და სხვა) დამოუკიდებლობა.

4. საეკლესიო კრება – მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება მღვდელმთავრებისაგან, სხვა სასულიერო პირთა დელეგატებისა და ერისკაცთა წარმომადგენლობისაგან.

5. წმინდა სინოდი – წმინდა სინოდის (საქართველოს ეკლესიის მმართველი და საკანონმდებლო ორგანოს) თავმჯდომარე და საპატრიარქოს ხელმძღვანელი.

7. ქორეპისკოპოსი - კათალიკოს-პატრიარქის მოადგილე სასულიერო პირი, რომელიც განაგებს საეკლესიო ცხოვრების გარკვეულ სფეროს, ქორეპისკოპოსს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს კათალიკოს-პატრიარქი.

8. მდივანი-კათალიკოს-პატრიარქის თანაშემწე, რომელიც ასრულებს კათალიკოს-პატრიარქის უშუალო დავალებებს. მდივანთა რაოდენობას განსაზღვრავს კათალიკოს-პატრიარქი.

9. სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი - სადაც ტარდება ადგილობრივი გაფართოებული კრებები, იკურთხება წმინდა მირონი, ხდება კათალიკოს-პატრიარქის კურთხევა და ახლადარჩეული მღვდელმთავრების ხელდასხმა; ამავე დროს იგი არის უძველესი და უპირველესი საპატრიარქო კათედრა.

10. საპატრიარქო კათედრა - უშუალოდ კათალიკოს-პატრიარქს დაქვემდებარებული ანუ სტავროპოგიალური ტერიტორია (ქალაქი), სადაც არის კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია და საპატრიარქოს ან მისი რომელიმე სტრუქტურის ადგილსამყოფელი.

11. საპატრიარქო - კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით დადგენილ საეკლესიო განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ერთობლიობა.

12. საეკლესიო (კანონიკური) სამართალი – მსოფლიო მართლმადიდებელი

ეკლესიის კანონებისა და წესებისა ერთობლიობა (ეს გულისხმობს მოციქულთა კანონებს, მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმინდა მამების დადგენილებებს); ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის - ასევე ადგილობრივი ეკლესიის კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საქართველოს ეკლესიის დღეს მოქმედი მართვა-გამგეობის წესდება (დებულება), საქართველოს საეკლესიო კრების, წმინდა სინოდის და კათალიკოს-პატრიარქის მიერ გამოცემული განჩინებები და სხვა (საეკლესიო) სამართლებრივი აქტები.

13. აღსარება და საეკლესიო საიდუმლოება - სინანულის საიდუმლო, დანებებული თვით იესო ქრისტეს მიერ. იგია სულიერი განწმენდის მიზნით უფლის წინაშე მოძღვართან ნებაყოფლობითი აღიარება ცოდვისა, რომლის სხვასთან თქმის უფლება სასულიერო პირს არა აქვს.

14. საეკლესიო საიდუმლოება - ეკლესიის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15. სასულიერო პირი – მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასხმული (ნაკურთხი) პიროვნება (მონოზონი, დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი), რომელიც ამ მადლს ინარჩუნებს, თუ არ მოხდა მისი განკვეთა ეპისკოპოსის ან წმინდა სინოდის დადგენილებით.

16. სულიერი მოძღვარი – მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, რომელიც ამა თუ იმ ადამიანისაგან იბარებს აღსარებას და წარმართავს მის სულიერ ცხოვრებას.

17. ჯვრისწერა – საეკლესიო საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი, რომლის აღსრულების შემდეგ, საეკლესიო სწავლებით, ახალდაქორწინებულთა ოჯახი ხდება კანონიერი.

18. ღვთისმეტყველება – საეკლესიო და სასულიერო-საგამანათლებლო სწავლება ღმერთის შესახებ.

19. მონასტერი – ეპისკოპოსის კურთხევით დაარსებული ბერ-მონაზონთა სავანე, რომელიც ეპისკოპოსის მიერ დადგენილი ტიპიკონით (ცხოვრების წესი) ხელმძღვანელობს.

20. საეკლესიო საგანძური – საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების სინმიდებები (ფერწერული, ქედური, მინაქრის ხატი და ჯვარი; სანანილე, პანალია, ბარძიმ-ფეშხუმი, გარდამოხსნა), რომელთაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა და მაღალმხატვრული ღირსება.

21. წმინდა ნაწილები - მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილ მონამეთა და მოღვაწეთა სხეულის ნაწილები.

22. წმინდა რელიკვია - მაცხოვრის, ღმრთისმშობლისა და წმიდანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები.

23. საეკლესიო ნივთი – საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების საგნები.

24. ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგია – ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიაა შემდეგი სიტყვები: “საქართველოს სამოციქულო”; “ავტოკეფალური”; “მართლმადიდებელი”; “კათალიკოს-პატრიარქი”; “წმიდა სინოდი”.

